კვირის პალიტრა

მზე

N33 (323) 17/VIII-23/VIII.2006. ფას

1168
2006

შალვა რამიშვილის ცოლი ქმრის 35 წლის იუბილეს ციხეში აღნიშნავს, თინა ხიდაშელი „რუსთავი 2"-ს უჩივის

მასწავლებლის კაბის ქვეშ „შემძვრალი" მოსწავლეები და ცივი იარაღით დაჭრილი ჭოლა

„ჯეობარელი" დათო მაია სიხარულიძესთან ბოლომდე იხსნება

ბაზისოვილი ცოლები და მარტოხელა მამების მძიმე ხვედრი

ქოზულეთის ბუნებალო, უცხოელი ტურისტები და მოდელების ჩვენება „ქართულად"

„მოდაში ოქროთი გაწყობილი საცურაო კოსტიუმებია"

პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველმა დიზაინერმა ბინ ლადენს „საჭურისის ორგაზმი" აჩუქა

რატომ ჭიანურდება მთაწმინდაზე რეპრესირებულთა სიმბოლური საფლავის გაკეთება

№17 (129) 17.VIII-30.VIII.2006

ოჯახის მეურნალი

საამდიცინო ჟურნალი
ფასი 70 თეთრი

მთავარი თემა: სიმაღლეში ზრდის პრობლემები

სტრესის საწინააღმდეგო მენიუ

საზაფხულო თავგადასავლები და პირველი დახმარება

როგორ დავემალოთ მაგნიტურ ქარიშხლებს

გენური ინჟინერია ჩვენს სუფრაზე

ბუასილი და ორსულობა

სიმაღლეში ზრდის პრობლემები

✔ რა ასაკიდან შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ბავშვი ტანდაბლობისკენ არის მიდრეკილი?

✔ როგორ მკურნალობენ ტანდაბლობას?

✔ შეიძლება თუ არა ზრდის ჰორმონის მიღება?

ჰემოფილია

✔ რომელი პრეპარატების მიღება ეკრძალებათ ჰემოფილიით დაავადებულებს?

ახალშობილთა ფიზიოლოგიური სიყვითლე

✔ როგორ ადგენენ, რომ სიყვითლე ფიზიოლოგიურია?

როგორ დავემალოთ მაგნიტურ ქარიშხლებს

✔ მაგნიტური ქარიშხლების მთავარი სამიზნე სხეულის მთავარი მამოძრავებელი ძალა – გული აღმოჩნდა

გენური ინჟინერია ჩვენს სუფრაზე

✔ უვნებელია თუ არა გენმოდიფიცირებული საკვები?

✔ იწარმოება თუ არა საქართველოში ასეთი პროდუქტები?

ძლიერი სქესის სისუსტეები

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

კვირის პალიტრა
ეზა
№33 (323)
17 – 23 აგვისტო.
2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი“ ქართულ პარლამენტში 3
ინფორმაცია 4
უცხოური პრესა
„ჩვენი ამოცანაა, უზრუნველვყოთ ქართველ ბალოვანთა ხუნტის საერთაშორისო იზოლაცია“... 5
სოფელი
არქეოლოგიური განძი და საიდუმლო სამხედრო ბაგის „ნაშთები“... 7
ჟურნალისტის როლში
შალვა რამიშვილის ცოლი ქმრის ცხეში ყოფნას ტრაგედიად არ აღიქვამს, თინა ხიდაშელი „რუსთავი 2“-ს უჩივის 9
ემიგრანტები
„იტალიელები ქართველებს ხასიათით ძალიან ჰგვანან“ 10
კრიმინალი
ქვიშის კარიერზე მომხდარი სადისტური დანაშაული 13
გზავნილები
როგორ მივაღწიე მიზანს 17
კარიერა
სკანდალური დიზაინერი, სწავლას მოწყურებული მხატვარი და ამბიციური ნათქვამი 21
თემა
„ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ შვილები ჩემთან დარჩნენ“ 24
ანტიდეპრესანტი 26
შეყვარებულები
„ამ ადამიანს რომ დავშორდე, სამყაროს მიმართ ნდობას დავკარგავ“ 28
თინეიჯერული პონტები
მასწავლებლის კაბის ქვეშ „შემძვრალი“ მოსწავლეები და ცივი იარაღით დაჭრილი ჭოლა 30
დოკუმენტური პროზა
სანამ ცოცხლები ვართ... (გაგრძელება) 33
ტაიმ-აუტი 36
რომანი
ზაზა ფაჩნაძე. ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38
პროექტი
კიდევ ერთხელ შუმერულ-ქართული პარალელების შესახებ 43
ასპარეზი
ცხინვალელი კახი კახიაშვილი – საბერძნეთის გმირი 46
მინდვრებს მიღმა
კრაუჩი საყვარელს დაშორდა 48

„ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ შვილები ჩემთან დარჩნენ“

„საყვარელმა მოატყუა – მეჰპირდა, რომ ცოლად მოიყვანდა, 1 კვირის განმავლობაში ერთად იცხოვრეს და მერე დაშორდნენ. მაგრამ მაიას ჩემთან დაბრუნების სურვილი არ გამოუთქვამს. თუმცა, მას უკვე მეც აღარ მივიღებდი“.

24

სკანდალური დიზაინერი, სწავლას მოწყურებული მხატვარი და...

„მოსკოვში დავათვალიერე ავთანდილ ცქვიტინიძის კოლექცია, გავესაუბრე კიდეც ავთანდილს, ძალიან მესიამოვნა, რომ ასეთი ძლიერი კოლექცია ჰქონდა ქართველ დიზაინერს“.

21

შალვა რამიშვილის ცოლი ქმრის ცხეში ყოფნას ტრაგედიად არ აღიქვამს

„ის ერთი წლის წინ, 27 აგვისტოს თავის დაბადების დღეს დაიჭირეს, ასე დაემთხვა. და რადგან ასე მოხდა, მიმაჩნია, რომ გასული წლის 27 აგვისტო მისთვის ხელახალი დაბადების დღე იყო“.

9

მასწავლებლის კაბის ქვეშ „შემძვრალი“ მოსწავლეები და ცივი იარაღით დაჭრილი ჭოლა

„როგორ არა, „ლისიჩკები“ იყო მოდაში და ის აუცილებლად უნდა გქონოდა, მიუხედავად იმისა, გჭირდებოდა თუ არა. მეც მედო ჯიბეში ე.წ. ჯაყვა...“

30

დასვენება

სტეფანე ქობულეთმა დაღალა და დასვენებას თურქეთში აპირებს 50

მოდა

ოქროსფერი მეტალებით გაწყობილი საცურაო კოსტიუმები 51

ბედისწერა

სანდრო ახმეტელის ტრაგედია: 222 დღე საკანში 52

წმინდანები

„...ხოლო უკუეთუ მოვკუდე ქრისტესთვის, უკვდავ ვიქმნე საუკუნოდ და მის თანა ვსუფევდე“... 54

ჯანმრთელობა

- ჩაი – გაგიანი წყლის ნაცვლად 55
- გული ინფარქტის გარეშე 55
- მომავლის ადამიანი – ქოსა და უკბილო?! 56
- ხილის ნიღბები სახის კანისთვის 56

ბომონდი 57

ვარსკვლავი

ლოს-ანჯელესის მოძულე „ოსკაროსანი“ – რეიჩალ უაისი 58

ავტო 61

კვალი

უიღბლო ხათუნა დონდუას ლამაგი ცხოვრება 62

ბომონდური მოზაიკა 64

ჰოროსკოპი

კვირის (17-23 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 66

პოლიტიკური ბიოგრაფია

ფიდელ კასტრო – დიქტატურის დამამხობელი დიქტატორი 67

ტესტი 70

სკანვორდი 71

...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

ამ ადამიანს რომ დაეშორდე, სამყაროს მიმართ ნდობას დაკარგავ!

„იმ დღეს, 39 გრადუსი სიცხე მქონდა და ძალიან ცუდად გამოვიყურებოდი, ამიტომ დათოს სიმპათია არ დამიმსახურებია.“

28

შუმერულ-ქართული პარალელების შესახებ

„ცნობილმა ქართველმა მსახიობმა და ფილოლოგმა ზურაბ ქაფიანიძემ (ისტორიკოს თეიმურაზ მიბჩუანთან ერთად) წიგნად გამოსცა ფუნდამენტური გამოკვლევა ქართული და შუმერული ლინგვისტურ-ისტორიული პარალელების შესახებ“.

43

ლოს-ანჯელესის მოძულე „ოსკაროსანი“ – რეიჩელ უაისი

რეიჩელ უაისი გულწრფელად აღიარებს, რომ მასთან ურთიერთობა მამაკაცებს მუდამ უჭირდათ. „ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლის დროს, შეყვარებულებს უმიზეზოდ ვშორდებოდი.“

58

ვეღური წაბლის ხეივანი

ნიკამ დას ახედ-დახედა. ის მართლაც, მთლად გაშიშვლებულიყო. ნიკამ თავი მოიფხანა.

– დააგრძელე შენც ცოტა, მართლაც... ან ეგ ჭიპიც და ხორცებიც რომ გადმოგიყრია... გიხდება?! – ჰკითხა დას ძმამ.

– ესეც მე ვარ?! ვეჭვიანობ, ტო! – ხელები ცაში ასწია თაბომ.

– შენც ამის მხარეს იჭერ, ამ დეგენერატის?! – გამწარდა ანი. – ვისაც არ მოსწონს, ნუ შემომხედავს... და ბოლო-ბოლო... – მიუბრუნდა ქმარს ანი. – ერთხელაც ჭამ ბებიაშენისას?! აახვევ აქედან...

38

„ცისფერი მთები ანუ ცარიან-შანი" ქართულ პარლამენტში

დილიდან მარჯვენა თვალი მითამაშებდა და ვიცოდი, რომ რაღაც ცუდ ამბავს გავიგებდი. ჰოდა, ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მე ამიხდა: პარლამენტის შენობის ქვეშ, ფეკალური წყლები გროვდება და შეიძლება, შენობას დანგრევის საფრთხეც კი დაემუქროსო...

არა, ოპოზიციის ბელადები კარგა ხანია გაიძახიან, ჩვენს მთავრობას წყალი აქვს შემდგარიო, მაგრამ ვინ უსმენდა?! ამ ამბავმა ხალხში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ზოგი ამბობს, მაგას თვითონ მთავრობა ჩალიჩობს, რომ შენობის ირგვლივ ცუდი სუნი დადგეს და ოპოზიციამ მიტინგებისა და საპროტესტო აქციების ჩატარება ვერ შეძლოსო; ზოგიც ამბობს, შენობა რომ ამ მიზეზით დაგვენგრეს, სულ მოგვეჭრება თავი მსოფლიოში; სად გავამხილოთ, მთავრობა ფეკალიებში დაგვეხრჩოო...

მე თუ მკითხავთ, ამის საფრთხე ნამდვილად არ გვემუქრება და აქ საპანიკოც არაფერია. პირიქით, — ეს ძალიან კარგიცაა: ჩვენმა ერთ-ერთმა მინისტრმა რომ განაცხადა, რუსეთის ბაზარზე ფეკალური ნივთიერებები რომ შეიტანო, ისიც კი გაიყიდებაო, საპარლამენტო უმრავლესობამ ლამის, ბანკეტიც კი გადაიხადა, ეს რა მაგარი რამ თქვაო... ჰოდა, დავაგროვოთ პარლამენტის ქვეშ ამ ძვირად ღირებული საექსპორტო პროდუქტის სოლიდური მარაგი, მივყიდოთ რუსეთს და აღარც დენი და გაზი გაგვიხდება შესახვეწი...



ისე, პოლიტიკური კურიოზი თუ გნებავთ, სწორედ ესაა: ჩვენი პარლამენტი დიდი ხანია, ხალხმა კინოფილმ „ცისფერი მთების" გაურკვეველ ორგანიზაციას შეადარა თავისი მუშაობის სტრუქტურით, ფუნქციებითა და პერსონაჟებითაც — კი, მაგრამ კანალიზაციის გაფუჭების ფაქტმა ეს შედარება მთლად უანალოგო გახადა: უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ზოგიერთი დეპუტატი, კომიტეტი თუ ფრაქცია ახლაც პარლამენტში ზის და მუშაობს, თუმცა, ბატონი ირონიონივით, ფაქტობრივად, შვებულებაშია; ოპოზიცია მთელი წლის მანძილზე ბოიკოტს უცხადებდა სხდომებს, ანუ შვებულებაში იყო, მაგრამ ფაქტობრივად, მუშაობდა...

„საარჩევნო კოდექსი ანუ კანონპროექტი მერების არჩევითობის შესახებ" (ეს ორი სათაური რად უნდა, მაინც ვერ გავიგე) დიდი ხანია, შეტანილია დასამტკიცებლად, მაგრამ მისი მიღება, ჯერაც ვერ მოხერხდა, რადგან ნადირაძემ წაიკითხა და გადასცა კირკიტაძეს; კირკიტაძემ, წავიკითხეო, მაგრამ არ წაუკითხავს, ისე მიუტანია კალანდაძეს; კალანდაძემ სეიფში ჩაკეტა და გასაღები დაკარგა. ჯუღელმა იპოვა სეიფის გასაღები, მაგრამ არ გაამხილა, ან რატომ უნდა გაემხილა, ბერძენიშვილმა კი წაიკითხა და ცვლილებებიც შეიტანა, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფაქტობრივად, შვებულებაშია და ა.შ...

ესეც შენი „ცისფერი მთები", მაგრამ ყველაზე დიდი მსგავსება ის გახლავთ, ბზარები გაჩნდა როგორც კედლებში, ისე უმრავლესობის ფრაქციაშიც, თუმცა, ჯერ არ ამხელენ, დადიან, ათვალიერებენ და ყოველდღე ერთმანეთს ეკითხებიან, ეს ბზარი იყო აქაო?! ხან ცუდად გაკეთებულ რემონტს აბრალებენ და ხანაც პოლიტელიტარული კანალიზაციის იმ პრობლემას, ზემოთ რომ მოგახსენეთ. მაგრამ რეალური მიზეზი ამ ბზარის გაჩენისა, მე მგონი, იმ ფილმისა არ იყოს, გარედან შემოსული ხმაურია. ამიტომ საპარლამენტო კულუარებში ხშირად იმართება ასეთი დიალოგები.

— რა უბედურებაა, კაცო, რა ხდება?

— სულ იმ მიტინგის ბრალია ყველაფერი...

— მომღერალი რომაა, სტინგი, გამიგია; მარკეტინგიც გამიგია; ბოლო-ბოლო, კასტინგიც გამიგია, მაგრამ ეს მიტინგი რაღა ჯანდაბაა, არ გამიგია!..

კარგი, ამას ყველაფერს როგორღაც ეშველება, ამ მოწვევის ვადის ამოწურვამდე როგორ ვერ გაძლებს შენობა?! მერე დაინგრევა, ან დაანგრევენ და ახალს ააშენებენ, ან დაანგრევენ და აღარ ააშენებენ, მაგრამ მანამდე არ გინდა მუშაობა იმ სუნში?! მართალია, ძნელია, მაგრამ გამოსავლის პოვნა აქაც შეიძლება:

სულ იმით ვამაყობთ, რომ საქართველო ევროპისა და აზიის შემაერთებელი ქვეყანაა და კარგი ვქენით, რომ ევროპისკენაც და აზიისკენაც პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების ფანჯარა გავჭერით. ჰოდა, გააღეთ ეს ფანჯრები, ცოტა „გაასკვაზნიაკეთ" და სუნიც აღარ იქნება...

P.S. გადაჩურჩულება პლენარულ სხდომაზე:

— ცოტა ხნით გავალ, რა!..

— ოჯექი მანდ, კენჭისყრა იწყება;

— ტუალეტში მინდა ჩასვლა, ვეღარ ვითმენ.

— ცოტა ხანს გაუძელი და ისეთი რამ ხდება სარდაფში, რომ ჩასვლა აღარ დაგჭირდება, თვითონ ტუალეტი ამოვა აქ...

პროვოკატორი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთში მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად დაშავებული მგზავრების სია გამოაქვეყნა.

სამინისტროს ინფორმაციით, დაღუპულია 6 მგზავრი, მათგან 4 სავარაუდოდ, საქართველოს მოქალაქეა, 1 — თურქეთის რესპუბლიკის და 1 — აზერბაიჯანის.

სამსუნის პოლიციის სამმართველოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, „ომუს“ საავადმყოფოში მოთავსებულია 13 მგზავრი, რომელთაგან 8 — საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 5 — აზერბაიჯანის. თურქეთის სახელმწიფო საავადმყოფოში მოთავსებულია 13 მგზავრი, აქედან 12 — საქართველოს მოქალაქეა, 1 — აზერბაიჯანის. სახელმწიფო საავადმყოფო „გაზიში“ საქართველოს 2 მოქალაქე მკურნალობს.

თურქეთის დროით დილის 9 საათზე ანკარა-სამსუნის გზატკეცილზე, სამსუნის ვილაეთის სოფელ თექქესთან ავტოკატასტროფა განიცადა ფირმა „მახმუდ ოღლუს“ სამგზავრო ავტობუსმა, რომელიც სტამბოლი-თბილისის რეისს ასრულებდა.

შემთხვევის ადგილზე მივიდა საქართველოს კონსული ტრაპიზონში ზაურ მჭედლიშვილი, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა იდენტიფიკაციის პროცესში მონაწილეობს და საჭირო დახმარებას უწევს დაზარალებულ ქართველებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ცხელი ხაზის ნომერია: 8 (77) 50-77-49. დაზარალებულები — საქართველოს 22 მოქალაქე — 3 სამედიცინო დაწესებულებაში არიან განაწილებული.

საგარეო პოლიტიკური უწყების ინფორმაციით:

„ომუს“ საავადმყოფოში მოთავსებული არიან: გიორგაძე გიორგი (დაბადებული 1997 წელს); თმელოშვილი მაია (1962 წ.); ჟვანია ტარიელი (1976 წ.); გალაბაგაშვილი სუზი (1998 წ.); ადიშვილი მერი (1962 წ); მაცურიძე ნანა (1975 წ); გალაბაგაშვილი გიორგი (1992 წ.); სანაშვილი ზაზა (1977 წ.);

სახელმწიფო საავადმყოფოში მოთავსებული არიან: ფანჩულიძე დიმიტრი (1978 წ.); დარჩია ბაქარი (1984 წ.); გიგაური ალექსი (1973 წ.); მაღლაკელიძე ვალოდია (1976 წ.); ასკაროვი თამაზი (1972 წ.); აბუთიძე ნუცა (1942 წ.); აბუთიძე ინგა (1972 წ.); გერზაონა ნინა (1978 წ.); ჯინჯოლავა იოსები (1986 წ.); ჯინჯოლავა ვალერიანი (1984 წ.); კერძაია თამარი (1986 წ.); კრავეიშვილი ქეთევანი (1983 წ.);

„გაზის“ სახელმწიფო საავადმყოფოში მოთავსებული არიან: პაპაშვილი ნარგიზი (1947 წ.); აბდალაძე გური (1938 წ.);

კოლხური კოშკის ტერიტორიას აწესრიგებენ

სექტემბერში ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტის თბილისში გადმოსვენებასთან დაკავშირებით, კოლხური კოშკის ტერიტორია მოწესრიგდება.

ამ აქციის ინიციატორი, ზვიად გამსახურდიას ვაჟი — გიორგი გამსახურდია და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობაა. აქცია კოლხური კოშკის ტერიტორიის დასუფთავებას, გამწვანებასა და ასფალტის საფრის დამუშავებას ითვალისწინებს. იქ ამ მიზნით, გამგებელი დავით მესხიშვილი შესაბამის სამსახურებთან ერთად მივიდა და ადგილზე ჩასატარებელი სამუშაოები გიორგი გამსახურდიასთან ერთად დაათვალიერა. როგორც მესხიშვილმა განაცხადა, ინიციატივა გიორგი გამსახურდიასგან მოდის და ტერიტორიის მოსაწესრიგებლად რაიმე დამატებითი თანხები საჭირო არ არის, რადგან ზემოთ აღნიშნული სამუშაოებისთვის ბიუჯეტში ისედაც არის გათვალისწინებული თანხა. გამგეობის სურვილია, კონტროლზე აიყვანოს გამგეობის ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული ადგილი. აღსანიშნავია, რომ გამგეობის ინიციატივით, დასუფთავების აქცია პანთეონის ტერიტორიაზეც ჩატარდა, რომელიც წლების განმავლობაში არ მოწესრიგებულა.

პრეზიდენტის კრიტიკის ელვისებური ეფექტი

პრეზიდენტის მეთაურობით გამართული მთავრობის საგანგებო სხდომის შემდეგ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა — მიხეილ სვიმონიშვილმა განაცხადა: საქართველოს მთავრობას არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ნებისმიერი სირთულის ამოცანის შესრულება შეუძლია; კოდორის ხეობაში დაწყებულია სასურსათო პროდუქციის ატანა, რათა კოდორის ხეობის მოსახლეობას, ზამთრის პერიოდში საკვებთან დაკავშირებით პრობლემა არ შეექმნასო.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის — მალხაზ აქიშბაიას თქმით კი, იგი კოდორის ხეობაში 17 აგვისტოს გაემგზავრება და ყველა სარეაბილიტაციო სამუშაოს თავად უხელმძღვანელებს. „მაქსიმალურად შევეცდები ყველაფრის გაკეთებას და ალბათ, სასწაულსაც მოვახდენ — ხეობაში ყველა სარეაბილიტაციო სამუშაო 30 ოქტომბრისთვის დასრულდება“, — განაცხადა აქიშბაიამ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი — ალექსი ალექსიშვილი მზად არის, კოდორის ხეობასთან დაკავშირებით, თანხები შესაბამისი პროექტების წარდგენისთანავე გამოყოს. მისი თქმით, ძირითადი თანხები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან იხარჯება, რომელიც 6,5 მილიონ ლარს შეადგენს.

პრეზიდენტმა გაკრიტიკა მთავრობის წევრები კოდორის ხეობაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშოების დაბალი ტემპის გამო. მისი თქმით, ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს სასწაული — მაქსიმუმ თვე-ნახევარში, კოდორის ხეობაში თანამედროვე ტიპის მინიქალაქები ააგოს და დანარჩენ აფხაზეთს დაანახვოს, რომ საქართველოს მთავრობამ ერთ თვეში მოახერხა იმის გაკეთება, რაც სეპარატისტულმა რეჟიმმა 14 წლის განმავლობაში ვერ შეძლო.

მან კოდორის ხეობაში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე პასუხისმგებლობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს — ვანო მერაბიშვილს და პრემიერ-მინისტრს — ზურაბ ნოღაიდელს დააკისრა.

ზაზა სიორიძე სალომე ზურაბიშვილის ბრალდებებს უარყოფს

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ თავმჯდომარე ზაზა სიორიძე პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს გზის“ ლიდერის — სალომე ზურაბიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას კატეგორიულად უარყოფს. როგორც ცნობილია, სალომე ზურაბიშვილმა ვანო ჩხარტიშვილი და ზაზა სიორიძე გურიაში თხილის ბიზნესის გაკონტროლებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ისინი საქართველოს ბაზარზე თხილის ფასს ხელოვნურად აგდებენ. სიორიძის განმარტებით, არც მას და არც ვანო ჩხარტიშვილს ამ საქმესთან შეხება არა აქვთ... სიორიძემ განაცხადა: „მე და ვანო ჩხარტიშვილს თხილის ბიზნესთან არანაირი შეხება არა გვაქვს. რაც შეეხება ოზურგეთი-ურეკის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციას, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს მართლაც, საშური და კარგი საქმე მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება. ამდენად, ზურაბიშვილის განცხადებები აბსოლუტურად უსაფუძვლოა. პირადად ჩემთვის სამწუხაროა, რომ ისეთი სოლიდური ქალბატონი და პოლიტიკოსი, როგორიც სალომე ზურაბიშვილია, საჯარო განცხადებებს გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებს“.

■

საგენტო „ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით

„ჩვენი ამოცანაა, უგზაუნველვყოთ ქართველ ძალოვანთა ხუნტის საქართველოსადმი იგოლანსია“...

ანუ ვოქვე ჩის გულდათუთქული შვილის ვგზაუნველოვა

გურაბ სავანელი

მოუქნელი რუსული პოლიტიკა (რომელიც საბჭოურის ღირსეულ მემკვიდრედ გვევლინება) უმეტესად, 3 იარაღს იყენებს — ჩექმას, დამოძღვრას და, როცა ეს ორი არ ჭრის, — ქილიკს. თანამედროვე სამყაროს პირობებში, ჩექმა სულ უფრო იშვიათად იძლევა შედეგს, ჭკუის სწავლებაც თითქმის აღარავის ეხატება გულზე. მაშ, რაღა ქნას ყოფილი სუპერსახელმწიფოს, იმპერიული სულისკვეთებით ანთებულმა სუბიექტმა? რა და, რუსების ერთ-ერთი საყვარელი გამოთქმისა არ იყოს — делать хорошую мину при плохой игре — რაც ჩვენებურად ნიშნავს — „არ შეიმჩნიო“. ჰოდა, არც იმჩნევენ ჩვენი „კეთილმოსურნე“ პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები, რომ აღარც თითის ქნევით ლაპარაკი გამოუვათ საქართველოსთან და აღარც მათ დაკრულზე ცეკვას აპირებს აქ ვინმე. მაშ, რაღა დარჩენიათ? — როგორმე უნდა მოახერხონ იმის გაბიაბრუება, რაც სულაც არ არის ასაგდები — თვითონაც ხომ კარგად ხედავენ, რომ დღევანდელ ქართულ ჯარს დასაცინი არაფერი სჭირს, ამიტომ მით უფრო საჭიროა, დაცინვის ობიექტად აქციონ. ამავე დროს (პარადოქსი იქნებოდა, მაგრამ სიბრიყვე „სჯაბნის“), გამუდმებით გაჰყვირიან — საქართველოს არმია ძლიერდება — ე.ი. ომისთვის ემზადებაო...

ქართველთათვის (და არა მარტო...) საძულველი გვარის მატარებელმა ჟურნალისტი — ნიკოლაი ულიანოვი ერთი კვირის მანძილზე ორჯერ(!) მიუბრუნდა ერთსა და იმავე თემას — რეზერვისტთა ბანაკში მიხეილ სააკაშვილის ყოფნას. „საქართველოში თამაშდება სპექტაკლი თემაზე — „პატრიოტო, მზად იყავი, თავი შესწირო რუს ოკუპანტებთან და ყველა ჯურის მტერთან ბრძოლას!“ — და ამ სპექტაკლში მთავარ როლს (რაც სავსებით შეეფერება ქვეყანაში პირველ პირს) პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ასრულებს. თავდაცვის სამინისტროს რეზერვისტთა ბანაკში მყოფი მიშიკო (ასე ეძახიან თავიანთ პრეზიდენტს რიგითი მოქალაქეები), რიგითისთვის განკუთვნილ მომზადების კურსს გადის და ძველჩინელი ავტორის — სუნ ძის ტრაქტატს — „ომის ხელოვნება“ ჩაჰკირკიტებს“, — წერს დიდი ბელადის მოგვარე ნიკოლაი, რომელიც თავის გამოჩენილ „წინაპარს“ სარკაზმის დონითაც ვერ შეედრება — სახელსა და დიდებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მიუხედავად ამისა, ჰყოფნის თავხედობა, რომ არა მარტო იქილიკოს მეზობელი სახელმწიფოს მეთაურის ქცევასა თუ გამონათქვამებზე, არამედ ისიც კი გვიმტკიცოს — დასახული მიზნის მიღწევა, უბრალო არითმეტიკული გათვლებით, შეუძლებელიაო. აი, მისი მსჯელობის ერთ-ერთი „დამრტყმელი“ პასაჟი:

„ხუთმილიონიან არმიაზე მეოცნებე პრეზიდენტი ერთ პრობლემას არ ითვალისწინებს: ყველა მამაკაცია და ყველა ქალიც რომ გაიწვიოს, 5 მილიონ ჯარისკაცს მაინც ვერ დააგროვებს. ოფიციალური მონაცემებით, „პერესტროიკის“ დროს საქართველოში 5,5 მლნ ადამიანი ცხოვრობდა; 2003 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ ერთ მილიონამდე „დანაკლისი“ გამოავლინა; 2006 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით, იმ მოსახლეობის რიცხოვნობა, რომელიც სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზე ცხოვრობს, 4 მლნ 401 ათას კაცს შეადგენს. ამრიგად, ჩვილი ბავშვებისა და მოხუცებულთა ჩათვლითაც კი, 5 მლნ ვერაფრით ვერ დაგროვდება. შედარებისთვის ვიტყვი, რომ ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი, რომელიც აშშ-ის აგრესიის მოსაგერიებლად ემზადება, ცდილობს, რეზერვისთა რაოდენობა 2 მლნ-მდე გაზარდოს — ეს იმ პირობებში, როდესაც მისი ქვეყნის მოსახლეობა 24 მლნ-ს შეადგენს. ყოველი მეათე — მწყობრში! — ეს კიდევ რეალური ამოცანაა, მაგრამ — თითოეული?!. მაშ, ვინღა უნდა გამოაცხოს პური, დაკრიფოს ყურძენი, იაროს სკოლაში და პარლამენტში?.. აშკარა აბსურდია — თუ, რასაკვირველია, სააკაშვილი რაიმე სამხედრო საიდუმლოებას არ ფლობს — მაგალითად, მმართველი ბლოკის პარლამენტართა და (საველე მეთაურთა მოსამრავლებლად) თავდაცვის მინისტრის მასობრივი კლონირების შესახებ შემუშავებული პროგრამის საიდუმლოს...“

დამეთანხმებით — იმდენად „მოხდენილადაა“ ნათქვამი, რომ სიცილისგან ჩაბჟირდები...

თუ სიცილის — არა, ღიმილის მომგვრელი ნამდვილადაა ჩვენი რუსი კოლეგების დაჟინებული მცდელობა, დაარწმუნოს მკითხველი საზოგადოება, საქართველოს აგრესიულ ზრახვებში. ამის დასადასტურებლად, მხოლოდ რამდენიმე პუბლიკაციის სათაურების მოყვანაც იკმარებს, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებსა და ინტერნეტ-საიტებზე გასული კვირის განმავლობაში გამოქვეყნდა: „თბილისი ომისთვის ემზადება“, „ქორული“ გაგება“, „საქართველო ძალისმიერ მეთოდებზე დებს ფსონს“, „საქართველოში ძალაუფლება ძალოვანთა ხუნტის ხელში გადადის“(!), „ქართველი სამხედროები სვანეთთან სასტიკ მოპყრობაში დაადანაშაულეს“... ალბათ მიხვდით — ეს უკანასკნელი, კოდორის ხეობაში განხორციელებული სპეცოპერაციის შემდგომ პერიოდს ეხება, ხოლო ცნობას (არ გაგიკვირდებათ), აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ე.წ. თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით, რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი სააგენტო — „ინტერფაქსი“ ავრცელებს.

მაგრამ ეს კიდევ — არაფერი. საინფორმაციოზე გაცილებით წონადია მასმედიის ანალიტიკური ნაწილი, სადაც რუსი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები აშკარად ამჟღავნებენ გაღიზიანებასაც (იმის გამო, რომ ვერაფრით ახერხებენ ჩვენს პროვოცირებას), დრომოჭმულ დამრიგებლურ დამოკიდებულებასაც, ამასთანავე, ღიად მოუწოდებენ საკუთარ ხელისუფლებას, მოახდინოს ზეწოლა „ურჩ უმცროს ძმაზე“ და, ბოლოს, წარმოიდგინეთ, ილუზიებსაც კი ეძლევიან — რომ „ქართველი ერის პოლიტიკური ნება“ წერტილს დაუსვამს დღევანდელი ხელისუფლების მოღვაწეობას.

ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია ორი მოღვაწის სტატიები, რომლებიც „კომსომოლსკაია პრავდას“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და ფრაგმენტულად გთავაზობთ.

თავდაპირველად, მმართველი ბლოკისგან — „ედინაია როსია“ — სათათბიროს წევრს, დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობათა კომიტეტის წევრის, ვიქტორ ნეფედოვის მოსაზრებებს გაგაცნობთ.

„აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტი, — წერს ბატონი ნეფედოვი, — მიმართავს გაეროს, ეუთოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, რუსეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — მოწოდებით, ყველა ღონე იხმარონ რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, აღკვეთონ ქართული ხელმძღვანელობის მილიტარისტული გეგმების განხორციელება და დააბრუნონ იგი საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებათა ფარგლებში. შეგახსენებთ: საქართველოს პარლამენტმა

მოითხოვა, რომ რუსეთს ჩამოერთვას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სამშვიდობო მანდატი და კონფლიქტურ ზონებში საერთაშორისო პოლიციამ დაიცვას წესრიგი.

ჯერ ერთი, საქართველოს პარლამენტის ეს გადაწყვეტილება არალეგიტიმურია და ეს ყველამ იცის. მეორე: ქართული პარლამენტი უარყოფს აშკარა მიღწევას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სამშვიდობოებმა შეასრულეს მათზე დაკისრებული მისია, როდესაც სისხლის ღვრის შეწყვეტა უზრუნველყვეს. მაგრამ საქართველოში დაწყებულია პოლიტიკური ისტერია ყველაფერ იმასთან დაკავშირებით, რაც ურჩ რესპუბლიკებს შეეხება და მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი, რასაც ახლა საქართველო სჩადის, კეთდება იმისთვის, რომ აიძულოს რუსეთი, გადადგას აქტიური საპასუხო ნაბიჯები. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიღოთ რაიმე გადაწყვეტილება, უნდა

სერგეი მარკოვი

დავაკვირდეთ იმას, თუ კონკრეტულად რას მოიმოქმედებს საქართველო. თუ ჩვენს სამშვიდობოებზე თავდასხმას განახორციელებს, ბუნებრივია, ისინი რუსეთის არმიამ უნდა დაიცვას *(რაც მელას ელანდებოდაო... — ავტ.).* ჩვენ დავიცავთ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც ახორციელებენ სამშვიდობო მისიას არა საქართველოს, არამედ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე(!). გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ აუღიარებელი რესპუბლიკების მოსახლეობის 90% — რუსეთის მოქალაქეები არიან. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, ეს არცთუ ისეთი სერიოზული არგუმენტია *(აფერუმ! — მაინც მიმხვდარა. — ავტ.),* მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თავს დაესხმებიან სამშვიდობოებს — რუს მოქალაქეებს, რომლებიც იქ საქართველოს და დსთ-ის წევრი ქვეყნების თხოვნით იმყოფებიან, — მაშინ, რასაკვირველია, რუსეთის არმიამ უნდა დაიცვას საკუთარი ჯარისკაცები.

რასაკვირველია, საქართველოს სურს, ამ კონფლიქტში აშშ ჩაითრიოს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამერიკა არ არის მზად რუსეთთან კონფლიქტის გასაჩაღებლად. მას ახლა ბევრი თავის ტკივილი აქვს: ირანი, ისრაელი, პალესტინა, ლიბანი. ვფიქრობ, ეს კონფლიქტები სავსებით საკმარისია. თუ საღი აზრი გაიმარჯვებს, ამერიკა არავითარ შემთხვევაში არ გაყოფს თავს ამ ყულფში".

ასე იიმედებს თავს ბატონი ნეფედოვი, რომელსაც ძალიან სურს, მის მიერ აღწერილი მდგომარეობა (როცა რუსი მოქალაქეები საქართველოში თავდასხმის ობიექტად იქცევიან, რათა რუსულ არმიას მიეცეს შესაძლებლობა, „დაიცვას საკუთარი ჯარისკაცები"...

ნეფედოვზე გაცილებით შორს მიდის „ჩვენი ძველი მეგობარი" — პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი, რომელიც არა რუსეთის არმიის საქართველოში ამოქმედებაზე, არამედ დღევანდელი ხელისუფლების დამხობაზეც კი ოცნებობს და ამას სტატიის სათაურშივე დაუფარავად ამჟღავნებს: „სააკაშვილის ავანტიურისტული პოლიტიკა მის კრახს გამოიწვევს". ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის პოლიტიკაზე მსჯელობას ის კოდორის ხეობაში არსებული სიტუაციის განხილვით იწყებს.

„კოდორის ხეობაში განხორციელებული სამხედრო ოპერაცია თბილისის ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული. საქმე ის არის, რომ კვიციანის რაზმები, რომელთა წინააღმდეგაც ის იყო მიმართული, თავის დროზე ხელისუფლების მხარდაჭერით ჩამოყალიბდა. მაგრამ შემდეგ, მათთვის ხელფასის გაცემა შეწყვიტეს და პროტესტის გაღვივებას შეუწყვეს ხელი. ხოლო როცა სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა, მოლაპარაკების ნაცვლად, ხელისუფლებამ სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. არადა, ყველაფრის მშვიდობიანად გადაწყვეტა იყო შესაძლებელი. მაგრამ ხელისუფლებას სამხედრო ოპერაცია სჭირდებოდა: როგორც ცნობილია *(ნეტავ, ვისთვისაა ეს ცნობილი?! — ავტ.),* საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის მთავარ პოლიტიკურ ტექნოლოგიას, პროვოკაცია წარმოადგენს.

ისმება კითხვა: რაში დასჭირდა თბილისს სამხედრო ოპერაცია? პირველი და უმთავრესი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მისი მეშვეობით, ძალოვნების გაძლიერება მომხდარიყო. სწორედ ამიტომ შეხვდა ამ ოპერაციას ადგილობრივი ოპოზიციის ესოდენ დიდი წინააღმდეგობა. ოპოზიციამ იცის, რომ ეს აქცია, კვიციანის წინააღმდეგ მხოლოდ ფორმალურად იყო მიმართული, სინამდვილეში კი — ოპოზიციისთვის მიყენებულ პოლიტიკურ დარტყმას წარმოადგენდა.

დღეს მთელი კატეგორიულობით შეიძლება ითქვას — საქართველო მცოცავ სამხედრო გადატრიალებას(!) განიცდის. ძალაუფლება ძალოვანთა ხუნტის ხელში გადადის: მინისტრები — ოქრუაშვილი და მერაბიშვილი, პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად, სრული ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ახერხებენ. ოპოზიციის დათრგუნვა მომავალში გაცილებით ხისტი ზომებით მოხდება, ვიდრე დღეს. ამის შესაბამისად, უფრო ავანტიურისტული გახდება ოფიციალური თბილისის საგარეო პოლიტიკა. მინდა ვთქვა, რომ ოსებთან და აფხაზებთან ომს ვგულისხმობ. ყველაფერი ეს კი, რუსეთთან ურთიერთობაში მასშტაბურ კრიზისს გამოიწვევს".

ამ კატეგორიული დასკვნის გამოტანის შემდეგ (გეგონება, მზა სცენარი წაიკითხაო), ბატონი მარკოვი მთავარ საკითხზე გადადის: რა უნდა მოიმოქმედოს მოცემულ პირობებში რუსეთმა? — და საკუთარი ხელისუფლებისადმი პირდაპირ მოწოდებებსაც არ ერიდება: „ჩვენი მთავარი ამოცანაა — უზრუნველყოთ ქართველ ძალოვანთა ხუნტის *(ხედავთ, რა უცებ დაამკვიდრა მისთვის სასურველი ტერმინი! — ავტ.)* მაქსიმალური საერთაშორისო პოლიტიკური იზოლაცია, რათა არ დავუშვათ სამხედრო მოქმედებათა დაწყება. აუცილებელია, გვქონდეს მუდმივი კონტაქტი მსოფლიოს წამყვან ლიდერებთან, მივიტანოთ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურამდე, რომ ქართველი ძალოვნები სამხედრო ოპერაციისთვის ემზადებიან... რუსეთი ვალდებულია, ყველას დაანახვოს, რომ საქართველო — არა მსხვერპლი, არამედ აგრესორია"...

ახლა კი, როდესაც ეს, დღეს უკვე ერთობ არარეალური ამოცანა დასახა, სერგეი მარკოვმა მიიჩნია, რომ დროა, მოეფეროს ქართველ ხალხს, რომელიც მისი აზრით, ვალდებულიც და ლამისაა, მზადაცაა, დაამხოს ხელისუფლება:

„ქართველები ჩვენი მოძმე ერია, რომელიც რუსებს არაერთგზის უხსნია სრული განადგურებისგან(!). ჩვენ საერთო ისტორია გვაქვს და — ეჭვგარეშეა! — მომავალიც. ოღონდ, ეს არის — ქართველ ერს უჭირს ნორმალური სახელმწიფოებრიობის დამკვიდრება. ძალოვანთა ხუნტის ჩამოშორების შემდეგ კი, როცა ხელისუფლებაში, ქართველი ხალხის მშვიდობისმოყვარე ბუნების მქონე პოლიტიკოსები მოვლენ, ცხადია, ჩვენ შორის ძმური ურთიერთობა აღდგება. ჩვენ ვალდებული ვართ, ქართველ ხალხთან ერთად, საქართველოს აყვავება უზრუნველვყოთ.

სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების ხელისუფლებისგან ჩამოშორება მხოლოდ ქართველი ხალხის პოლიტიკური ნების შედეგადაა შესაძლებელი. ქართველებს ერთი ასეთი ჩვევა ახასიათებთ: რომელიმე პოლიტიკოსისას ირწმუნებენ, ხელისუფლებაში მოიყვანენ, ხმების 95%-ს მისცემენ, შემდეგ იმედები გაუცრუვდებათ და დაამხობენ. ეს გზა უკვე გაიარეს გამსახურდიამ და შევარდნაძემ, ახლა ამ გზას სააკაშვილი მიუყვება. ვფიქრობ, რომ სააკაშვილის ავანტიურისტული პოლიტიკა მას კრახამდე მიიყვანს და საკუთარი ხალხის მიერ იქნება დამხობილი. კონკრეტულ ვადებზე ვერაფერს ვიტყვი, გამიჭირდება. მაგრამ მისი ავანტიურები, ადრე თუ გვიან, სწორედ კრახამდე მიიყვანს".

აი, ასე — ყველაფერი ზუსტად გათვალა ბატონმა მარკოვმა, საოცნებო პერსპექტივაც დაგვისახა, მაგრამ ბოლოს, გვიმტყუნა: ბარემ, სანუკვარი გათავისუფლების ვადაც დაესახელებინა, რა იქნებოდა?!. ■

ყველა ქალაქს, სოფელსა თუ სხვა სახის დასახლებულ პუნქტს, დაარსების საკუთარი ისტორია აქვს, რომელსაც ან ძალიან ღრმა წარსულში გაუდგამს ფესვები, ან კი მხოლოდ ახლა ქმნის მას. მე კი, შიდა ქართლის ერთ პატარა სოფელზე მინდა გიამბოთ, რომელიც ერთი შეხედვით, სხვა სოფლებისგან არაფრით გამოირჩევა, მაგრამ უცნაური ძალის მქონე სალოცავის და უნიკალური მიწისქვეშა სამყაროს „მეპატრონეა“. სოფელი, რომლისთვისაც მის მკვიდრთ კოდისწყარო უწოდებიათ, ქართველი არქეოლოგების ინტერესთა არეალში ჯერ არ მოხვედრილა. თუმცაღა, სწორედ ამ სოფლის მიდამოებში იქნა აღმოჩენილი ბახუსის ღმერთის, დიონისეს ბრინჯაოს ქანდაკება, წარმართული ბელადის უნიკალური სამარხი და ისტორიული წყაროების თანახმად, სწორედ ამ სოფლის მახლობლად გადიოდა ძველად ცენტრალური საქარავნო გზა. საბჭოთა საქართველოში კი, რუსეთმა სოფელ კოდისწყაროს ტერიტორიაზე საიდუმლო სარაკეტო ბაზა განათავსა, რომლის ნანგრევებიც დღემდე შემორჩა აქაურობას, მაგრამ არავინ იცის, რა მემკვიდრეობა დაგვიტოვეს რუსებმა მიწის ქვეშ...

არქეოლოგიური განძი, გამწყრალი ელია წინასწარმეტყველი
და საიდუმლო სამხედრო ბაზის „ნაშთები“...

ემა ტუხიაშვილი

ცირა ღვინაძე, *სოფელ კოდისწყაროს მკვიდრი:*

— მართალია, ჩვენი სოფელი და მისი მიმდებარე ტერიტორია არავის შეუსწავლია, მაგრამ აქ აღმოჩენილი უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენები მდიდარ წარსულზე მეტყველებს. აღსანიშნავია ისიც, რომ კოდისწყაროში ნაპოვნი ყველა ისტორიული ნაშთის აღმოჩენა აქაური გლეხების დამსახურებაა. ჯერ ჩვენმა თანასოფლელმა ტრაქტორისტმა, ბაღში მუშაობისას წარმართი ბელადის სამარხს მიაგნო, რომელშიც ბრინჯაოს საომარი იარაღები, ცულები და სხვა ნივთები იყო, რომლებიც უნიკალური ორნამენტებით გახლდათ მოჭედილი. ეს არქეოლოგიური განძი ამჟამად თბილისში, საქართველოს ისტორიის მუზეუმშია დაცული და „კოდისწყაროს განძი“ ეწოდება. ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა ბელადის სამარხი ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნეს. წლების წინ, გადაუღებელი წვიმების შედეგად მოვარდნილმა წყალმა სოფელში ერთ ადგილას ხრამი გააჩინა და მიწიდან მცირე ზომის თიხის სამარხი გამოჩნდა. ამ სამარხის ნახვის შესაძლებლობა მეც მქონდა და მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, მისი მდებარეობით თუ ვიმსჯელებთ, ის წინარე ქრისტიანულ პერიოდს მიეკუთვნებოდა. ზომის მიხედვით კი, სამარხი ბავშვის უნდა ყოფილიყო. ვერ გეტყვით, რა იყო შიგნით, რადგან ღამით ის ვიღაცამ გახსნა და მეორე დღეს ცარიელი დაგვხვდა. მოგვიანებით, ჩვენი სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ამ სამარხის დასათვალიერებლად მოსწავლეები წაიყვანა და ბავშვებმა იქვე ახლოს იპოვეს ოქროს საყურე, რომელზეც სამი მარგალიტის თვალი ეკიდა. ეს საყურე მეგობარ არქეოლოგებს ვუჩვენე და შესაბამისი კვლევის შედეგად მათ დაასკვნეს, რომ ის ჩვენი წელთაღრიცხვით საუკუნეშია დამზადებული. იმ ტერიტორიაზე, სადაც თიხის სამარხი იქნა ნაპოვნი, ბავშვობაში მეც ხშირად მითამაშია და მინახავს საკირეების ნიშები, ქვის ყორღანი, სადაც ვერცხლის ძაფებით ნაკერი ქსოვილი გვიპოვია. ერთხელ დედაჩემი ბაღს რწყავდა და არხის წყალმა თითბრის ანფორის მსგავსი ნივთი გამორიყა. გარდა ამისა, ჩვენი სოფლის ბავშვებმა, მდინარე ტორტლის ნაპირას, რომელიც კოდისწყაროში მოედინება, ბახუსის ღმერთის, დიონისეს ქანდაკება იპოვეს. ბრინჯაოს ქანდაკებას ბივრილის თვალები ჰქონდა და თუ არ ვცდები, მსოფლიოში სულ ორი ასეთი ქანდაკებაა აღმოჩენილი. სხვათა შორის, დიონისეს ქანდაკებაც და ოქროს საყურეც მარგალიტის თვლებით, ქალაქ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. ვიღაცამ ხეხილის ბაღების გაშენების დროს მოზრდილი ქარვის ქვა იპოვა, აღარაფერს ვამბობ თიხის ჭურჭელზე, რომელიც კოდისწყაროში ყოველი ბარის ჩარტყმისას ამოჰყვება ხოლმე მიწას. ცოტა ხნის წინ კი, კიდევ ერთი საინტერესო აღმოჩენის მომსწრენი გავხდით. ერთ-ერთი ჩვენი თანასოფლელი ბაღს რწყავდა და მოულოდნელად წყლის ნაკადი მიწამ ერთ ადგილას მთლიანად დაფარა. კაცი დაიბნა, ვერაფრით გაეგო, სად შეიძლებოდა გამქრალიყო წყალი და რატომ გაჩნდა ბაღში ღრმული. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ კაცის ნაკვეთი ძველი შენობა-ნაგებობის ნაშთებზე მდებარეობს. არავინ იცის, რომელ პერიოდს მიეკუთვნება მიწისქვეშა ნაგებობა, მაგრამ გამოითქვა ვარაუდი, რომ გლეხის მიერ აღმოჩენილი ნაშთები, შესაძლოა, ძველი ეკლესიის ნანგრევებიც იყოს.

— ეკლესია, რომელიც სოფლის შუაგულში დგას, რამდენად ძველია?

— თუ კარგად დაკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ეკლესია ორი სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენითაა ნაგები. ეკლესიის ქვედა ნაწილი დიდი ლოდებითაა აგებული, რაც ქრისტიანობის პირველი პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, ხოლო ზედა ნაწილი, ზოგი რიყის ქვით, ზოგიც — აგურითაა აშენებული. ეკლესიის კედელზე ამოტვიფრულია ბოლნური ჯვარი, გვერდით კი არის წარწერა — „ჩ.ყ.“, რაც მიუთითებს ეკლესიის აგების თარიღს — 1800 წელს. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ამ სოფელში ჩვენი პირდაპირი წინაპრები დასახლდნენ, რადგან სოფელი ეკლესიის გარეშე წარმოუდგენელი იყო. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რომ სოფლის ეკლესია ხელოვნურად წარმოქმნილ ბორცვზეა აგებული. აშკარაა, რომ იგი თავის ქვეშ, ძალზე საინტერესო რაღაცას მალავს. ამას ადასტურებს ის ძველი სამარხები, რომლებსაც საფლავის გაჭრის დროს აწყდებიან ხოლმე. სხვათა შორის, კოდისწყაროს ტერიტორია უწინ, მეზობელი სოფლის — ქვემოჭალის თავადების, ამილახვრების საკუთრება იყო. შემდეგ მათ ეს მიწები შიო მღვიმის მონასტრისთვის შეუწირავთ და ჩვენი გლეხები ხარკს ამილახვრებს კი აღარ უხდიდნენ, არამედ მონასტერს სწირავდნენ. სწორედ ამის გამო, მათ „სამონასტრო გლეხები“ ეწოდებოდათ.

— როგორც ვხედავ, ახლა ეკლესია დაკეტილია, ალბათ ბოლოს წირვა-ლოცვა აქ დიდი ხნის წინ აღევლინა...

— საეკლესიო მსახურება ჩვენს ეკლე-

სესხება-გასესხება

შპს „ევრიკა+“

სესხება-გასესხება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.

გაქვთ თანხა დაგვირეკეთ,
არ გაქვთ – მით უფრო დაგვირეკეთ.
ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!

მის: კოსტავას ქ. 23 (რედაქციის პირდაპირ).
მარჯანიშვილის 21,33-4 სართ. (ბაჯონალიძის მხარეს)
☎ 95-23-66; 99-69-00
899-44-64-60 ნინო 899-44-64-61 გიორგი

სიაში მას შემდეგ არ შემდგრა, რაც კომუნისტებმა იქ არსებული ფრესკები თოფებით ჩამოყარეს. ბავშვი ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ ვარჯიშობდნენ ეკლესიაში თოფის სროლაში, როდესაც მიზანში ფრესკებს ამოიღებდნენ. არადა, ერთი ფრესკა განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში, საკურთხევლის თავზე იყო გამოსახული და ზედ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების გარემოცვაში მამა ღმერთი იყო გამოსახული. შესაძლოა, უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ, დანგრეული ეკლესიის აღდგენა ავლაბრელმა სონა მკითხავმა ითავა. საკუთარი სახსრებით შეათეთრა ეკლესიის კედლები, რკინის კარი შეაბა და ხატებიც შეაბრძნა. შემდეგ ეკლესიას საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები ესტუმ-

„ელიას ნიში“ ჩვენს სოფელს სეტყვისგან იცავს

რნენ; როგორც აგვიხსნეს, ეკლესია-მონასტრების აღწერას აწარმოებდნენ და უკმაყოფილონი დარჩნენ იმით, რომ მართლმადიდებლური ტაძრის კარზე კათოლიკური ჯვარი იყო გამოსახული, ხოლო შიგნით სომხური ხატები ეკიდა. ჩვენ მხოლოდ მოხარული ვიქნებით, თუ ვინმე დაგვეხმარება, რომ ჩვენი სოფლის ეკლესიაში წირვა-ლოცვა კვირაში ერთხელ მაინც აღევლინოს. მით უმეტეს, რომ მეზობელ სოფლებში მძლავრად მოიკიდა ფეხი სხვადასხვა სექტანტურმა მოძღვრებამ. უნდა ნახოთ, როგორ მეკამათებიან თითისტოლა ბავშვები რელიგიის გაკვეთილზე, რომ „იეღოვას მოწმეების“ ან „ორმოცდაათიანელების“ მოძღვრებები უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე მართლმადიდებლობა...

— როგორც ვიცი, სოფლის სკოლაში კიდევ ბევრი სხვა პრობლემა გაქვთ. მაგალითად, ის, რომ ორი სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს გაკვეთილები ერთ საკლასო ოთახში, ერთდროულად უტარდებათ...

— ბევრი გაჭირვების მიუხედავად (მაგალითად, არა გვაქვს სარწყავი წყალი და ფაქტობრივად, მისი შეძენა გვიხდება), სოფელი მაინც არ დაცლილა და ერთ ჩამქრალ კერას ვერ ნახავთ. ახლა კი, ბავშვების სიმცირის გამო, ჩვენი სკოლის დახურვას აპირებენ, რაც კატასტროფა იქნება სოფლის მოსახლეობისთვის. დღეს, როდესაც ხმამაღლა ლაპარაკობენ მოსწავლის უფლებებზე, იმაზე, რომ მას აქვს უფლება, თავად აირჩიოს მასწავლებელი და ა.შ., ნუთუ, ჩვენი ბავშვები იმის ღირსი არ არიან, რომ ცალკე საკლასო ოთახში ისწავლონ?! ეს ხრიკი, მასწავლებლის ჯამაგირის დაზოგვის მიზნითაა გამოგონილი...

— ამბობენ, რომ სოფელს სეტყვისგან კიდევ ერთი სალოცავი იცავს, რომელსაც აქაურები „ელიას ნიშს“ ეძახიან...

— წინაპრებისგან ვიცი, რომ წმინდა ელიას სალოცავის ნაშთები სოფელში ოდითგანვე იყო, უბრალოდ, დროდადრო მას შეაკეთებდნენ. „ძველი აღთქმის“ თანახმად, ელია წინასწარმეტყველი ამინდის მფარველია, ამიტომაც, აქაურებს გვწამს, რომ „ელიას ნიში“ ჩვენს სოფელს სეტყვისგან იცავს. „ელიაობას“ ყოველი აღდგომის მეხუთე ხუთშაბათს აღვნიშნავთ და გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ირგვლივ რომ ყველაფერი დაისეტყვოს, ჩვენს სოფელში ერთი მარცვალიც არ ჩამოვარდება. ამ პატარა სალოცავს მართლაც დიდი ძალა აქვს და მეზობელი სოფლელები გვეხვეწებიან ხოლმე: თქვენი ნიშის პატარა ნატეხი მაინც მოგვეცითო. ერთხელ კი ასეთი რამ შეგვემთხვა: ჩვენმა სოფლელმა კაცმა თბილისში მარტოხელა მოხუცი ქალს მოუარა და მისი გარდაცვალების შემდეგ, მის სახლს დაეპატრონა. მოხუცი ქალი, რომელიც ეროვნებით აზერბაიჯანელი იყო, სარწმუნოებით კი — მუსლიმანი, ჩვენს სოფელში დაასვენეს და რატომღაც, წმინდა ელიას ნიშის გვერდით დაკრძალეს. 4 წელი იყო ჩვენზე გამწყრალი ელიას სალოცავი და 4 წლის განმავლობაში, ისეთი სეტყვა დაგვატყდებოდა ხოლმე თავს, რომ შინაურ ფრინველსაც კი გვიკლავდა. შემდეგ, ვიღაცამ სიზმარი ნახა — რომ ელია წინასწარმეტყველი თავისი ტერიტორიის დაბრუნებას ითხოვდა. მივხვდით, რაშიც იყო საქმე და იმ ქალის ნეშტი სხვაგან გადავასვენეთ, მას შემდეგ სეტყვაც აღარ გვინახავს...

— კოდისწყარო რატომ ჰქვია სოფელს?

— კოდი თხილის ტოტის გულს ჰქვია, იგი მზესუმზირის ღეროს გულს მოგაგონებს და თუ კარგად გამოთლი, მილის მაგვარი რაღაცის დამზადება შეგიძლია. ამბობენ, ამ სოფელში წყარო ჩემს დიდ წინაპარს, დიმიტრი ღვინაძეს აღმოუჩენია, ზედ კოდი გაუდვია, რომ დასალევად იოლი ყოფილიყო და ოჯახთან ერთად მეზობელი სოფლიდან ამ მიწებზე დასახლებულა. სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები კარგი მოჭიდავეებიც ყოფილან და ამის შესახებ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: თავად ამილახვრებს მუხრან ბატონი სწვევიათ სტუმრად. ნადიმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ჭიდაობა გამართულა. მუხრან ბატონს თან თავისი ფალავანი ახლდა თურმე და ერთიმეორის მიყოლებით დაუმარცხებია ამილახვრების ცნობილი მოჭიდავეები. ბრაზი მორევია ამილახვარს და უბრძანებია: მკვდარი თუ ცოცხალი, კოდისწყაროდან ვარდენ ღვინაძე გადმოიყვანეთო. როდესაც თავადის წარგზავნილები ვარდენს ესტუმრნენ, ის თურმე ხორბალს მკიდა, მაგრამ უარს როგორ ეტყოდა ამილახვარს?! როდესაც თავადთან მისულა, დაუჩივლია: ჩემი ოჯახის საზრდოს ვამზადებდი და მომაცდინეთო. ახლა თავადი ჩაჰკითხვია: რამდენი უნდა მოგემკა იმ ყანაში? თუ დაიმსახურებ, ჩემგან გაცილებით მეტს მიიღებო. ჯერ კარგად დაუპურებიათ მშიერი ვარდენი, ერთი ტოლჩა ღვინოც დაუყოლებია და ისე გასულა საჭიდაო მოედანზე. ერთი ცდით აუტატებია ხელში მუხრან ბატონის ფალავანი და თან დამცინავად უკითხავს: თავი საით ვუყოო?.. ამის გამო ამილახვარს ვარდენისთვის ერთი ურემი ხორბალი უჩუქებია.

— ის პერიოდი თუ გახსოვთ, როდესაც სოფელში საიდუმლო სამხედრო ბაზა არსებობდა? როგორც მითხრეს, ბევრს უნახავს, როგორ ადიოდნენ ცაში მიწისქვეშა გვირაბებიდან სამხედრო თვითმფრინავები...

— გასული საუკუნის 60-იან წლებში რუსებმა ჩვენი სოფლის მახლობლად საიდუმლო სარაკეტო ბაზა ააშენეს. ეს იყო დიდი მიწისქვეშა ქალაქი, რომლის ნანგრევები და კატაკომბები დღემდეა შემორჩენილი. მახსოვს, რომ ღამღამობით, ამ ადგილებიდან გრიალისა და გუგუნის ხმა გამოდიოდა. რუსი სამხედროები ამ ბაზაზე ოჯახებით ცხოვრობდნენ. საუცხოო მაღაზია ჰქონდათ, სადაც ხშირად დავდიოდით საყიდლებზე; ამ სარაკეტო ბაზამ დაახლოებით 10 წელი იარსება და ერთ დღესაც, ის რუსებმა რამდენიმე საათში გაანადგურეს. მიწისქვეშა გვირაბები დააკონსერვეს და უამრავი მძიმე ტექნიკა გაიტანეს. ამბობდნენ, რომ ამერიკის დაზვერვამ აღმოაჩინა ეს ბაზა, რაც მისი განადგურების მიზეზი გახდაო. სოფლის ბავშვები დღესაც პოულობენ ამ ტერიტორიაზე რკინისა და სხვა ლითონის ნივთებს და ჯართის მიმღებ პუნქტში აბარებენ. არ იქნება ურიგო, თუ ვინმე დაინტერესდება სარაკეტო ბაზის ნარჩენებით, მით უმეტეს, რომ ჩვენს სოფელს სტრატეგიული მდებარეობა აქვს: ორ კილომეტრში, სამხრეთ ოსეთის საზღვარი გადის...

■

რუსებმა ჩვენი სოფლის მახლობლად საიდუმლო სარაკეტო ბაზა ააშენეს

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – თინა ხიდაშელი
რესპონდენტი – თეა აბაშმაძე

შარშან, საკუთარ დაბადების დღეს დააპატიმრეს ტელეკომპანია „202“-ის ხელმძღვანელი — შალვა რამიშვილი. მას 4 წელი აქვს მისჯილი. სულ რაღაც ერთ კვირაში, მისი დაჭერიდან ერთი წელი გადის, ამასთან, 27 აგვისტოს ის 35 წლის გახდება. ჩვენ დავუკავშირდით მის მეუღლეს, თეა აბაშმაძეს და ის „ჟურნალისტის როლში“ რესპუბლიკელ თინა ხიდაშელთან ერთად მოვიწვიეთ.

შალვა რამიშვილის ცოლი ქმრის ცისკენ ფოფრავს ტრაგედიად არ აღიქვამს

თინა ხიდაშელი „რუსთავი 2“-ს ეკრანის

— (რესპონდენტი ასწრებს ჟურნალისტს) თინიკო, ახლა ჩვენ გვაქვს შანსი, გამოვავლინოთ საკუთარი შესაძლებლობები ჟურნალისტიკაში.

— რომ მერე მაგ სფეროში „გადავბარგდეთ“ (იცინიან)?.. თეა, შალვა შენი პირველი სიყვარულია?

— რა თქმა უნდა, შალვა ჩემთვის ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარულია. საერთოდ, ინსტინქტებით „მართული“ ადამიანი ვარ. ცოტა ხმამაღალი ნათქვამი გამომივა, მაგრამ ჩემი ინტელექტუალური შესაძლებლობების პირველი გამოცდა ის იყო, რომ შალვა შევიყვარე. მაშინ მას არხზე საბავშვო გადაცემა — „ვარსკვლავთმრიცხველი“ მიჰყავდა. როდესაც პირველად შევხვდი, ვიგრძენი, რომ მასთან ურთიერთობას შევძლებდი. საინტერესო პიროვნებად მომეჩვენა. ეტყობოდა, რომ ძალიან მიზანდასახული ადამიანი იყო. პირველსავე შეხვედრისას გამომიცხადა, რომ ცოლად მომიყვანდა, რაზეც მაშინ გამეცინა და, რა თქმა უნდა, წარმოუდგენლად მომეჩვენა.

— შენი პატარა (მესამე ვაჟი) ახლა ერთი წლისა და ოთხი თვის არის. გამორცხულია, მას შალვა ახსოვდეს..

— ვასწავლე სიტყვა „მამა“. შალვას, მას შემდეგ, რაც ციხეში მოხვდა, ის არ უნახავს, მეუბნება — არ მომიყვანოო.

— არც უფროსი ბიჭები?

— ისინი — მით უმეტეს, რადგან მათთვის იქ მისვლა და მამის ნახვა, მართლა ტრავმა იქნება. ალბათ, შალვასთვისაც ბავშვების ნახვა ტრავმა იქნება. არც მათი სურათების ჩვენებას მთხოვს. ის დროებით, სხვა სამყაროშია... ვფიქრობ, სწორადაც იქცევა... შალვა წიგნებს მიეძალა, სერიოზულ ლიტერატურას კითხულობს. აქვს ფილოსოფოსების საკუთარი „ტრიადა“: პლატონი, კანტი და შოპენჰაუერი. ამ ყველაფრის გვირგვინია „სახარება“. ძალზე ფილოსოფიურად უდგება რელიგიას. სულ იმას ამბობს — რომ არ შემქმნოდა მძიმე, ასკეტური პირობები, ბევრ რამეს ვერ მიეხვდებოდიო. მისი დღევანდელი მდგომარეობა, ასეთი ლიტერატურის კითხვა სულისა და გონებისთვის არაჩვეულებრივი რამ არის.

— ვფიქრობ, რომ მან უნივერსიტეტში მეორედ ჩააბარა..

— შეიძლება ითქვას. თუმცა ვფიქრობ, ასეთ განათლებას უნივერსიტეტიც ვერ მისცემდა. მთელი ჩემი ფინანსები შალვას წიგნებში მიდის და დარწმუნებული ვარ, მისი მეგობრების ფინანსებიც. ვიცი, რომ იქ უკვე ბევრი წიგნი აქვს და ციხის ადმინისტრაცია ამ წიგნებს ვერსად ვეღარ ტევს.

— თეა, როგორ ფიქრობ — რას აპირებს შალვა?

— არ ვიცი, რამდენად მართებულია, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ ეს ისევ ჩემი ინსტინქტებიდან გამომდინარეობს. მეც ბევრს ვფიქრობ იმაზე, რაც მოხდა. საერთოდ, შემთხვევით არაფერი ხდება, რაშიც ბოლო დროს, საბოლოოდ დავრწმუნდი. ის, რაც შალვას დაემართა — ჩვენი, ორივეს განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მიმაჩნია, რომ ის ამით რაღაც სხვა ეტაპზე გადავიდა. არ ვიცი, ხალხი როგორ გაიგებს ჩემს ნათქვამს, მაგრამ რითიც ის საზოგადოებამ გაიცნო ცხოვრების წინა ეტაპზე, ყველაფერი უკვე წარსულშია. მას ახალი ამპლუა ელის და ახალი ასპარეზი, ამის მჯერა... ჩემს ქმართან არა მაქვს ხშირი ურთიერთობა, თუ მაქვს, ისიც შეზღუდულია. ჩვენ შორის მთლად გულახდილი საუბრები არ არის, ყველამ ვიცით, რატომაც... თუმცა, უკმაყოფილო სულაც არა ვარ, ძალიანაც კარგია — იფიქროს შალვამ თავის მომავალზე. მინდა, ასეთი რამ ვთქვა: მას ძალიან შეუწყვეს ხელი მისმა, ასე ვთქვათ, მტრებმა. ყველაფერი ჩემი ქმრის საბედნიეროდ მოხდა...

— პრინციპში, რაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო ერთი წლის მანძილზე მოხდა, ყველაფერი შალვა რამიშვილის დაჭერით დაიწყო. ამას მთელი რიგი უკანონობის კასკადი მოჰყვა..

— ამიტომაც ვამბობ, რომ ამ ცხოვრებაში მას რაღაც დანიშნულება აქვს, რაღაცნაირად, თითქოს მასთან არის დაკავშირებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. შალვას დაჭერა, პირველი თოფის გავარდნა იყო, რასაც ბევრი საშინელი ამბავი მოჰყვა... მაგრამ — შალვას სიტყვებით ვიტყვი, — ხალხს უარესისთვისაც გაუძლია. რომ არა ეს ამბავი, ჩვენ ალბათ ვერ მიეხვდებოდით (მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ერთად ვიყავით), რა ბედნიერებაა, რომ ერთმანეთს შევხვდით. მისი გათავისუფლების დღე ჩემთვის მეორედ დაბადება იქნება.

— როგორ ფიქრობ — მის გათავისუფლებას კიდევ ერთი რევოლუცია დასჭირდება თუ?..

— ვფიქრობ, რომ ქვეყანაში ისე განვითარდება მოვლენები, რომ მას თავისთავად უნდა მოჰყვეს შალვას გათავისუფლება... ის ერთი წლის წინ, 27 აგვისტოს, თავის დაბადების დღეს დაიჭირეს, ასე დაემთხვა. და რადგან ასე მოხდა, მიმაჩნია, რომ გასული წლის 27 აგვისტო მისთვის ხელახალი დაბადების დღე იყო, მისი ცხოვრების ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი. ის შარშან 34 წლის გახდა და ცხოვრება ნულიდან დაიწყო. ახალი შალვა დაიბადა. მე ასე მგონია და ალბათ, ისიც ინსტინქტურად ამას გრძნობს.

— რა პატარა ყოფილა! უფრო დიდი მეგონა. მაგრამ შალვა იმ ასაკშია, რომელიც ამ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მუშაობს.. თეა, შენც ხომ არ კითხულობ ისევე ბევრს, როგორც შალვა?

— სხვათა შორის, შალვასი მშურს *(ღიმება)* ხანდახან მინდება — ნეტავ, მეც დამაპატიმრონ ცოტა ხნით, რომ კითხვისთვის დრო მქონდეს-მეთქი... ჩემი ოჯახური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიკითხო. სამი შვილი მყავს. ცხოვრებაში ის პერიოდი დამიდგა, როცა ქალისა და კაცის ფუნქციების შეთავსება მიწევს. ორმაგ ჭაპანს ვეწევი. როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც შალვა ციხეში მოხვდა, დავრწმუნდი, რომ ის ღირსეული ადამიანი და ვაჟკაცია. აღფრთოვანებული ვარ იმით, თუ როგორ ვაჟკაცურად იტანს ამ ყველაფერს, როგორი არაჩვეულებრივი გზა მონახა იმისთვის, რომ სულიერად არ გატეხილიყო: იქ ყოფნისა და იქაური პირობების გამო, ბევრმა შეიძლება, შოკი და დეპრესია მიიღოს: არა — ტელევიზორი, არა — რადიო, არა — მუსიკა, არა — ახლობლებთან კონტაქტი... კითხვა ყოველთვის უყვარდა. დღისით გასული იყო სახლიდან, სამსახურში გახლდათ, ღამით გვიან მოვიდოდა, ცოტას წაუძინებდა და მერე, კითხვაში ათენებდა. საერთოდ, რობოტივივთ ადამიანია, არანაირი დაბ-

რკოლება არ აშინებს. ციხეში 20 კილოგრამი დაიკლო და უხარია. ასე რომ, სულიერადაც და ფიზიკურადაც „გაიწმინდა“.

— ახლა არავის ეგონოს, ციხეში ისეთი კარგი მდგომარეობაა, რომ_

— არა, ეს ყველაფერი შალვას პიროვნებიდან გამომდინარეა...

— მან თავისი მიკროგარემო შეიქმნა და თავისი ცხოვრებით ცხოვრობს.

— იმ უგემურ საჭმელსაც კი მარტო კითხვის დროს მიირთმევს; იმასაც არ ატანს აზრს, თუ რას ჭამს. როგორც ვიცი, საშინელი საჭმელია. უფლება არა გვაქვს, ჩვენი შევუგზავნოთ...

— როგორ ფიქრობ — შალვა დააკლდა ტელესივრცეს?

— კი. მის გადაცემას ყოველთვის ვუყურებდი. მარტო ჩემი აზრი არ არის: თუ გინდოდა, რომ რაღაც მხიარულ ნოტაზე დაგემთავრებინა დღე, ალბათ, შალვას შოუსთვის უნდა გეყურებინა. ნებისმიერი, მძიმე თემაც კი, გახსოვთ, როგორი იუმორითა და სიცოცხლით სავსე იყო მასთან?!. ყველა ჟურნალისტს პატივს ვცემ, ვუსურვებ, გაიზარდონ პროფესიონალურად, მაგრამ შალვას შოუ ჩვენს ოჯახს აკლია. სახლში არასდროს იყო, ვერ ვხედავდით და ტელევიზიით მისი ნახვის შესაძლებლობა გვქონდა.

— დარჩება ჟურნალისტიკაში?

— ხომ ვთქვი, რომ ეს მისი განვლილი ეტაპია. არა იმიტომ, რომ მან სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა და საზოგადოებას ვერ დაუნახავება. არა, ასე არ არის. ეს მხოლოდ ცოლის პოზიციაც არ გახლავთ. დრო გაარკვევს ყველაფერს, რეალურად რა როგორ მოხდა, რა ბინძური საქმეა შეთითხნილი მის წინააღმდეგ...

— 27 აგვისტოს შალვა 35 წლის გახდება. როგორ აღნიშნავ ამ თარიღს?

— მაქვს სურვილი, რომ შევხვდე, ციხეში მოვინახულო. კანონმდებლობით მეკუთვნის კიდეც მისი ნახვა, იმედი მაქვს, შემახვედრებენ. რა თქმა უნდა, მივულოცავ. ერთ რამეს ვუსურვებ — იყოს ჯანმრთელი, ფარავდეს უფალი. ვუსურვებ, ქვეყნის ბედი კარგად წარიმართოს, რადგან ამას მისი გათავისუფლებაც მოჰყვება...

ჟურნალისტი – თეა აბაშმაძე
რესპონდენტი – თინა ხიდაშელი

— თინკო, დიდი ხანი არ არის, რაც გაგიცანი, მანამდე შორიდან გიცნობდი და პატივს გცემდი, რადგან ვიცოდი, შალვა როგორ გაფასებდათ შენ და შენს მეუღლეს. ღირსეული ადამიანი ხარ. ეს ფამილარობა არ არის, მართლა აღფრთოვანებული ვარ შენით, რადგან შენ ხარ ქალი, რომელიც რეალიზებულია, როგორც პირად ცხოვრებაში (გყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და შვილები), ასევე როგორც პიროვნება.

— შენ გინდა ჩემი ქმარი დაიჭირონ *(იცინის)*?..

— არა, რას ამბობ?! ღმერთმა დაგიფაროს! მე ასე გაფასებ.

— კარგი, კითხვა დამისვი.

— როგორ ახერხებ, იყო ენერგიული, მობილიზებული ყველგან — ოჯახშიც, პოლიტიკურ ასპარეზზეც?

— შინაგანი ენერგეტიკა მაინც დამყარებულია არა გარე ფაქტორებზე, არამედ ოჯახზე: თუ ზუსტად იცი, რომ ყოველთვის გაქვს დასაყრდენი, მაშინ ძალიან ადვილია ყველაფერი. მეორე, რაც ასევე მნიშვნელოვანია, — რას ემსახურები: სიმართლეს თუ სხვა რაიმე ინტერესი გაქვს. თუ სიმართლეს ემსახურები, მაშინ ადვილია ცხოვრება, რადგან თავისუფალი ხარ ყველანაირი ინტერესისგან. მტერიც ნაკლები გყავს, რადგან ხვდებიან, რომ ვერ დაგამარცხებენ... სიმართლე მაინც გადაულახავი კედელია, თუ არა და, შეუძლიათ, ის გაგიკეთონ, რაც შალვას გაუკეთეს. ამიტომ ყველა ადამიანი, ვინც დღეს სიმართლისთვის იბრძვის, ანალოგიური საფრთხის წინაშე დგას.

— პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას რითი ხელმძღვანელობ-მეთქი, უნდა მეკითხა, მაგრამ დამასწარი ამ პასუხით.

— მხოლოდ სიმართლით ვხელმძღვანელობ. არსებობს საკითხები, რომელთა გადაჭრისას კომპრომისზე ვერ წავალ, თუნდაც ეს წამგებიანი იყოს ჩემთვის. ახლა, ამ ინტერვიუს ჩაწერამდე, იცი, რით ვიყავი დაკავებული?.. საჩივარს ვწერდი „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ. ვიცი, რომ ეს პოლიტიკოსისთვის ძალიან ცუდია, რადგან მასმედიის საშუალებასთან კონფლიქტი ყველაზე უსიამოვნო რამ არის, რაც პოლიტიკოსს შეიძლება დაემართოს, მაგრამ არ შემიძლია გაჭერდე, როდესაც ვხედავ, რომ ტელევიზია მკვლელების მხარდაჭერას ეწევა. არ მაინტერესებს, მერე რა მოხდება, თუ როგორ სიუჟეტებს გააკეთებენ ხვალ ჩემზე „რუსთავი 2“-ზე, საერთოდ „ჩამიკეტავენ“ ეთერს თუ არა. ამირან რობაქიძის მკვლელობა არის საკითხი, სადაც კომპრომისზე ვერ წავიდოდი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დათმობაზე არასდროს მივდივარ. მთავარია, ზნეობრივ კომპრომისზე არ წახვიდე. არანაირი ადგილობრივი არჩევნები არ შეიძლება იმაზე მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ადამიანის სიცოცხლეა. როდესაც სიცოცხლის ხელყოფის საკითხი დგას, რა დროს საკრებულოა?!

— შენში აშკარად იგრძნობა, თუ საით მიდიხარ, აბსოლუტურად ნათლად გაქვს ჩამოყალიბებული მიზანი, რომელსაც ისახავ_ პირველად, რა ასაკში მიხვდი, თუ რა გინდოდა, არჩევანი როდის გააკეთე?

— როდესაც უნივერსიტეტში ვაბარებდი, გამიჩნდა სურვილი, რომ ბევრი ადამიანისთვის გამეწია სამსახური, ბევრს დავხმარებოდი. მაგალითად, იურიდიულ ფაკულტეტზე არ ჩავაბარე იმის გამო, რომ ადვოკატობა არ მინდოდა. იმიტომ კი არა, რომ არ ვარგა, პირიქით — ყველაზე კეთილშობილური პროფესიაა. მაგრამ მე მინდოდა, უფრო მეტ ადამიანს დავხმარებოდი, ამიტომ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები. უფრო პერსპექტიული მეჩვენებოდა. ეს პროფესია უფრო ახლოს დგას საჯარო პოლიტიკასთან, ვიდრე ადამიანებისთვის სამართლებრივი მომსახურების გაწევასთან... პრინციპში, ჩემი არჩევანი ეროვნულმა მოძრაობამ განაპირობა. თბილისის ომის დროს, შემდეგ — 1992 წლის მარტში, როდესაც ედუარდ შევარდნაძე თბილისში ჩამოვიდა, საბოლოოდ მივხვდი, რომ ჩემი ბედი გადაწყდა: ამ კაცის ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლა ჩემი ცხოვრების გარკვეული ეტაპის მიზანი იყო: ეს ფენომენი უნდა დანგრეულიყო, ბოლშევიკური, საბჭოთა რეჟიმში უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ის, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.

— გეთანხმები, დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ბოლშევიკურ პერიოდს ჰგავს, იმ ადამიანების „ანალოგებიც“ გვყავს. რაც არ უნდა უცნაური იყოს, არსებობს ბერიას „ანალოგი“_

— ოღონდ, ეს, არა ვანო მერაბიშვილი, არამედ ზურაბ ადეიშვილია. თავი რომ მოიკლას, მერაბიშვილი ბერიობას ვერ „ქაჩავს“.

— მე არ ვასახელებ გვარებს, შენ პოლიტიკოსი ხარ და ამბობ_

— ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება. საინტერესოა, რით მიდის ხელისუფლება ადგილობრივ არჩევნებზე: ამბობს, რამდენი გზა გააკეთა... ეს ცუდი არ არის, კარგია. მაგრამ მე რომ მკითხო, ყველაზე მეტი გზა საბჭოთა პერიოდში, სტალინის დროს იქნა გაკეთებული საქართველოში. იმპერიული რუსეთის შემდეგ დაიწყო საქართველოში გზების გაყვანა, ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა და ასე შემდეგ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის ბედნიერებისთვის. ეს ვერ გაიგო ამ ხელისუფლებამ და სწორედ ამიტომ არის, რომ ბოლშევიზმიდან ვერ გამოვიდნენ... მაგრამ საერთოდ, ადვილია, იყო იაფფასიანი მატყუარა. შეიძლება, ბიუჯეტში გქონდეს ერთი მილიარდი, ადვილია ამ თანხით მანიპულირება, ძნელია ამ თანხის გრძელ პერსპექტივაზე გათვლა და სახელმწიფოს აშენება. ბოლშევიზმი ის არის, რომ იაფფასიან გზას ირჩევენ. ესენი ხომ შევარდნაძის მოსწავლეები არიან! ესენიც ისევე ცხოვრობენ, როგორც ის ცხოვრობდა, განსხვავება ის არის, რომ ამათ მეტი ფული აქვთ, ვიდრე მას ჰქონდა. თან, ესენი ახალგაზრდები არიან, ის ასაკობრივი მარაზმი არ სჭირთ, რომელიც იმას სჭირდა. მეტი დინამიზმი აქვთ. ამათ ძალუფლებით თრობა აინტერესებთ.

— თინკო, იქნებ, ქვეყანას სულიერი განვითარებითვის სჭირდებოდა ამ ეტაპის გავლა? ვგულისხმობ იმ უამრავ შეცდომას, რომელიც დაუშვეს, მაგრამ არაფერს (და არავის) ვაკონკრეტებ_

— გეთანხმები. აბსოლუტურად გარდაუვალი იყო. მაგრამ გარდაუვალი იყო შევარდნაძის გამო: შევარდნაძის განდევნა მხოლოდ მიშასნაირ ავანტიურისტს შეეძლო. ერთადერთ ოპტიმიზმის საფუძველს, რომელიც შეიძლებოდა გვქონოდა, ის ადამიანები წარმოადგენდნენ, ვინც მის გვერდით იყო, ვინც მას გაგიჟების საშუალებას არ მისცემდა. არ გვგონა, თუ ასე უცებ მოიცილებდა ამ ადამიანებს. ეს ვერ გავთვალეთ. არც ერთი მათგანი დღეს მასთან ერთად აღარ არის... ჩვენი გადარჩენა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციის გარეშე შეიცვლება ხელისუფლება. ჩვეულებრივი ამბავია: რევოლუციას არ მოჰყავს დემოკრატი და გაწონასწორებული ადამიანები, რევოლუციას დემაგოგები მოჰყავს, ქარიზმატული პოპულისტები, ახალგაზრდა ავანტიურისტები. მთავარია, ყველამ არჩევნებამდე „მივატანოთ“, თორემ, ყველა სხვა სცენარით განვითარების შემთხვევაში, უარესს მივიღებთ. ეს მნიშვნელოვანია.

— გეთანხმები. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩემი ქმარი ციხეშია, ნამდვილად არ მინდა რევოლუცია. ■

ამჯერად, რუბრიკა „ემიგრანტის“ სტუმარი კიდევ ერთი, ამერიკაში მცხოვრები ქართველი გოგონა გახლავთ, რომელიც წლების წინ იქ სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა. ახლა ის უკვე ამერიკის მოქალაქეა და საქართველოში მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდის. როგორ ცხოვრობენ ქართველი ემიგრანტები ნიუ-იორკში, რომელი ერის შვილები ჰგვანან ქართველებს ხასიათით და როგორ ერთობიან ქართველი ემიგრანტები ოკეანის გაღმა? — ამ ყველაფერზე მარიტა ზაქარაია გვესაუბრება.

amerikaSi mcxovrebi qarTvelebis sayvareli saxli, nacemi „cisferebi“ da vaxtang boWoriSvilis moparuli qandakeba

„italielebi qarTvelebs xasiaTiT Zalian hgvanan“

ნათია ქივიძე

— როდის და რატომ გადაწყვიტე ამერიკაში გამგზავრება?

— მაშინ 18-19 წლის ვიყავი და სამხატვრო აკადემიაში — კომპიუტერული გრაფიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. რადგან იმ პერიოდში, საქართველოში ეს ფაკულტეტი განვითარებული არ იყო, გადავწყვიტე, სასწავლებლად ნიუ-იორკში წავსულიყავი. იქ ჩასულმა კი, სწავლა ინგლისური ენის ინტენსიური კურსით დავიწყე.

— საქართველოდან წასვლის დროს, რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნია?

— არა, საელჩოში ჩემთვის არანაირი პრობლემა არ შეუქმნიათ, რადგან ჩემი იქ სწავლის საფასური წინასწარ იყო გადახდილი.

— მაგრამ როგორც ვიცი, რამდენიმე თვის შემდეგ, სწავლა შეწყვიტე. რატომ?

— ამერიკაში ცხოვრება და სწავლა იმდენად ძვირი მიჯდებოდა, რომ მე და ჩემს ოჯახს ამის საშუალება არ გვქონდა, ამიტომ გადავწყვიტე, სწავლა დროებით შემეწყვიტა, მემუშავა, ფული მომეგროვებინა და კოლეჯში სიარული მერე გამეგრძელებინა. რამდენიმე თვის განმავლობაში, კოლეჯი და სამსახური ერთმანეთს შევუთავსე კიდეც, მაგრამ შემდეგ, ასეთ დატვირთვას ფიზიკურად ვეღარ გავუძელი, თანაც, მუშაობა ამერიკელებთან მიწევდა და ინგლისური ენა ისე შევისწავლე, რომ კოლეჯში სიარული აღარ მჭირდებოდა. თუმცა, ცოტა ხანში, რამდენიმე სხვადასხვა კურსი გავიარე, მათ შორის, ბუღალტერიისა და რევიზიის, პროექტის მენეჯერის, ენის შემსწავლელი კურსების უმაღლესი საფეხურიც დავამთავრე.

— სად მუშაობდი?

— თავიდან, ერთ-ერთ პრესტიჟულ იტალიურ რესტორანში ვმუშაობდი, სადაც 2 თვეში მენეჯერის მოადგილე გავხდი. იქ ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი — მერაია ქერი, ერიკ ბოლდუინი და მისი ძმები, სინდი კროუფორდი, სინდი ლოპერი, მერი ჯულიანი, გუბერნატორი — პატაკიტი. ყოველ კვირა დღეს, ჩვენთან სადილობდნენ ამერიკის ტელევიზიის ვარსკვლავები, სპორტსმენები და ა.შ... მერე, ელექტრონულ კორპორაციაში ვმუშაობდი, რომელიც ამერიკაში ყველაზე დიდი ელექტრონული და საკომუნიკაბელო გაყვანილობების კომპანიაა. იქ დღგ, ალიმენტები, ხელფასები და მსგავსი ფინანსური საკითხები მეხებოდა. პარალელურად, სარეკლამო სააგენტოში ვმუშაობდი. ხელოვან ადამიანს ყოველთვის აქვს ლტოლვა, რომ რაიმე შექმნას. ამიტომ, სამშენებლო ბუკლეტებისთვის ვიღებდი ფოტოებს, ამასთანავე, ვამზადებდით მოდელების „პორტფელებს“ და ა.შ. მოკლედ, ამ სამსახურმა ფოტოხელოვნება შემაყვარა. ასე რომ, თბილისში გამოფენის მოწყობასაც ვაპირებ — საგამოფენო მასალაზე დიდი ხანია, ვმუშაობ. 200-მდე ფოტო მზად არის, მაგრამ კიდევ ბევრი თემა დამრჩა დასამუშავებელი. ძალიან მიყვარს ნიუ-იორკი და მინდა, ქართველ „პუბლიკას“ ჩემ მიერ დანახული ნიუ-იორკი შევთავაზო. იქაური ბედნიერი თუ გაჭირვებული ადამიანები, ქუჩის მოცეკვავეები, მათხოვრები, ბროდვეი და ის შთამბეჭდავი სანახაობები, რომელიც ამ ქალაქს ალამაზებს.

— მუშაობის უფლება თუ გქონდა?

— არალეგალი არასდროს ვყოფილვარ. მართალია, იმ პერიოდში მოქალაქეობა არ მქონდა მიღებული, მაგრამ მეუღლე მყავდა ამერიკელი და ამიტომ, მუშაობის უფლება მქონდა.

— როგორც ვიცი, პორტრეტულ ფოტოებსაც ხშირად იღებ...

— მართალია. გარდა იმისა, რომ მსგავს სურათებს მეგობრებს ვუღებ, ქუჩაში უცნობი ადამიანებიც ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ჩემს ობიექტივში. ძალიან მიყვარს ადამიანის სახასიათო სახეების დაფიქსირება. ალბათ, ამ ყველაფრისადმი სიყვარული შთამომავლობით გადმომეცა (ჩემი მშობლები მხატვრები არიან). სამხატვრო სახელოსნოები, სამხატვრო აკადემია და გამოფენები ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო.

— იქაურ ქართველებთან როგორი ურთიერთობა გაქვს და ამერიკელები როგორი აზრის არიან ქართველ ემიგრანტებზე?

— როცა პირველად ამერიკაში ჩავედი, მათ საერთოდ არ იცოდნენ — რა ან სად იყო საქართველო. ჯორჯიას რომ ვახსენებდით, ყველას ჯორჯიის შტატიდან ვეგონე. ნიუ-იორკი ისეთი ქალაქია, სადაც ყველაზე მეტი ემიგრანტი ცხოვრობს, ამიტომ მათ მაინცდამაინც არ აინტერესებთ — საიდან ხარ. იქ იშვიათად თუ შეხვდებით ძირძველ ნიუ-იორკელს... ამ ქალაქში ძალიან ბევრი ქართველი ემიგრანტია. წვეულება რომ გვაქვს, მინიმუმ 30 ქართველი მაინც ვიკრიბებით, ისიც ძალიან საახლობლო წრეზეა ლაპარაკი. პირადად მე, იქ გაცნობილი 100-ზე მეტი ქართველი მეგობარი მყავს.

— წვეულებას ხშირად აწყობთ ხოლმე?

— ყოველთვის ვიკრიბებით დაბადების

დღეებზე, ქართულ თუ ამერიკულ დღესასწაულებზე, შემდეგ კი, დიზაინერ ნინი კეისთან ამოვყოფთ ხოლმე თავს. ნინის სახლი ჩვენი საყვარელი ადგილია. იქ გატარებულ საღამოებს ყველანი ყოველთვის ტკბილად ვიხსენებთ. ხშირად, ნინისთან სტუმრად ქართველი ცნობილი ხელოვანი თუ პოლიტიკოსი ადამიანები (ლელა წურწუმია, აჩი მეფარიძე, ლევან უჩანეიშვილი, დათო გომართელი, პაატა ბურჭულაძე) მოდიან და ვცდილობთ, მათ კარგი შეხვედრა მოვუწყოთ.

— ქართველები უცხოელ ემიგრანტებთან თუ მეგობრობთ?

— რა თქმა უნდა. მე ყოველთვის ამერიკელებთან ვმუშაობდი და შესაბამისად, უამრავი ამერიკელი თუ უცხოელი მეგობარი მყავს — ინგლისელი, ფრანგი, იამაიკელი, პუერტორიკოელი, ტრინიდადელი, კორეელი — ყველა ეროვნების ადამიანს არაჩვეულებრივად ვუგებ.

— ამდენ სხვადასხვა ერის წარმომადგენელთან რომ გაქვს ურთიერთობა, თუ შეგიძლია მითხრა, რომელი ეროვნების ხალხი გვგავს ქართველებს?

— ჩემი აზრით, ხასიათით ყველაზე მეტად იტალიელები გვგვანან. თუნდაც იმიტომ, რომ მათ ისეთივე ცოლქმრობა აქვთ, როგორიც ჩვენ. ქალი ოჯახის საქმეებს უძღვება, მამაკაცს კი ოჯახის უფროსის, ფულის შემომტანის ფუნქცია აკისრია. ისინი ტრადიციების მიმდევრები არიან — აქვთ ოჯახური შეკრებები მრავალფეროვანი კერძებით. მე იტალიელი მეუღლე მყავდა და მათი ხასიათი კარგად შევისწავლე.

— შენ ყოფილი მეუღლე ვინ იყო?

— ვინი (ვინცენტ) 7-8 წლის წინ გავიცანი და მალევე დავოჯახდით. როგორც უკვე გითხარით, წარმოშობით იტალიელია. ახალდაქორწინებულები ვიყავით, როცა დედაჩემი ჩემთან სტუმრად ჩამოვიდა. ორი კვირის შემდეგ, ვინის ხასიათიდან გამომდინარე, დედაჩემმა მითხრა: დედიკო, ისე, კარგი ქართველი ქმარი მოგიძებნიაო. სამწუხაროდ, ჩვენი გზები პირადული შეუთავსებლობის გამო გაიყო.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ამერიკაში გეი და ლესბოსელი ადამიანები თავიანთ ორიენტაციას არ ფარავენ და საზოგადოებაში თავიანთი ადგილი უკავიათ. შენ თუ გყავს მსგავსი ორიენტაციის მეგობრები?

— ჩვენი თაობა ამ ყველაფერს აბსოლუტურად ნორმალურად აღიქვამს და არანაირი პრობლემა არ არის, მაგრამ ძველი თაობის წარმომადგენლები, მათი საქციელით აღშფოთებულნი არიან. შევსწრებივარ ისეთ ფაქტს, როცა ბიჭები თავიანთი ორიენტაციის გამო უცემიათ კიდეც. მოკლედ, ასეთი ტიპის ადამიანები იქ მაინც

ძალიან ბევრი გეი მეგობარი მყავს და მათთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს

უმცირესობად მიაჩნიათ. პირადად მე, ძალიან ბევრი გეი მეგობარი მყავს და მათთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ისინი ხშირად მართავენ პარადებს და სხვა დღესასწაულებს. მათ აქვთ თავიანთი უბანი, რესტორნები, კლუბები. სხვათა შორის, ასეთი ორიენტაციის ადამიანები ძალზე მხიარულები, ნიჭიერები არიან.

— გარდა იმისა, რომ წვეულებებს აწყობთ, კიდევ როგორია ქართველების ამერიკაში ცხოვრების რიტმი?

— ყველა ჩვენგანი მუშაობს. მთელი კვირის განმავლობაში ძალიან ვიღლებით. შაბათ-კვირას კი, ვიკრიბებით და ზოგჯერ, ცენტრალურ პარკში გავდივართ — პიკნიკს ვაწყობთ. იქ საღამოობით კონცერტები იმართება. კვირაში ერთხელ, საცეკვაოდ კლუბში მივდივართ. ასევე, მივდივართ კინოში, ბროდვეი-შოუებზე, გამოფენებზე, ყველაზე ხშირად კი, რესტორანში გვიწევს წასვლა, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, იქ საქეიფოდ არავინ დადის... ქართველი მომღერლები რომ ჩამოდიან, მათ კონცერტებზე დასწრებას ყოველთვის ვცდილობთ. ხშირად 2-3-დღიან ექსკურსიებსაც ვაწყობთ — ნიაგარის ჩანჩქერზე, მაიამიში, ლას-ვეგასში, ან ატლანტიკ-სიტიში მივდივართ და კაზინოში ვთამაშობთ ხოლმე. ამ ყველაფერთან ერთად, ფოტოგრაფიითაც ვერთობი. როცა დრო მაქვს და მუზა მომივა, ვხატავ კიდეც. სხვათა შორის, შარშან საგაზაფხულო ფესტივალი ჩატარდა, რომელიც ჩემმა სამსახურმა დასპონსორა. 600 ნამუშევარი იყო გამოფენილი და პირველი ადგილი ავიღე — სიგელიც გადმომცეს და საჩუქრებიც. თავიდან არც ვიცოდი, რომ კონკურსი იყო, გამოფენა მეგონა და მონაწილეობა მივიღე. სიგელი რომ გადმომცეს, ძალიან დავიბენი.

— ახლა ამერიკაში რომ ჩახვალ, სად იმუშავებ?

— მიუხედავად ჩემი დიდი წარმატებისა, ეკონომიკურ და ბუღალტრულ დარგში, ამ ხაზით მუშაობას აღარ ვაპირებ. მაქვს სურვილი — კოლეჯში ხელოვნების კურსი გავიარო და პატარა საგამოფენო დარბაზი მქონდეს. დარწმუნებული ვარ, რომ 2-3 წელიწადში მიზანს მივაღწევ.

— ოდესმე საქართველოში თუ დაბრუნდები?

— შესაძლებელია.

— როგორც აღნიშნე, ხელოვანი ოჯახის წევრები გყავს. ორიოდე სიტყვით გვიამბე მათ შესახებ.

— დედაჩემი არის ნია ძინძიბაძე — მხატვარი, ფერმწერი. მისი რამდენიმე ნამუშევარი ნიუ-იორკის სხვადასხვა გალერეაში მივიტანე და ბევრი მათგანი გაიყიდა კიდეც. მამა მოქანდაკეა — გენო ზაქარაია. ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. ეს პრემია მერაბ მამარდაშვილის, ვახტანგ ბოჭორიშვილის ბიუსტებისა და მისი მთლიანი შემოქმედებისათვის მიენიჭა. ასევე, მამას ეკუთვნის ნოე ჟორდანიას ჰორელიეფი, რომელიც საქართველოს პარლამენტის შენობის ფოიეშია, ელიზბარ ერისთავის სკულპტურული პორტრეტი — ქალაქ გორში. ვახტანგ ბოჭორიშვილის ბიუსტი, რომელიც დავით აღმაშენებლის გამზირზე დადგეს, უცნობმა პირებმა მოიპარეს... ჩემი ძმა შოთა ზაქარაია გახლავთ. ის თეატრალურ ინსტიტუტში — სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობს. ასევე, მღერის ჯგუფში — „ფრანი“. შოთა თავად წერს სიმღერებს, უკრავს და მღერის. ჯგუფმა უკვე საკმაო წარმატებებს მიაღწია და ბევრი მიწვევაც აქვთ. კიდევ მყავს 12 წლის ძმა — გიორგი... აი, ასეთი ოჯახი მაქვს საქართველოში.

ძვირფასო მკითხველო, თუ თქვენ ოდესმე ყოფილხართ ემიგრანტი, ან ახლა იმყოფებით ემიგრაციაში და გსურთ, რომ თქვენი შთაბეჭდილებები და განვლილი ცხოვრების დეტალები საზოგადოებას გაუზიაროთ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 877 72 88 88, ან მოგვწერეთ წერილები მისამართზე: nati_8888@yahoo.com. ■



ნიუ-იორკი ისეთი ქალაქია, სადაც ყველაზე მეტი ემიგრანტი ცხოვრობს

ძვიშის კარიერზე მომხდარი საღისტური დანაშაული

რატომ რჩება 26 წლის ახალგაზრდის მკვლელობა გაუხსნელი?

დანაშაული 2006 წლის 31 მაისს, სავარაუდოდ, შუალამეზე, თბილისსა და მცხეთის რაიონის საზღვარზე, ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. მოკლული, 26 წლის თბილისელი ახალგაზრდა — პავლე ჯაოშვილი გახლდათ. მისი გვამი გამთენიისას, აღნიშნულ ტერიტორიაზე მომუშავე ერთ-ერთმა მემანქანემ იპოვა. „მოწითალო ფერის წყლის გუბე შევნიშნე. მანქანა გავაჩერე და გადავედი. მაშინ დავინახე მამაკაცის გვამიც...“ — ამბობს თვითმხილველი.

მეგი ცანავა

პავლე ჯაოშვილის გვამი ექსკავატორის ქვეშ, მუხლუხებს შორის გულაღმა ესვენა. როგორც ამბობენ, აწ გარდაცვლილი სასტიკად იყო ნაცემი და ნაწამები. ცემის კვალი მას სახეზე აჩნდა. დაზიანებები ჰქონდა ხელებზეც. მოკლული სისხლში ცურავდა, განსაკუთრებით დასისხლიანებული ჰქონდა თავის არე. თვითმხილველები ამბობენ, რომ გვამს ნატყვიარიც მაშინვე შეამჩნიეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აწ გარდაცვლილს ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ ესროლეს. ერთ-ერთი ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა კისრის არეში დაფიქსირდა. როგორც ჩანს, მკვლელმა მას ტყვია უკნიდან ესროლა, რადგან შემავალი ჭრილობა სწორედ კისრის უკანა მხარეს ფიქსირდება. მეორე ცეცხლნასროლი დაზიანება თავშია მიყენებული. ამ შემთხვევაში, შემავალი ჭრილობა საფეთქლის არეში დაფიქსირდა. როგორც ჩანს, მკვლელმა ჯაოშვილს „საკონტროლოდ“ ესროლა. ექსპერტების თქმით, დაზიანებულია თავის ტვინი, რაც ახალგაზრდის სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა. თუმცა, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ორივე ჭრილობა სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებას წარმოადგენდა. ცეცხლნასროლი ჭრილობები, ისევე, როგორც მკვრივი, ბლაგვი საგნით მიყენებული დანარჩენი დაზიანებები, ექსპერტების თქმით, გარდაცვალებამდეა მიყენებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ გვამი გაძარცული აღმოჩნდა. აწ გარდაცვლილს თან აღარ ჰქონდა არც მობილური ტელეფონი, არც ბეჭედი და არც ოქროს ძეწკვი და ჯვარი, რომელსაც ყოველთვის ატარებდა...

მომხდარის შესახებ შეტყობინება მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს სამმართველოს თანამშრომლებმა ტელეფონით მიიღეს. სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის — 108-ე მუხლით აღიძრა. შემთხვევის ადგილზე შეკრებილი ხალხი — მოწმეები ამბობენ, რომ სამართალდამცველებმა ოქმების შედგენა დაიწყეს. დაიკითხნენ იქვე მყოფი, გარდაცვლილის ნაცნობებიც. უშუალოდ დანაშაულის ფაქტის მომსწრე — მკვლელობის თვითმხილველი არავინ აღმოჩნდა. ყველა ამბობდა, რომ მათ მომხდარის შესახებ მხოლოდ გვამის აღმოჩენის შემდეგ შეიტყვეს და მანამდე არაფერს შესწრებიან. დაკითხული პირების თქმით, აღნიშნული ტერიტორიიდან მათ არც სროლის, არც ჩხუბის ხმა არ გაუგონიათ, არც საეჭვო შეუნიშნავთ ვინმე...

პავლე ჯაოშვილი თბილისში, თემქის დასახლების მე-3 მიკრორაიონში ცხოვრობდა. უმაღლესი განათლების მქონე იყო, მაგრამ შესაფერისი სამსახური არ ჰქონდა. ჯაოშვილის დედა იმ პერიოდში საბერძნეთში ცხოვრობდა და მუშაობდა. როგორც ამბობენ, იქ გამგზავრებას ცოტა ხანში პავლეც აპირებდა. მანამდე, უმუშევრობით შეწუხებულმა, რაიმე სამსახურის მოძებნა გადაწყვიტა და ამის შესახებ თავის უბნელსა და მეგობარს უთხრა. მეგობარმა თავის სამსახურში უსაფრთხოებისა და პირადი დაცვის წევრად მუშაობა შესთავაზა. აუხსნა, რომ ყოველთვიურად 250 ლარს გადაუხდიდნენ, მას კი კონკრეტული ობიექტისთვის უნდა ეყარაულა. ჯაოშვილი დათანხმდა. 2006 წლის 4 მაისიდან მან დაცვის წევრად დაიწყო მუშაობა და სამსახურებრივ მოვალეობას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მახლობლად მდებარე შპს „ჯიგილემის“ ტერიტორიაზე, ე.წ. კარიერზე ასრულებდა. სწორედ იქ, სადაც რამდენიმე კვირის შემდეგ — 2006 წლის 31 მაისის დილას, მისი გვამი იპოვეს...

შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერებისას, სამართალდამცველებმა, ნივთმტკიცების სახით, ერთი მასრა ამოიღეს. მოკლულის თანამშრომლებს, ასევე დაცვის წევრებს (მათ, რომლებმაც ჯაოშვილი ბოლოს ნახეს და მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე, მასთან ერთად იქეიფეს კიდეც), დენთის კვალის დასადგენად, ხელის თითებიდან საექსპერტო კვლევისთვის ნიმუშები აუღეს. დენთის კვალი სწორედ იმ პიროვნებას — დაცვის ერთ-ერთ წევრს დაუფიქსირდა, რომელმაც აწ გარდაცვლილი აღნიშნულ სამსახურში მიიყვანა. ის, 24 წლის თბილისელი არტურ მკრტიჩიანი გახლავთ. დენთის კვალი მას მარცხენა ხელის თითებზე აღმოაჩნდა.

გამოძიებას ის არ დაუკავებია. სამართალდამცველების თქმით, ამ პირის დანაშაულში ეჭვმიტანილად ცნობისთვის, საქმეში ჯერჯერობით საკმარისი საფუძველი არ არსებობს. სხვაგვარად ფიქრობს დაზარალებული მხარე. მოკლულის ნათესავების თქმით, გამოძიება საეჭვოდ პასიურობს და არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მკვლელი გამოავლინოს და დააკავოს. დაზარალებული მხარე იმასაც აღნიშნავს, რომ სამართალდამცველები მნიშვნელოვანი მოწმეების დაკითხვასაც თავს არიდებენ. მკრტიჩიანის გარდა, დაზარალებული მხარე ეჭვის თვალით უყურებს დაცვის სამსახურის დანარჩენ თანამშრომლებსაც და თავად ფირმა „ჯიგილემის“ მფლობელებს — ძმებ ბაზაძეებსაც...

მანანა ჯაოშვილი, მოკლულის დედა:

„საეჭვო ამ საქმეში მართლაც, ბევრი რამაა, რაზეც თვალის დახუჭვა უბრალოდ, არ შეიძლება. როცა ასეთ ვითარებაში გამოძიების მხრიდან პასიურობასა და ინერტულობას აწყდები, ეს მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს — გამომძიებელს „ზევიდან“ მიუთითეს, არ მიეღო მკვლელის გამოსავლენად საჭირო ზომები ან თავადაა დაინტერესებული საქმის შედეგით. გამომძიებელმა გვითხრა კიდეც, ამ საქმეზე აცილება გამიკეთეთო. მეტი რაღა უნდა ეთქვა?! პირველ რიგში, არტურ მკრტიჩიანი მაფიქრებს, რადგან ძალიან ბევრი კითხვა იყრის მის ირგვლივ თავს. უშუალოდ, როგორც მკვლელს, მას ხელს არ ვადებ, მაგრამ ვეჭვობ, რომ დანაშაულთან დაკავშირებით ბევრი რამ იცის და მალავს. მაფიქრებს ისიც, რომ მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე, გვიან საღამოს, ჩემს შვილს საბერძნეთიდან დავურეკე. ტელეფონით კარგა ხანს ვესაუბრე. მითხრა, სამსახურში ვარო. გამოძიებამ ჩემი შვილის მობილურ ტელეფონზე დაფიქსირებული, შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ამონაწერი ამოიღო, მაგრამ რატომღაც, ჩემი ზარი იქ არ ფიქსირდება, შესაბამისად — არც ვინმე საეჭვო პირის, ვისაც შეეძლო, მისთვის მკვლელობამდე დაერეკა. ამონაწერში ბოლო ზარი საღამოს 9-ის ნახევრისთვის ფიქსირდება. მე ჩემს შვილს საღამოს 9 საათიდან 10 საათამდე ინტერვალში დავურეკე. როგორც ჩანს, აღნიშნული ამონაწერი გამოძიებამ მხოლოდ ფორმალობისთვის და არა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად ამოიღო. როცა ვიკითხე ამის შესახებ, მითხრეს, მეტი ზარი არ ფიქსირდება, თქვენს შვილს ტელეფონის აკუმულატორი დაუჯდაო. თუკი ჩემთან საუბრის შემდეგ დაჯდა ტელეფონი, ჩემი ზარი სადღა წავიდა? ის მაინც ხომ უნდა დაფიქსირებულიყო! თანაც, იმ საღამოს შვილს ყოველგვარი ხარვეზის გარეშე ვესაუბრე, არ ეტყობოდა, რომ ტელეფონს უჭირდა. შევიტყვე ისიც, რომ აღნიშნული ფირმის ტერიტორიაზე ხშირად იმართებოდა ღრეობა და თავად ფირმის ხელმძღვანელი პირები თურმე, ხშირად მიდიოდნენ სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში. ამბობენ, რომ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშაც ხშირად იმყოფებოდნენ. ხმები დადის, ნარკოტიკე-

ბს პირდაპირ იქ ხარშავდნენ და აღნიშნული ტერიტორია მათთვის ერთგვარ თავშეყრის ადგილსა და თავშესაფარს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე სერიოზულ სამსახურსო. გამოძიება არც ამ დეტალით დაინტერესებულა. ვალდებული იყო, გადა-



მოკლული პავლე ჯაოშვილი

ემოწმებინა და შეესწავლა ეს საკითხი. თუკი ეს ხმები მართლაც, სინამდვილეს შეესაბამება, ხომ შეიძლება, ჩემი შვილის მკვლელობასთან ყოველივე ამას რაიმე კავშირი ჰქონდეს?“

საქმის მასალებში არსებული ოფიციალური ცნობების თანახმად, შპს „ჯიგილემა“, რომლის მეპატრონე და დირექტორი თეიმურაზ ბაზაძე გახლავთ, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე, ამერიკის საელჩოს უკანა მხარეს მდებარეობს და 2001 წლიდან ფუნქციონირებს. „ჯიგილემა“ ინერტული მასალების მწარმოებელ და დამამუშავებელ ფირმას წარმოადგენს, საკუთრებაში აქვს შესაბამისი მანქანადანადგარები და ექსკავატორები. სწორედ მათ დასაცავად და საყარაულოდ, ფირმის ხელმძღვანელობა უსაფრთხოებისა და პირადი დაცვის სამსახურს დაუკავშირდა და მასთან ხელშეკრულება გააფორმა. დაცვის სამსახურის უფროსმა — მამუკა დავითაშვილმა „ჯიგილემის“ ობიექტების დაცვა თავის სამ თანამშრომელს, მათ შორის, თავის უმცროს ძმას — დავით დავითაშვილს და არტურ მკრტიჩიანს დაავალა. მკვლელობამდე ერთი თვით ადრე მათ შეუერთდა პავლე ჯაოშვილიც.

იმ ადგილიდან ოდნავ მოშორებით, გვერდით ტერიტორიაზე, მდებარეობს შპს „ჯიბიქეი“, რომლის მეპატრონეც, თეიმურაზ ბაზაძის ძმა — ირაკლი ბაზაძე გახლავთ. ოფიციალური ცნობების თანახმად, აღნიშნული ფირმა იმავე საქმიანობას ეწევა, რასაც „ჯიგილემა“, მაგრამ ზემოთ ხსენებულ დაცვის სამსახურთან და მის წევრებთან მას კავშირი არასდროს ჰქონია.

კითხვები მართლაც, ჩნდება. რას იცავდნენ ან როგორ იცავდნენ ზემოთ აღნიშნული უსაფრთხოების სამსახურის წევრები, გაუგებარია. ისინი ვალდებული იყვნენ, ყოველდღე, საღამოს 7-დან დილის 10 საათამდე ეყარაულათ. ამ დროს, ჩვენებების მიხედვით, არც ერთ მათგანს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად, ცეცხლსასროლი იარაღი ან ხელკეტი მაინც, გადაცემული არ ჰქონდა. არ ჰქონდათ არც რაციები. ამას ადასტურებს თავად დაცვის უფროსიც. საინტერესოა, როგორ წარმოედგინათ „ჯიგილემის“ ობიექტებზე თავდამსხმელთა მოგერიება დაცვის წევრებს, ან მათ უფროსს, ან თავად ფირმის ხელმძღვანელობას, თუკი ეს მოხდებოდა? დაცვის წევრებს არ გააჩნდათ არც ჯიხური, სადაც ისინი მთელი ღამის განმავლობაში უნდა გაჩერებულიყვნენ. ამის გამო, ისინი ღამეს ექსკავატორების კაბინებში ათევდნენ.

მანანა ჯაოშვილი:

„არანაირი პირობა არ ჰქონდათ. ამას გარდა, ეჭვს იწვევს თავად დაცვის უფროსის საქციელიც. ჩვენებების მიხედვით, მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე, დაცვის ბიჭებს იქვე, სამსახურში უქეიფიათ, ლუდი დაულევიათ. ლუდისა და სხვა პროდუქტების საყიდლად, თავად დაცვის უფროსი წასულა, მათთან ერთად სვამდა თურმე...“

არტურ მკრტიჩიანის ჩვენების მიხედვით კი, ეს, პირველი და ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. სხვათა შორის, მკრტიჩიანი ერთადერთია, ვინც მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, შს სამმართველოში სამჯერ დაიბარეს და სამჯერვე დაჰკითხეს. მოკლულის ნათესავები ამბობენ, რომ ეს, ისევ და ისევ, მათი აქტიურობისა და ინიციატივის შედეგად მოხდა. *„ძალიან ბევრმა საეჭვო დეტალმა რომ მოიყარა თავი არტურ მკრტიჩიანის ირგვლივ, გამომძიებელი კი ამას ყურადღებას არ აქცევდა, ჩვენ თავად დავადგინეთ მკრტიჩიანის ადგილსამყოფელი (უბანში არც მაშინ და არც ახლა ჩნდება) და გამომძიებელს ვაცნობეთ. ყველაზე მეტად ის არ მომეწონა, როცა არტურმა, მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი შვილის ჯინსის შარვალი მომიტანა. მითხრა — პალიკო (პავლე ჯაოშვილი) ჩემს კაბინაში იცვლიდა ხოლმე ტანსაცმელს და იმ ღამესაც ეს შარვალი ჩემთან დარჩაო. შარვალი გარეცხილი იყო. როცა ვკითხე, რატომ-მეთქი? მიპასუხა — დედაჩემმა ჩემს დაუკითხავად გარეცხაო. ჩემი შვილი ოდნავ დასვრილი შარვლითაც კი, გარეთ არავითარ შემთხვევაში არ გავიდოდა და შარვლის გარეცხვა, არა მგონია, საჭირო ყოფილიყო, თუკი ზედ რაიმე დანაშაულის კვალი არ ფიქსირდებოდა... კითხვაზე, თუ რატომ მაშინვე არ გადასცა მან შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს შარვალი, ასეთი პასუხი აქვს — არ ვიცოდი, საჭირო თუ იყოო... ყოველივე ამის შესახებ გამომძიებელს რომ ვუთხარით და კატეგორიულად მოვითხოვეთ პასუხი, იძულებული გახდა, მკრტიჩიანი დამატებით დაეკითხა. მან სამივეჯერ სხვადასხვა ჩვენება მისცა გამოძიებას“*, — აღნიშნავს მოკლულის დედა.

არტურ მკრტიჩიანის ჩვენებიდან:

„...უსაფრთხოებისა და პირადი დაცვის სამსახურში მუშაობა პირადად მამუკა დავითაშვილმა შემომთავაზა. მას დაახლოებით ერთი წელია, ვიცნობ. მუშაობა რომ დავიწყე, ამის შესახებ ერთ ჩემს მეგობარს — ავთოს ვუთხარი და წავიყვანე კიდეც, მაგრამ ერთი ღამის შემდეგ უარი თქვა — ვერ გავძლებო. ღამე ტრაქტორის კაბინაში უნდა გაეთია და მითხრა — მოუხერხებელი არისო. მეორე დილით, უბანში პალიკოს შევხვდით. რომ გაიგო, მუშაობა დავიწყე, მანაც გამოთქვა სურვილი. ძნელი სამუშაოა, ვერ გაძლებო, — უთხრა ავთომ, მაგრამ პალიკომ თავისი მაინც არ დაიშალა — გავძლებო და წამოვიდა... პავლე ჩემი მეგობარი იყო, მას ბავშვობიდან ვიცნობდი, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო ერთი წლის მანძილზე დავუახლოვდი. სამსახურში ერთად მუშაობის პერიოდში, პავლეს უფროსებთან ან რომელიმე თანამშრომელთან კონფლიქტი არასდროს მოსვლია. ამის შესახებ მე არაფერი გამიგონია. შეიძლება ითქვას, რომ მას დალევა უყვარდა, ხშირად სვამდა, ძირითადად, არაყს, ლუდთან ერთად (აღსანიშნავია, რომ ჩვენებებში ამას სხვა მოწმეები უარყოფენ. „ჯიგილემის“ თანამშრომლების თქმით, პავლე ჯაოშვილი არ სვამდა და ის მთვრალი არასდროს უნახავთ. — ავტ.). 2006 წლის 30 მაისს დილით გამეღვიძა, „ჯიგილემის“ ტერიტორიაზე ვიყავი. ცვლა დილის 10 საათზე გვიმთავრდებოდა. პავლეც მოვიდა ჩემთან, ასევე — დათო დავითაშვილიც. ისინი სხვა ობიექტებს იცავდნენ და ღამესაც სხვაგან ათევდნენ. ზუსტი დრო არ მახსოვს, იქნებოდა ალბათ, დილის 9 საათიდან 11 საათამდე, როცა სამივენი ერთად წავედით სამსახურიდან. ფეხით თუ მანქანით, არ მახსოვს. დათო მე-4 „მიკროში“ ცხოვრობს და ის იქვე დარჩა, მე და პავლემ კი ერთად გავაგრძელეთ გზა ჩვენი სახლებისკენ. მაღაზიებთან დავშორდით ერთმანეთს. სახლში მისვლისას, მოვწესრიგდი და ცოტა ხანში, ისევ ეზოში ჩავედი. ბირჟაზე ვიდექი, როცა ჩემი სიძე — გარიკ აირაპეტიანი და მისი ძმაკაცი — კარენ მარქონიანი მოვიდნენ. ორი ბოთლი ლუდი, თევზი და პური ვიყიდე და ჩემს კუთვნილ ავტოფარეხში შევედით. ლუდის სმა რომ დავიწყეთ, დაახლოებით საღამოს 4-5 საათი იქნებოდა. მაშინ პავლეს დავურეკე და ვუთხარი, რომ ჩემს ავტოფარეხში ვიყავით. დარეკვიდან დაახლოებით 20 წუთში მოვიდა პავლეც. ლუდს ვსვამდით და თან ჩემს დამტვრეულ ავტომანქანას — შავ „ოპელ-ომეგას“ ვათვალიერებდით. საღამოს 6 საათისთვის მოვიდა ჩვენი უფროსი — მამუკა დავითაშვილი თავისი ავტომანქანით — „ოპელ-ომეგათი“. მის მანქანას ერთ მხარეს კარი მოწითალო ფერის აქვს, მეორე მხარეს — მწვანე, ხოლო სახურავი — რუხი. მას თან ახლდა მისი ძმა — დათოც. მამუკა ხშირად გვაკითხავდა უბანში და თავად მივყავდით სამსახურში. არც მას, არც მის ძმას ჩემთან ავტოფარეხში ლუდი არ დაულევიათ. 10 წუთში ყველანი ერთად ჩავსხედით მამუკას მანქანაში (გარიკა და კარენიც) და სამსახურისკენ

წავედით. მაღაზიაში დამატებით ავიღე თევზი და სიგარეტი. „ჯიგილემის“ ტერიტორიაზე ჩემს დასაცავ ობიექტთან გავჩერდით. პავლე, გარიკა, კარენა და დათო იქ დარჩნენ, ხოლო მე და მამუკა ლუდის საყიდლად წავედით. 2 თუ 3 ბოთლი ორლიტრიანი „ყაზბეგი“ ვიყიდეთ და დავბრუნდით. სამსახურში გავშალეთ სუფრა. ლუდს ყველანი ვსვამდით. სმა დაახლოებით საღამოს 10 საათამდე გაგრძელდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, სუფრიდან არავინ ამდგარა, არც სხვა ვინმე მოსულა. სუფრასთან რაიმე დაძაბული საუბარი ან შელაპარაკების მაგვარი არაფერი ყოფილა. დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის, პავლეს დაურეკა დედამისმა საბერძნეთიდან. პირველი სიტყვები გავიგონე, პავლემ დედამისს ჰკითხა — როდის უნდა წამიყვანო აქედან შენთან საბერძნეთშიო? ამის შემდეგ, გვერდზე გავიდა, დაახლოებით 3 მეტრის მოშორებით და მისი აღარ მესმოდა... დედასთან საუბრის შემდეგ, დაახლოებით 20 წუთში, მამუკამ ის თავისი მანქანით საყარაულო ობიექტზე წაიყვანა. იქიდან მამუკა 10-15 წუთში დაბრუნდა. ამდენი ხანი იმიტომ დასჭირდა, რომ პავლეს ობიექტთან მისასვლელი გზა დანგრეულია. მამუკამ თქვა, პავლე დავტოვე, ყველაფერი რიგზეა, მოპარული არაფერია, მინდოდა, უკან წამომყვანა, მაგრამ უარი მითხრა — რა აზრი აქვს ჩემს დაბრუნებას, ლუდი მაინც აღარ იქნებაო. დაახლოებით ნახევარ საათში, მამუკამ გარიკა და კარენიც წაიყვანა. კაბინაში დავრჩით მე და დათო. 10 წუთში დათოც წავიდა თავის ობიექტზე. შემდეგ დავიძინე. ღამის 2-3 საათზე ძაღლების ყეფამ გამაღვიძა. გარეთ გავედი და იმ დროს შევნიშნე მსუბუქი ავტომანქანა, ან „ოპელი“ იქნებოდა, ან „ფორდი“, თუ არ ვცდები, „ფურგონი“ იყო. დავინახე, რომ სამი პიროვნება ჩაჯდა მანქანაში. მათ გარდა, მანქანაში იყო მძღოლიც; კიდევ ვინმე თუ იყო, არ ვიცი. ძილ-ბურანში ვიყავი და ვერ შევამჩნიე. მანქანა მუქი იყო, მაგრამ ფერი ვერ გავარჩიე. ის პირები, რომლებიც მასში ჩასხდნენ, დაახლოებით 25 წლისანი იქნებოდნენ. ერთ-ერთ მათგანს შავი მაისური ეცვა. სწორედ მან, მანქანაში ჩაჯდომისას, ფიცრის ნაჭერი მოისროლა. ზურგით იყო და მისი სახე არ დამინახავს. ჩასხდნენ თუ არა, მაშინვე დაქოქეს და ისე, რომ სინათლე არ ჩაურთავთ, მანქანა დაძრეს და წავიდნენ. მანქანის ფარები მხოლოდ 3-4 მეტრის გავლის შემდეგ ჩართეს. ამის გამო მე მანქანის ნომრები ვერ დავინახე (გამოძიებისთვის მანამდე მიცემულ ჩვენებაში მკრტიჩიანი აფიქსირებს, რომ აღნიშნულ პიროვნებებს გამოელაპარაკა კიდეც, შესძახა მათ — ხომ მშვიდობააო? უცნობებმა უპასუხეს — კიო, შემდეგ მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. — ავტ.). ამის შემდეგ ისევ დავიძინე. არ ვიცი, ზუსტად რა დროს, მაგრამ ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა ჩემთან დათო მოვიდა. ვუთხარი, ვიღაც პირები იყვნენ-მეთქი. ყავა დავლიეთ. დათო ჩემთან დაახლოებით ორი საათი დარჩა, შემდეგ წავიდა. მე კი ისევ დავიძინე და დილით, 9 საათი იქნებოდა, როცა გამეღვიძა...“

მანანა ჯაოშვილი:

„მკრტიჩიანის ჩვენება რომ არადამაჯერებელია და ის რაღაცას მალავს, ფაქტია. ამაზე ჩვენებაში არსებული წინააღმდეგობები მეტყველებს. მკრტიჩიანს ობიექტი დასაცავად ჰქონდა ჩაბარებული, ამ დროს, შუაღამეზე, უცნობი პირები საეჭვოდ გაჩერდნენ მანქანით მის ობიექტთან ახლოს და მან — დაცვის თანამშრომელმა ამ საეჭვო პირებს მხოლოდ ის ჰკითხა — ბიჭებო, ხომ მშვიდობააო?“

უცნაურია ისიც, რომ მკრტიჩიანმა უცნობის ხელში ფიცრის ნაჭერიც შენიშნა, მისი მაისურის ფერიც გაარჩია, მათი ასაკიც კი მიახლოებით გამოთვალა, ავტომანქანის მარკა და ფერი კი ვერ გაარჩია. რაც შეეხება მასთან მიმართებაში სხვა ბუნდოვან დეტალებს — მაგალითად, აწ გარდაცვლილის შარვლის გარეცხვისა და მის ხელზე აღმოჩენილი დენთის კვალს, — **მკრტიჩიანი** ამას ასე ხსნის:

„დილით ჩემს კაბინაში დათო დავითაშვილი და გოჩა მოვიდნენ (მისი გვარი არ მახსოვს). პავლე იკითხეს. ვუთხარი — ჩემთან არ გამოჩენილა-მეთქი. მაშინ პავლეს მობილურზე ზარი გავუშვი, მაგრამ ტელეფონი გამორთული აღმოჩნდა. ჩავსხედით მანქანაში და მისი ობიექტისკენ წავედით. იქ ვნახეთ, რომ ექსკავატორის ქვეშ ესვენა პავლეს გვამი. დათომ თავის ძმას დაურეკა და შეატყობინა მომხდარის შესახებ. მალე პატრულის თანამშრომლებიც მოვიდნენ... პოლიციელებმა ოქმების შედგენა დაიწყეს. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა — შენ ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდე და ჩვენება მოგვცეო. მაშინ სამუშაო ტანსაცმელში ვიყავი, ჭუჭყიანი იყო და კაბინაში წავედი გამოსაცვლელად. ამ დროს, კედელზე შევნიშნე პავლეს ჯინსის შარვალიც. სხვა ტანსაცმელი ჩემთან მას არ დაუტოვებია. ჩემი ძველი ტანსაცმელი პარკში ჩავდე, პავლეს შარვალი კი მხარზე გადავიკიდე და მანქანისკენ წავედი. ყველაფერი მანქანაში ჩავდე და დიღმის პოლიციის ქვეგანყოფილებაში მივედი. ჩვენების მიცემის შემდეგ, პავლეს შარვალი, ჩემს ტანსაცმელთან ერთად, მამუკას მანქანიდან ჩემს მანქანაში, უფრო სწორად, მამაჩემის კუთვნილ, შინდისფერ „ოპელ-ომეგაში“ გადავიტანე. სახლში მისულმა, ზუსტად არ მახსოვს, რა ადგილზე დავდე პარკი და მასთან ერთად, პავლეს შარვალი — შესასვლელში თუ სამზარეულოში. დედაჩემს ჩემთვის არ უკითხავს, ისე გარეცხა. გარეცხილი შარვალი პავლეს დასაფლავებამდე მივიტანე ოჯახში და მის რძალს გადავეცი. ჯინსის შარვალზე გარეცხვამდე, არანაირი ლაქა ან დაზიანების კვალი არ შემიმჩნევია... რაც შეეხება დენთის კვალს, ჩემთვის გაუგებარია, თუ საიდან მოხვდა იგი ჩემს ხელზე. ალბათ, ეს ექსპერტის შეცდომაა, რადგან იარაღი არასდროს მქონია და არასდროს მისვრია. შესაბამისად, ჩემს ხელზე ვერანაირად ვერ აღმოჩნდებოდა დენთის კვალი...“

გამოძიებამ მკრტიჩიანს, ბაზაძეებთან დაკავშირებითაც დაუსვა შეკითხვები. „შპს „ჯიგილემის“ ხელმძღვანელ პირებს მხოლოდ სახეზე და გამარჯობით ვიცნობ. ვიცნობ ერთ ძმას — თემურ ბაზაძეს, ზაზა გაგნიძეს და გოჩას; რომლის გვარიც არ ვიცი. ისინი ხშირად მოდიოდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში, მათ სამსახურში აკითხავდნენ ახლობლებიც... ყოფილა შემთხვევები, როცა მათ ღამით გადაუმოწმებიათ ჩვენი ობიექტები. როცა რომელიმე ჩვენგანს მძინარეს ან ნასვამს ნახავდნენ, მამუკა დავითაშვილს შენიშვნას აძლევდნენ ხოლმე. პირადად ჩემთან ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ ბიჭებისგან ვიცი ამის შესახებ. შეიძლება, პავლესთანაც მისულიყვნენ, მაგრამ ამის შესახებ მე არაფერი გამიგია. არ ვიცი, მკვლელობის ღამეს იყვნენ თუ არა პავლეს ობიექტზე მისულები. იმ ღამით მოსულ, უცნობ ავტომანქანაში (გულისხმობს, მის მიერ ჩვენებაში ნახსენებ გაურკვეველი მარკის, საეჭვო მანქანას, რომელშიც მან უცნობები შენიშნა. — ავტ.) ხელმძღვანელი პირებისგან არავინ უნდა ყოფილიყო, რადგან გაგნიძე მაღალია, თემურ ბაზაძე — მსუქანი, გოჩა კი, სათვალეს ატარებს და ასეთი აღწერილობის პირები იმ მანქანაში არ მსხდარან“, — სრული კატეგორიულობით აღნიშნავს **მკრტიჩიანი** და თავის სიტყვებში რატომღაც დარწმუნებულია, „ღამის სიბნელისა“ და თავისი „ძილ-ბურანის“ მიუხედავად.

მკვლელობის ღამეს შემჩნეულ საეჭვო პირებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ერთ-ერთი მოწმის — ვახტანგ თოდუას ჩვენებაც. ის არა „ჯიგილემის“, არამედ გვერდით განთავსებული კომპანიის — „ჯიბიქეის“ თანამშრომელი — მძღოლი გახლავთ. თოდუა ამბობს, რომ მკვლელობის ღამეს, მსუბუქი ავტომანქანით მოძრავი პირები მანაც შენიშნა, თუმცა, მის მიერ მოცემული აღწერილობა მკრტიჩიანის ჩვენებას არ ემთხვევა. თოდუა შინდისფერ „ოპელ-ომეგაზე“ ლაპარაკობს. სხვათა შორის, სწორედ ასეთია მანქანა, რომლითაც იმ პერიოდში მკრტიჩიანი დადიოდა. „ოპელ-ომეგათი“ მოძრაობდა დაცვის უფროსი — მამუკა დავითაშვილიც.

ვახტანგ თოდუას ჩვენებიდან:

„2006 წლის 30 მაისს, მთელი დღის განმავლობაში, სამსახურის მანქანას — „კრაზს“ ვარემონტებდი. საქმეს დაახლოებით საღამოს 8-ის ნახევრისთვის მოვრჩი. მოსასვენებლად იქვე, კარიერის ტერიტორიაზე მდებარე ვაგონში წავედი. ძირითადად, იმ ვაგონში ვცხოვრობ, მხოლოდ კვირაში ერთხელ მივდივარ ჩემს დასთან სახლში. დავწექი და დავიძინე. ალბათ, დაახლოებით დილის 3-4 საათი იქნებოდა, როცა ავტომანქანის საყვირის ხმამ გამაღვიძა. გავიხედე

ფანჯრიდან და დავინახე, თუ არ ვცდები, „ოპელ-ომეგას“ მარკის, შინდისფერი ავტომანქანა. მანქანას ზემოთ ეყენა ყვითელი, ტაქსის ტრაფარეტი. ნომერი არ დამინახავს. მასში ოთხი პიროვნება იჯდა. ერთ-ერთი მათგანი გადმოვიდა და მკითხა — ამ გზით ტბასთან მისვლა შეიძლება თუ არა, სათევზაოდ მივდივართო. ვუპასუხე — ამ გზით ტბასთან, თანაც ამ მანქანით, ვერ მიხვალთ-მეთქი. მაშინ მთხოვეს — მანქანას დაგიტოვებთ და ჩვენ ფეხით წავალთო. უარი ვუთხარი, რადგან მათ მანქანას ვერ ვუყარაულებდი. ამის შემდეგ ისინი წავიდნენ იმ მიმართულებით, სადაც დილით, გარდაცვლილი მამაკაცის გვამი ვიპოვე. ზემოთ აღნიშნული პირი ქართულად მელაპარაკებოდა, დანარჩენებს არაფერი უთქვამთ. ვინც მესაუბრა, დაახლოებით 30 წლის იქნებოდა. მისი ზუსტად აღწერა არ შემიძლია, რადგან ახალი გაღვიძებული ვიყავი და თანაც, ყურადღებით არ დავკვირვებივარ მას. თუ რა ეცვა ტანზე ან რა ფერის, არც ეს მახსოვს. საეჭვო არაფერი შემიმჩნევია მისთვის, პირიქით, საუბრის დასასრულს, ბოდიშიც მომიხადა და წავიდნენ... დილით გავიღვიძე თუ არა, მოვწესრიგდი და ჩემი „კრაზით“ ობიექტისკენ წავედი. მანქანა იქვე მდგარ ექსკავატორთან დავატრიალე და უკუსვლით ექსკავატორისკენ დავწიე. სწორედ მაშინ, სარკეში წყლის გუბე დავინახე, მოწითალო ფერის იყო. გავაჩერე და გადავედი მანქანიდან. ვნახე, რომ ექსკავატორის მუხლუხებს შუა, უფრო მარცხენა მუხლუხთან ახლოს, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი ესვენა. ახლოს არ მივსულვარ. მაშინვე ჩემს უფროსს დავურეკე და ეს ამბავი შევატყობინე... ამასობაში „კამაზი“ გამოჩნდა. გავაჩერე. მძღოლს ჩემი ნაცნობი, ექსკავატორის მძღოლი — ტარიელი ახლდა. მათ ვუთხარი მომხდარის შესახებ. შემთხვევის ადგილისკენ წავედით და მოშორებით დავდექით, გვამთან რომ რამე ცხოველი არ მისულიყო...“

ტარიელ ღვალაძე:

„მანამდე იმ შენობაში მივედი, საწვავის ასაღებად, სადაც ჩვენი სამსახურის უფროსები სხედან. იქ შევიტყვე, რომ ღამით დაცვის წევრი — ჯაოშვილი უცემიათ. სამუშაოდ ექსკავატორისკენ რომ მივდიოდით, „კრაზის“ მძღოლმა გაგვაჩერა და გვითხრა, მამაკაცია მოკლულიო. მე მკვდრის მეშინია და ამიტომ ახლოს არ მივსულვარ. ცოტა ხანში პოლიციის თანამშრომლებიც მოვიდნენ“.

დანაშაულის იარაღი ამოღებული არ არის. სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტისაა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნულ მასრაზე დენთის კვალი არ დაფიქსირდა, ამის გამო ვერ მოხდა მკრტიჩიანის თითებზე დაფიქსირებული დენთის კვალის იდენტიფიცირებაც.

აღსანიშნავია, რომ დენთის კვალი შპს „ჯიგილემის“ მემანქანის — ტარიელ ღვალაძის მარჯვენა ხელის თითებზეც აღმოჩნდა. თუმცა, სამართალდამცველების თქმით, ეს საკმარისი საფუძველი არ არის ღვალაძეზე ეჭვის მისატანად, რადგან ის მემანქანეა და იმ პერიოდშიც სისტემატური შეხება ჰქონდა მაზუთთან, საპოხ მასალებთან და ა. შ. ამ ნივთიერებებმა კი, შესაძლოა, თითებზე იგივე კვალი დატოვოს. რაც შეეხება მკრტიჩიანს, თავად ამბობს, რომ ასეთ მასალებთან მას შეხება მკვლელობის წინადღეს — 30 მაისს არ ჰქონია. „იმ პერიოდისთვის საღებავებთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია. რაც შეეხება მაზუთს და საპოხ მასალებს, მოგახსენებთ, რომ დილაობით, როცა ობიექტზე მიდიოდნენ მძღოლები, მათ ტექნიკის დაქოქვაში ვეხმარებოდი ხოლმე. ტექნიკა გაპოხილი იყო საპოხი მასალებით და მასთან შეხების შემდეგ ხელს საპნით ან ფხვნილით ვიბანდი, ან მიწით ვიხეხდი. 2006 წლის 30 მაისს, ტექნიკის დაქოქვაში არავის მივხმარებივარ, მაგრამ შეიძლება, წინა დღეებში დავეხმარე ვინმეს, ზუსტად არ მახსოვს. ჩემი სიტყვების დადასტურება იქ მომუშავე მემანქანეებსა და მუშებს შეუძლიათ“, — წერს ჩვენებაში **მკრტიჩიანი**. ამასთან დაკავშირებით გამოძიებას არავინ დაუკითხავს. როგორც ჩანს, რატომღაც, მკრტიჩიანის სიტყვებს მოწმეების გარეშეც ენდვნენ და მის მიმართ ყოველგვარი ეჭვი გაქარწყლებულად გამოაცხადეს...

დაზარალებული მხარე პრეტენზიებს გამოთქვამს სხვა მნიშვნელოვან მტკიცებულებებთან დაკავშირებითაც. ლაპარაკია მოკლულის იმ ტანსაცმელზე, რომელიც მას მკვლელობის ღამეს ეცვა. ტანსაცმელი და „ბოტასები“ სველი იყო, როცა სამართალდამცველებმა ის პოლიეთილენის პარკში მოათავსეს და დალუქეს. აღნიშნული ტანსაცმლის გამოკვლევა გამოძიებისთვის აუცილებელი უნდა ყოფილიყო, რადგან შესაძლოა, მათზე დამნაშავის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაფიქსირებულიყო. ამის მიუხედავად, დალუქული ნივთები ექსპერტიზაზე რატომღაც, მხოლოდ მკვლელობიდან თვეების შემდეგ — 2006 წლის აგვისტოში მოხვდა. სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ფუთაში მოთავსებული ტანსაცმელი და „ბოტასები“ დაობებულია და ბიოლოგიური კვლევისთვის უვარგისია.

„გამოძიებას უამრავი ინფორმაციის მოპოვება შეეძლო და ამ მკვლელობასაც გახსნიდნენ, ობიექტურობა რომ გამოეჩინათ. 26 წლის შვილი მომიკლეს და არავის აინტერესებს იმის გარკვევა, თურისთვის ან ვინ ჩაიდინა ეს საზარელი დანაშაული. უკვე რამდენი ხანი გავიდა და ჯერ ყველა მოწმე დაკითხული არ ჰყავთ. გამოძიებას არ დავუკითხივარ არც მე — დაზარალებული. ამას წინათ, დაცვის სამსახურის უფროსის ოჯახის წევრი მოვიდა ჩემთან და მითხრა — ჩვენ რას გვერჩი, მკვლელები თვითონ დადიოდნენ შენს სახლშიო... მე არ ვიცი, ვის გულისხმობდა. ამის შესახებ გამომძიებელს ვუთხარი და ვთხოვე, დაეკითხა ის პიროვნება. ხომ უნდა დაინტერესებულიყო და გაერკვია, ვის გულისხმობდა?! მაგრამ — ამაოდ. დანაშაულის გასახსნელად, ჯერ არც ერთი რეალური ნაბიჯი არ გადადგმულა“, — ამბობს მოკლულის დედა.

სხვათა შორის, უგულისყურობისა და არაპროფესიონალიზმის კვალი სისხლის სამართლის საქმეს ნამდვილად ეტყობა. თარიღებთან დაკავშირებით შეცდომები ფიქსირდება ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებშიც, როგორიცაა ექსპერტიზის დასკვნა. მაგალითად, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ გამოსაკვლევი მასალები შს სამმართველომ მათ 2006 წლის 9 მაისს გადასცა — მაშინ, როდესაც მკვლელობა თითქმის ერთი თვის შემდეგ — 2006 წლის 31 მაისს მოხდა...

მზია არჩვაძე, *მოკლულის ბიცოლა:*

„პავლე საოცარი ბუნების ადამიანი იყო. ზედმეტს არავის არაფერს ეტყოდა. გამორიცხულია, მას ვინმესთან კონფლიქტი მოსვლოდა. პატარა ბავშვსაც კი რაიმე საყვედური რომ ეთქვა მისთვის, სიტყვას არ შეუბრუნებდა, პირიქით, თვალზე ცრემლი მოადგებოდა. არც არავის ვალი ჰქონია ოდესმე... გამოძიებამ მოწმეები მხოლოდ შემთხვევის დღეს — 31 მაისს დაჰკითხა და ისინი მომხდართან დაკავშირებით ზედაპირულ ჩვენებებს იძლევიან. მოვითხოვთ მათ დეტალურ დაჰკითხვას. თავიდან უნდა დაიკითხოს მკრტიჩიანიც. ერთ ჩვენებაში წერს — მამუკა დავითაშვილმა პავლე სუფრიდან საღამოს 8 საათზე წაიყვანა ობიექტზეო, მაშინ, როცა 9-დან 10 საათამდე ტელეფონით დედა ესაუბრა პავლეს, მან კი უთხრა, არტურთან ვართ ობიექტზე, ლუდს ვსვამთო. სხვა ჩვენებაში ამას თავად მკრტიჩიანიც ადასტურებს. ხომ უნდა იკითხოს გამოძიებამ, რატომ იძლევა განსხვავებულ ჩვენებებს?! ცრუჩვენებებისთვის მაინც არ უნდა აგოს პასუხი? ხელმეორედ უნდა დაიკითხონ ბაზაძეებიც და დავითაშვილიც, რომელმაც პავლე ბოლოს ნახა და ობიექტზე დატოვა... ჩვენ საქმის ობიექტურ გამოძიებას და დამნაშავის (თუ დამნაშავეების) დაკავებას და ამ სადისტური მკვლელობისთვის მის დასჯას მოვითხოვთ“.

სამართალდამცველები მოკლულის ოჯახის წევრების პრეტენზიებს არ ეთანხმებიან, მიიჩნევენ, რომ გამოძიება კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს. დაზარელებულმა მხარემ კი, მომავალში მოსალოდნელი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, ახლახან ადვოკატი დაიქირავა. ისინი გაჩერებას არ აპირებენ...

■

როგორ მივაღწიე მიზანს

ყავა ავტობუსში, ძმაკაცის ქალს ხელს ნუ ახლებ და გაუმარჯოს თავისუფლებას!

მარი ჯაშარიძე

24372

თუ არსებობს მიზანი, ყოველთვის მოიძებნება გზა მის მისაღწევად. ჩვენი მკითხველები მიზნად ისახავენ, ნებისმიერი მეთოდით მიიპყრონ ჩემი ყურადღება და საამისოდ უამრავ ხერხს მიმართავენ. მაგალითად, სვამენ უცნაურ შეკითხვებს. უკვე იცით, რომ ჩემთან მოსული მესიჯებიდან საინტერესო აზრებსა და გამონათქვამებს ვინახავ და დროდადრო თქვენც გაცნობთ. ამჯერად „გზავნილებს" თქვენი მესიჯებიდან ამოწერილი კითხვებით დავიწყებ, რომლებზე პასუხსაც ჩემგან ელით. ვინაიდან ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გამიჭირდა, იქნებ, თქვენ დამეხმაროთ? აი, კითხვებიც: — მარი, ქალი ხარ და იქნებ, იცოდე, როგორ ახერხებს ჩემი ცოლი, მანქანის სალონში უცხო სუნამოს სუნის ამოცნობას?

— დალეული ლუდის რამდენი პროცენტი გამოიყოფა საუნაში ოფლის სახით?

— რატომ იხარჯება ჩემი ხელფასი ასე სწრაფად?

— არსებობს თუ არა გამელოტების საწინააღმდეგო საშუალება?

— როგორ გავხდე ძლიერი და მოხდენილი ისე, რომ კომპიუტერიდან არ ავდგე?

— რომელ ინსტიტუტში ისწავლება ის ენა, რომელზეც „კომპიუტერშიკები" ერთმანეთს ელაპარაკებიან?

— დავირუსებული დისკი ერთი საათით სამპროცენტიან ფორმალინის ხსნარში რომ ჩავდო, ვირუსი გადარჩება?

— ვაა, ნუთუ უკვე დილაა?!

— რა ჰქვია იმ ქალს, ვისთანაც ჩემი ქმარი დადის?

— მარი, რა ვუყო სიდედრს?

ეს მხოლოდ ნაწილია იმ კითხვებისა, რომელიც ბლომად დამიგროვდა. დანარჩენს სხვა დროს გაგაცნობთ. ახლა კი, პირველი რესპონდენტის მესიჯი. წაკითხვის შემდეგ მიხვდებით, რომ მიზანი ყოველთვის ვერ ამართლებს... რას? — არა, საშუალებას — არა — მოლოდინს...

სასტიკი შურისძიება

„ჩემმა სტუდენტობამ სტუდქალაქში ჩაიარა. ჩემთან ერთად ოთახში გურული ზაზა და იმერელი გია იყვნენ. რა თქმა უნდა, პირველსავე დღეებიდან დავმეგობრდით. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ ერთი სართულით ქვევით „ახალი" გოგონები შეუსახლებიათ. დასაზვერად წავედი და ორივეს გაცნობა მოვახერხე. ერთ-ერთი მათგანი ძალიან შეუხედავი იყო, მეორე — ნამდვილი ანგელოზი. ისეთი მეორდ, ნეფუ ლი და ფეხები ჰქონდა — მოვიხიბლე და დავდნი, მისი შემხედვარე. მას ჩემს გულში ბაჭია დავარქვი და ნაცნობობის გამყარების მიზნით, გოგონები ჩვენს ოთახში დავპატიჟე. ვივახშმეთ და სასმელიც მივირთვით. ბიჭებს თვალები უციმციმებდათ, რის გამოც, გოგონების წასვლის შემდეგ, მცირე კონფრონტაციამდე მივედით. იმისათვის, რომ მეგობრებს შორის ჩხუბი თავიდან აგვეცილებინა, გურულმა შემოგვთავაზა — ასანთის ღერებით ლატარია გაგვეთამაშებინა და ვისაც ბედი გაუღიმებდა, გოგონაც „იმას დარჩებოდა". გავითვალისწინე მოწინააღმდეგე მხარის რიცხვობრივი უპირატესობა და ამ წინადადებაზე დავთანხმდი. საერთოდ, იღბლიანი ადამიანი ვარ და ამ შემთხვევაშიც გამიმართლა. ასანთის მოკლე ღერი მე შემხვდა და გოგონაც „დამრჩა". სასმელი კიდევ დავლიეთ და დავიძინეთ. სიზმარშიც იმას ვხედავდი, თუ როგორ ვეფერებოდი ჩემს ბაჭიას. გიას ღმუილმა გამომაფხიზლა — ის თითს იშვერდა კარისკენ და სასაცილოდ იმანჭებოდა. შემდეგ გარეთ გავარდა. მეც უკან მივყევი. ერთი სართულით დაბლა, ჩვენი ახალი ნაცნობების ოთახთან შეჩერდა და კარს ყური მიადო. იქიდან გოგონას კისკისი და მამაკაცის მოგუდული სიცილი ისმოდა. სახელური ჩამოვწიეთ, კარი ღია დაგვხვდა და ოთახში აღმოვჩნდით. ჩვენი ზაზა და ჩემი ბაჭია ნებივრად კოტრიალებდნენ საწოლში. მე და გიამ მეგობარი ლოგინიდან გადმოვათრიეთ და ის იყო, გემრიელად უნდა მიგვეუჟუჟა, რომ დამსახურებული შურისძიებისგან ვახტიორმა იხსნა. სოციალური სამართლიანობის დაცვით, მე და გიამ 2 დღე-ღამის განმავლობაში ზაზა შინ არ შემოვუშვით. დღესაც არ ვიცი — სად ათევდა ღამეს ჩვენი „თანამეოთახე" (თუმცა, რა ძნელი მისახვედრი ეგ იყო?!.), მაგრამ ერთ დღეს თხოვნით მოგვმართა, რომ უკან დაგვებრუნებინა. დავთანხმდით და მის აღზრდას შევუდექით. თეორიული მეცადინეობები თავში წამორტყმის თანხლებით მიმდინარეობდა. ის კი ხმას ვერ იღებდა. ასე მიაღწია მიზანს „გაქექილმა" გურულმა. მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. რამდენიმე დღის შემდეგ, ზაზამ ყურები ჩამოყარა. დაკითხვის შემდეგ კი გამოტყდა, რომ ვენერიული დაავადება ჰქონდა (ხომ გეუბნებოდით, იღბლიანი ვარ-მეთქი!). ამჯერად, უკვე ჩვენს ქუჩაზე მოვიდა გაზაფხული. ვურჩიეთ, რომ ვენდისპანსერში წასულიყო, მაგრამ ვერ გარისკა, რადგან მაშინ სულ სხვა დრო იყო — ექიმი ამ ამბავს აუცილებლად შეატყობინებდა დეკანატს და ზაზას ამორალური საქციელისთვის ინსტიტუტიდან გარიცხავდნენ. რომანის გმირი კუდში დამდევდა და პატიებას მთხოვდა, რომ მისთვის სასწრაფოდ ძმური დახმარება გამეწია. 2 დღის შემდეგ დავთანხმდი. ზაზა დატრიალდა და საიდანღაც წამალი და შპრიცი მოიტანა, რომელსაც

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი ბლაგვი ნემსი ჰქონდა, რომ ცხადი იყო — მისით საერთო საცხოვრებლის არაერთ თაობას უსარგებლია. სულ 5 ინიექცია უნდა გამეკეთებინა. ზაზა ძალიან ნერვიულობდა. მე

დავამშვიდე, ვუთხარი, რომ თითოეულ პროცედურას ისე ჩავუტარებდი, როგორც 22 წლის მედდა. ზაზა საწოლზე პირქვე დაწვა და საჯდომი გაიშიშვლა. იქვე ტრიალებდა ჩემი „საბრძოლო მეგობარი“ — გია. ზაზას თავზე გამოცდილი ვეტერინარივით დავადექი, ბლაგვი ნემსითა და მის მიმართ სიბრალულის გრძნობით განმსჭვალული. თურმე, ბიცილინი შპრიცში იყინება. ამის გამო, თითო ინიექციისთვის 10-15 ჩხვლეტის გაკეთება მიხდებოდა. ზაზა ღმუოდა და სიმწრით თითებს იჭამდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა გაეძლო. 5 დღის მანძილზე მასზე ისე ვიძიე შური, რომ მკურნალობის ბოლოს ზაზაზე გაბრაზებული აღარ ვიყავი. ასე ძვირად დაუჯდა ჩემს მეგობარს მიზნის მიღწევა. სამაგიეროდ, ჭკუა ისწავლა და მსგავსი შეცდომა აღარ ჩაუდენია“.

ალბათ, არავინ შემომედავება, თუ ვიტყვი, რომ მამაკაცის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ქალის მოხიბვლა წარმოადგენს. ვიდრე შემდეგ ამბავს გაგაცნობდეთ, მინდა, ორიოდე სიტყვით ქალის მოხიბვლის სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციებზე გაგესაუბროთ. შორეულ ავსტრალიაში, შეყვარებული თავზე „ჩილარას“ (ევკალიპტის ქერქით გაპრიალებული ტყავის სარტყელი) იკეთებს, ქამარზე კი ნიჟარების ასხმულას — „ლონკა-ლონკას“ ჩამოიკიდებს ხოლმე. ამგვარად გამოწყობილი ავსტრალიელი ცდილობს, რაც შეიძლება ხშირად შეეფეთოს თავის რჩეულს. ამ დროს ის დუმს, მაგრამ ნაზი მზერით, „ჩილარისა“ და „ლონკა-ლონკას“ საშუალებით, ხვაშიადს უმხელს... ახალი გვინეის მცხოვრები მეტისმეტად თავისებურად უხსნის სიყვარულს თავის რჩეულს — ვაჟი მივარდება ხოლმე ქალიშვილს და ლოყაზე ტრადიციული ორნამენტით მოჩუქურთმებულ ხის ქერქს უსვამს, ამით ოფიციალურად სთხოვს — ცოლად გამომყევიო... კონგოელი ვაჟი თავის რჩეულს შემწვარ ფრინველს სთავაზობს და ეუბნება: ჩემ მიერაა მოკლულიო... მადაგასკარის მცხოვრებნი ქოქოსის კაკალს უძღვნიან სატრფოს, რომლიდანაც ეს-ესაა, თვითონ მოსვეს რძე... ცეილონზე საკმაოდ სენტიმენტალურად იქცევიან — ვაჟი ქალიშვილს საკუთარი თმის კულულს უძღვნის საჩუქრად... ფრანგები გალანტურ კავალრებად მიიჩნევიან და ენაც კარგად უჭრით, მაგრამ ძველი ჩვეულების თანახმად, სატრფოს პირველად, თეთრ ვარდებს უძღვნიან, მერე — ვარდისფერს და ბოლოს — ალისფერს... შემდეგი მესიჯიდან გავიგებთ, თუ როგორ უხსნიან სიყვარულს რაჭველები და როგორ აღწევენ ისინი მიზანს...

ხანძრის შედეგი

„მინდა მოგიყვეთ იმის შესახებ, როგორ მიაღწია მიზანს ჩემმა ქმარმა და როგორ დავქორწინდით. მე და ჩემი მომავალი მეუღლე ერთ ეზოში გავიზარდეთ. ის ჩემს სადარბაზოში, 3 სართულით ზევით ცხოვრობდა. ვიდრე სულ პატარები ვიყავით, აცხადებდა — მიყვარსო, მაგრამ რომ წამოვიზარდეთ, ხმასაც აღარ იღებდა. მისი სიყვარულით ვიტანჯებოდი, მაგრამ სკოლა ისე დავამთავრეთ (ერთ კლასში ვსწავლობდით), რომ მისგან გრძნობის გამხელას ვერ ვეღირსე. არადა, ვგრძნობდი, რომ ძალიან ვუყვარდი. როგორც კი საშუალება მომეცემოდა, მაშინვე პროვოცირებას ვუწევდი, რომ იქნებ, წამოსცდენოდა ის სიტყვა, რომლის გაგონებასაც ველოდი. სკოლის დამთავრების შემდეგ, სტუდენტები გავხდით, ის მაინც გაჩუმებული იყო. ხანდახან ვაეჭვიანებდი და მის დასანახავად, სხვა ბიჭებს ვეკეკლუცებოდი; მეორე დღეს ის ბიჭი ნაცემი მოდიოდა ლექციებზე... წლები გავიდა, ორივე ვმუშაობდით, ჩვენ შორის არაფერი იცვლებოდა. დედაჩემი მეუბნებოდა ხოლმე: გათხოვდი, შვილო, ხომ ხედავ, ეგ ჩემი ცოდვით სავსე, არაფერს აპირებს, მაგის ლოდინში გაუთხოვარი დარჩებიო. დედამისი რომ დამიმარტოხელებდა, მაშინვე თავისი შვილის უნიათობაზე იწყებდა ლაპარაკს: რა ვუყო, ამ უვარგისს, ჩამოგახმო გოგო, თვითონ კი ყურს არ იბერტყავს, არადა, რომ იცოდე, როგორ უყვარხარ, მაგრამ რაჭველია, როდის მოიფიქრებს დაქორწინებას, ღმერთმა იცისო... ამასობაში, 32 წლის გავხდი. ერთ მშვენიერ დღეს, მშობლები სოფელში გავისტუმრე, მე კი სახლის დალაგება დავიწყე. ლოგინები გასამზეურებლად გავიტანე და ფანჯრის რაფაზე დავალაგე. ცოტა ხანში, რაღაც დამწვრის სუნი მეცა. სუნს მივყევი და რას ვხედავ? — ჩემს ბალიშს ცეცხლი უკიდია. წყლის მოსატანად ოთახში შევბრუნდი. ვხედავ, მხრჩოლავ ბალიშს ვიღაც ზემოდან წყალს ასხამს — ჩემი გულის მკვლელი გადმოყუდებულა ფანჯარაში და ხანძრის ლიკვიდაციას საკუთარი ფანჯრიდან ცდილობს. მივხვდი, რომ ხანძარიც მისი გაჩენილი იყო. ბევრი არ მიფიქრია, სახლში „ავეჭერი“ და „ომახიანად“ დავაკაკუნე. კარი რომ გამიღო, შეცბა. ხანძარი შენ გააჩინე-მეთქი? — ვკითხე და დოინჯშემოყრილი დავდექი. დანაშაული აღიარა: სიგარეტის ნამწვი გადმოვაგდე და შემთხვევით შენს ბალიშზე დავარდაო. ვკითხე: მერე, მწვავდი-მეთქი?.. გაჩუმდა და უცნაური თვალებით მომაშტერდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. თუ გინდა, რომ გაპატიო, ახლავე წამოდი და სახლის დალაგებაში მომეხმარე, ავეჯი უნდა გადავაადგილო და მარტო ვერ შევძლებ-მეთქი, — ვუთხარი. უარი არ უთქვამს. მთელი დღე ერთად ვსაქმიანობდით, საღამო ხანს კი, ვახშამი გავამზადე და სუფრასთან მივიპატიჟე. სახლი ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო დალაგებული. დივანის ბოლოში გადასაყრელად გამზადებული წვრილმანები ეყარა. ჩემმა „საოცრებამ“ იქ გასაღების ასასხმელი რგოლი იპოვა და ხელში აწვალებდა. ვივახშმეთ და საუბარს შევყევით. მიყურებდა და იღიმებოდა. უეცრად ადგა, ჩემთან ახლოს მოვიდა, ჩემი ხელი აიღო და მარჯვენა ხელის არათითზე ის გასაღების რგოლი გამიკეთა. ვკითხე — ეს რა არისმეთქი? ამოილუღლუღა — ცოლად გამომყევიო. გახარებული ვეცი და ჩავეხუტე, თან სიხარულის ყიჟინა შემოვცხე. იმ საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებულმა დედამისმა ეს ამბავი რომ შეიტყო, სულ პირჯვარი იწერა — მადლობა ღმერთს, რომ ამ ბიჭმა რაღაც მოიფიქრაო!.. შემდეგ, როცა გაიგო, ჟანგიანი რკინის რგოლით ვიყავი დანიშნული, ბევრი იცინა და ნამდვილი ოქროს ბეჭედი მაჩუქა. მოკლედ, ასე გავთხოვდი კაცზე, რომელსაც 30 წელი ვიცნობდი და მთელი ცხოვრება ერთმანეთი გვიყვარდა. ის ჟანგიანი „ბეჭედი“ კი, დღესაც შენახული მაქვს და სიმართლე გითხრათ, ქვეყნის ოქროს მირჩევნია“.

ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. როდესაც ქალ-ვაჟი ქორწინდება, ყველაფერი კარგად ეჩვენება და ბედნიერ მომავალზე ფიქრით იწყებს თანაცხოვრებას. მაგრამ რეალობა მკაცრია და შესაძლოა, რამდენიმე წლის შემდეგ, სიყვარული ისე გაქრეს, როგორც შარშანდელი თოვლი და ოჯახი ბორკილად, ქმარი კი — ზედმეტ ტვირთად იქცეს. როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ დროს, რომ „გალიიდან“ გათავისუფლდეთ?.. ჯერ, ერთი რჩევა — ჩემგან, ხოლო შემდეგ, გაცილებით „კომპეტენტური“ — რესპონდენტისგან. ჩემი „რეცეპტი“ ძველთაძველია, მაგრამ სწორედ ამაშია მისი ფასი. ყოველთვის

ყველაფერი თქვით იმის საწინააღმდეგოდ, რასაც ქმარი ამბობს. შავზე თქვით — თეთრია-თქო, თეთრზე — შავია-თქო. თუ თქვენს ქმარს დამთმობი, მშვიდი ხასიათი აქვს, ყოველ წუთას მზად იყავით ჩხუბის ასატეხად. თუ საკმარის „უჯიათობას“ გამოიჩენთ, შედეგს სულ მალე მიაღწევთ...

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!..“

„გამარჯობა. მე ლანა ვარ. პირველად გწერთ და ძალიან გამიხარდება, თუ ჩემს ამბავს „გზავნილებში“ ვიხილავ. საქმე ის არის, რომ 8-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გადავწყვიტე — ქმარს გავშორებოდი. ეს გახლდათ ჩემი მიზანი, რომელსაც დიდი მონდომების შედეგად მივაღწიე. ჩემი ძვირფასი მეუღლე გარეთ ისეთი კარგი იყო, მეგობრები ისეთ პატივს სცემდნენ და ისე უყვარდათ, არავინ დაიჯერებდა, რომ ჩვენი განშორების მიზეზი სწორედ ის იყო. მე კი, უკვე აღარ შემეძლო მისი ატანა. დავიწყე ისეთი მიზეზის ძებნა, რომელიც ჩემს წისქვილზე დაასხამდა წყალს — ჩემი დაბადების დღე იყო. საღამოს, შინ დაბრუნებულმა მეუღლემ საჩუქარი მომიტანა. როდესაც კოლოფი გავხსენი, შიგ საზაფხულო ქსოვილის ჩანთა აღმოვაჩინე. შუბლი შევიკარი და სახეზე უკმაყოფილება „დავიხატე“. მკითხა: რა იყო, საჩუქარი არ მოგწონსო? — მე კარგ სარაფანზე ვოცნებობდი, შენ კი ჩანთა მიყიდე, თანაც ქსოვილის, ტყავის მაინც გეყიდა-მეთქი. გაოგნებული მიყურებდა, მივხვდი — თუ კიდევ არ დავამატებდი რამეს, ჩხუბი არ შედგებოდა. ამიტომ დავიწყე მისი ლანძღვა — უგემოვნო, სულელი, იდიოტი, რეგვენი ვეძახე. კარგა ხანს ითმინა, მაგრამ იმდენი ვქენი, რომ ხელჩართულ ჩხუბში ჩავითრიე. მეც ეს მინდოდა. მეორე დღეს, თვალჩალურჯებული, მის ერთ-ერთ მეგობარს მივადექი და ტირილ-ტირილით ვუამბე — როგორ ჩამაშხამა დაბადების დღე. მერე დედამთილს ვეწვიე და ასე ჩამოვიარე თითქმის ყველა ჩვენი საერთო ნაცნობი. რამდენიმე დღის შემდეგ კი, შინიდან წამოვედი და დღემდე მარტო ვცხოვრობ. მივაღწიე იმას, რომ ქმარს გავცილდი და თანაც ისე, რომ მე არავინ მამტყუნებს“.

რას არ გაიგებ ადამიანი?! მსგავსი პროვოკაცია არ მსმენია. ამასთან დაკავშირებით, ერთ ანეკდოტს მოგიყვებით:

გურულს ეკითხებიან:

— ყველაზე დიდი ბედნიერება რა არის?

— რაი და ქალს რომ მეიყვან და ბაღნები რომ გეყოლება, იგია დიდი ბედნიერება...

— მაგაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს?

— როგორ არა? მაგაზე დიდი ბედნიერება — ცოლს რომ გუუშვებ, იგია...

საწყალი „იმპოტენტი“

„რამდენიმეწლიანი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, სამსახური ვიშოვე — ერთ სოლიდურ ფირმაში მდივან-რეფერენტად. როგორც აღმოჩნდა, თურმე, ჩვენი ფირმის ტელეფონის ნომერი და სატელეფონო ქსელის საპრეტენზიო განყოფილების ნომერი ძალზე ჰგავდა ერთმანეთს. მუშაობის პირველსავე დღეს, უამრავი ადამიანი რეკავდა და მეჩხუბებოდა, რომ დიდი გადასახადი მიუვიდათ, მათ კი ამდენი არ ულაპარაკიათ და პრეტენზიას გამოთქვამდნენ. ერთი სიტყვით, ძალიან შეეწუხდი. ამის შესახებ შეფს რომ ვუთხარი, მითხრა: ჰო, ასეა, სხვებიც შეწუხებული იყვნენ მაგ ზარებით, რაიმე გამოსავალი თავად უნდა მოძებნოო. მიზნად დავისახე, რომ ეს ხალხი ჩამომეცილებინა და ჩემებური ტაქტიკა შევიმუშავე. დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია. ერთმა ქალბატონმა დარეკა და პირდაპირ ლანძღვა-გინებაზე გადავიდა:

— ეს რა არის? თქვე გაოხრებულებო! რა ამბავია, ამხელა გადასახადი?! კვიპროსზე არავინ მყავს, ვის დაველაპარაკებოდი?! არადა, 200 ლარის არის ნალაპარაკევი... ამის გამო პასუხს მოგთხოვთ, გიჩივლებთ...

— ქალბატონო, მეუღლე გყავთ? — ვეკითხები. სიჩუმე ჩამოვარდა.

— დიახ, — კარგა ხნის შემდეგ მესმის პასუხი.

— დამალაპარაკეთ, თუ შეიძლება...

— შინ არ არის. რად გინდათ ჩემი მეუღლე?

— სამწუხაროა, რომ მასთან დალაპარაკებას ვერ ვახერხებ... მაშინ, იძულებული ვარ, თქვენ გაგიმხილოთ, რომ ეგ თანხა ინტიმურ ტელეფონზე ნალაპარაკევის გადასახადია...

— რაااااა?! იდიოტი! იმპოტენტი! დეგენერატი! — ყურმილი დაახეთქა და ამის შემდეგ აღარ დაურეკავს. ასე ვეუბნებოდი ყველას, ვინც პრეტენზიით რეკავდა და თავიდან ვიშორებდი. ნელნელა ზარების რაოდენობამ იკლო, შემდეგ კი, ამ საკითხზე უკვე აღარავინ რეკავდა“.

„ოფიციანტ, ყავა!“

„ერთი გოგო მიყვარდა. ის პირველი კურსის სტუდენტი გახლდათ. ჩემს მეზობელ კორპუსში ცხოვრობდა და კარგად ვიცოდი, რომ ყოველ დილით, 9-ის ნახევარზე შინიდან გამოდიოდა, ყვითელ ავტობუსს ელოდა და უნივერსიტეტში მიდიოდა. მგზავრობას ნახევარ საათზე მეტი სჭირდებოდა. მეც კუდში ავედევნებოდი ხოლმე; თუ საშუალება მეძლეოდა, გვერდით მივუჯდებოდი და საუბრის გაბმას ვცდილობდი, მაგრამ ვერა და ვერ მივიქციე მისი ყურადღება. ჩემი მიზანი ის გახლდათ, რომ ეს გოგონა მომეხიბლა. ერთი რამ მოვიფიქრე და დახმარება მეგობარს ვთხოვე. ვიდრე ავტობუსი ქალაქის ცენტრში არ გავიდოდა, თითქმის ცარიელი იყო ხოლმე. ამიტომ, ჩემი იდეის განხორციელება გამიადვილდებოდა. მოკლედ, ერთ ჩვეულებრივ დღეს, როგორც წესი, გაჩერებაზე ვიდექი და ჩემს გოგონას თვალს არ ვაშორებდი. ავტობუსი მოვიდა, ავედით და მოვახერხე, რომ მის გვერდით დავმჯდარიყავი. საუბარი გავუბი. როგორც სხვა დროს, ის თავსაც კი არ აბრუნებდა ჩემკენ. ვეკითხები: „ყავა ხომ არ დაგველია?“ — არაო, — გააქნია თავი. ვუთხარი: კარგად დაფიქრდი-მეთქი. ცივ უარზე დადგა. ჩემთვის ჩავილაპარაკე: „კარგი, მაშინ მე დავლევ.“ ამოვიღე მობილური, ავკრიბე ნომერი და ხმამაღლა, ყველას გასაგონად ჩავძახე — ყავის შეკვეთა შეიძლება?.. ძალიან კარგი, მაშინ, ამა და ამ გაჩერებაზე ამომიტანეთ... არა, არა, ურძეო... შაქრით... გმადლობთ-მეთქი!.. ტელეფონი გავთიშე და გოგონასთან საუბარი გავაგრძელე. ხალხი გაოცებული მიყურებდა. არანაკლებ გაოცებული იყო გოგონა და ამ თემაზე საუბარში ამყვა კიდეც. ჩემი მიზანიც ხომ ეს იყო! მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. ჩემ მიერ ნახსენებ გაჩერებაზე ჩემი მეგობარი ამოვიდა (რომელთანაც წინასწარ ვიყავი მოლაპარაკებული) და „პოდნოსზე“ დადებული ერთი ჭიქა ყავა ამომიტანა. ლარი გადავუხადე და ისევ ჩავიდა. მძღოლი ხომ გადაირია, ხალხი ხომ გამოშტერდა, გოგონას კი, იმ დღიდან შევუყვარდი. აი, ასე მივაღწიე მიზანს — ხერხი სჯობია ღონესაო — ხომ გაგიგონიათ! ის გოგონა დღეს ჩემი ცოლია და ახლა, თქვენი საშუალებით შეიტყობს სიმართლეს. კარგად!“

დაბნეული რეპერი

„სკოლა წელს დავამთავრე. ჩემი მიზანი, უმაღლეს სააწავლებელში მოხვედრა იყო და ამას მივაღწიე კიდეც. როგორ და რანაირად, ეს ალბათ, არ არის საინტერესო. მინდა, სკოლის დროინდელი ამბავი გავიხსენო. X კლასში ვიყავით. გეომეტრიაში საკონტროლო წერა გვქონდა. მომზადებული არ ვიყავი და მინდოდა, გაკვეთილი ჩაშლილიყო — ან მასწავლებელი ავარიაში მოხვედრილიყო, ან სახლში ხანძარი გასჩენოდა, ან ფეხი მოეტეხა, მაგრამ ის ჩვეულებრივად გამოცხადდა სკოლაში და საკლასო ოთახში შევედით თუ არა, დაფაზე მაგალითების წერა დაიწყო. ჩემ წინ ნიკო იჯდა, რომელსაც რეპერობა უნდოდა და ყურებში მუდამ ფლეიერის ყურსაცვამები ჰქონდა გაჩრილი. ამის გამო, არ იცოდა — საკლასო ოთახში რა ხდებოდა. როდესაც მასწავლებელი დაფაზე წერას მორჩა და თავის მაგიდასთან დაჯდა, ნიკოს ხელი ვკარი. მან ყურსაცვამი მოიძრო და ჩემკენ შემობრუნდა. ვუთხარი: დაფასთან გადი, მასწავლებელმა გაგიძახა-მეთქი. წამოხტა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა

დაფისკენ. რადგან დაფასთან გამოძახებულ ბავშვს მასწავლებელი ამოცანას ახსნევინებს ხოლმე, ამის გამო, ის ცარიელი უნდა ყოფილიყო. ნიკომ ხელი „ჩვარს“ დაავლო, დაფა სასწრაფოდ გაასუფთავა და თვალების ფახულით ელოდა — როდის მისცემდა მასწავლებელი ამოცანას. ჩვენ სიცილით ლამის ჩავბჟირდით, მასწავლებელი კი, სათვალის ზემოდან, გაოცებული უყურებდა და თავს იქნევდა. იმდენი ვიხარხარეთ, რომ გაკვეთილი ჩაიშალა და საკონტროლო წერა მომდევნო კვირისთვის გადაიდო. აი, ასე მივაღწიე მიზანს“.

გარიგება

„უკვე კარგა ხანია, რაც 30 წელს გადავაბიჯე და ჯერ კიდევ გასათხოვარი ვარ. ექთანი გახლავართ და უკვე დიდი ხანია, ერთ-ერთ საავადმყოფოში ვმუშაობ. გაუთხოვრობა მუდმივად ჩემი თანამშრომლების ხუმრობის საკითხია. ძალიან არიან მოწადინებული და ხან ვის მირიგებენ, ხან — ვის. კარგა ხნის განმავლობაში, ერთ მამაკაცზე იყო ლაპარაკი, მაგრამ არაფრის დიდებით არ გავიცანი. ერთ მშვენიერ დღეს კი, ავად გამხდარა და ჩვენს საავადმყოფოში დაუწვენიათ. ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. მის დედასა და ახლობლებს მოულაპარაკებიათ, ჩემთვის

ეთხოვათ, რომ მისთვის ამანათი გადამეცა — ასე მოახერხებდნენ ჩვენი შეხვედრის მოწყობას. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ჩვეულებრივად, ავადმყოფის სანახავად მივდიოდი. როგორც ჩანს, არც ის გაუფრთხილებიათ, რომ სტუმრად ის გოგო მივიდოდა, რომელსაც ურიგებდნენ. ამიტომ, ოთახში შესულს, ასეთი სცენა დამხვდა: საწოლზე წამომჯდარი მამაკაცი საზამთროს ჭამდა და მადიანად ილუკმებოდა. თეთრი, ბატისტის ქსოვილით (ისეთი თავსაფარი ბებიაჩემს ჰქონდა) ყბა ჰქონდა ახვეული, ხოლო ბოლოები თავზე ჰქონდა განასკვული და თავშლის ბოლოები კურდღლის ყურებივით ჰქონდა „აცქვეტილი“. ცელოფანის პარკი იქვე დავდე და სასწრაფოდ გამოვბრუნდი, რომ გარეთ გულიანად მეცინა. შემდეგ, როდესაც მისთვის უთქვამთ, თუ ვინ ვიყავი, ნათესავები ლამის დაუხოცია — რატომ წინასწარ არ გამაფრთხილეთ, ასე როგორ დავხვდებოდიო?!. ამის შემდეგ, ძალიან მოიწადინა, რომ ჩემთან ურთიერთობა დაემყარებინა და უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული, რამდენჯერმე გამომეცხადა, მაგრამ სულ ის სურათი მედგა თვალწინ და მეცინებოდა. ასე რომ, მან მიზანს ვერ მიაღწია და კვლავ გასათხოვარი ვარ“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

ბარმენის სიყვარული

„მარი, თვალებს არ დავუჯერე, როცა ჩემი მესიჯი „გზავნილებში“ ვნახე. დიდი მადლობა, რომ არსებობთ და შეგვიძლია, საიდუმლო გაგიმხილოთ. ინგა“.

„მიზნის მიღწევა ჩემთვის ის იყო, რომ ფრიადოსანი ვავხდი, რაც მეათეკლასელისთვის არცთუ ისე იოლი იყო. ყველას ვურჩევ, რომ უკან არასდროს დაიხიოს, თუნდაც ამისთვის მასწავლებლების „მიჩმორება“ დასჭირდეს“.

„ნინო მიყვარდა. ძალიან კარგი გოგო იყო, მაგრამ სამწუხაროდ, მას არ ვუყვარდი. სულ კუდში დავდევდი. მეუბნებოდა: ვერასოდეს შეგიყვარებო. ერთხელ, მისი ნათესავის დაბადების დღეზე ისე დავთვერი, რომ აივნიდან ვხტებოდი. სულ გადაირია. მაშინ კი მივხვდი, რომ მის გულს ვეღარასდროს მოვიგებდი. მერე გათხოვდა, მეც ცოლი მოვიყვანე, რა თქმა უნდა — უსიყვარულოდ. გოგონა შემეძინა და ნინო დავარქვი. 5 წლის შემდეგ, ჩემს ძველ სიყვარულს შევხვდი. სწორედ მაშინ შევაყვარე თავი. ცოლს გავცილდი, ის — ქმარს და ისევ დავკარგე. მისი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებდი... ახლა, როგორც ვიცი, მეორედ გათხოვდა — ასაკით ბევრად უფროს კაცზე. რად გინდოდა, ჩემო თვალებხატულავ, ეგ ბებერი?! მე გამომყოლოდი... იქნებ, ამ მესიჯმა მაინც შემიმსუბუქოს ტანჯვა. ვიცი, „გზას“ ყოველთვის კითხულობს. ნინო, მიყვარხარ და მენატრები. იქნებ, ერთხელ მაინც შემხვდე სადმე და თვალი მოგკრა? გელა, ბარმენი“.

„ერთმა თავკერძა ბიჭმა თავი შემაყვარა. იცით, როგორი გარეგნობა ჰქონდა? — მაღალი იყო, შავგვრემანი, დიდრონი, წყლიანი თვალებით. მოკლედ, გოგონები რომ გიჟდებიან, სწორედ ისეთი. ჩემ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა, მაგრამ სიყვარულს არ მიმჟღავნებდა. მხოლოდ მისი ძმაკაცები მეუბნებოდნენ — დათოს სიგიჟემდე უყვარხარ და მოგიტაცებსო. ამასობაში, სხვამ მომიტაცა. მე შინ დავბრუნდი. ჩემი და დათოს ურთიერთობა ისევ გაგრძელდა, მაგრამ მივხვდი, რომ დათო კი არა, ის „სხვა“ მიყვარდა. მეც ავდექი და ვინც მიყვარდა, ცოლად იმას გავყევი. ახლა ბედნიერი ვარ, შესანიშნავი ქმარ-შვილი მყავს. დათო კი დღემდე უცოლოა და ფარული ნომრიდან მესიჯებს მიგზავნის ხოლმე. ნაია“.

„მიზნის მისაღწევად ყველაფრისთვის მზად ვარ. როცა მე და ჩემს დაქალს ბანაკში არ გვიშვებდნენ, 6 დღე ორთაჭალაში ვირბინე და როგორც იქნა, გაგვიშვეს. ახლა კი ვნანობ, რადგან იქ გაცნობილი ბავშვები ძალიან მენატრებიან“.

„ჩვენს კოლეჯში ერთი უვარგისი ბიჭი სწავლობდა. მას ვერც ერთი გოგო ვერ იტანდა. ერთხელ მეც მაწყენინა და დავემუქრე — სახალხოდ ბოდიშს მოგახდევინებ-მეთქი. იმ დღიდან, მის ძმაკაცს — დათოს დავუახლოვდი. იმდენი ვიჩალიჩე, რომ თავი შევაყვარე. ერთხელ, იმ უვარგისმა კარში არ გამატარა. დათოსთან შეურაცხყოფილი სახით მივედი და ამბავი მივუტანე, რომ მისი ძმაკაცი სიცოცხლეს მიმწარებდა. გადაირია, ცოფები ყარა და შემპირდა, რომ სახალხოდ ბოდიშს მოახდევინებდა. ლექციების შემდეგ, როდესაც დერეფანი სტუდენტებით იყო სავსე, დათოსთან მივედი და პირობის შესრულება მოვთხოვე. მან თავის უვარგის ძმაკაცს დაუძახა და აიძულა, რომ ჩემთვის ბოდიში მოეხადა. დერეფანში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა და ყველამ გაიგონა — როგორ მებოდიშებოდა. ასე მივაღწიე მიზანს“.

„როგორ მივაღწიე მიზანს?.. ძალიან იოლად. იმიტომ, რომ ძალიან მინდოდა. დედა ახალი დაღუპული მყავს და ალბათ, ჩემი მდგომარეობა ადვილი წარმოსადგენია. ერთ-ერთ ტელევიზიაში ტრიალებს ძალიან ნიჭიერი მომღერლის კლიპი. მივხვდი, რომ მისი სიმღერა ჩემზე დადებითად მოქმედებდა და გადავწყვიტე — ის ბიჭი გამეცნო. მისი ტელეფონის ნომერი გავიგე და დავურეკე. ჩემი მდგომარეობა დაწვრილებით მოვუყევი. მერე მონასტერში წავედი, სადაც მისი მეგობარი გავიცანი. 7 აგვისტოს კი, მიშა სულუხია პირადად გავიცანი და ჩემი ცხოვრება გალამაზდა“.

„პირველად გწერთ. ახლა გამოუვალ მდგომარეობაში ვარ და არ ვიცი, მიზანს როგორ მივაღწიო. ეჰ, ალბათ ასეთია ჩემი ბედი — სიყვარულს ვკარგავ! უცნობი გოგო“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ის, რაც ამ ზაფხულს მოხდა... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61 ან ელექტრონულ მისამართზე: marorita77@yahoo.com გვიამბეთ საზაფხულო თავგადასავლები. ველი თქვენს გამოხმაურებებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



ხუთი წლის წინ რუსეთის ჟურნალ „აქტივისტის“ ჟურნალისტმა თავისი საახალწლო კონკურსის რჩეულს — 17 წლის დიზაინერ **დავით კომახიძეს** ჰკითხა: რას შეუკერავდით ბინ ლადენსო? დათომ უპასუხა: მე მას ვაჩუქებდი კოსტიუმს ჩემი ბოლო კოლექციიდან „საჭურისის ორგაზმიო“. ეს ახალგაზრდა, რუსი ჟურნალისტებისთვის აღმოჩენად იქცა: „სკანდალური მოდელიერი“, „ვუნდერკინდი“, „მოდის სენსაცია“, — ეპითეტებს არ იშურებდნენ მის დასახასიათებლად.

დათო წლებია, რაც ოჯახთან ერთად პეტერბურში ცხოვრობს და მხოლოდ ახლა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოახერხა მეგობარ გოგონასთან — საშასთან ერთად რამდენიმე დღით საქართველოში ჩამოსვლა.

დღეს ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ რუსეთის მოდის სამყაროში დავით კომად ცნობილ ნიჭიერ ქართველ დიზაინერთან, რომელიც საუბრისას ემოციას ვერ ფარავდა: მიხარია, რომ ბევრად უფრო ლამაზი თბილისი დამხვდა, ვიდრე მახსოვდა.

სკანდალური დიზაინერი, სწავლას მოწყურებული მხატვარი, ამბიციური ნათქვამი და ნატვრის ასრულების ხელოვანი David Koma-სგან

ᲘᲠᲛᲐ ᲮᲐᲠᲨᲘᲚᲐᲫᲔ

— ვსწავლობდი პეტერბურგის ჩვეულებრივ სკოლაში, პარალელურად კი — სამხატვრო სკოლაში, სადაც აუცილებელ საგნებთან ერთად, მასწავლებელი გაკვეთილების შემდეგ გვიკითხავდა ლექციებს კოსტიუმების ისტორიაში. ამ ლექციებით ძალიან ვინტერესდებოდი. მაშინ 11-12 წლის ვიყავი. ერთხელ „ნევსკიზე“ მივსეირნობდი და დავინახე პლაკატი — „ახალგაზრდა დიზაინერების საერთაშორისო კონკურსი „ადმირალტეისკაია იგლა“. გავარკვიე, რომ იქ მხოლოდ სტუდენტებს შეეძლოთ მონაწილეობა, მე კი 13 წლის ვიყავი. მაინც გადავწყვიტე, ბედი მეცადა. დავხატე რამდენიმე ესკიზი პირველი ტურისთვის და გავგზავნე. გავოცდი, როცა 1 თვის მერე დამირეკეს და მითხრეს: შეგიძლიათ შეკეროთ ტანსაცმელი და მოგვიტანოთო. შევეკითხე დედას, მამას, მასწავლებელს, ყველამ მირჩია — რადგან ნება დაგრთეს, მიიღე მონაწილეობაო. არც კერვა ვიცოდი, არც მკერავები მყავდა, არც სტუდია მქონდა, მაგრამ რაღაც მაინც მოვახერხე.

— ვის შეაკერინე?

— ნაცნობებმა მკერავი მაპოვნინეს, გავარკვიე, ქსოვილები სად იყიდებოდა და ასე შევაკერინე სამი პალტო. 100-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა იმ კონკურსში. მე 47-ე ადგილი დავიკავე, მაგრამ ეს ჩემთვის დიდი მიღწევა იყო, რადგან ყველაზე პატარა ვიყავი. იმ კონკურსში მომდევნო წლებში კიდევ ორჯერ ვმონაწილეობდი, პარალელურად, ორი კონკურსი იყო: ერთი სმირნოვის, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტარდებოდა და დასკვნითი ეტაპი საზღვარგარეთ ეწყობოდა, მეორე — „Русский Силуэт“, მოსკოვში ტარდებოდა. ორივე კონკურსის ფინალში გავედი.

— და სერიოზული მუშაობა დაიწყე?

— სერიოზული?.. როგორ გითხრათ... უფრო — სტუდენტური: ხალხი გავიცანი, ჟურნალისტები ძალიან დაინტერესდნენ ჩემით, უკვირდათ, ასეთი პატარა დიდ წარმატებებს რომ ვაღწევდი.

— 15 წლის ვიყავი, როცა პეტერბურგის ერთ-ერთ გაზეთში დაიწერა სტატია „ვუნდერკინდი“...

— ერთ-ერთი კონკურსის შემდეგ აიღო ის ინტერვიუ ჟურნალისტმა. იმ დროისთვის 5 თუ 6 კოლექცია მქონდა უკვე გაკეთებული. ძალიან ინტერესდებოდნენ ჩემი კოლექციების სახელწოდებებით და ამიტომაც დამარქვეს „სკანდალური დიზაინერი“, ამ დროს, ნამდვილად არ ვიყავი სკანდალური. ძალიან მიყვარს რეჟისორი პედრო ალმოდოვარი. ჩემს ერთ-ერთ კოლექციას ვუწოდე მისი ფილმის სახელი — „Всё о моей матери“. ძალიან ტრაგიკული კოლექცია იყო. ხალხს ეგონა, დედაჩემს ვუძღვნიდი, მაგრამ ცდებოდნენ. მოკლედ, იყო რაღაც ამდაგვარი პატარ-პატარა სკანდალები და ჟურნალისტებიც დაუზარებლად წერდნენ ჩემზე. მერე... უფრო გავთამამდი, რატომღაც მეტად ვირწმუნე საკუთარი ძალების, გავიცანი ძალიან კარგი პიროვნება, რომელმაც „სანქტ-პეტერბურგის მოდის კვირეულში“ მონაწილეობა შემომთავაზა. იქ არათუ 15 წლის ბავშვი, სტუდენტებიც კი არ იყვნენ. წარმოვადგინე დიდი კოლექცია — 50 ნიმუში ვაჩვენე და „Служанка“ დავარქვი, ვიქტორ ჰიუგოს მოტივების მიხედვით. თავიდან ჟურნალისტები შოკში ჩაცვივდნენ, ჩემი ასაკი რომ შეიტყვეს, ესეც სკანდალად მონათლეს და ყველამ რაღაც სტატია დაწერა ჩემზე.

ჟურნალისტების შეფასებით, ჩემს კოლექციებში იგრძნობოდა ინტელექტიც, სექსუალურობაც და გარყვნილებაც.

— რატომ არქმევდი ცნობილი ნაწარმოებების სახელწოდებებს კოლექციებს?

— რაც მომწონდა, იმას ვარქმევდი. ჟურნალისტების შეფასებით, ჩემს კოლექციებში იგრძნობოდა ინტელექტიც, სექსუალურობაც და გარყვნილებაც. ამ დროს დანამდვილებით გეტყვით, რომ აქ უზრდელური არაფერია.

— ალბათ, სკანდალს თვითონვე ეძებდნენ შენს ნამუშევრებში...

— შეიძლება. მოკლედ, „პეტერბურგის მოდის კვირეულის“ შემდეგ გავხსენი სტუდია, მქონდა საფირმო ნიშანი, გამიჩნდნენ კლიენტები.

— სტუდიის გახსნას ხომ ფული სჭირდებოდა.

— მამაჩემი ყოველთვის მეხმარებოდა ფინანსურად. მითხრა: შვილო, თუ სერიოზულად იმუშავებ, იცოდე, ყოველთვის შენ გვერდით ვიქნებიო. ტანსაცმელიც მეყიდებოდა და შემოსავალიც მქონდა.

— მინდა, გავიხსენოთ რუსეთის ერთი კონკურსი — „Платье Года-2002“-ის პეტერბურგის ეტაპი...

— სერიოზული კონკურსი იყო. იქ გრან-პრი ავიღე.

— ბედნიერი ვიყავი, რომ მეც ვესწრებოდი იმ კონკურსს, სადაც მარტო მაღალი ქულებით კი არა, ჟიურის წევრები — ცნობილი დიზაინერები დიდი აპლოდისმენტებით აჯილდოებდნენ თითოეულ შენს ნამუშევარს. გრან-პრი კი აიღო შენმა ორიგინალურმა სამოსმა, სახელწოდებით — „Внутреннее „Я“ ეს იყო კაბა, რომელსაც მოდელი გოგონა ნელ-ნელა აცლიდა დეტალებს, თითქოს საკუთარ სულში ძვრებოდა, სამოსი კი, ბოლომდე მიმზიდველად გამოიყურებოდა.

— გმადლობ, თბილი სიტყვებისთვის. მოკლედ, ასე ვიმუშავე 3 წელი. ყველანი გავიცანი სანქტ-პეტერბურგში, საკმაოდ პოპულარული გავხდი მოდის მოყვარულთა წრეში, თუმცა თავიდან დიზაინერები არასერიოზულად მიყურებდნენ. მერე შეიცვალა მათი დამოკიდებულება. პარალელურად, ვსწავლობდი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. იქ დიზაინი და მოდა მეორეხარისხოვანი იყო. მეც, უპირველესად, მინდოდა მხატვარი ვყოფილიყავი და მხოლოდ მერე — დიზაინერი, რადგან, თუ არ გაიარე კლასიკური სკოლა და არ ისწავლე კლასიკური ფერწერა, ჩემი აზრით, სერიოზულს ვერაფერს გააკეთებ. ჩემი უდიდესი ნატვრა იყო, მესწავლა ლონდონში, წმ. მარტინის ცენტრში, სადაც სწავლობდნენ ჯონ გალიანო, სტელა მაკარტნი, ალექსანდრ მაქ ქუინი — ყველა ის, ვინც მსოფლიოში ძალიან მაგარია და იმ დროს ჩემი კერპი იყო. 18 წლის გავხდი თუ არა, გამიჩნდა ნატვრის ასრულების და მსოფლიოს საუკეთესო სასწავლებელში სწავლის შანსი და სასწრაფოდ დავხურე პეტერბურგში სტუდია.

— ნამუშევრები სად წაიღე?

— ნაწილი გავყიდე, რაც დამენანა — შევინახე.

— ვინ იყვნენ ძირითადად შენი კლიენტები?

ოჯახთან ერთად

— ჩემი ტანსაცმელი პეტერბურგის ბუტიკებში იყიდებოდა, მოსკოვის ერთ ბუტიკშიც იყო, შეკვეთით ფეხსაცმელსაც ვკერავდით. იცით, როგორი კლიენტებისგან მქონდა შეკვეთები? იქ რომ „Золотая молодёжь“-ს ეძახიან — მდიდარი მამიკოს და დედიკოს შვილებისგან და „სვეტსკი“ სექსუალური ქალებისგან.

— ყველაზე ძვირად რა გაყიდე?

— 2.500-დოლარიანი ულამაზესი პალტო ერთმა მოსკოველმა კლიენტმა იყიდა. საერთოდ, ასეთ დეტალებს არ ვაფიქსირებდი — იყიდებოდა და... მორჩა. 15 წლიდან — პირველი დიდი კოლექციის ჩვენებიდან 4 დიდი კოლექცია წარმოვადგინე. რუსეთის ყველა ჟურნალმა დაწერა მაშინ ჩემს კოლექციებისა და გაყიდვის თაობაზე. ეს იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ახალგაზრდა დიზაინერისთვის მთავარია სტატიები და ჟურნალისტების ყურადღება, ვიდრე ერთი-ორი კაბის გაყიდვა.

— მოდი, ისევ ლონდონს დავუბრუნდეთ...

— ჩავაბარე ლონდონში და ყველამ მირჩია: თუ სწავლობ — ისწავლე და ბიზნესზე ნუ ფიქრობ, თავი გაითავისუფლე ამისგან და მთლიანად შეისრუტე ყველაფერი ახალიო. ისინი მართალი იყვნენ. ლონდონის სკოლაში ჩემთვის ყველაფერი უცხო იყო. რუსეთში, სადაც ვსწავლობდი, ჩემ გარშემო არ იყვნენ



დედასთან ერთად

ძლიერი მოდელიერები, ძლიერი სტუდენტები და რატომღაც მე ვჩანდი.

— ეს არ მოგწონდა?

— როგორ არ მომწონდა, მაგრამ დიდ კონკურენციას ვერ ვგრძნობდი და ეს წინსვლისთვის ცუდი იყო. ლონდონში კი ჩემს კურსზე სწავლობენ ინგლისელები, იაპონელები, კორეელები, ბრაზილიელები, ფრანგები, ჩინელები, აფრიკელები და უძლიერესი სტუდენტები არიან, უძლიერესი ფაკულტეტია და, შესაბამისად, დიდი კონკურენციაა, ამიტომ უფრო მონდომებით ვსწავლობ. მარტო ლონდონში, სადაც გაიხედავ, ყველაფერი შთაგონებას გმატებს. იქ არავინაა უქმად, ყველა რაღაცის მიღწევისკენ ისწრაფვის.

— შენს ფაკულტეტს რა ჰქვია?

— „მოდის დიზაინი — ქალის ტანსაცმელი“. აქ უბრალოდ ლექციას კი არ უსმენ, გასწავლიან აზროვნებას, გაძლევენ პროექტს და შთაგონების წყაროს შენ ეძებ, ცდილობ, რაღაცას მიაგნო და ა.შ. აბსოლუტურად თავისუფალი ხარ. მერე, პროექტი რომ სრულდება, ყველა სტუდენტი თავისი ნამუშევრის პრეზენტაციას აწყობს. ცუდი და კარგი ნამუშევარი, ერთმანეთისგან განსხვავებულია და ეს ძალიან მნიშვნელოვანია: ამ ნამუშევრებით ყველა, თითქოს თავისი ქვეყნის პრეზენტაციას აწყობს, ათასნაირ სტილს ეცნობი და სწავლობ.

— იქ მარტო ერთი ქართველი ხარ?

— არა, ჩემი მეგობარი სხვა ფაკულტეტზე სწავლობს — გუგა ნემსაძე, მეორე კურსზე გავიცანი და ძალიან დავმეგობრდით.

— საერთოდ, იცნობ ქართველ დიზაინერებს და მათ ნამუშევრებს?

— მოსკოვში დავათვალიერე ავთანდილ ცქვიტინიძის კოლექცია, გავესაუბრე კიდეც ავთანდილს, ძალიან მესიამოვნა, რომ ასეთი ძლიერი კოლექცია ჰქონდა ქართველ დიზაინერს. კიდევ, ლონდონში სწავლობდა დიზაინერი ლელა ელოშვილი. ის ახლა თბილისშია და სტუდიის გახსნას აპირებს, ისიც

ძალიან საინტერესო შემოქმედია. ჩვენს სასწავლებელში მესამე წელს გვქონდა პრაქტიკა. 4 თვე ვმუშაობდი ლონდონში ქართველი დიზაინერების თათა-მაკას სამოდელო სახლში. ძალიან ნიჭიერი და პოპულარული გოგონები არიან. მათაც ჩემი სასწავლებელი დაამთავრეს. ლონდონში ძალიან ერთგული ქართველი მეგობრები მყავს, ჩვენი ჯგუფი გვაქვს და ერთმანეთს ვეხმარებით. საერთოდ, იქ კარგი ატმოსფეროა, ძალიან ძლიერი მასწავლებლები არიან და ხვდები, რომ ყველაფერი შესაძლებელია — სწავლობ იქ, სადაც სწავლობდნენ ყველაზე ცნობილი ადამიანები, სწავლობ იმას, რაც მათ ისწავლეს, ზუსტად იმავე პირობებში ხარ და შენზეა დამოკიდებული, მიაღწევ რაღაცას თუ ვერა. როცა მუდმივად ესწრები ლონდონის მოდის კვირეულს, მსოფლიოს ცნობილი დიზაინერების ჩვენებებს და გრძნობ, რომ ყველაფერი, თითქოს მიუწვდომელი, ძალიან ახლოსაა, შესაძლებლობა გაქვს, დიდ წარმატებას მიაღწიო.

— ოღონდ ძალიან უნდა მოინდომო, ალბათ, ხომ?

— 100 პროცენტით, რადგან, რამდენ მილიონ ადამიანს სურს, გახდეს ცნობილი! სადაც არ უნდა სწავლობდე, რამდენი ფულიც არ უნდა გქონდეს, ვინც არ უნდა იყო — თუ არ მოინდომე და თუ არ გაქვს ნიჭი, არაფერი გამოგივა. შეიძლება გაგიცნონ, მაგრამ საუკეთესო ვერ იქნები.

— შენი საუბრიდან როგორც ვხვდები, მოდის მწვერვალების დაპყრობას აპირებ... რომელ კურსზე ხარ?

— ვამთავრებ. ახლა დიპლომს ვაკეთებ ქართულ მოტივზე.

— ალბათ, ამიტომაც ჩამოხვედი თბილისში, და არა მარტო შენ: მთელი ოჯახი — დედა — ლალი ჯინიკაშვილი, მამა — კოკა კომახიძე და ძმა — ბექა ძალიან დიდი ხანია, თბილისში არ შეკრებილხართ...

ნიჭიერი ბევრია, მაგრამ იყო საუკეთესო – ძალიან რთულია, თუმცა – აუცილებელი

ერთ კოლექციაში დედიკოს მოქსოვილი ულამაზესი კაბაც წარმოვადგინე

— აქ 10 წელია, არ ვყოფილვარ. ახლა კი ყველა ერთად ვართ, რაც მთავარია, ოჯახში ახალი წევრი შემოგვემატა, პატარა მარიამი — 1 წლის თბილისში გახდა და რამდენიმე დღის წინ მოვნათლეთ კიდეც.

— ქართულ მოტივზე დიპლომის მომზადება „სისხლის ყივილი" იყო თუ უბრალოდ, მიხვდი, რომ მნიშვნელოვანის მისაღწევად ეროვნული ნიშან-თვისებების გამოყენება აუცილებელია?

— პიტერში, სადაც რაღაცას მივაღწიე, ათასგვარ სტილში ვმუშაობდი, მაგრამ ქართულს არასდროს შევხებივარ. ლონდონში ყველაფერი თავიდან დავიწყე და თამამად ვიტყვი, რომ იქ ჩემი პირველი კოლექცია იქნება სადიპლომი ნამუშევარი, ეს იქნება მოდელიერად ჩემი ხელახლა დაბადება. მინდა, რომ ამის საფუძველი იყოს მხოლოდ და მხოლოდ ქართული, რადგან მე განსაკუთრებულად ვგრძნობ ამას, ძალიან მომწონს და ეს სხვებისთვის უცხოა. იმისთვის, რომ უნიკალური იყო, საჭირო არ არის, ვიღაცას ჰგავდე, შენ უნდა იყო — შენ.

— ამბიციური ნათქვამია...

— თუ უნიკალური არა ხარ, არც არავის სჭირდები. ნიჭიერი ბევრია, მაგრამ იყო საუკეთესო — ძალიან რთულია, თუმცა — აუცილებელი. ბევრს ვსწავლობ, ვშრომობ, საინტერესო გეგმები მაქვს, იდეები ძველი თბილისის ვიწრო ლამაზ ქუჩებში სეირნობის დროსაც გამიჩნდა, მუზეუმებშიც ვიყავი, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერს ხმამაღლა ვერ ვიტყვი. ჯერ მხოლოდ მასალას ვაგროვებ, ლონდონში დავიწყებ დამუშავებას. შევეცდები, ძალიან საინტერესო დიპლომი მოვამზადო.

— რამდენი წლის ხარ?

— 22-ის. იცით, ადრე, კონკურსებში რომ ვმონაწილეობდი, დედისა და მამის მორალური მხარდაჭერა არასდროს მომკლებია და ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ერთ კოლექციაში დედიკოს მოქსოვილი ულამაზესი კაბაც წარმოვადგინე, ფინანსურადაც ხომ მეხმარებოდნენ, მაგრამ ახალგაზრდა დამწყებ დიზაინერებს მაინც მინდა ვუთხრა, რომ ამქვეყნად ყველაფერი შესაძლებელია, თუნდაც არ გქონდეს მატერიალური საშუალება. მე ვიცნობ ისეთ დიზაინერებს, რომლებმაც გრანტები მოიგეს და თავისას მიაღწიეს — სწავლობენ ლონდონში. მთავარია, ძალიან გინდოდეს და მიზნის მისაღწევად, რაღაც ვარიანტი ყოველთვის მოიძებნება, ყოველთვის გამონახავ ფულის შოვნის და სწავლის გზას.

— უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვი?

— სადიპლომო ნამუშევრის წარმოდგენის შემდეგ მაგისტრატურაში მინდა ჩაბარება. თუ ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც ვნატრობ, მექნება ჩვენებები ლონდონში, მოსკოვში, თუ გამიმართლა — საფრანგეთსა და იტალიაშიც.



პიტერში, სადაც რაღაცას მივაღწიე, ათასგვარ სტილში ვმუშაობდი, მაგრამ ქართულს არასდროს შევხებივარ

— და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოხვალ კოლექციით თბილისში?

— ჯერჯერობით შეიძლება, დიპლომის კოლექცია ჩამოვიტანო, მაგრამ არა ბიზნესისთვის, არამედ იმისთვის, რომ ჩემი ნამუშევრები ნახონ ნათესავებმა, მეგობრებმა, გულშემატკივრებმა, მოკლედ — „Праздник для своих" მექნება. ■



მარტოხელა მამები

„ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ შვილები ჩემთან დარჩნენ"

ისევე, როგორც დედობა, მამობაც ბიოსოციალურ ინსტიტუტად მიიჩნევა. თუ დედობა ითვალისწინებს არა მარტო 9 თვის განმავლობაში ნაყოფის მუცლით ტარებას, არამედ შვილის აღზრდასაც, მამობაც ითვალისწინებს ბავშვის აღზრდას. მაგრამ ხშირ შემთხვევაში, მამობა მხოლოდ განაყოფიერების აქტით მთავრდება. ამის თქმის საფუძველს სტატისტიკური მონაცემები გვაძლევს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში 20 ათასზე მეტი მარტოხელა დედაა...

მარი ჯაფარიძე

ძველ დროს მამობა ერთ-ერთ საპატიო მისიად, ხოლო განაყოფიერება — მამაკაცური სიძლიერის დემონსტრირებად აღიქმებოდა. ბავშვების მოვლა ოდითგანვე ქალის საქმედ იყო მიჩნეული. კავკასიის მთიელთათვის სხვისი თანდასწრებით ბავშვის ხელში აყვანა სირცხვილად მიიჩნეოდა...

დღეს თითქოს შევეჩვიეთ კიდეც იმ აზრს, რომ ქალს შეუძლია, ოჯახში მამაკაცის ფუნქციაც შეითავსოს და ქმარზე იოლადაც კი გაუძღვეს. სწორედ ამის გამო, საზოგადოებაში მარტოხელა დედა გაცილებით ნაკლებ თანაგრძნობას იწვევს, ვიდრე მარტოხელა მამა.

2006 წლის 1-ელი იანვრიდან, კიევის საქალაქო ადმინისტრაციამ დააწესა ფულადი დახმარება მარტოხელა მამებისთვის — 700-დან 1.000 გრივნამდე, ხოლო ქალაქის მერმა, თავის მხრივ, — ყოველწლიური დახმარება 10 ახალგაზრდა, მარტოხელა მამისთვის, რომელთა ვინაობას კონკურსის წესით გამოავლენენ. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 35 წლამდე მამაკაცებს, ვინც მარტო ზრდის ერთ ან მეტ შვილს და ცხოვრობს კიევში. კონკურსანტს მოეთხოვება, რომ ჰქონდეს წარმატებები შვილის აღზრდაში, ბავშვს უნდა ჰქონდეს მაღალი ნიშნები სკოლაში; ამასთანავე, ყურადღება ექცევა მამის სამსახურებრივ თუ საზოგადოებრივ აქტიურობასა და საქმიანობაში მიღწეულ წარმატებებს.

როგორ ცხოვრობენ ქართველი მარტოხელა მამები? რა პრობლემები აქვთ და რატომ დარჩნენ ისინი შვილების ერთადერთ აღმზრდელებად? ჩვენს რესპონდენტებს ამ კითხვებზე სხვადასხვაგვარი პასუხი აქვთ.

ვეფხია, 40 წლის:

— მაია საყვარელი მამაკაცისგან შეცდენილი და მიტოვებული გახლდათ. როდესაც ის გავიცანი, ჯერ კიდევ თავისი შვილის მამაზე იყო შეყვარებული, ბიჭუნა კი, სულ ორიოდე თვის გახლდათ. მის გაცნობამდე ცოტა ხნით ადრე საცოლე გამითხოვდა და ერთმანეთს კარგად გავუგეთ — მე ჩემსას ვწუწუნებდი, ის — თავისას, ერთმანეთს ვანუგეშებდით. ასე შევეჩვიეთ ერთად ყოფნას და ერთი წლის შემდეგ, დაქორწინება გადავწყვიტეთ. სხვათა შორის, დათუნა უკვე ღვიძლი შვილივით მიყვარდა.

— თქვენი ოჯახი ამ ქორწინების წინააღმდეგი არ იყო?

-— მხოლოდ დედა მყავს. როდესაც ავუხსენი, რომ განათხოვარ და შვილიან ქალზე ვაპირებდი დაქორწინებას, არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, მაიას ოჯახი გახლდათ წინააღმდეგი, რადგან ბევრი ფული არ მქონდა: მათ თავიანთი შვილის სარფიანად გათხოვება უნდოდათ. მთელ იმედს მაიას გარეგნობაზე ამყარებდნენ. ის ძალიან ლამაზი იყო და ფიქრობდნენ, რომ უკანონო შვილი სულაც არ შეუშლიდა ხელს, რომ მდიდარ კაცს გაჰყოლოდა ცოლად... მაიამ არჩევანი მაინც ჩემზე გააკეთა და ერთ მშვენიერ დღეს, დათუნასთან ერთად საცხოვრებლად ჩვენთან გადმობარგდა. მალე მეორე შვილი — ლევანი შეგვეძინა. ძალიან ბედნიერები ვიყავით. მართალია, ვმუშაობდი, მაგრამ იმდენად მცირე ხელფასი მქონდა, რომ ოჯახს გაჭირვებით ვინახავდი. თუმცა, ამის გამო მაია არასდროს წუწუნებდა. როდესაც მესამე შვილზე დაფეხმძიმდა, ვთხოვე, რომ ბავშვი აღარ გაეჩინა, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა... სწორედ მისი მოწადინებით მოევლინა ქვეყანას სალომე. სხვათა შორის, გოგო გაცილებით საყვარელი ყოფილა. მან ჩემი ცხოვრება თითქოს მთლიანად შეცვალა — ოპტიმისტი გავხდი, ვიშოვე მეორე სამსახური. დღე და ღამე ვშრომობდი, მაგრამ ოჯახს მაინც არაფერი ეტყობოდა. ამასობაში, წლები გავიდა. დათუნა უკვე 11 წლის იყო, როდესაც მეოთხე შვილის მამა გავხდი და ცხოვრება უფრო გაგვიჭირდა. როცა მაიას ვიღაც ჰკითხავდა — ამდენ შვილს რატომ აჩენო? — პასუხობდა: საყვარელი მამაკაცისგან იმდენ შვილს გავაჩენ, რამდენსაც ღმერთი მომცემსო. რა თქმა უნდა, მისგან ასეთი სიტყვების გაგონება მსიამოვნებდა და მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ოჯახს. როდესაც ყველაზე პატარა — პაატა 1 წლის გახდა, მაიამ სამსახურის ძებნა დაიწყო, რომ შემომშველებოდა. ის სამუშაოდ ერთ-ერთ სამშენებლო ფირმაში მივიდა, სადაც საკმაოდ კარგი ხელფასი — 250 ლარი ექნებოდა. იქ გაიცნო ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც ძალიან არ მომწონდა და სულ პრეტენზიას გამოვთქვამდი იმის გამო, რომ მეგობრობდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ, დაქალებმა კერძო საქმის წამოწყება გადაწყვიტეს. ვინაიდან საჭირო თანხა არ ჰქონდათ, სესხი აიღეს და როგორც ხშირად ხდება, დიდ ფულშიც „გადავარდნენ". მევალეები კარს გვიმტვრევდნენ. ამის გამო, მაია ღამეს ხან მშობლების სახლში ათევდა, ხანაც იმ ახალი მეგობრის ნათესავთან და ასე დაწანწალებდა... სწორედ ამ პერიოდში ვიღაც მდიდარი მამაკაცი გაუცნია და მასთან რომანიც გაუბამს... ბუნებრივია, არ მომწონდა, რომ 4 შვილის დედა ღამეს სახლში არ ათევდა, მაგრამ მისი არგუმენტი იმდენად მყარი იყო, რომ ვეღარაფერს ვეუბნებოდი. სხვა რომ ვერაფერი გავაწყვე, ბინა გავყიდე და მისი ვალი ბოლო „კაპიკამდე" გავისტუმრე. ამის შემდეგ, უკვე მიზეზი აღარ ჰქონდა, რომ შინ არ მოსულიყო. ოჯახს ცოტა ხნით დაუბრუნდა, მაგრამ დაბმულივით იყო. ერთ მშვენიერ დღეს კი, შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა. 2 დღის შემდეგ შემომითვალა, რომ დაბრუნებას არც აპირებდა. დამიტოვა 4 შვილი და წავიდა.

— ამის შემდეგ აღარ გინახავთ?

— როგორ არა?! იშვიათად, მაგრამ მაინც, ბავშვების სანახავად მოდის ხოლმე.

— გათხოვდა?

— არა. საყვარელმა მოატყუა — შეჰპირდა, რომ ცოლად მოიყვანდა, 1 კვირის განმავლობაში ერთად იცხოვრეს და მერე დაშორდნენ. მაგრამ მაიას ჩემთან დაბრუნების სურვილი არ გამოუთქვამს. თუმცა, მას უკვე მეც აღარ მივიღებდი.

— ბავშვები უდედოდ ცხოვრებას როგორ ეგუებიან?

— ქალის გარეშე ცხოვრება ძალიან ძნელია, მაგრამ მეტი რა გზა გვაქვს?!. ბავშვები ყველაფერში მეხმარებიან, პატარა — ბაღში დაგვყავს. საღამოობით ერთად ვწყვეტთ — რა გავაკეთოთ ხვალ? რადგან ვმუშაობ, შინიდან დილაუთენია გავდივარ და ოჯახს მათ იმედად

ვტოვებ... მართალია, ბავშვები დედას აღარც კითხულობენ, მაგრამ როცა მაია მოდის, მათ თვალები სიხარულით უბრწყინავთ... როდესაც საღამოს სამსახურიდან ვბრუნდები, შვილები მეხუტებიან, მეუბნებიან, რომ ძალიან ვუყვარვარ და ყველანაირი გასაჭირი მავიწყდება. მერე გაკვეთილებს მაბარებენ, ვახშამს ვამზადებ, ხოლო როცა ისინი დაიძინებენ, ტანისამოსის და ჭურჭლის რეცხვას, რაღაცების დაუთოებას ვიწყებ. უქალოდ დარჩენილი ოჯახის მძიმე ხვედრის შესახებ მხოლოდ ჩემნაირმა მარტოხელა მამაკაცებმა თუ იციან. იმის საშუალება რომ მქონდეს, ბავშვებს ძიძა ავუყვანო ან დამხმარე მყავდეს, ოჯახის გაძღოლა გაცილებით იოლი იქნებოდა. მშობელთა კრებაზე ერთადერთი მამა ვარ — სულ დედები დადიან. კრებიდან დაბრუნებული კი, მათ დატუქსვას ვიწყებ ხოლმე.

— დათუნამ იცის, რომ თქვენი შვილი არ არის?

— დათუნა ჩემი შვილია. მას არაფრით ვარჩევ დანარჩენებისგან და არც კი მახსენდება, რომ სხვა ბიოლოგიური მამა ჰყავს.

— ყველაზე მეტად რომელი პრობლემის მოგვარება გიჭირთ?

— თითქმის ყველა პრობლემას ერთაირად ვუმკლავდები, მაგრამ ყველაზე ძნელი, საოჯახო საქმის გაკეთება ყოფილა. ვერაფერს ვასწრებ, უამრავი საქმე მრჩება გასაკეთებელი.

— ხელმეორედ დაქორწინებას ხომ არ აპირებთ?

— ცოლის მოყვანის სურვილი არა მაქვს. ახლა რომ ვინმეს ჩემზე გათხოვება შევთავაზო, მისი მტერი უნდა ვიყო ან უზომოდ უნდა მეჯავრებოდეს. მე და ჩემი შვილები ერთ მოცუცქნულ ოთახში ვცხოვრობთ — ჩვენც ძლივს ვეტევით და ცოლი სადღა წავიყვანო?!. ერთადერთი, რაც მაღელვებს, ის გახლავთ, რომ სალო უკვე წამოიზარდა. მას ახლა სჭირდება დედა, რომ ერთმანეთს ქალურ პრობლემებზე ელაპარაკონ. მართალია, ჩემს შვილებთან ვმეგობრობ, მაგრამ ხომ არსებობს საკითხები, რომლებზეც საკუთარ გოგონას ვერ დაელაპარაკები!.. იცით, რა კარგი შვილები მყავს?! ოთხივე ერთიმეორეზე უკეთესები არიან. მათი სწავლები გვერდიგვერდ დგას. რომ დაიძინებენ და თვალს გადავავლებ, გული სიამაყით მევსება. დედა არ გვჭირდება, თავს ისედაც მშვენივრად ვგრძნობთ. ამას წინათ, მაია სტუმრად გვყავდა და მან თქვა: დათუნას ჩემთან წავიყვანო. არც ბავშვს უნდოდა წასვლა და არც მე მინდოდა მისი გვერდიდან მოშორება. როცა მაია წავიდა, მარტონი დავრჩით და რომ წარმოვიდგინე — დათუნა ჩვენთან არ იქნებოდა, გული შემეკუმშა. იმ ღამით მის ფეხებთან მეძინა და გულში მაგრად ვიხუტებდი. მეგონა, რომ თუ ახლოს არ ვიქნებოდი, აუცილებლად წამართმევდნენ...

ფსიქოლოგი მარინა რეხვიაშვილი:

— სტატისტიკის მიხედვით, მამაკაცი მარტო იმის გამო რჩება, რომ ამა თუ იმ მიზეზით, ცოლი მისგან წავიდა — ზოგი თხოვდება, ზოგი სამუშაოდ უცხოეთში მიდის, ზოგიერთი კი, უბრალოდ მოვალეობას გაურბის. ასეთი დედების უმეტესობა წლების შემდეგ სინდისის ქენჯნას განიცდის და ცდილობს, ოჯახში დაბრუნდეს. თუ ქმარი არ მიიღებს, შვილების დასაბრუნებლად იწყებს ბრძოლას და კანონიც მის მხარეზეა, რადგან კანონი იცავს ბავშვის უფლებებს და ხშირ შემთხვევაში, სწორედ დედას აღიარებს მისი კარგად აღზრდის გარანტად.

ამ დღეებში, საოლქო სასამართლოში იხილებოდა საქმე შვილების მიკუთვნების შესახებ. მოსარჩელე, 8 წლის წინ ოჯახიდან წასული დედა გახლდათ, ხოლო მოპასუხე — მამა, რომელიც შვილებს ამ ხნის განმავლობაში ზრდიდა... გასაუბრება ორივე მათგანთან მოვახერხე. მართალია, ქალბატონი მანანა ეჭვობდა, რომ მისი მეუღლის ნათესავი ვიყავი და ინტერვიუს ტენდენციურად დავწერდი, მაგრამ საუბარზე უარი მაინც არ უთქვამს.

მანანა, 30 წლის:

— ვიდრე ვასიკოს ცოლი ვიყავი, მთელი 4 წელი გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობდი. ის დილიდან დაღამებამდე შინ არ შემოდიოდა, გვიან მოდიოდა და ისიც — მთვრალი. თითქმის სულ ვჩხუბობდით, ერთმანეთს ვეღარ ვიტანდით. თავს ხომ არ მოვაკვლევინებდი! თანაც, ამოვიდა ყელში ამდენი გაჭირვება, ჩხუბი, აყალმაყალი და გადავწყიტე — საბერძნეთში წავსულიყავი. საბუთები ისე გავამზადე, რომ ეს ამბავი ვასიკომ მხოლოდ ჩემი წასვლის წინადღეს გაიგო. ბავშვები? — ეს იყო მისი პირველი კითხვა, როდესაც ჩემი გამგზავრების ამბავი შევატყობინე. — ბავშვებს შენ გიტოვებ, მოუარე, მიხედე, მე კი ფულს გამოგიგზავნი-მეთქი.

— პირობა შეასრულეთ?

— ძალიან გამიჭირდა, რადგან თითქმის მთელი წელი უმუშევარი ვიყავი. თავს ძლივს ვირჩენდი. შემდეგ, როდესაც სამსახური ვიშოვე, ქმარ-შვილს ფულს ყოველთვიურად ვუგზავნიდი.

— თუ საიდუმლო არ არის, რა თანხას უგზავნიდით?

— ხან 50, ხანაც — 100 ევროს.

— შვილები რამდენი წლის შემდეგ ინახულეთ?

— საბერძნეთიდან ამ გაზაფხულზე დავბრუნდი. რა თქმა უნდა, პირდაპირ შინ მივედი, ბავშვებს მთელი ჩანთა ტანისამოსი და საჩუქრები ჩამოვუტანე, მაგრამ ამ ვაჟბატონმა არც შინ შემიშვა და არც შვილების ნახვის უფლება მომცა... რადგან სხვა გზა აღარ დამრჩენია, შვილები სასამართლოს წესით უნდა დავიბრუნო. საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ბავშვები მე მეკუთვნიან, მაგრამ ვასიკომ გაასაჩივრა და ახლა საქმეს საოლქო სასამართლო იხილავს. იმედი მაქვს, რომ შვილებს დავიბრუნებ.

ვასიკო, 35 წლის:

— როდესაც ჩემი ყოფილი მეუღლე საბერძნეთში წაბრძანდა, უფროსი შვილი 3 წლის იყო, პატარა კი — 11 თვის. ეს მცირეწლოვანი ბავშვები ჩემს იმედად დატოვა და წავიდა. იმის გამო, რომ პატარას ვერავის ვუტოვებდი, იძულებული გავხდი, სამსახური მიმეტოვებინა, მაგრამ თავი და ოჯახი რაღაცით ხომ უნდა მერჩინა! კერძო სახლში ვცხოვრობთ. იქვე, ერთ ოთახში სადურგლო სახელოსნო მოვაწყვე. ხელობა მეხერხება და დავიწყე კერძო შეკვეთების მიღება. ღვთის მადლით, კარგი შემოსავალი მქონდა. დღისით ბავშვის საწოლი სახელოსნოში მედგა და პატარა ძირითადად, იქ იჯდა ხოლმე. თავისთვის თამაშობდა, მე კი ჩემს საქმეს ვაკეთებდი. ბავშვი ისე იყო შეჩვეული ჩაქუჩისა და ხერხის ხმას, რომ საშინელ ხმაურში საათობით ეძინა. შემდეგ ვაჭმევდი, ვუცვლიდი და ისევ მუშაობას ვაგრძელებდი. უფროსი შვილიც იქვე თამაშობდა ხოლმე. საღამოს მათ სარეცხს ვრეცხავდი, სახლს ვალაგებდი, ვახშამს ვამზადებდი... ასე გადიოდა დღეები. მანანა კი, არ ჩანდა. წასვლის დღიდან 8 თვის განმავლობაში არც კი დაურეკავს, შვილების ამბით არ დაინტერესებულა. წელში რომ გავიმართე, ბავშვებს ძიძა ავუყვანე. დღის განმავლობაში მასთან იყვნენ, საღამოს კი, მე ვუვლიდი. ალბათ, ამიტომაც შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სხვა მამებთან შედარებით, შვილებთან განსაკუთრებუ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

1. ჟირაფს კისრის 7 მალა აქვს.

2. უსუფთაო ადამიანს წარუკას ეძახიან.

3. რონალდ რეიგანი ამერიკის მეორმოცე პრეზიდენტი იყო.

4. კონკისტადორი პისარო თავისი მეგობრის შვილმა მოკლა.

5. ფრანკლინ რუზველტი პოლიომიელიტით იყო დაავადებული.

6. რიჩარდ ლომგული არბალეტით მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა.

7. „ღმერთს თუ უყვარხარ, ბავშვობაში კვდები", — ამბობდნენ გლადიატორები.

8. „ბუდტე ტიშე ვადი ი ნიჟე რადაროვ..." — რჩევას იძლევიან რუსი მფრინავები.

9. ჟანა დ'არკის როლში გადასაღებად მილა იოვოვიჩს აბჯარი ალუმინისგან დაუმზადეს.

10. ლაფათა თონეში ლავაშის ჩასაკრავი ბალიშია. იგი ნამჯით ან თივით არის ხოლმე გატენილი.

11. სპარსელთა მეფემ, ქსერქსემ თერმოპილეს ხეობაში 300 სპარტელთან ბრძოლის დროს ორი ძმა დაკარგა.

12. ამერიკელმა ინდიელებმა პატივისცემის ნიშნად ფიდელ კასტროს ფრიად საპატიო საჩუქარი, არწივის ფრთა მიუძღვნეს.

13. თვითმფრინავში არსებული საბორტო ჩანაწერებისათვის განკუთვნილი შავი ყუთი სინამდვილეში ყვითელი ფერისაა. იგი 1100 გრადუსამდე სიცხეს უძლებს, წყალქვეშ კი 6 კილომეტრის სიღრმეზეც არაფერი ემართება.

14. „გრიუნ" (მწვანე) — ასე ერქვა ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის გეგმას, პოლონეთზე თავდასხმის გეგმას — „ვაის" (თეთრი), საფრანგეთზე თავდასხმის გეგმას — „გელბ" (ყვითელი).

15. ელექტრონით მკურნალობა ჯერ კიდევ რომაელმა მკურნალმა და მეცნიერმა სკრიბონიუს ლარგუსმა შემოიღო ჩვენი წელთაღრიცხვით 50 წელს. თავის ტკივილის განსაკურნავად იგი პაციენტებს ურჩევდა, ელექტრონული ზღვის დემონი დაედოთ თავზე.

16. 1953 წელს გამოქვეყნდა მონაცემთა რეიტინგი, თუ რომელი ავტორის თხზულებანი იყო ყველაზე მეტ ენაზე ნათარგმნი. ამ სიაში პირველი ადგილი სტალინს ეკავა. მისი ნაშრომები 101 ენაზე იყო გადათარგმნილი. მეორე ადგილი, ამ სიაში ლენინს ეკავა.

17. პრუსია-საფრანგეთის ომის დროს ლი სიყვარული მაკავშირებს, მათ გარეშე ერთ დღესაც კი ვერ ვიცოცხლებ. ახლა უფროსი 11 წლისაა, პატარა — 9-ის. მათ დედა არც კი ახსოვთ, მასთან წასვლა არ უნდათ და უსამართლობაა, რომ სასამართლო მის მხარეზეა. მანანა 4-5 თვეში ერთხელ გვიგზავნიდა ფულს. იმ თანხიდან ერთი თეთრიც არ გამომიყენებია — მთელი თანხა დავაგროვე და ახლა უკან ვუბრუნებ... წარმოიდგინეთ — როგორ უნდა იცხოვრონ ბავშვებმა უცხო ქალთან?! საკმაოდ კარგი მატერიალური მდგომარეობა გვაქვს. სპეციალური კომისიაც შედგა, რომელმაც ჩემი და ჩემი შვილების ცხოვრების პირობები შეისწავლა და დასკვნაც დაწერა, რომ ბავშვებს სწავლისა და აღზრდისთვის იდეალური პირობები აქვთ; რომ ვარ კარგი მამა და სრული უფლება მაქვს, განვაგრძო შვილების აღზრდა. პირველ სასამართლო პროცესზე მოსამართლემ მე და ჩემს ყოფილ მეუღლეს გვირჩია, რომ მოვრიგებულიყავით და ბავშვები გაგვენაწილებინა. მანანა თანახმა იყო, რომ ერთ-ერთი წაეყვანა. მე კი, ვერც ერთი ვერ გავიმეტე — რომელს შეველიო? ორივე ერთნაირად მიყვარს!

— მანანა რომელზე აკეთებდა არჩევანს?

— დედას უმცროსი შედარებით თბილად შეხვდა — გაუღიმა და დაელაპარაკა კიდეც. უფროსი ახლოსაც არ გაეკარა. ამიტომ, ბუნებრივია, დედამ არჩევანი უმცროსზე გააკეთა. ბავშვები უერთმანეთოდ ვერ ძლებენ. არც კი ვიცი, რა გვეშველება. ძალიან ვნერვიულობ.

— ხელმეორედ არ დაქორწინებულხართ?

— არა. სამწუხაროდ, ძნელი აღმოჩნდა ისეთი ქალბატონის მოძებნა, რომელიც ჩემს შვილებს დედინაცვლობას კი არა, დედობას გაუწევდა. ჩემთვის ყველაზე მთავარი — შვილებია. ამიტომ, ჩემი პირადი ცხოვრების მოსაწყობად, მათ მომავალს სასწორზე ვერ შევაგდებ. მართალია, ვწვალობ, მაგრამ ახლა უკვე გაიზარდნენ. ბიჭი გვერდიდან არ მშორდება, საქმეში მეხმარება, გოგონა კი, მართალია, ჯერ 9 წლისაა, მაგრამ უკვე ქალივით საქმიანობს — საღამოს მე და თავის ძმას სუფრას გაგვიშლის, თვითონაც გვერდით მოგვიჯდება. მერე, პატარა ლეკვივით წამოწვება და ტელევიზორს უყურებს. სუფრის ალაგება რომ ეზარება, მეუბნება: მამა, მე ხომ გავაწყვე, ახლა თქვენ აალაგეთო... ამას წინათ უგუნებოდ ვიყავი და საჭმელი არ ვჭამე. გოგონამ დიდი ქალივით ამოიოხრა — რა მეშველება, როგორი უჭმელი ხარ, მადის მოსამატებელი აბები უნდა გიყიდოო... ასე ვცხოვრობთ მე და ჩემი შვილები. ახლა კი, ვიღაც უცხო ქალს სურს, რომ ჩვენი ოჯახური იდილია დაარღვიოს. ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ შვილები ჩემთან დარჩნენ.

იმავე საღამოს შევიტყვე, რომ საოლქო სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა და შვილები დედას მიაკუთვნა. ბატონი ვასიკო აპირებს, განაჩენი კვლავ გაასაჩივროს...

მამუკა და ანა მამა-შვილი არიან. გოგონა ჯერ 5 წლისაა და უდედოდ იზრდება. ის დედას განგებ არ მიუტოვებია — მეორე შვილის დაბადებას შეეწირა.

მამუკა, 40 წლის:

— მე და მაგდა გარიგებით შევუღლდით, მაგრამ ცოტა ხანში, ერთმანეთი უზომოდ შეგვიყვარდა. ცხოვრება თითქმის ნულიდან დავიწყეთ. ჩემი მშობლებიც და სიდედრ-სიმამრიც რაიონში ცხოვრობენ. მართალია, თითქმის მარტონი ვიყავით, მაგრამ ოჯახს მშვენივრად ვუძღვებოდით. ანა დაბადებიდანვე ჭირვეული და ძნელად აღსაზრდელი ბავშვი იყო. ხშირად ავადმყოფობდა, სულ ტიროდა. მაგდას ღამეები თითქმის არ ეძინა. მატერიალურად არ გვიჭირდა და შევთავაზე, ძიძა აგვეყვანა (დღისით მაინც შეეშველებოდა), მაგრამ ის უარზე იყო. როდესაც მეორე შვილზე დაფეხმძიმდა, ანა წლინახევრის იყო. ვთხოვე: ნუ ვიჩქარებთ, გოგონა რომ წამოიზრდება, მეორე შვილის გაჩენაზე მერე ვიზრუნოთ-მეთქი, — მაგრამ მაინც გადაწყვიტა, ბავშვი შეენარჩუნებინა. წინასწარი გამოკვლევებით ვიცოდით, რომ ბიჭი გვეყოლებოდა. უზომოდ მიხაროდა და ბავშვის დაბადებას დიდი ამბით ველოდი, მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი ცუდად დამთავრდა. მაგდა სოფელში მშობლებთან სტუმრად წავიდა. ბავშვის დაბადებამდე თვეზე მეტი იყო დარჩენილი, მაგრამ მოულოდნელად, მშობიარობა დაეწყო. რაიონის სამშობიაროში წაიყვანეს და ეს ამბავი მეც შემატყობინეს. რა გამაჩერებდა?! მაშინვე წავედი, მაგრამ ადგილზე ჩასულს, თავზარდამცემი ამბავი დამხვდა.

— ბავშვი გადარჩა?

— არა, ბავშვიც დაიღუპა... ამ დღეების გახსენება უზომოდ მიჭირს.

— კარგი, მაშინ თქვენსა და ანაზე მომიყევით. როგორ შეეჩვიეთ ბავშვთან მარტო ყოფნას?

— ანა 2 წლისა და 4 თვის ასაკში დაობლდა. დედაჩემი და ჩემი სიდედრი ერთმანეთს ეცილებოდნენ — რომელი დაიტოვებდა ბავშვს გასაზრდელად, მაგრამ ჩემს პაწიას ვის დავუტოვებდი?! მისი აღზრდა თავად ვიკისრე და მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი. მამა-შვილი მარტო ვცხოვრობთ. ანა დღისით ბაღშია, მერე მის წამოსაყვანად მივდივარ და სამსახურში მიმყავს. შემდეგ კი, შინ მივდივართ. სახლში მისვლამდე, მაღაზიაში შევივლით — რაც გოგონასთვის ყველაზე საყვარელი „საქმიანობაა". რჩევებსაც მაძლევს ხოლმე: მამა, პური არ დაგავიწყდეს, ზეთი ვიყიდოთ, რომ კარტოფილი შევწვათო. ვახშამსაც ერთად ვამზადებთ. მერე, ტელევიზორთან ვსხდებით და ვვახშმობთ. ყოველ საღამოს ჩემს კალთაში იძინებს... შაბათ-

კვირას კი, „მაკდონალდსში“ დავდივართ.

— აღარ ავადმყოფობს?

— ხანდახან ახლაც ცივდება და ვინ იცის, რამდენი ღამე გამითენებია მის საწოლთან. თვალებში შევციცინებ, მის სუნთქვას ვუსმენ და ცრემლს ვერ ვიკავებ ხოლმე, როცა სიცხიანი ბავშვი ძილში დედას ეძახის... გოგონა რომ წამოიზრდება, ალბათ, ცხოვრება უფრო გაგვიიოლდება...

შემდეგი რესპონდენტის ნაამბობი სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც აქამდე შემოგთავაზეთ. ნინიკო 8 წლისაა და მამა პირველად 3 წლის წინ ნახა...

პაატა, 37 წლის:

— ნინიკოს დედაზე დაქორწინებული არ ვყოფილვარ, მას წესიერად არც კი ვიცნობდი — შემთხვევით გავიცანი, მომეწონა და სულ რამდენჯერმე ვიწექით ერთად. გარკვეული ხნის შემდეგ, ის ჩემთან სამსახურში მოვიდა და მითხრა, რომ ბავშვს ელოდებოდა. სიმართლე რომ გითხრათ, დღემდე არა ვარ დარწმუნებული — ნინიკო ნამდვილად ჩემი შვილია თუ არა. მისი დაბადების წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ დედამისმა თავისი გაიტანა და ბავშვი ქვეყანას მაინც მოევლინა. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ბავშვს მხოლოდ გვარი მივეცი და ერთხელაც კი არ მინახავს. მაპატიოს ღმერთმა, მაგრამ ნინიკოს დედა მაღალი ზნეობით არ გამოირჩეოდა, მის ცხოვრებაში უამრავი მამაკაცი იყო, თან სვამდა, ბოლოს კი, თურმე ნარკოტიკსაც შეეჩვია. დედა-შვილი ცალკე ცხოვრობდა და ეს ყველაფერი ბავშვის თვალწინ ხდებოდა. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ქუჩაში შემხვდენენ. ბავშვი რომ დავინახე, ლამის გულმა „დამარტყა“ — ჩავეხუტე და მოვეფერე. ამის შემდეგ, მოსვენება დავკარგე: ღამით მესიზმრებოდა, დღისით მასზე ფიქრი მაწამებდა... ერთ დღეს, საღამო ხანს, მათ შინ ვეწვიე. კარი ნინიკომ გააღო. ოთახში შესულს, საშინელი სურათი დამხვდა: დედამისს დივანზე ეძინა, გათიშული მთვრალი იყო და ხმამაღლა ხვრინავდა. როგორც ჩანს, ტუალეტიდან რომ გამოვიდა, სიმთვრალის გამო, შარვლის აწევაც დაავიწყდა და ასე, ჩახდილი ეგდო... მაპატიეთ, რომ ასეთ წვრილმანებზე ვამახვილებ ყურადღებას, მაგრამ მინდა იცოდეთ, რამ გადამაწყვეტინა, რომ სასამართლოს გზით მისთვის დედობის უფლება ჩამომერთმია. იმავე საღამოს, მისი მეზობლები შევაწუხე და მათ ვკითხე: სასამართლო პროცესზე, დამიჭერდნენ თუ არა მხარს? მისი საქციელით ყველა აღშფოთებული იყო, მეუბნებოდნენ — ბავშვი ძალიან გვეცოდებაო... პროცესზე ისეთ კაიფში გამოცხადდა, რომ მოსამართლეს თვალიც არ დაუხამხამებია, ისე მიიღო გადაწყვეტილება — მისთვის დედობის უფლება ჩამოერთმია. ბავშვი კი, აღსაზრდელად მე გადმომეცა. უკვე 3 წელი გავიდა, რაც მე და ნინიკო ერთად ვცხოვრობთ. სკოლაშიც მე მივიყვანე. დედაჩემი რაიონში ცხოვრობს, მასთან ხშირად ჩავდივართ. ბებია და შვილიშვილი ერთმანეთს კარგად უგებენ.

— ნინიკოს დედა სად არის?

— სასამართლოს შემდეგ, მისი ასავალ-დასავალი არ ვიცით, საერთოდ აღარ გამოჩენილა. მას არც ჩვენ ვკითხულობთ. ხანდახან, ნინიკო მასზე ლაპარაკს წამოიწყებს, მაგრამ მალევე ჩუმდება.

— როგორც ვიცი, თუ დედა გამოსწორდება, მას უფლება აქვს, ბავშვი დაიბრუნოს. ასე რომ მოხდეს, როგორ მოიქცევით? შვილს დაუბრუნებთ?

— რა თქმა უნდა, არა. ნინიკოს ისე შევეჩვიე, რომ მის გარეშე ერთ დღესაც ვერ ვძლებ და ბავშვს აღარ დავთმობ... ის კი არა და, სინდისის ქენჯნა მაწუხებს, როცა მახსენდება, რომ ნინიკომ 5 წელი უჩემოდ იცხოვრა...

ფსიქოლოგი მარინა რეხვიაშვილი:

— მარტოხელა მამისთვის ბავშვის აღზრდა იოლი სულაც არ არის. ასეთ შემთხვევაში, მამების უმეტესობა ცდილობს, რაც შეიძლება მალე, ხელმეორედ დაქორწინდეს. თუ მამაკაცს ამის სურვილი არა აქვს და ბავშვის აღზრდას ითავებს, ასეთ შემთხვევაში, მშობელსა და შვილს შორის ძალზე თბილი ურთიერთობა ყალიბდება. ყველაზე დიდი პრობლემა ის გახლავთ, რომ ხშირ შემთხვევაში, ასეთი სიტუაციისთვის მამაკაცი მზად არ არის და შვილთან ან შვილებთან მარტოდ დარჩენილმა, აღარ იცის, როგორ მოიქცეს. თითოეული ბავშვი იმსახურებს, რომ მშობლების სითბოსა და ყურადღების ქვეშ იზრდებოდეს, ეს მისი სრულყოფილად ჩამოყალიბებისთვის, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, აუცილებელია. საბედნიეროდ, მარტოხელა მამების უმეტესობა კარგ შვილებს ზრდის. არ ღირს იმ პრობლემებზე წუწუნი, რომლებიც ასეთი მშობლების წინაშე დგას. ჯობს, მათი გადაჭრის იოლი ხერხი მოვძებნოთ — მამამ შვილებთან ახლო ურთიერთობა უნდა დაამყაროს, რათა ასეთ დროს, ოჯახის თითოეულმა წევრმა თავისი აზრი ღიად გამოთქვას და ესა თუ ის პრობლემა ერთად გადაჭრან. ხშირად ხდება ისე, რომ შვილების დაბრუნებას, დედა წლების შემდეგ ცდილობს. ეს ბავშვებს დიდ ტრავმას აყენებს. თუ საქმე სასამართლომდე მივიდა, ხშირ შემთხვევაში, დედა გამარჯვებული გამოდის. ბიჭები გაცილებით იოლად იღებენ დაკარგულ და შემდეგ, დაბრუნებულ დედას, ვიდრე გოგონები... როგორც წესი, მარტოხელა მამის მიერ აღზრდილი შვილების უმეტესობა დედინაცვალს ვერ ეგუება და თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობს მამასთან. მარტოხელა მამების გასამხნევებლად, „ბიბლიიდან“ ერთ ციტატას მოვიყვან: „ღმერთი არ მიატოვებს ობოლსა და ქვრივს“... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალი

უბის წიგნაკიდან:



პრუსიელთა გამაგრებული პოსტების გვერდის ავლით ფრანგებმა პარიზში შეუმჩნევლად ხარების მთელი ნახირი გადარეკეს. პირუტყვი რომ უხმაუროდ გადაედენათ, ფრანგებმა ხარებს ეგრეთ წოდებული „სახმო ნერვი“ გადაუჭრეს.

18. „სამხედრო და სხვა საქმეთა უწყებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა მოსკოვის სამეფოსა და სხვა მეზობელ ქვეყანაში,“ — ასე ერქვა პეტრე პირველის მიერ გამოცემულ გაზეთს. ეს გამოცემა ერთადერთი გახლდათ რუსეთში, რომელიც ცენზურას არ ექვემდებარებოდა და თავისუფალი იყო ყოველგვარი ზეწოლისაგან.

19. „გავარიატ, შტო ნა ოტკრიტიი ოლიმპიისკიხ იგრ ვ ტურინე უკრაინსკიე სპორტსმენი პლაკალი. ანი სმატრელი ნა ოლიმპიისკი ოგონ ი დუმალი: „კაკ მოჟნა ტაკ ნერაციონალნა რასხოდოვატ გაზ!“ — ამბობდა თავის ერთ-ერთ საესტრადო გამოსვლაში მიხაილ ზადორნოვი.

20. 1941-1945 წლებში მათემატიკოსმა ტრახტენბერგმა საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას, სადაც ქაღალდსა და კალამს ვერსად შოულობდა, სწრაფი, ზეპირი ანგარიშის უნიკალური სისტემა გამოიგონა.

21. პოლონელი ებრაელი, ვოლფ იცხაკ ედელშტეინი ვლადიმირ ჟირინოვსკის მამა გახლდათ. რა ეროვნებისაა მამათქვენი? — ჰკითხეს ერთხელ ვლადიმირ ვოლფოვიჩს. — მამაჩემი იურისტია! — წარბი არ შეუხრია ჟირინოვსკის.

22. ძველ რომში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა გლადიატორთა არენაზე ქალების ბრძოლა. იმპერატორები დემიციანე და ალბა ხშირად ტკბებოდნენ ასეთი სანახაობით.

23. ინდოელი მონარქი ტასკხაცილა სახელმწიფო ბეჭედის შტამპზე საკუთარი კბილების ანაბეჭდს ტოვებდა, რათა ვერავის გაეყალბებინა იგი. მის მიერ გაცემულ საბუთთა და ბრძანებათა სინამდვილეს იგი საკუთარი კბილების ანაბეჭდითვე ამოწმებდა.

24. 1119 წელს საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო V-სა და ინგლისის მეფე ჰენრიხ -ს შორის გამართული საჭადრაკო პარტია უნიკალური იყო ჭადრაკის ისტორიაში. ეს თამაში მიმოწერით ხორციელდებოდა.

25. მარგარეტ ტეტჩერს ხშირად უყვარდა თქმა, — ახალ აღთქმაში მოხსენიებული კეთილი სამარიტელის ამბავი დღეს არავის ეცოდინებოდა, მას რომ კეთილი ზრახვების გარდა ფულიც არ ჰქონოდაო.

მაია სიხარულიძე: ამ ადამიანს მომ დავმორდე, საქართველოს ძირძველ ნდობას დავუბრუნავ!

სოფო ყარალაშვილი



„ჯეობარი 2"-ის დატოვების შემდეგ **დათო ეზიეშვილმა** იპოვა ის ერთადერთი და განუმეორებელი, ვისი გულისთვისაც სიგიჟეების ჩადენა შეუძლია. მისი შეყვარებული, ტელეკომპანია „202"-ის ყოფილი წამყვანი, დღეს კი კინოთეატრ „რუსთაველის" პიარ-მენეჯერი **მაიკო სიხარულიძეა**. ჩვენი შეხვედრა მასთან სახლში შედგა. სასიამოვნო სანახავები იყვნენ, როცა მაია ხახვს ჭრიდა, დათომ კი თვალებზე ხელი ააფარა — არ დაგწვასო...

— თავდაპირველად, მომიყევით, სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი?

მაიკო:

— დათო „ჯეობარიდან" რამდენიმე დღის გაგდებული იყო და ჩემთან სამსახურში ჟურნალისტებთან შესახვედრად მოვიდა. მეცნო და ჩვეული ირონიით ვკითხე — შენ ის უბრალო ბიჭი არ ხარ, სულ ახლახან რომ გამოგაბუნძულეს პროექტიდან-მეთქი?.. იმ დღეს, 39 გრადუსი სიცხე მქონდა და ძალიან ცუდად გამოვიყურებოდი, ამიტომ დათოს სიმპათია არ დამიმსახურებია, თუმცა, ჩემი „იაზვობის" მიუხედავად, არც ანტიპათია დამიმსახურებია. იმ პერიოდში ძალიან მინდოდა, რომ „ჯეობარში" ჩემს მეგობარ D-ის დაეკრა. პროდიუსერმა მითხრა — ამას მონაწილეები წყვეტენო და რადგანაც სხვას არავის ვიცნობდი, დათოს დავუმესიჯე — მაიკო ვარ და შენთან საქმე მაქვს-მეთქი. დამირეკა და „მაკდონალდსში" დამითქვა შეხვედრა. იმიტომ კი არა, რომ გოიმია და ქალს პაემანს ასეთ ადგილას უნიშნავს — უბრალოდ, დასთან და დისშვილთან ერთად იყო და — ბარემ შენც შემოირბინეო, — მითხრა.

დათო:

— საათ-ნახევრით დაიგვიანა. მერე კი ჩემს დასთან უფრო იპოვა საერთო ენა, ვიდრე ჩემთან და ყურადღების გარეშე დამტოვა.

მაია:

— იმ დღეს მამაჩემის დაბადების დღე იყო და არაჩვეულებრივად გამოვიყურებოდი, თან ამაღლებული განწყობილებაც მქონდა. დათომ რომ დამინახა, გამარჯობის თქმა დაავიწყდა.

დათო:

— გავოცდი... მაიკო ძალიან გახსნილი და თავისუფალი ადამიანია. „ჯეობარში" დაღლილი ვიყავი ხალხის „თამაშით". „მაკდონალდსიდან" „ყავის სახლში" გადავინაცვლეთ. შინისკენ რომ ვაცილებდი, ტაქსის მძღოლს უთხრა — ჩვენ ყურადღებას ნუ მოგვაქცევთ, მომავალი ცოლ-ქმარი ვართო... მაია ადამიანის გაცნობაზე დროს არ კარგავს... მერე ზოოპარკში შევხვდით.

მაია:

— ზოგჯერ განსატვირთავად უცნაურ საქციელს ჩავდივარ ხოლმე.

დათო:

— პირველი შემთხვევაა, როცა ადამიანთან თავიდან ბოლომდე გავიხსენი. 3 თვეა, ერთად ვართ და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობ. ყოველთვის მინდოდა, ისე მყვარებოდა ვინმე, რომ ვერც დამჯდარს მომესვენა და ვერც მოსიარულეს. სულ უნდა მენატრებოდეს. მეგობრები ჩივიან — დაგვივიწყეო. მაიკო ერთია ამ ქვეყანაზე. რომ თენდება, მიხარია — ვიცი, რომ უნდა ვნახო. დაღამებას კი, ვერ ვიტანს.



პირველი შემთხვევაა, როცა ადამიანთან თავიდან ბოლომდე გავიხსენი.

— სიყვარულში როგორ გამოუტყდით ერთმანეთს?

მაიკო:

— დათო სწრაფი რეაქციის და მოქმედების მქონე „ბომბია". გაცნობიდან მესამე დღეს მითხრა, რომ ვუყვარვარ. ბევრი ვიცინე... მე რომ გრძნობა გამიჩნდა, დათო ამას თვითონვე მიხვდა. სულ მეზობლებივით ვემშვიდობებოდით ერთმანეთს და ერთხელაც კისერზე ჩამოვეკიდე და დავყნოსე. შენ შემთხვევით, შეყვარებული ხომ არა ხარო? — მკითხა...

— ხშირად ჩხუბობთ?

დათო:

— მაიკო სულ ჩხუბობს, მე ვაწყნარებ.

მაიკო:

— ერთხელ ძველი შეყვარებული შემხვდა, რომელთანაც ახლა ვმეგობრობ. გამიხარდა მისი ნახვა, გადავეხვიე, დათომ კი კინაღამ კედელს „შემალეწა", მოსაკლავი ხარო. — მითხრა. ამ ჩხუბის მერე დავშორდით, მეგობრებმა ამომაკითხეს სახლში და მითხრეს — ჩვენი ხათრით წამოდი დათოსთანო. ჩემდა გასაოცრად, ის ფანჯრის რაფაზე იდგა, გადახტომას აპირებდა და მივუსწარი (*იცინის*)... დღეს პირველად ვაცხადებ, რომ დათო მიყვარს ძალიან, დათო ნატვრის თვალია!

დათო:

— მაიკოს ძველი შეყვარებულებისა და თაყვანისმცემლებისგან დავიღალე, ყველგან არიან... ამას წინათ, კუს ტბაზე ერთდროულად სამნი „გაიჩითნენ". ნერვები მეშლება, ვერ ხვდებიან, რომ წარსულის დაბრუნება არ ღირს, მით უმეტეს, როცა ეს შეუძლებელია.

— მაიკო, შენ როგორ იგერიებ დათოს თაყვანისმცემლებს?

— უი, დათოსაც ჰყავს (დათოს მიუბრუნდა)?! დამაცადე, ქუჩაში მარტო ველარ გახვალ... მე მათზე ვხალისობ. სა-

სიამოვნო შეგრძნებაა, როცა იცი, რომ ეს კაცი შენია და მასზე სხვა გოგო „იბრდღვნის“. დარწმუნებული ვარ დათოს სიყვარულში, იდიოტი უნდა იყოს, რომ არ ვუყვარდე...

დათო:

— პაწკუ (*ასე უწოდებს მოფერებით მაიკოს. — ავტ.*) მობილურსა და ტელევიზორზეც ეჭვიანობს. მსოფლიო ჩემპიონატზე მეგობარმა ბრაზილიის ფანის სურათი გამომიგზავნა: გოგო ზურგით იდგა, ტანგა ეცვა. მაიკომ ეს სურათი წაშალა, ტელევიზორში კი, როცა კაი ნაშა „გაიჩითება“, სხვა არხზე მირთავს.

— სად გიყვართ განმარტოება?

მაიკო:

— ეგ უზრდელობაა, არ გეტყვით (*იცინის*)...

— მაიკო, როგორ ფიქრობ — სიყვარულის განსამტკიცებლად, სექსი მნიშვნელოვანია?

— ჩემთვის სექსი ქორწინებამდე მისაღები არის. ჩემი და დათოს ურთიერთობა საწოლში იქნება — **заниматься любовью** და არა ჟინიანი სექსი. დათო შეიძლება ვინმე ნაშას ვერ შეეწყოს ამ კუთხით. ჩვენ შორის კი, სიყვარული იმდენად ძლიერია, გვეყვარება ერთმანეთის როგორც სულის, ასევე სხეულის ყველა ნაწილი. ჩვენთვის ეს გრძნობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც სექსი ჰქვია...

გვეყოლება 25 შვილიშვილი. მე „სვეტსკი“ ბებია ვიქნები, შვილიშვილებთან ერთად ვივლი დისკოთეკაზე...



ქორწილი 500-კაციანი იქნება: 300 — ჩემი და 200 — დათოს მხრიდან

— ქორწილის დღე როგორი წარმოგიდგენიათ?

— უახლოესი 15 წელი დაქორწინებას არ ვაპირებთ. 5 შვილის გაჩენას ვაპირებ და მათი მამა დათო იქნება.

დათო:

— 15 წელთან დაკავშირებით, არ დაიჯეროთ, ოცნებობს...

მაიკო:

— ქორწილი 500-კაციანი იქნება: 300 — ჩემი და 200 — დათოს მხრიდან. თაყვანისმცემლებისთვის ცალკე სუფრას გავშლით. მეცმევა ჩაჩაჩული ტილოს შარვალი — თეთრი, ოდნავ ცისფე რში რომ გადადის და ძალიან გრძელი ფატა მექნება, რომელსაც 30 ბავშვი წამოიღებს. ეს ყველაფერი ზღვის სანაპიროზეა დაგეგმილი.

დათო:

— მე ჯერ არ ვიცი, რას ჩავიცვამ...

მაიკო:

— ისე არ მოგვივიდეს — კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... ცხოვრებაში პირველად მეშინია შეყვარებულის დაკარგვის. ახლა მივხვდი, რომ ადამიანთან ურთიერთობისთვის მარტო სიყვარული არ კმარა — საჭიროა, მოუფრთხილდე, პრინციპები დათმო. მე შემიძლია, 45-გრადუსიან სიცხეში გაზქურასთან ვიდგე, დათოს საჭმელი მოვუმზადო და ეს სიამოვნებას მომანიჭებს, არ დამეზარება მასთან დილით გაღვიძება და ა.შ. ეს ადამიანი რომ დავკარგო, ცხოვრებას არ დავასრულებ, მაგრამ იმათ რიგს შევუერთდები, ვისაც სამყაროს მიმართ ნდობა აქვთ დაკარგული.

— რას ვერ აპატიებთ ერთმანეთს?

— სანამ მისი ვარ, უნდა „შემირგოს“. თუ ვერ გამიფრთხილდება, ჯანდაბამდე გზა ჰქონია! დათოს ტყვია რომ ესროლონ, მე შემიძლია, გადავეფარო და ვემსხვერპლო.

დათო:

— ის, რაც წმინდად მიაჩნია და მხოლოდ მე მეხება, არავინ უნდა შეეხოს. 15-20 წლის ძმაკაცსაც შემიძლია, ხაზი გადავუსვა ამის გამო. ეს მაიკომ იცის.

— დათო, მაიკომ უკვე გვითხრა, ახლა შენ მითხარი, რა სიგიჟის ჩადენა შეგიძლია მისი გულისთვის?

— სიგიჟეა, აბა, რა, როცა 28 წლის, იურისტი კაცი, „აიწონა-დაიწონაზე“ „იკატავებ“! უარი რომ ვუთხრა, ჯერ წკმუტუნს მოჰყვება და მერე ტირის.

მაიკო:

— ერთხელ, მოვატყუე — თმას ვიპარსავ-მეთქი. ყველა სილამაზის სალონი შემოირბინა და რომ ვერ მიპოვა, თვითონ გადაიპარსა თავი. ადამიანს საკუთარ თავზე მეტად რომ შეიყვარებ, სიგიჟეა, აბა, რა!..

— სასიდედრო-სადედამთილოსთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— დათო გიჟდება დედაჩემზე და დედა — დათოზე. მათ რომ იჩხუბონ, ხალისით ვუყურებ სეირს და თუ რომელიმე მხარე შესუსტდა, „ატმასკას“ მივცემ. სადედამთილო კი, სულ ერთხელ მყავს ნანახი. ძალიან თბილი ქალია. ტელეფონით ვეკონტაქტებით ერთმანეთს. ტელევიზორში რომ მხედავდა, მოვწონდი; რომ გამიცნო, აღარ მოვეწონე. აქედან გამომდინარე, ვასკვნი, რომ მოაზროვნე ქალია (*იცინის*).

— სიბერე როგორ წარმოგიდგენიათ ერთად?

მაიკო:

— ექვსსართულიანი სახლი გვექნება. მეექვსეზე ჩვენ ვიცხოვრებთ, დანარჩენ ხუთ სართულზე მოხუცებულთა თავშესაფარს გავაკეთებთ. გვეყოლება 25 შვილიშვილი. მე „სვეტსკი“ ბებია ვიქნები, შვილიშვილებთან ერთად ვივლი დისკოთეკაზე, ბასასუნა (დათო) კი სახლში დამელოდება და იტყვის, ვერ ისწავლა ამ ქალმა ჭკუაო.

დათო:

— ახალი წელი იქნება, ბუხარს შემოვუსხდებით მე და ჩემი მეგობრები, „ადიალებს“ გადავიფარებთ, დავლევთ შავ ღვინოს, შევაკეთებთ „დობრი“ ტარიანს. ჩვენს ზურგს უკან კი, ირბენენ შვილები, შვილიშვილები... და მაიკო, ეს დღე რომ დადგება, მე ვიტყვი, რომ მიცხოვრია...

„ბავშვობაში ტირანიის ქვეშ ვიზრდებოდი — მშობლებს მუსიკალურ სასწავლებელში დავყავდი, რაც ჩემთვის წამების ტოლფასი იყო — ამბობს რეჟისორი ლევან წულაძე, რომელიც ყოველთვის ხულიგნურად ერთობოდა, მაგრამ ჩხუბის დროს, რატომღაც ყოველთვის გამშველებლის როლში იყო და როგორც თვითონ ამბობს — ამიტომაც ხვდებოდა სხვაზე მეტი. მკაცრი ბებიის ხელში, რეჟისორს მოკლე შარვლის ჩაცმაც ენატრებოდა და გლეხის ბავშვის როლში ყოფნაც.

ქასწავლებლის კაბის ქვეშ „ფეფქერალი“ ეოსწავლები, ცივი იარაღით დაჭრილი ჭოლა, ეოფლერალი ეუცელი და „ალპინისტი“ ბიჭები

ლიკა ქაჯაია

— მიუხედავად იმისა, რომ მსუქანი ვარ და ბოხი ხმა მაქვს, თავს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ მამაკაცად მივიჩნევ.

— ანუ თინეიჯერი ხართ?

— არა, ამ ასაკიდან თითქოს ახლახან გამოვედი. მგონია, რომ დაახლოებით 25 წლის ვარ და ოდნავ დავსერიოზულდი. როცა ჩემი თინეიჯერობა მახსენდება, სირცხვილის გრძნობა მიჩნდება, რადგან მაშინ ისეთ რაღაცებს ვაკეთებდი — ვმაიმუნობდი, სხვებს ნერვებს ვუშლიდი...

— უფრო კონკრეტულად?

— ცუდს არაფერს ვაკეთებდი, უბრალოდ, ხულიგნურად ვერთობოდი და მაშინ ამას „ბაცნობა“ ერქვა — ქუჩაში უცნაური რაღაცებით დავდიოდი. მაგალითად, ბანტი მეკეთა და მაღაზიებში ისე შევდიოდი. ხალხის გაკვირვებული სახის ყურება მომწონდა, მიხაროდა, როცა ჩემი საქციელით სხვების გამხიარულებას ვახერხებდი.

— ამას მარტო აკეთებდით?

— არა, კლასში რამდენიმე ჩემნაირი გიჟი მოიძებნებოდა. მერე, პრინციპში ინსტიტუტშიც ჩემი ჭკუის ადამიანები გამოვძებნე და კარგად ვერთობოდით.

— ამ ასაკში, ბიჭები ძველბიჭურს „აწვებიან“, თქვენ ამის სურვილი არასდროს გაგჩენიათ?

— არა, მიუხედავად იმისა, რომ პლეხანოველი კაცი ვარ — ამ უბნის ბიჭები ხომ სწორედ ძველბიჭობით არიან სახელგანთქმულნი. ძალიან კარგი მეგობრები მყავდა (სამწუხაროდ, დღეს მათი უმეტესობა ცოცხალი აღარ არის) და ამიტომაც მქონდა „უღრუბლო“ თინეიჯერობა. მაშინ, ძირითადად, სმასა და გოგოებზე ვფიქრობდით, ჩხუბი, ნარკოტიკი და ათასი სხვა სისაძაგლე არ გვაინტერესებდა.

— სიმთვრალეშიც არასდროს გიჩხუბიათ?

— მეგობრების გამო კი, მაგრამ ძლიერი არასდროს ვყოფილვარ. ისე, კონფლიქტური არ ვარ, ძირითადად, ყოველთვის გამშველებლის როლში ვიყავი და რადგან ძალიან გამხდარი და საოცრად მსუბუქი გახლდით (სამაგიეროდ, გამძლეობით და მტკიცე ნებისყოფით გამოვირჩეოდი), ამიტომ ყველაზე მეტი მე მხვდებოდა.

— ამბობენ — გამშველებელს ყველაზე მეტი ხვდებაო...

— ჰო, მაგრამ ესეც კარგ მოგონებად დამრჩა, რადგან მაშინ ჩხუბიც სხვანაირი ვიცოდით.

— მაინც, როგორი ჩხუბი იცოდით?

— შედარებით „მეგობრული“, ახლა კი სისხლიანი ჩხუბია მოდაში. მაშინ მეტი ყვირილი და ნაკლები ხელის გარტყმა იყო; მერე კი, ხშირად მოჩხუბრები დავმეგობრდებოდით ხოლმე — ძალიან ბევრი მეგობარი სწორედ ასეთი ძიძგილაობის შემდეგ შევიძინე.

— ცივ იარაღს არ ატარებდით?

— როგორ არა, „ლისიჩკები“ იყო მოდაში და ის აუცილებლად უნდა გქონოდა, მიუხედავად იმისა, გჭირდებოდა თუ არა. მეც მედო ჯიბეში ე.წ. ჯაყვა, მაგრამ ეს ამბავი ახლა რომ მახსენდება, მეცინება, რადგან ის არასდროს გამომიყენებია და რა ფუნქცია ეკისრებოდა — ვერ ვხვდები. არ ვიყავი ის პიროვნება, ვისაც ცივი იარაღი სჭირდებოდა. სხვათა შორის, მისი ხმარება ადვილი არ არის, ადამიანს დანა რომ დაარტყა, ამას რაღაც განსაკუთრებული ძალა სჭირდება.

— თქვენ თუ დაუჭრიხართ ოდესმე ვინმეს?

— მაშინ თეატრალურ ინსტიტუტში დავდიოდი, უკვე „ვეტერანი“ სტუდენტი ვიყავი — სამსახიობო ფაკულტეტზე ვსწავლობდი, რომლის დამთავრების მერე, სარეჟისოროზე ჩავაბარე. ჩვენს ახალგაზრდა სტუდენტებს, ერთ-ერთ თეატრში ვიღაც უცხო პირები ეჩხუბებოდნენ, ვიღაცამ დანა ამოიღო; მე, როგორც გამშველებელი, მას ხელებში ვეცი და ვუთხარი: ბიჭო, დანა ან დააგდე, ან მომეცი-მეთქი. იმან კი, თურმე ჯაყვა პირდაპირ ხელში ჩამასო, მაშინ ეს ვერც ვიგრძენი. ჩხუბი რომ დამთავრდა, მერე აღმოვაჩინე, რომ სისხლი მდიოდა და დაჭრილი ვიყავი. ბიჭებმა ხელი სასწრაფოდ შემიხვიეს და სისხლდენა შემიჩერეს...

— მშობლებმა თქვენი შეხვეული ხელი რომ ნახეს, რა გითხრეს?

— არაფერი, რადგან ვუთხარი: საქმეს ვაკეთებდი და რაღაცაზე გავიჭერი-მეთქი.

— დაგიჯერეს?

— ალბათ, რადგან არ მქონდა ისეთი სისხლიანი ბავშვობა. თან თეატრიდან ყოველთვის დასახიჩრებული მივდიოდი — დეკორაციას და რაღაცებს რომ ვაკეთებდი, ხან რაღაც მეჭრებოდა, ხან რაღაც მეფხაჭნებოდა, ხან თავში რაღაც მხვდებოდა და ა.შ. ასე რომ, მშობლები ამას შეგუებულნი იყვნენ.

— ისინი რაიმეს თუ გიკრძალავდნენ?

— ალბათ კი, მაგრამ მათზე მკაცრი ბებიაჩემი გახლდათ. პატარაობაში ტირანიის ქვეშ ვიზრდებოდი — მშობლებს მუსიკალურ სასწავლებელში დავყავდი, რაც ჩემთვის წამების ტოლფასი იყო. დასასვენებლად რომ მივდიოდით, მაშინ, როცა ყველა ბავშვს მოკლე შარვალი ეცვა, მე შარვალში, პიჯაკსა და ჰალსტუხში ვიყავი გამოჯგიმული... ბებია ამბობდა: ჩემი შვილიშვილი გლეხის ბავშვებს როგორ უნდა დაემსგავსოსო და გამუდმებით „მტანჯავდა“.

— მშობლები საღამოს ქუჩაში გასვლას ან მეგობრებთან დარჩენას თუ გიკრძალავდნენ?

— არა, პირიქით, ამისკენ ხშირად თვითონ მიბიძგებდნენ ხოლმე, რადგან მათ იცოდნენ, რომ ბიჭისთვის სახლიდან გასვლა და მეგობრებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია.

— მაგრამ ხშირად, დედა შვილის ქუჩაში დგომის წინააღმდეგია ხოლმე...

— თინეიჯერი ახლა რომ ყოფილიყავი, შეიძლება, ჩემი ქუჩაში გაშვების წინააღმდეგი დედაჩემიც ყოფილიყო.

— რატომ?

— ჩემს ბავშვობაში, ეს საშიში არ იყო — სადაც გინდოდა, იქ მიდიოდი და დარწმუნებული იყავი, რომ მშობლები მშვიდად იყვნენ.

— ანუ თინეიჯერი შვილის ქუჩაში გაშვება დღეს საშიში გახდა?

— რაღაც დოზით კი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სახლში უნდა ჩავკეტოთ. ადამიანმა ამ ასაკში გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება თუ ვერ ისწავლა, მერე მთელი ცხოვრება დაიტანჯება.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიიჩნეოდით?

— არა მიშავდა...

— ეს რას ნიშნავს — ჯანმრთელობას და სამიანს, თუ ოთხოსანი იყავით?

— უფრო ხშირად ოთხიანებს მიწერდნენ, მაგრამ ეს ნიშნები ფრიადს, ოღონდ მინუსით ნიშნავდა. შეიძლება, ყველა გაკვეთილს არ ვსწავლობდი და ყოველდღე დაფასთან არ გავდიოდი საპასუხოდ, მაგრამ მასწავლებლებზე ჩემი საქციელით ზე-

გავლენას ვახდენდი და ისინიც კარგ ნიშანს მიწერდნენ. თუმცა, იმას არ ვამბობ, რომ უვიცი ვიყავი.

— მაშინ ბიჭებისთვის დაფასთან გასვლა და გაკვეთილის მოყოლა არ „ტეხავდა“?

— როგორ, არა?! *(იცინის).* მაგრამ ყველაზე მეტად რა „ტეხავდა“ იცი, როცა დაფასთან ვიღაც გავიდოდა და რაღაცის ლუღლუღს დაიწყებდა იმისთვის, რომ მისთვის დაბალი ნიშანი არ დაეწერათ... როცა კაცი გაკვეთილს ისე მოჰყვება, რომ მას მთელი კლასი მოუსმენს, ეს დასაცინი კი არა, მისაბაძია.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდით?

— არა მგონია, რომ მასწავლებლები ჩვენს ბავშვურ ხრიკებს გაუბრაზებინა, რადგან ისინი ამ ყველაფერზე იცინოდნენ ხოლმე.

— ბავშვურ ხრიკებში რას გულისხმობთ?

— სკამს „ვცარცავდით“, ქვევით რაღაცეებს ვაგდებდით, რომ მერე დავხრილიყავით და მასწავლებლის კაბის ქვეშ შეგვეხედა.

— ფეხსაცმელზე სარკეებსაც ხომ არ იკრავდით?

— რა თქმა უნდა, ამასაც ვაკეთებდით და კიდევ ბევრ სხვა რამესაც, მაგრამ ყველაფრის გახსენება შორს წაგვიყვანს.

— იქნებ, ერთ-ერთი ოინი მაინც გაიხსენოთ...

— კარგი. ერთი „ფიზიკოსი“ მეგობარი მყავდა, რაღაც ნათურა დამიმაგრა ქუდზე, რომელსაც შნური ჰქონდა და მასზე მიმაგრებული იყო რაღაც ღილაკი. მას ხელს რომ დავაჭერდი, თავი მინათდებოდა. მასწავლებელმა მკითხა: რა გჭირსო? ვუთხარი: თავი მტკივა-მეთქი და საწყალი კინაღამ გაგიჟდა. ერთხელ კიდევ, აკორდეონი დავშალეთ, მერე ისე ააწყვეს, რომ ტანზე მიმემაგრებინა. ზევიდან პერანგი გადავიცვი და სკოლაში წავედით. პერანგის სახელო ისე დავაყენეთ, თითქოს ხელი მაგიდაზე მედო, სინამდვილეში კი, ის შიგნით მქონდა დამალული და როცა მასწავლებელმა გაკვეთილის ახსნა დაიწყო, მე რაღაც მელოდია ავაჟღერე. როგორ ფიქრობთ, კლასში რა მოხდებოდა?..

— „შატალოზე“ არ დადიოდით ხოლმე?

— როგორ არა, თითქმის სულ „შატალოზე“ ვიყავი — ხან მარტო, ხან კლასელებთან ერთად. ჩვენს სკოლაში მკაცრი წესები იყო, გაკვეთილის მსვლელობის დროს, ქუჩაში ვერ გახვიდოდი — კარი ჩაკეტილი იყო. მე კი ისეთი ხვრელები ვიცოდი, საიდანაც არა მარტო გავდიოდი, შემოვდიოდი კიდეც. თუ მარტო გავიპარებოდი, მეგობრებს დათქმული გვქონდა ადგილი, იქ მივდიოდი, მერე სხვებიც შემომიერთდებოდნენ, მე კი მათ სიგარეტს და ლიმონათებს ვახვედრებდი ხოლმე.

— გასართობად არსად მიდიოდით?

— როგორ არა, თუ მარტო ვიყავი, კინოში მივდიოდი, თუ არა და ვსეირნობდით — ხან აღმა, ხან — დაღმა. სხვათა შორის, ამ ხეტიალის დროს მილიციას არაერთხელ ავუყვანივარ...

— როგორც ვიცი, მაშინ სიგარეტის შოვნა ძნელი იყო. როგორ ახერხებდით, ის არა მარტო თქვენთვის, არამედ მეგობრებისთვისაც გეშოვათ?

— სულ ადვილად, რადგან მყავდა სიგარეტის გამყიდველი სათნო მანდილოსნები, რომლებიც თავიანთ სიგარეტს დახლის ქვეშ მალულად, 20 კაპიკით ზედმეტ ფასში ყიდდნენ. მათთან მივდიოდი, თვალს ჩავუკრავდი და ყველაფერი გვარდებოდა. მაშინ ყველაზე მაგარ სიგარეტად „კოსმოსი“ მიიჩნეოდა. თუმცა, ვშოულობდით უცხოურ სიგარეტსაც, რომელსაც „ციგნები“ ყიდდნენ.

— რომელ კლასში იყავით, სიგარეტის მოწევა რომ დაიწყეთ?

— მგონი, მეექვსე კლასში ვიყავი. მაშინ მეგონა, რომ ეს კაცური საქმე იყო და რადგან ფიზიკური მონაცემები ხელს იმაში არ მიწყობდა, რომ თავი ზრდასრულ ადამიანად მეგრძნო, ამიტომაც ვცდილობდი ისეთი რაღაცების გაკეთებას, რაც თითქოს ასაკს მმატებდა.

— მაგარი ბიჭობა კიდევ რაში გამოიხატებოდა?

— ვინც წვერს ყველაზე ადრე გაიპარსავდა, ე.ი. ის მაგარი ტიპი იყო.

— ალბათ, წვერის გაპარსვაც ყველა თქვენს თანატოლს დაასწარით, არა?

— სამწუხაროდ, არა. ის კი არა და, ყველაზე ბოლო ვიყავი.

— ვისი ფანი იყავით?

— საერთოდ, ჯაზის ფანი ვიყავი, ვგიჟდებოდი ლუი არმსტრონგზე და სხვა ჯაზმენებზე. რაც შეეხება მსახიობებს და რეჟისორებს, მათგან ვერავის გამოვყოფ, რადგან ყოველთვის ამ სფეროთი ვიყავი გატაცებული და ყველა მათგანში რაღაც საინტერესოს ვხედავდი.

— თუ მიგიბაძიათ ვინმესთვის?

— მიმბაძველობა ძალიან კარგი ჩვევაა, მაგრამ ამ დროს, სწორად უნდა შეარჩიო მისაბაძი ობიექტი... ვაკვირდებოდი ყველას და მერე, მათგან რაღაცებს ვსწავლობდი, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველთვის და ყველაფერში ვბაძავდი ბიძაჩემს, ცნობილ ჟურნალისტს — რეზო დვალიშვილს, რომელსაც შესანიშნავი იუმორის გრძნობა ჰქონდა და უზომოდ განათლებული ადამიანი იყო.

მიმბაძველობა ძალიან კარგი ჩვევაა, მაგრამ ამ დროს, სწორად უნდა შეარჩიო მისაბაძი ობიექტი...

— მაშინ მოდაში რომელი ჟარგონის ხმარება იყო?

— ბევრი ჟარგონი გვქონდა, მაგრამ ყველაზე ხშირად — „ტოს“ გავიძახოდი და ეს ჩვევა დღემდე გამომყვა, რომელსაც განსაკუთრებით მაშინ ვყვირი, როცა გაბრაზებული ვარ“. ამის გამო ჩემი მეგობრები დამცინიან ხოლმე. როცა ვიღაც ჩემს კარიკატურას ხატავს, ბოლოში აუცილებლად „ტოს“ აწერს...

— მაშინ ქალების „დაკერვის“ მეთოდიც სხვანაირი იყო?

— აბა, რა! მაგრამ არ გეგონოთ, რომ მათ გაცნობის მიზნით საათს ვეკითხებოდით და კიდევ რაღაც ათასგვარ სისულელეს. ჩვენ მათთან პირდაპირ მივდიოდით და... მახსოვს, ერთხელ მე და ჩემმა ძმაკაცებმა ქურქები ჩავიცვით და გოგოებთან წავედით იმ მიზნით, რომ ისინი აგვეღელვებინა, მერე კი, მათგან რამეს გამოვრჩენოდით. ჰოდა, მივედით გოგოებთან და ვუთხარით: ასე ცხოვრება აღარ შეგვიძლია, მთაში, ალპინისტებად მივდივართ-თქო და მათაც მეტი რა უნდოდათ? — გული აუჩუყდათ, ტირილი დაიწყეს და მოგვიალერსეს.

— ანუ რაღაცას გამორჩით?

— დიდს ვერაფერს, მაგრამ მაინც კარგი იყო.

— თქვენი თაობის თინეიჯერებისგან დღევანდელები რითი განსხვავდებიან?

— არაფრით, გარდა იმისა, რომ ესენი უფრო ლამაზები არიან და მეტი საშუალება აქვთ იმისთვის, რომ საფუძვლიანი ცოდნა შეიძინონ — ჩვენ წიგნებს ძლივს ვშოულობდით, ტელევიზორში ფილმის ყურება თუ გვინდოდა, „ილუზიონს“ უნდა დავლოდებოდით, დღეს კი, 17 არხზე მეტი არსებობს და წიგნიც რომ არ წაიკითხო, რაღაც განათლებას მაინც მიიღებ... სხვათა შორის, უცხოელი თინეიჯერები რასაც მთელი დღე სწავლობენ, ჩვენები იმის ათვისებას ნახევარ საათს ანდომებენ და ამიტომ, მათ გასართობადაც უფრო მეტი დრო რჩებათ.

— თუ იმ ნახევარ საათსაც დროს ტარებას უთმობენ?

— არა, ისინი თავის დროზე სწავლობენ და მერე ერთობიან. აბა, თუ არ მოილხინე, ცხოვრება მალე გაგიფრინდება... მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, მათ თავიანთი მინუსიც აქვთ, ნარკოტიკის მომხმარებლები გახდნენ და ამას აუცილებლად უნდა შეეშვან, სხვანაირად დავიღუპებით. ცხოვრების სტიმული მათ ჩვენ ყველამ ერთად უნდა მივცეთ, რაღაც კარგზე უნდა იფიქრონ და აუცილებლად გვეშველება.

— დაბოლოს, რას ურჩევდით თინეიჯერებს?

— ისწავლონ ძალიან ბევრი, იყვნენ მხიარულები და ნუ იქნებიან კარიერისტები...

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.* ■

მაამოხმაურება

მაკუნა, 17 წლის:

„ჩემი ყოფილი კლასელი მომწონს. ის კი, ყურადღებას არ მაქცევს და ეს მტანჯავს. თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ მე ის მჭირდება. რა ვქნა?“

გიო დათიაშვილი:

— ეცადე, გააკეთო ყველაფერი იმისთვის, რომ მისი გული მოინადირო, ოღონდ იყავი ძალიან ბუნებრივი. იაქტიურე, მაგრამ ნუ გადაამლაშებ.

მარიკუნა, *15 წლის:*

„გიო, არ გინდა, რომ შენი ნომერი მომცე? დაბადების დღე როდის გაქვს? იცი, ბაბუა-ჩემი მამაშენს მაგრა იცნობს. გივი ჰქვია, ხომ? ისე, „ორფეოსში“ კიდევ დადიხარ ხოლმე? იქ ხშირად გხედავდი, მაგრამ ამ ბოლო დროს, აღარ ჩანხარ... სხვათა შორის, ცხოვრებაში ბევრად უფრო საყვარელი ჩანხარ, მაგრამ შენთან დალაპარაკებას ვერ ვბედავდი“.

გიო დათიაშვილი:

— რაღაც მიზეზების გამო ტელეფონის ნომერს ვერ მოგცემ, თან ამის უფლებას ჩემი მენეჯერიც არ მაძლევს. დაბადების დღე 14 აგვისტოს მქონდა. მამაჩემს მართლა გივი ჰქვია. „ორფეოსში“ აღარ ვმუშაობ, მაგრამ იქ მაინც ხშირად დავდივარ და თუ სადმე მნახავ, აუცილებლად მოდი, არანაირი პრობლემა არ არის.

მარი, *16 წლის:*

„მე ჩემთვის ჩუმად ვზივარ, მაგრამ ჩემს აზრებს არ ასვენებს ეს სამი სიტყვა: მე შენ მიყვარხარ!.. გიო, სიამოვნებით გაგიცნობდი“.

გიო დათიაშვილი:

— აბა, შენ იცი. თუ ადამიანი რაიმეს გულით მოინდომებს, მიზანს აუცილებლად მიაღწევს.

უცნობი, *15 წლის:*

„გიო, ინტერვიუდან გამომდინარე, კარგი ბიჭი ჩანხარ. ვარკეთილელი ხარ? — ამ უბანში რამდენჯერმე გნახე. იმედია, ერთმანეთს გავიცნობთ. სხვათა შორის, კარგი თვალები და ტუჩები მაქვს“.

გიო დათიაშვილი:

— კი, ვარკეთილში ვცხოვრობ. ისე, თუ მართლა კარგი თვალები და ტუჩები გაქვს, სიამოვნებით გაგიცნობდი.

ლიზი, *15 წლის:*

„გიორგი კარგი და ნიჭიერი ადამიანი ჩანხარ. გეთანხმები, დღეს თითქოს რაღაც მოდაშია სხვების გასაგონად მომღერლების ლანძღვა, შემდეგ კი, მათი სიმღერების ჩუმად მოსმენა. არ მესმის მათი — ნიჭიერ ხალხს დაფასება სჭირდება... ჩემს თანატოლებს ვურჩევ — იყავით ინდივიდუალურები, არ არის საჭირო მხოლოდ სხვის გასაგონად რაღაცის კეთება“.

გიო დათიაშვილი:

— გაიხარე, მეც ამას არ ვამბობ?!.

მარი, *16 წლის:*

„გიო, რომელი სკოლა დაამთავრე? წელს სად აბარებდი? გიო, ჩემს ნომერს ლიკას მივცემ და დამიმესიჯე, კარგი?“

გიო დათიაშვილი:

— 146-ე სკოლა-ლიცეუმი დავამთავრე და წელს ბალტიის საერთაშორისო აკადემიაში — საერთაშორისო მენეჯმენტის ფაკულტეტზე ჩავაბარე.

მის ანონალია, *19 წლის:*

„ხალხო, რამე მირჩიეთ — სამი ბიჭი ერთდროულად მემუქრება, რომ თუ არ გავყვები, თავს მოიკლავენ. სამივე მომწონს, მაგრამ არც ერთი არ მიყვარს და საერთოდ, სწავლის დამთავრებამდე გათხოვებას არ ვაპირებ, მერე კი არ ვიცი, რას ვიზამ. ჩემ გამო ვინმეს რამე რომ მოუვიდეს, ვეღარ ვიცოცხლებ. იქნებ, ვინმე არის ან ადრე ყოფილა ჩემნაირ სიტუაციაში? გთხოვთ, გამომეხმაურეთ“.

გიო დათიაშვილი:

— სამივეს ერთად ხომ ვერ გაჰყვები? მათ აუხსენი, რომ ჯერ გათხოვებას არ აპირებ და კიდევ, არა მგონია, მათ თავი მართლა მოიკლან, ეს უბრალოდ გოგოების „შესაბმელად“ კარგი მეთოდია.

ეკა, *16 წლის:*

„გიორგი, გეთანხმები — ღამის ცხოვრება მართლა მაგარია. არ ღირს, სიცოცხლის საუკეთესო წამები ძილში გაატარო. თუმცა, ღამის ცხოვრებით დატკბობას ხშირად ვერ ვახერხებ, რაც ჩემთვის ძალიან სამწუხაროა“.

გიო დათიაშვილი:

— მოხარული ვარ, რომ ღამის ცხოვრება შენც გიზიდავს, მასე გააგრძელე.

მარი, *16 წლის:*

„შენი სილამაზე შენი თვალებია, ვინ იცის, ეგ თვალები რამდენს ჰყვარებია“. გიო, მაგარი თვალები გაქვს. დამიმესიჯე, რა! P.S. ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი“.

გიო დათიაშვილი:

— გაიხარე.

ანი, *17 წლის:*

„ძალიან ცუდად ვარ, რადგან ერთი თვის წინ ჩამოსული ბიჭი შემიყვარდა (ის რუსია). მან საქართველო უკვე დატოვა. ძალიან გთხოვთ, მირჩიოთ რამე, როგორ მოვიქცე?“

გიო დათიაშვილი:

— რა გირჩიო?.. ეცადე, დაუკავშირდე და სიყვარულში გამოუტყდე. დამიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება.

თეა-ამო, *17 წლის:*

„გთხოვთ, დამეხმაროთ. ძმაკაცმა სიყვარული ამიხსნა. არ ვიცი, რა ვქნა, ძალიან დაბნეული ვარ. რა ვუთხრა? — მგონი მეც მიყვარს“.

გიო დათიაშვილი:

— საქმე აგიწყვიათ და ეგაა. თუ მართლა გიყვარს, თავი არ დაიფასო და სიყვარულში გამოუტყდი.

ლამპარელი ხატია, *16 წლის:*

„გიორგი, სკოლაში როგორი დამოკიდებულება გქონდა ქალბატონ თამარ მანძულაშვილთან? უმცროსკლასელებთან? შენი აზრით, საჭიროა თუ არა სასკოლო რეფორმა?“

გიო დათიაშვილი:

— ქალბატონ თამართან არაჩვეულებრივი დამოკიდებულება მქონდა. ის სკოლაში დირექტორი, სკოლის გარეთ კი ნამდვილი მეგობარი იყო, კარგი ადამიანია. რაც შეეხება სასკოლო რეფორმას, ამაზე არ ვიცი რა გითხრა, რადგან განათლების სამინისტროში ჩემზე ჭკვიანები მუშაობენ და რადგან გადაწყვიტეს, რომ ეს საჭიროა, ე.ი. მართლა გვჭირდება.

მარი, *17 წლის:*

„სამწუხაროდ, ეს ზაფხული ჩემთვის ერთფეროვანი და მოსაწყენია, ამიტომ ძალიან გამიხარდება, თუ ახალ ნაცნობებს შევიძენ. დარწმუნებული ვარ, ბევრ საინტერესო ადამიანს გავიცნობ. დამიმესიჯეთ 8(93) 15.26.16“.

თეო, *17 წლის:*

„გულით მენატრები, ჩემო სიცოცხლევ, გჯეროდეს, მუდამ შენით ვიცოცხლებ; ჩემი ოცნებები შენია, იცოდე და სულ მეყვარები, სანამ ვიცოცხლებ“... ეძღვნება გიო კალმახელიძეს“.

აჩრდილი, *19 წლის:*

„მე ამ ცხოვრების რა გამეგება და არც ვარ ღირსი, ეს რომ ვიცოდე. ღმერთო, მიშველე, მომეცი შვება და შენი შვილი მარად მიცოდე. მე სიყვარულის რა გამეგება, ეს გრძნობა ალბათ, სხვასთან ბობოქრობს, ეს გრძნობა ალბათ იქ გამეფდება, ჩემში კი კვლავაც სევდა ბოროტობს. და მე ვინა ვარ? ალბათ, ნაგავი. ვგრძნობ, რომ გამწყრალი მიყურებს ღმერთი, შორს დათესილი უშნო ნარგავი, უკანასკნელი ვარ და ერთადერთი“... ლიკა, ამ ლექსის ავტორს მინდა ვუთხრა, რომ საუცხოო ადამიანია. ჩემი საყვარელი მეგობარია“.

გუკა, *18 წლის:*

„პრივეტ“! ლიკა, შენი რუბრიკა მაგრად მიყვარს. ეკლესიაში სანთელს ავანთებ, ღვთისმშობლის ხატთან დავიჩოქები და ქართველების მდუმარე ტაძარს, მე სიყვარულზე ვესაუბრები. ეკლესიაში სანთლებს ავანთებ, რომ ჩემი ცოდვით ისიც იწვოდეს, როგორ მიყვარხარ, შენ თუ არ იცი, ღმერთმა იცოდეს“. ეს ლექსი ბათუმელ ია გელაძეს ეძღვნება და თუ გამომიქვეყნებ, მაგრად მოეწონება. ია, სიხარულო, მიყვარხარ“.

ია, *17 წლის:*

„ნუ, ნუ მიცქერ, გთხოვ, გემუდარები, საოცრად მწველია ეგ შენი თვალები. ის რაღაცას მანიშნებს, მაგრამ რაღაცას მიმალავს. ვაი, თუ მოგწონვარ, ვაი, თუ გიყვარვარ. ნუ, ნუ მიცქერ, გთხოვ, გემუდარები, თორემ, მე გოგო ვარ და შემიყვარდები“. „ჩაი“, სულ შენს ლამაზ თვალებზე ვფიქრობ“. ■

სანამ ცოცხლები ვარ...

30-იანი წლების ქრონიკები

მანანა იაშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-32

ლიზიკომ როლანდთან შეხვედრა ითხოვა, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროდ, გოგი კუტალაძეს შეახვედრეს, რომელიც სრულიად გაეტეხათ. იმავე კვირას გაზეთ „კომუნისტში“ სამად სამი დეკლარაცია გამოქვეყნდა — ფირცხალაიშვილის, ლორდელისა და კუტალაძის. ეს ლიზიკოსთვის გამარჯვებას ნიშნავდა. ამის შემდეგ ლიზიკო მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. იქაც ცუდი ამბავი დახვდა: დაჭერილ თანაპარტიელებს ისეთი პროკლამაცია მოემზადებინათ, რომელიც საზღვარგარეთულ სოცდემოკრატიული პარტიის ბიუროს ჯაშუშურ მოქმედებას გმობდა და მას ემიჯნებოდა.

ლიზიკო მარტო დარჩა, მაგრამ არ გატეხილა. მან შიმშილობა გამოაცხადა და საქართველოს კომპარტიის ცეკას, სახალხო კომისართა საბჭოს და პროკურატურას საპროტესტო განცხადება გაუგზავნა, სადაც ბერიას წერილის სიყალბეს ამხელდა. პროცესუალური ნორმების მიხედვით, ლიზიკო ასევე ითხოვდა საჯაროდ გასამართლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასიკვდილო შიმშილობას გამოაცხადებდა. თერთმეტი დღე იშიმშილა. გამომძიებლები, ციხის პერსონალი და ექიმები ცდილობდნენ, ამ აქციისთვის ხელი შეეშალათ, მაგრამ უშედეგოდ, ლიზიკომ გაიმარჯვა. ცეკაში კი მამამისი შეიჭრა — ციცქნა შვილი მეღუპებაო! იქ ლიზიკოს განცხადების შესახებ არაფერი იცოდნენ. დაიწყეს ძებნა და „ჩეკაში“ ბერიასთან აღმოაჩინეს. ბერია იძულებული გახდა, განცხადება ადრესატებისთვის გადაეგზავნა. მეთერთმეტე დღეს ლიზიკოს შებოჭვა ციხის მამაკაც ზედამხედველებს დაავალეს, რათა იგი საავადმყოფოში გადაეყვანათ და ხელოვნურად ეკვებათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ — ლიზიკო გააფთრებით იბრძოდა და საკნიდან ვერ გაიყვანეს. საკანში პროკურორი დავიდოვი, გამომძიებლები — მელიქიძე და სულხანიშვილი და კიდევ ერთი უცნობი პირი შევიდნენ. დაიწყო ლიზიკოსთან ხანგრძლივი მოლაპარაკება. მან მიაღწია, კომუნისტების მხრიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს წერილობით რეაბილიტაციას. ლიზიკო წერს, რომ მელიქიძე მას შემდეგ არ უნახავს — ის 1937 წელს დაუხვრეტიათ. იგივე ბედი ეწია დავიდოვსაც. ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებში ბევრია ამგვარი ფაქტი — როდესაც მაშინდელი ჯალათი 1937 წელს დაიხვრიტა, ხოლო მისი ცოლი ლიზიკოსთან ერთად „ალჟირში“ იხდიდა სასჯელს.

ჩანაწერები ერთ „უნებურად წამოცდენილ სიმართლესაც ცხადყოფს: მაშინ, 30-იან წლებში, თუ რუსეთის სოციალ-დემოკრატები ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ, ხოლო რუს ხალხს ინერტულობა სჭირდა, საქართველოში საპირისპირო მდგომარეობა შეინიშნებოდა: ხალხი შემართული იყო ბოლშევიკებთან საბრძოლველად, რადგან მათ რუსეთის თვითმპყრობელობის გამგრძელებლებად მიიჩნევდნენ. ხოლო პოლიტიკური პარტიები შინაგანად დაბნეული, გათითოკაცებული და არაქმედუნარიანი ძალა იყო, მათ არ შეეძლოთ ბრძოლას მოწყურებული ერის მართვა. ეს კომუნისტებმა კარგად გამოიყენეს და რეპრესიების დროს ათეულათასობით უსახელო, დაუცველი და პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი ვაჟკაცი ამოხოცეს. ამ ადამიანებს სასამართლოც კი არ ღირსებიათ — ადგილზევე ხვრეტდნენ. ბებიაჩემი, მატრონე წერეთელი მიყვებოდა საჩხერის სადგურზე მომხდარ საშინელ ამბავს„ როდესაც ჭიათურა-საჩხერის ნარჩევი ადამიანები სატვირთო ვაგონებში ჩაკეტეს და გარედან დაცხრილეს. რკინიგზაზე სისხლის ტბორები იდგა. სამ-სამი ტყვავისპალტოიანი ჩეკისტი, იარაღგადაკიდებულ ბოგანოებთან ერთად, სოფელ-სოფელ ტურებივით დასუნსულებდა და სადაც კარგად გაწყობილ კარმიდამოს შენიშნავდა, აორრებდა, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი, ოჯახს დედაბუდიანად ხვრეტდა. მაგრამ იყო შემთხვევებიც, როდესაც სოფლის რომელიმე უბანი მათ წინააღმდეგობას უწევდა. ტყვავისპალტოიანები ქვემძრომებივით ქრებოდნენ, რათა შემდეგ ახალი ძალებით შესეოდნენ და ამოეწყვიტათ ურჩი გლეხობა. ასეთი ფაქტები მხოლოდ საჩხერეში როდი ხდებოდა, მსგავს ამბებს სხვა კუთხის უხუცესებიც გვიყვებოდნენ, ექსპედიციაში ჩასულ ახალგაზრდებს.

ლიზიკო ქავთარაძე ციხის კურიოზებსაც ჰყვებოდა. მძიმე საკითხებზე თხრობა რომ რამდენადმე შევამსუბუქოთ, ერთ-ერთ მათგანს გადმოგცემთ:

„1923 წელს, მეტეხის ციხის ეზოში გოგი მამალაძის მიერ კლდეზე ამოკვეთილი იყო საქართველოს სახელმწიფო გერბი — თეთრი გიორგი. ჩვეულებისამებრ, დილას, როდესაც პოლიტპატიმრები იქ „დიდებას“ გალობდნენ, ციხის კომენდანტი შულმანი ყვირილით მიეჭრა გუნდს. ისიდორე რამიშვილს თავისი განუმეორებელი კვერთხით მისთვის ქუდი მოუხდია და



მიწაზე დაუგდია. შულმანი ადგილზე გაუქვავებია მხცოვანი რევოლუციონერის ზიზღიან მზერას. ჰიმნის დასრულების შემდეგ, ისიდორეს ერთ-ერთი ახალგაზრდისთვის უნიშნებია, ქუდი მიაწოდეთო. გონს მოსული „სიკვდილის კომენდანტი“ (ასე ეძახდნენ) კვლავ აღრიალებულა. ისიდორე რამიშვილს კი სიტყვა შეუწყვეტინებია და დინჯად გაუფრთხილებია: როდესაც ეროვნული ჰიმნი სრულდება, ქუდის მოხდა, ვინც არ უნდა იყოთ, სავალდებულო არისო“.

სამწუხაროდ, ლიზიკო ქავთარაძის მოგონებებში ტრაგიკული გაცილებით მეტია. 1929 წლის ზამთარში იგი უკვე ციმბირის გზას გაუყენეს. დაუსრულებელი ეტაპი და საეტაპო ციხეები ომსკში, ვორონეჟში, ტომსკში... ლიზიკო თანაპარტიელ პატიმრებს დაუკავშირდა და ერთობლივი ძალებით ცდილობდნენ, რაღაც წინააღმდეგობა მაინც გაეწიათ. ეს კი კონტრრევოლუციად მიიჩნეოდა. ლიზიკო წერს, რომ ნებისმიერი მიზანმიმართული აქტიურობა ციხის რეჟიმის წინააღმდეგ, პატიმარს ღირსებას და მოქალაქეობრივ შეგნებას უნარჩუნებდა: *„ციხე-გადასახლების ადგილას რომ მოხვდებოდი, წამსვე იგრძნობდი, შენამდე ვინ გაიარა, გამოუცდელმა თუ გამობრძმედილმა, რომელიც თავის ნაკვალევზე სწორედ ხელსაყრელ სიტუაციას გვიტოვებდა“.*

ვორონეჟის ციხეში 62-მა პოლიტპატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა, რადგან მათი საქმის დამთავრებას საშველი არ დაადგა. აქციამ გაჭრა და პატიმრები მითითებულ ჩასახლებებში დროულად წაიყვანეს. ლიზიკო ჯერ ნარიმის დასახლებაში გემით გადაიყვანეს, შემდეგ კი — კოლპაშოვოს დასახლებაში.

1934 წელს, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით, პოლიტპატიმართა ამნისტია გამოცხადდა, რომელიც ლიზიკო ქავთარაძესაც შეეხო. მაგრამ ეს თავისუფლება უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე კოლპაშოვოს დასახლება. იქ, სადაც მუშაობის შესაძლებლობა იყო, ცხოვრების უფლებას არ აძლევდნენ. ყოფილ პოლიტპატიმრებს ე.წ. „მგლის ბილეთი“ ჰქონდათ. გათავისუფლებულები გზებზე დაეხეტებოდნენ და თანდათან „ბომჟებს“ ემსგავსებონენ. სადგურ-სადგურ ხეტიალში ლიზიკო ძლივს, ნაცნობობით მოეწყო ქუთაისის ერთ-ერთ საწარმოში.

მეორე წრეზე

ლიზიკო ქავთარაძე მეორედ 1940 წლის 15 მაისს, სამსახურში დააპატიმრეს. ახალი სიტუაცია ნაკლებად ჰგავდა ადრინდელს, როდესაც „ჩეკისტები“ ჯერ კიდევ ცდილობდნენ, ქალს მაინც „ინტელიგენტურად“ მოჰქცეოდნენ. ლიზიკოს მამა 1939 წელს გარდაეცვალა. დედა კი მისმა ახალმა დაპატიმრებამ მთლიანად გატეხა. ლიზიკო აღწერს იმ საშინელ და საზარელ სიტუაციას, რომელსაც 1937-ში გამოწვეული „ჩეკისტები“ სჩადიოდნენ:

„საკანში დამხვდნენ: პედაგოგი ნინო ხუნდაძე-გაბუნია — შინსახკომის კომისრის მეუღლე; თამარ მეტრეველი, ასევე „ჩეკისტის“ მეუღლე და საქმის გადასინჯვაზე „ლაგერიდან“ ჩაყვანილი 18 წლის გოგონა.

მალე ზევით დამიძახეს. დედას საათი რატომ გადაეცი, ქურდები ხომ არ გგონივართო?! — და რაღაც ბილწი ჩაიბრუტუნა. წამოვხტი, გაიმეორე, რა თქვი-მეთქი. არაფერიო, მშვიდად მიპასუხა და შემრცხვა კიდეც, როგორ იკადრებდა, სამიკიტნო ხომ არ არის... იმავე ღამეს კვლავ გამომიძახეს. გცემენო, შეშფოთდნენ ქალები და რამდენიმე ქვედა საცვლისა და წინდების ჩაცმას მაიძულებდნენ. ყური არ ვათხოვე, გაგულისებულმა ხალათი გადავიცვი. ღამის ორ საათზე ლოგინიდან რომ წამოგაგდებენ, იმის იმედიც არ უნდა ჰქონდეთ, რომ „საპარადოთ“ გამონყობილი ეახლები. ასეც მოვუბოდიშე და სკამი შემომთავაზეს“.

დაკითხვას სათნო შესახედაობის ჭაღარაშერეული რაფავა წარმართავდა, რომელსაც გვერდში ორი მუტრუკი ამოსდგომოდა. რაფავამ პირდაპირ მიახალა — „რას გვეტყვით თქვენი არალეგალური მუშაობის შესახებ, ჩვენ ყველაფერი ვიცით“; ლიზიკომ იუარა. „სტყუით!“ — იღრიალა რაფავამ. ლიზიკოც არ შეეპუა და უეცრად სკამი გვერდზე გადავარდა, ლიზიკოს კი იმ ორმა ცემა დაუწყო.

„— ვის ხვდებოდი გასტრონომში, ვის? სთქვი, სთქვი! — დამბღაოდნენ გამგელებული ჯალათები და თავაწყვეტილი კპავდნენ და კპავდნენ ცოცხალ ხორცს. იატაკზე განრთხმული ვგდივარ... ჩემი სხეული, ჩემად რომ ვთვლიდი — ლაღი, ხელშეუხები... ამაყი ყოფილა, დიდი სირცხვილის და რიდის მქონე... მაგრამ მე იგი აღარ მეკუთვნის, ბდღვნიან, კეპავენ... ეს არ არის მხოლოდ ტკივილი და მხოლოდ შიში. შემზარავია ფიზიკური შეურაცხყოფა. ამაზე უწინ არც დავფიქრებულვარ, თურმე რა ზუსტი თქმაა — შეურაცხყოფა. შეურაცხყოფის, უზომო დამცირების გამანადგურებელი ძალა იმდენად დიდია, იგი შენ მოგკლავს, თუ შეურაცხმყოფელი არ მოკალი. აი, რატომ ეძგერებიან ხოლმე ჩვენი ბიჭები. „კულტურული“ თავდაჭრა, ზიზღი და მით უმეტეს სასამართლოში / გაქცევა — პირდაპირ სასაცილოა. ეს კრიზისია, თუ საპასუხო ძალა არ აღმოგაჩნდა, ის, რაც იყავი, უკვე მკვდარია. ნამუსახდილი ქალი ძნელად თუ გამოიხედავს. თავს იკლავს და ხშირად, რაც თითქოს პარადოქსულია, კახპად იქცევა. ასეთია ერის ბედიც: თუ მოძალადეს არ უმკლავდება, იგი იხრწნება კატასტროფული სისწრაფით. უნდა მოერიო! მორჩა და გათავდა! თუ არა და — „ვაი დამარცხებულს“. მონობა არის განცდა არა ბატონის ძლიერებისა, არამედ საკუთარი უძლურებისა. ამაშია მონობის ფსიქოლოგიის ძლიერი წანამძღვართაგანი. მონა იმიტომაც არის მონა, რომ შინაგანად არის პატივაყრილი და მუხლზე დაჩოქილი. საშინელია მონათა ამბოხი, შეურისგებაში — საკუთარი უკმარობის დაძლევის გააფთრებაც არის. მას შეუძლია, დიახ! — გახელებულს ყველაფერი ეცოტავება და იგი ხარბი ვნებით ეწაფება საკუთარ ძალის ჭაშნიკს. ასეთია პუგაჩოვი, რაზინი და რუსეთის ოქტომბერიც. მათ აჯანყებებს ერთი დასასრული აქვს — მოხედვასაც ვერ მოასწრებ, ახალი მონობის უღლის ქვეშ ამოყოფ თავს. განმათავისუფლებელი თებერვალი ლენინმა ოქტომბრით მოკლა. კერენსკიმ სამართლიანად უწოდა მას რუსეთის შარლოტა კორდე.

მოწაფეობაში, ქუჩაში მიმავალ მე და ჩემს დას ვიღაც ხულიგანი დაგვეტაკა, მტაცა ხელი და თავისი დორბლი ლოყაზე დატოვა. არც ლაჩრობა გამომიჩენია, საკადრისი პასუხი მიიღო, მაგრამ კარგა ხანს დას თვალს ვერ ვუსწორებდი. თურმე, ისიც. გვრცხვენოდა ორივეს. მაგრამ რისი? საღად რომ ვიმსჯელოთ, სირცხვილი აქ მოძალადეს მართებს და არა უდანაშაულო მსხვერპლს. და მაინც, აქ მრუდე, თავდაყირა ემოციის რაღაც კანონზომიერება არის. შერცხვენილ-დამცირებული სწორედ მე ვიყავი. აბსურდია, მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტია, სწორედ ასეთი იყო და იქნება შეურაცხყოფისგან ყველას აღქმა. მე აღარა ვარ 17 წლის და მაინც მიჭირს...

კარგად მახსოვს მისი ოთახი. კრძალვით შევაბიჯებდი ხოლმე. უცნაური, მაგრამ იქ წყნარად მეჯირა თავი (ლიზა ქავთარაძე და პაგარა რუსუდანი)

...ბოლო არ უჩანს ბღავილს და ცეცხლის სეტყვას. ნადირებმა აინყვიტეს, სხეული ერთ მთლიან ტკივილად იქცა. დაბეგვილი ძვლების სიმწარე, დახლეჩილი ხორცის მდუღარება, გავარვარებულ თონეში ვიწვი...

რაფავა სკამზე ზის, როგორც ამწეზე და იქიდან ალაგებს კადრებს. უცებ, ელვის სისწრაფით ყველაფერი შეწყდა, არ ვიცი, რატომ. გამოვიხედე და პირველი, რაც თვალში მეცა, რაფავას გათეთრებული სახეა. თავბრუა თუ სინამდვილე? ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი — მიტკალივით გათეთრებული სახის ყველა ნაკვთი დახტის, იკრუნჩხება, იმანჭება... მე ქვევიდან შევცქერი, მოზიდული ვარ და დაძაგრული, ასე თუ ბოჭავს ფრინველს გველის თვალები. მოჩვენებასავით გაქრა მბდღვინავი ცეცხლის ქაოსი. არ წყდება ჯოჯოხეთური ფანტასმაგორია. უცებ აზვირთდა ახალი, სრულიად შეუსაბამო, ირაციონალური და გაუგებარი, ნიაღვარივით წამოვიდა რაღაც და გულში ზღვად ჩადგა. დაიფარა, ჩაიძირა ტკივილიც, შებღალვის სირცხვილიც, ზიზღიც, სიძულვილი, შიში... არაფერი აღელვებს მის წყნარ ზედაპირს და ეს წყნარი ზღვა გრძნობა არის ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული სიბრალული, გულშემატკივართა შეცოდების ნაცნობი გრძნობა. მაგრამ ჩემ ირგვლივ ყოველივე ჯადოსნური სისწრაფით იცვლიდა ფერს, ზომას, მოცულობას, დნებოდა, იჩუტებოდა, პატარავდებოდა. ჩემი ხელქვეითი, მორჩილი, უბრალოდ ხელმისაწვდომი ხდებოდა.

— როგორ მეცოდებით, რა საბრალო ხართ, რა უბედური... — გულმხურვალედ ვეჩურჩულები მას.

რაფავა, თითქოს ქარის ტალღამ ასხლიტა. თვალი გამიყარა. ზიზღს ვერ მიაგნო, ვერც დაცინვას. გაქვავებული იჯდა. შეიძლება, რაღაც ჭვრეტით ყველაფერს მიხვდა. შეიძლება, უფრო მეტს, ვიდრე მე მაშინ... და კვლავ უკონტროლოდ, თითქოს ჩამორღვეული კედლის იქით სხვა ზეცა და სხვა ხმელეთი იყო, მინდობილად, როგორც ახლობელს, რომელსაც ზოგავ და უფრთხილდები, მორიდებული ჩივილი გავუზიარე:

— დავიღალე.

მან აქეთ-იქით დაყრილ ფეხსაცმელებზე თავის ოსტატებს ანიშნა... ამ წამიდან კადრებს მე ვალაგებდი... ფაქტია, დღეს იგი ცოფიანი ძაღლი იყო. სრულიად გადაუჭარბებლად, სრულიად რეალურად საინკვიზიციო სამძებროს მხეცი-ჯალათი, მაშინ მისი შეცოდება გულმა როგორ გაბედა“.

იმედი მაქვს, მკითხველი არ შემეკითხება, რატომ ჩავრთე ლიზიკოს მოგონებების ეს ვრცელი პასაჟი.

მალე მის ცხოვრებაში კვლავ დაიწყო ეტაპების დაუსრულებელი სერია. მაშინ დაპატიმრებულებს ქუჩაში მარშით მიარბენინებდნენ რკინიგზის სადგურიდან ციხის ალაყაფის კარამდე. პატიმრები ძირითადად რკინიგზით, ე.წ. „სტოლიპინის“ სატვირთო ვაგონებით გადაჰყავდათ. დაუსრულებელი რუსეთის ტრამალებზე გაჭიმული რკინიგზა უამრავი ტრაგედიის მოწმეა. ლიზიკო დაწვრილებით ხსნის ეტაპისა და ბადრაგის ფსიქოლოგიას, როგორც ერთიან მოვლენას. იგი წერს:

„ვისაც ეტაპი განუცდია, მან იცის, რა არის ოცნება ციხეზე. იქ ჩვენ ვართ სამყაროში ჩაკეტილი, იქ კუნჭულს მოგიჩენს საკნის მამასახლისი. გახრეკილ ნარებზე დაოსებულ სხეულს მიაგდებ, ძონძებს წაიხურავ, საკუთარ თავთან დარჩები. აღარ გგიჟგნიან, ყურში არავინ ჩაგწივის — „დავი, დავი“. მოღერებულ კონდახს აღარ ხედავ, ჯაჭვის ღრჭიალი აღარ გესმის, ნაგაზები აღარ გიღრენენ... მაგრამ რჩება გზა სადგურიდან ციხემდე...“

ლიზიკო აღწერს, თუ როგორ იქცევიან „ლაგერებისა“ და ეტაპების ლაბირინთებში

ადამიანები პირუტყვებად. არც სიკვდილი აინტერესებს ვინმეს, არც სიცოცხლე. დამატებითი შეურაცხყოფისთვის ქალებს თმას ჰპარსავდნენ. რა თქმა უნდა, იყო პოლიტიკურებისა და კრიმინალური სამყაროს დაპირისპირებაც. ლიზიკო პოლონელ ტყვეებს უახლოვდება და განცვიფრებულია მათი სულის სიფაქიზითა და ღვთისმოსაობით. ქალი ყაზახეთის გზას გაუყენეს. ის რუსეთის ამ კოლონიის ცხოვრების ძალზე საინტერესო ანალიზს გვთავაზობს:

„რუსეთმა ყაზახეთი და სხვა კოლონიები სანაგვედ გამოიყენა, ისე, როგორც ამას თვითმპყრობელობა აკეთებდა. იწმინდებოდა ცენტრალური რუსეთის ქალაქი-ოლქები, მათი საზოგადოებრივი მოუწყობლობის ნაგავი, მაგალითად, ყარაგანდას უნდა ეკისრა და ნორმალურ ცხოვრებაზე ხელი უნდა აეღო. ციხიზმი იქამდე მიდიოდა, რომ ე.წ. სარეჟიმო ქალაქ-ოლქებში ნაპატიმრალს აღარ შეეძლო მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენა. გადასახლებულთა და ნაპატიმრალთა მრავალმილიონიანი მასა ჭეშმარიტად ბაბილონის გოდოლს წარმოადგენდა. დაწესებულებაში, საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში ძალაუნებურად მტკიცდებოდა რუსული ენის საჭიროება. ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა. მეორე და მესამე თაობისთვის რუსული უკვე მშობლიური ენა ხდებოდა. ყაზახეთის ტერიტორიული ათვისება უკვე დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. სადღეისოდ ყაზახები მექანიკურად გაზრდილი მოსახლეობის 20%-საც აღარ შეადგენენ. ასეთია ჩამორჩენილი რესპუბლიკების „ეროვნული გადარჩენის“ სურათი“.

ლიზიკო ჯერ ყარაბაზის „სალაგერო“ სისტემის გამანაწილებელში მოხვდა. ეს იყო ქურდობის, მტაცებლობის, სპეკულაციისა და გარყვნილების ბუდე. აზარტული თამაშები, ნარკოტიკები და პროსტიტუცია ყარაბაზის ყოველდღიურობას წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, პოლიტიკური პატიმრები, აკმოლინსკის დახურული ბანაკისკენ გზას გაუყენეს. ყაზახურად „აკმოლა“ თეთრ სამარეს ნიშნავს. გულაგის დამსჯელებმა და მსხვერპლმა ქალთა ბანაკს „ალჟირი“ შეარქვეს: „აკმოლინსის სამშობლოს მოღალატეთა ცოლების ბანაკი“ რუსული აბრევიატურით ამგვარად ჟღერდა. გზაში ჯაზაკზგანისაკენ თითქმის სასიკვდილოდ განწირული, მამაკაცი პატიმრების ეშელონებიც მიდიოდნენ. სამი დღე-ღამის შემდეგ მატარებელი გაჩერდა და მამაკაცები თეთრ უდაბნოში ჩამოსვეს. ქალები უდაბნოს მკვდარმა გარემომ ჩააფიქრა. „ლაგერი“ აკმოლინსკიდან 45 კილომეტრზე მდებარეობდა. პოლიტიკური პატიმრები ე.წ. „სამშობლოს მოღალატეთა ცოლებს“ დიდად არ სწყალობდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ისინი პრიმიტიულები იყვნენ. უფრო მწარედ კი, **Вонючки**“, რომლებსაც თავიანთი დაკარგული ძვირფასეულობისა და კაბების გარდა, არაფერი აინტერესებდათ და მოსაგონარიც მეტი არაფერი ჰქონდათ.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს, ლიზიკო ქავთარაძე კოკჩეტავაში გადაასახლეს, სადაც 1956 წლამდე ცხოვრობდა. შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა, რეაბილიტაცია მიიღო და სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

მისი ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ლიზიკო — მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, მხატვრული სიტყვის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული, მაგრამ მას პოლიტიკური ასპარეზი უფრო იზიდავდა და ამის გამო, მთელი ცხოვრება გაწირა. რაც შეეხება ყოფას, იგი არასოდეს გათხოვილა და დის ოჯახს თავისად მიიჩნევდა. ძალიან უყვარდა და გადასახლებაშიც კი ნერვიულობდა დისშვილზე — გია ჭუბაბრიაზე, რომლის აღზრდაშიც მონაწილეობა ვერ მიიღო. სამაგიეროდ, მთელი თავისი სიყვარული გიას გოგონაზე — რუსუდანზე გადაიტანა, რომელთანაც, წელთა განსხვავების მიუხედავად, უდიდესი სულიერი სიახლოვე აკავშირებდა. ისიც საკადრისად პასუხობდა საყვარელ ბებიას. **რუსუდან ჭუბაბრია** ასე იგონებს ქალბატონ ლიზიკოს:

ძალიან უყვარდა
და გადასახლებაშიც
კი ნერვიულობდა
დისშვილზე —
გია ჭუბაბრიაზე

— თავიდანვე მშობლებს ორთაჭალაში დავყავდი ლიზიკოსთან. კარგად მახსოვს მისი ოთახი. კრძალვით შევაბიჯებდი ხოლმე. უცნაურია, მაგრამ იქ წყნარად მეჭირა თავი. თვალი კი კარადისაკენ გამირბოდა, სადაც წყლიან ქილაში დაბერილი ქიშმიშები მელოდა... ოთახში ვანილის სურნელი იდგა. კედელზე ზიჩის „ვეფხისტყაოსნის“ საკმაოდ დიდი ზომის რეპროდუქცია ეკიდა, კიდევ — გუდიაშვილის „ფრესკა“ და „ტვინის ჭყლეტა“, რომელიც ლიზიკოს განსაკუთრებით უყვარდა... რაც თავი მახსოვს, მუდამ „პატარა ბელადი“ იყო. ჩვენთან შემოსვლისთანავე, რამდენი ხალხიც არ უნდა ყოფილიყო, ყველა წყვეტდა ლაპარაკს და ინტერესით ერთვებოდა ლიზიკოს მიერ შეთავაზებულ უკომპრომისო პოლემიკაში. ტანად პატარა იყო და ძალიან აქტიური. თუ მოეწონებოდა, ნებისმიერი ასაკის ადამიანს გაუტოლებდა თავს. მხიარულიც იყო და ხშირადაც „ხულიგნობდა“. ფიცხი იყო და ამავე დროს, სრულიად უმართავი. ერთ დღეს შეიძლება, რაღაც არ მოსწონებოდა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ იმავეზე გადაირეოდა და საწინააღმდეგოს ამტკიცებდა... ძალიან უყვარდა გია ჭანტურია. გიას წასვლა ამ ქვეყნიდან უზომო ტკივილი იყო მისთვის. ლიზიკო ჩვენთან, ნუცუბიძეზე გადმოვიდა საცხოვრებლად, მაგრამ გიასთან მეგობრობა არ შენელებულა, პირიქით — გიამ წერა რომ დაიწყო, ხშირად მოდიოდა. ჩვენთან ბევრნი იკრიბებოდნენ და ერთობ ხმაურიანი თავყრილობები იყო. კარს ხშირად მე ვაღებდი და თამრიკო ჩხეიძის უნდობელ მზერას გადავაწყდებოდი ხოლმე, მერე უცებ გაიღიმებდა და გაოცდებოდი, როგორ ეცვლებოდა სახე. იშვიათად მინახავს ასე მოხდენოდეს ვინმეს სიცილი. ლიზიკო და თამრიკო ხშირად ჩხუბობდნენ, არაფერს უთმობდნენ ერთმანეთს. ალბათ, ამ კავშირების გამო, ჩვენით უშიშროება დაინტერესდა. მამას კარგა ხანს საზღვარგარეთ გამგზავრება აეკრძალა. თუმცა, ისიც ღიად ამჟღავნებდა კომუნისტებისადმი სიძულვილს... ლიზიკოსთვის ეროვნული საკითხი და პოლიტიკა მისი ცხოვრების არსი იყო. ხანდახან მგონია, რომ მან რამდენიმე ადამიანის ურთულესი და საინტერესო ცხოვრება განვლო. უკომპრომისო იყო, თავის უახლოეს მეგობარს — ლიოლა კინს (მას მეუღლე დაუხვრიტეს და ერთადერთი ვაჟი ფრონტზე დაეღუპა; ერთად იყვნენ გადასახლებაში), ერთი ფრაზა: „Дети в Грузии могут Стендаля читать и по-русски“.— ვერაფრით აპატია და სამუდამოდ მოიკვეთა... შინაურების მიმართ კი, სასაცილოდ იცოდა გაბუტვა: პატარა ბავშვივით გაიბერებოდა, კიდევ უფრო დამრგვალდებოდა და მკაცრი გამომეტყველებით, პირმოკუმული დაქროდა აქეთ-იქით. ჯობდა, ამ დროს არ გადაჰყროდი. მაგრამ ჩემს „ბოდიშს“ დიდი ძალა ჰქონდა. პოლიტეკონომიას როცა ვაბარებდი, ინტერესით ათვალიერებდა ჩემს სახელმძღვანელოს და როგორც სჩვეოდა, მრისხანე უკმაყოფილებით იქნევდა თავს: ეს რას გასწავლიან?! მარქსის „კაპიტალი“ ძალიან საინტერესო წიგნია... თავის ოთახში მარქსის პატარა ბიუსტი ედგა და ნოე ჟორდანიას სურათი ეკიდა. აწუხებდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობის ვერსია, ტყუილიაო, — კატეგორიულად ამტკიცებდა. ათეისტი იყო, ამიტომ ძალიან გამაკვირვა მისმა ნათქვამმა — არ შეიძლება, სამყაროს რაიმე ძალა არ მართავდესო. ეს მეორე ინფარქტის შემდეგ მითხრა. ექიმები განცვიფრებული იყვნენ — 85 წლის ასაკში მეორე ინფარქტი, რომელსაც 3 თვემდე გაუძლო!.. სანამ აგონია დაეწყებოდა, დამიძახა. „ბუცუნა (ასე მეძახდა) ჩამეხუტე, მეშინია“. ეს იყო ალბათ, პირველი და უკანასკნელი, ვინმესთან გამჟღავნებული სისუსტე. ჩავეხუტე და გულმა მიგრძნო, მიდიოდა. მამას უთხრა: „გია, მე ცხოვრება დავკარგეო. არ ვიცი, რას გულისხმობდა.“

ლიზიკო ქავთარაძისადმი უდიდესი პატივისცემის გარდა, რამაც მისი მოგონებების ჩემს წერილებში ჩართვა გადამანყვეტინა, არის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზიც; ვიცი, რომ ისტორია არ მეორდება, მაგრამ მეორდება გარკვეული აქცენტები და შეცდომები. განა ვინმესთვის გასაკვირი უნდა იყოს, რომ ჩემი ერის უახლოეს წარსულთან დაბრუნება არ მსურდეს? ან გასული საუკუნის შეცდომების გამეორებისთვის არ მემეტებოდეს ქართველი ხალხი? ლიზიკო ქავთარაძის ცხოვრება კი, ამ შეცდომებმა, სიბრმავემ და ქართული საზოგადოების კომფორმიზმმა გადააქცია ჯოჯოხეთისა და ტანჯვის გზად. ■

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული საკითხავი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცალოთ თვალი.

1. „კარგი მეკარე მაშინ გახდები, როცა მიხვდები, რომ დინამოს კარში კი არა, დარიალის კარში დგახარ“, — ვინ მისცა ასეთი დარიგება სერგო კოტრიკაძეს?

2. დაასახელეთ რუსი კომპოზიტორი, რომელსაც თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში ქართული „იავნანას“ მელოდია აქვს გამოყენებული.

3. პირველად ამ ბერძენმა ტრაგიკოსმა წარმოაჩინა თავის ტრაგედიაში კოლხეთის მეფის ქალიშვილი მედეა შვილების მკვლელად. არადა, საბრალო ქალს შვილები არ დაუხოცავს, კორინთოს ტაძარში დატოვა და მფარველ ჰერას შეავედრა. ისინი კორინთოელებმა დახოცეს შურისძიების ნიადაგზე, რისთვისაც ბოლო დრომდე, სინანულის ნიშნად მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთებს. დაასახელეთ ეს ტრაგიკოსი.

4. რას ეძახდნენ მეფის რუსეთში „კატერინკებს“?

5. ვისი ლექსის თარგმანზე შეიქმნა საქართველოში ცნობილი სიმღერა — „ტურფავ, ტურფავ, რას მემდური?..“

6. დაასახელეთ საქართველოს რეგიონი, რომელიც XV საუკუნემდე კამბეჩოვანის სახელწოდებით იყო ცნობილი. მისი ცენტრი კი, ხორნაბუჯი გახლდათ.

7. „ყველა ქვეყანას ჰყავს პრუსია და პრუსიელები“, — ამბობდა მიხეილ ჯავახიშვილი. დაასახელეთ ჩვენი ქვეყნის კუთხე, რომელსაც მწერალი საქართველოს პრუსიას ეძახდა.

8. პუბლიუს კლოდიუსს თავდავიწყებით უყვარდა იულიუს კეისრის ცოლი — პომპეია. ერთ დღესასწაულზე იგი ქალად გადაცმული შეიპარა კეისრის სახლში, მაგრამ მსახურებმა იცნეს და სახლიდან გააძევეს. ამ ამბის შემდეგ, კეისარი ცოლს გაშორდა, თუმცა სახალხოდ გამოაცხადა: მეუღლის ერთგულებაში ეჭვი არასდროს შემპარვიაო. ცოლს რატომღა სცილდებიო? — ჰკითხეს მეგობრებმა. რა უპასუხა მათ კეისარმა?

9. დაასახელეთ მდინარე, რომლის ნაპირზე ევროპის ოთხი სახელმწიფოს დედაქალაქები: ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი და ბრატისლავა მდებარეობს.

10. დაასახელეთ ქალაქი, სადაც ლევ ტოლსტოიმ 1852 წელს, ავტობიოგრაფიული ტრილოგიის პირველი მოთხრობა — „ბავშვობა“ დაწერა.

11. რა არის ტრავესტი?

12. ნემეის ლომი, ჰიდრა, სტიმფალური ფრინველები, კერიური ირემი, ერიმანთული ხარი, ავგიას თავლის გაწმენდა, კრეტული ხარი, დიომედეს ცხენები, იპოლიტეს სარტყელი, გერიონეს ძროხები, ცერბერი, ჰესპეროსის ვაშლები. რა ჩამოვთვალეთ ამწუთას?

13. ვის შესახებ ამბობდა იაპონელი მწერალი აკუტაგავა რიუნოსკე — „ადამიანის მთელი ცხოვრება ამ პოეტის ერთ სტრიქონად არ ღირსო“?

ანეკდოტები

* * *

— რამდენი შვილი გყავთ?
— შვიდი.
— რამდენი წლისანი არიან?
— თერთმეტის, ათის, ცხრის, რვის, შვიდის, ექვსის, ხუთის... მერე, ტელევიზორი ვიყიდეთ.

* * *

— რაჟდენ, რატომ გამოდის თქვენი ბინიდან ვარდის სუნი?
— როზა, ძვირფასო, შედი აბაზანაში და შხაპი მიიღე!

* * *

ახალგაზრდა ქალი ტირილით მივიდა დედასთან.

— რა მოხდა?
— ქმარმა მცემა.
— ქმარმა? შენი ქმარი ხომ გუშინ მივლინებაში წავიდა?!
— მეც მასე მეგონაააა!..

* * *

მიხო ეუბნება მიტოს:
— თბილისის ოპერა, მგონი, სვანების აშენებული უნდა იყოს.
— ვითომ, რატომ?!
— „ბალკონები“ შიგნიდან აქვს გაკეთებული!

* * *

ბავშვი კომპიუტერს აღარ შორდება. შეშფოთებული მშობლები ექიმს მიაკითხავენ.
— თქვენს შვილს მკურნალობა ესაჭიროება!
— რა მეთოდით, ექიმო?
— ვისკით, სიგარეტითა და ქალებით!..

* * *

— ექიმმა მითხრა: ნიორი ჭამე და გრიპი აღარ გადაგედებაო.
— მერე, მართალი გამოდგა?
— რა თქმა უნდა, 20 მეტრის რადიუსით აღარავინ მეკარება და გრიპს ვინ გადამდებს?!

* * *

— მამა, ასეთი არეულ-დარეული ამინდი რატომ არის? — ხან ცივა, ხან ცხელა, ხან წვიმს...
— ეგ, შვილო, ატმოსფეროს ტენიანობაზე, ნალექების რაოდენობასა და თბილი მასების გადაადგილებაზეა დამოკიდებული.
— უფრო გასაგებად ვერ მეტყვი?
— რაც ხელისუფლებაა, ისეთი ამინდია, რა!

* * *

— თუ ძმა ხარ, მითხარი, ცოლს თავისი ტყუპისცალი დისგან როგორ არჩევ?
— სულ ადვილად — ცოლისდას რომ ვკოცნი, ცოლი სილას მაწნავს.

* * *

— უკვე დროა, დასასვენებლად კურორტზე გამიშვა — ეუბნება ცოლი ქმარს — ჩემთვის დასვენება აუცილებელია.
— მგონი, არც ისეთი გადაღლილი ხარ, ჩემო ქეთევან, — ხავსს ეჭიდება ქმარი.
— ჯერ არა, მაგრამ ჩემოდნებს რომ ჩავალაგებ, ხომ დავიღლები?!

* * *

კაცების საუბრიდან:
— არჩევანის წინაშე რომ დადგე — ან ცოლი, ან სუპერმოდელი, რომელ სუპერმოდელს აირჩევდი?

* * *

სვანი ჩაიკოვსკის „გედების ტბაზე“ წავიდა და თან ანკესები წაიღო.

* * *

კოჭლი ლევანა არ იშლის — მოხალისედ უნდა წავიდე ერაყშიო.

— ერაყში რა გინდა, დაეგდე სახლში, აქ ხო მე მომკალი და იქ კიდე სნაიპერი უნდა შეშალო ჭკუაზე?! — გადაირია მამამისი.

* * *

კახელი ცოლთან ერთად ველურებმა დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და გარშემო ცეკვავენ.

— გაუპატიურება არ აგვცდება, — უთხრა ცოლმა.

— არა, შეგვჭამენ.

— სულ საჭმელზე როგორ უნდა ფიქრობდე, შე უბედურო.

* * *

ქალი პოლიციაში მივიდა — ქმარი დავკარგეო.

— როგორ გამოიყურება?

— სულ მთვრალია!

— მაგას არ გეკითხებით — „სინიაკი“ ან „შრამი“ თუ აქვს სახეზე?

— არა, მაგრამ თუ ცოცხალი დაბრუნდა, ორივეს გავუნაღდებ.

* * *

პოლონელი ქსენძთან მივიდა აღსარებაზე:

— შევცოდე, პანოვე!

— მაინც რა ჩაიდინე, შვილო ჩემო?!

— ებრაელი მოვატყუე!

— ეგ ცოდვა კი არა, სასწაულია, შვილო ჩემო!

* * *

ცოლი სამსახურიდან დაბრუნდა, ჩაჯდა სავარძელში და ესაუბრება ქმარს, რომელიც იატაკს ხეხავს.

— ჩემმა უფროსმა მითხრა, შენი გულისთვის მზად ვარ, ოჯახი დავანგრიოო. რა თქმა უნდა, ხუმრობს.

— იქნებ, არ ხუმრობს? — საცოდავად ამოხედა ქმარმა.

* * *

— ქმარს უნდა გავშორდე.

— რატომ?

— მას შემდეგ, რაც დეპუტატი გახდა, ყოველ საღამოს დადგება ჩემს საწოლთან და მიყვება, რა მშვენიერი სექსი გვექნება მომავალში.

* * *

— ალო, უკაცრავად, თქვენ დააწესეთ ჯილდო დაკარგული ძაღლის პოვნისათვის?

— დიახ, იპოვეთ?

— ჯერ არა, მაგრამ ავანსს ხომ ვერ მომცემდით?

* * *

ბიჭი ეკითხება თავის დაქალს:

— რას ნიშნავს, როდესაც გოგოს ხელზე ჩვეულებრივი ბეჭედი უკეთია?

— არაფერს ნიშნავს.

— როცა საქორწინო ბეჭედი უკეთია?

— ეს ნიშნავს, რომ ის გათხოვილია.

— როცა ჩვეულებრივიც უკეთია და საქორწინოც?

— ეს ნიშნავს, რომ ის გათხოვილია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

* * *

მოსწავლეს მასწავლებელი ეკითხება:

— მარტო ათამდე რომ იცი თვლა, რა გინდა, რომ მომავალში გამოხვიდე?!

— მსაჯი ვიქნები, კრივში!

* * *

ამ თვეში ბესტსელერად იქცა მარგარეტ მენტის ახალი წიგნი — „როგორ ვიპოვოთ ჩვენი ოცნების მამაკაცი და რა მოვუხერხოთ შემდეგ ამ ნაძირალას“.

ჯერნეჯის საკანონმდებლო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ბორის პაიჭაძემ.
2. პეტრე ჩაიკოვსკი. ბალეტი — „მაკნატუნა“.
3. ევრიპიდე.
4. ასმანეთიან ასიგნაციებს, რომლებზეც ეკატერინე მეორე იყო გამოსახული.
5. ეს სიმღერა ჰაინრიხ ჰაინეს ლექსის თარგმანზეა შექმნილი.
6. ქიზიყი.
7. ქართლი.
8. კეისრის მეუღლე ყოველგვარ ეჭვზე მაღლა უნდა იდგესო.
9. დუნაი.
10. თბილისი.
11. იმ მსახიობი ქალის ამპლუას — რომელიც პატარა ბიჭების, მოზარდების ან გოგონების როლს ასრულებს — ტრავესტი ჰქვია.
12. ეს სია ჰერაკლეს გმირობათა ჩამონათვალია.
13. შარლ ბოდლერის შესახებ.

ბალანსირებული ბალანსი

უკომენტაროდ

ველური ნაბერის ხეივანი

ზაზა ვაჩნაძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-32

თბილისში ბიზნესსაქმიანობის დაწყებისთანავე, ნიკა ბერიძე დაბრკოლებებს ხვდება. დიდ ნაკვეთს, რომელიც თბილისის მახლობლად შეიძინა, ბიძაშვილი ეცილება. თან, ამასთან დაკავშირებით, ფირმის გახსნის დღიდანვე, მასთან მაკონტროლებლები მოდიან და აშკარა ზეწოლის მოხდენას ცდილობენ. არანაკლებ რთულად ვითარდება მისი ურთიერთობები დედამამაშვილებთან... მიუხედავად ამისა, ნიკა გართობისთვისაც იცლის და უმცროს ძმასთან, ირაკლისთან ერთად, პატარა ორგიაშიც მონაწილეობს, რომლის დროსაც, ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსნის, მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილს, თათიკოს გაიცნობს. ცოტა ხანში კი, პარლამენტარ ნანა მელაძეს დაუახლოვდება. ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ტელევიზიის ბარში მათ ნიკას ქალიშვილი თეონა დაინახავს და ანერვიულებული, თავქუდმოგლეჯილი გაიქცევა...

თეონა, რა თქმა უნდა, შინ, დედასთან გარბოდა. იმის გაცნობიერება, რატომ დასწყდა ასე გული, ამ მომენტში, მისთვის ძნელი იყო. გარბოდა, რომ დედისთვის მიეტანა ახალი ამბავი? გარბოდა, რომ გასცლოდა იქაურობას?.. ალბათ, ერთიც და მეორეც.

ნიკა შენობის გასასვლელთან წამოეწია. ხელი მოჰკიდა. თეონა მისკენ მიბრუნდა. ერთი კი შეხედა მამას და თავი ჩაქინდრა.

— თეონა, შენ პატარა აღარ ხარ... — უთხრა აქოშინებულმა ნიკამ. — რას მარ-ბენინებ ამდენ ხალხში?!

— არ ვიცი, — თქვა თეონამ.

— რა არ იცი? რომ პატარა აღარ ხარ? — ჰკითხა ნიკამ.

— არაფერი არ ვიცი... — თქვა თეონამ. — თავი დამანებე!

— შემომხედე! — უთხრა ნიკამ.

უნდოდა, თავი აეწევინებინა, მაგრამ თეონამ ხელი გააშვებინა.

— თავი დამანებე! — და გოგონას ცრემლები წასკდა.

— კარგი, ნუ ტირი, რა ხდება?.. წამოდი! — შერცხვა ნიკას იქ მდგომი მორიგე პოლიციელების და თეონა გარეთ გაიყვანა.

— თავი დამანებე, მამა, გამიშვი! — სთხოვა თეონამ, გარეთ გავიდნენ თუ არა.

— სად გარბიხარ?! მოიცა, აგიხსნა! — უთხრა ნიკამ. თუმცა, რა უნდა აეხსნა და როგორ — თვითონაც არ იცოდა.

— გამიშვი, მამა, თავი დამანებე, არ მაინტერესებს... — ტიროდა თეონა და ნიკა მიხვდა, რომ ვერც ვერაფერს აუხსნიდა და რომც აეხსნა, ბავშვს მაინც ვერ გადაარწმუნებდა. ესღა მოახერხა, რომ ეკითხა:

— სად გარბიხარ მაინც?

— სახლში, დედასთან... — სლუკუნებდა თეონა.

— არაფერი არ მომხდარა... — თქვა ნიკამ და მაშინვე ინანა — თეონამ ისეთი განმგმირავი მზერა მიაპყრო. ნიკამ ისღა მოახერხა, რომ ჯიბიდან ასდოლარიანი ამოიღო და ბავშვს ხელში ჩაუჭმუჭნა. — კარგი, წადი!

— არ მინდა! — უკან მიუგდო ფული ბავშვმა და ნიკა მიხვდა, რომ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა... ფული ქარმა ააფრიალა და ბორდიურს იქით, ბალახებში გადააგდო. თეონა მიბრუნდა და გაიქცა.

— გაიზრდები და გამიგებ!.. — ესღა მიაძახა. მერე კი იდგა და მისჩერებოდა, სანამ თეონა თვალს არ მიეფარა.

ვინ იცის, ვის უფრო მეტად დასწყდა გული — მამას თუ შვილს?! „ნეტავ, რა იცის ჩვენ შესახებ?“ — გაიფიქრა ნიკამ. უამრავი დიდი თუ პატარა ცოდვა ტრიალებს ჰაერში, რომელსაც არასოდეს არავინ ინანიებს. ამჯერადაც ასე იყო, ალბათ. „ცოდვა, რომელიც მშობლიდან შვილზე გადადის და საბოლოოო ჯამში, რა თქმა უნდა, მაინც, საზოგადოებას მოეკითხება...“

ინფორმაცია ამ ინციდენტის შესახებ ბერიძეების ოჯახმა ანისგან მაშინვე შეიტყო. ასე რომ, როცა ნიკა სახლში მიბრუნდა, ყველანი უკვე საქმის კურსში იყვნენ.

— ნატოს დაურეკე, — ურჩია ელისომ.

— მე თვითონ ვიცი, — მოჭრა ნიკამ.

— არ დაურეკავ? — გაუკვირდა ელისოს.

— რა ვუთხრა მერე, ელისო, რომ დავურეკო? — მიაჩერდა ბებიას ნიკა. — ეს ანი კიდევ, ტელევიზიაში კი არა, ცე-რეუში უნდა მუშაობდეს, მშვენიერი აგენტი იქნებოდა. ჯერ შინ არ მოვსულვარ და უკვე ყველამ ყველაფერი იცის. ისედაც ბოღმა მახრჩობს, არა?! — ბრაზობდა ნიკა. თუმცა, გულმა არ მოუთმინა და მაინც დარეკა.

— ნატო, ნიკა ვარ. მოვიდა თეონა?

— არა. რა, ჩემთან წამოვიდა? — გაუკვირდა ნატოს.

— ჰო. ალბათ, მალე მოვა. დამირეკე, რა, როცა მოვა.

— კარგი, — უთხრა ნატომ.

— ჯერაც არ მისულა? — იკითხა შეშფოთებულმა ელისომ.

ნიკამ ყურმილი დაახეთქა.

— ეს რა ქვეყანაა, იცით?! — მიუბრუნდა ის ელისოს. — თუ ერთი ფეხი წაგიცდა ოდესმე, მერე მთელი ცხოვრება ძმრად უნდა გადინონ ცხვირიდან. ლაწირაკი!..

— თეონა კარგი გოგოა. თან — როგორ უყვარხარ!.. — არ დაუთმო ელისომ.

— რა გინდა, ელისო, ჩემგან? გული გინდა, გამისკდეს? ამიხსენი! — გამწარდა ნიკა.

— კარგი, შვილო, დამშვიდდი. ყველაფერს ეშველება. მეშინია, ისევ ვინმეს ისეთს არ გადაეყარო...

— ვის უნდა გადავეყარო, ელისო, კარგი რა! მე ჯერ ცოლის მომყვანი ვარ?! ორი დღეა, ჩამოვედი, ჯერ აკლიმატიზაციაც კი არ გამივლია წესიერად. მივიდეს, ერთი, ეს ბავშვი სახლში და მერე, ჩემს

მომავალ ცოლზე კი არა, თუ გინდა, შაჰების ჰარამხანაზეც ვილაპარაკოთ.

კარზე ზარმა დარეკა. ნიკა გავარდა და გააღო. ზღურბლზე ირაკლი იდგა.

— რახან შენს ნახვას ველირსე!.. — თქვა მან და ძმა გადაკოცნა. — ოფისი ვის არ გაუხსნია, მაგრამ სამუდამოდ იქ არ გადაბარგებულა. ზოგჯერ ძმებიც უნდა გაიხსენო. — მაგრამ როცა ნიკას უგუნებობა შეატყო, შეეკითხა: — მოხდა რამე?

— არა, არაფერი, — უპასუხა ნიკამ.

ირაკლი ახლა ელისოს შეეკითხა:

— რამე მოხდა, ელისო? რატოა ეს კაცი ასე ჩაბოღმილი?

— აბა, რა გითხრა, ირაკლი?!. დღე ერთია და პრობლემა — ათასი. საიდან რა გამოტყვრება, არავინ იცის... შავი დღის მეტი რა მინახავს, მაგრამ ასეთი „კუნაპეტი წყვდიადი“, ახლა რომ შემასწრო ღმერთმა... არა. არ ყოფილა არასოდეს.

— აუ, ეგ არის მარტო ჩვენი პრობლემა?! — სკამზე დაეშვა ირაკლი. — კაი, რა, ნიკა. რა დაგევასებოდა ამწუთას ყველაზე მაგრად, მითხარი!

— ბავშვი წავიდა დედამისთან, არ მისულა ჯერ და იმას ნაღვლობს, — აუხსნა ელისომ ირაკლის, საქმის ვითარება.

— კაი, კაცო! მივა, სად წავა?! — თქვა ირაკლიმ. — სხვა, როგორ მიდის შენი საქმეები? დაიწყე რამე? — ჰკითხა მან ძმას.

— პირდაპირ მითხარი, თუ რამე გაინტერესებს, — მიაშტერდა ძმას ნიკა.

— გეტყვი! მაგრად მაინტერესებს! — მიუგო, მისდა გასაკვირად, ირაკლიმ და ელისოს შეეხვეწა: — ელისო, ერთი წუთით მარტო დაგვტოვე, რა. რაღაც სერიოზული საქმე მაქვს ჩემს ძმასთან.

— კი, ბატონო, — წინსაფარზე ხელები შეიმშრალა ელისომ და გავიდა. ირაკლიმ საქმიანი იერი მიიღო.

— რას აპირებ იმ მიწაზე, მამაპაპეულს რომ ეძახი? იმხელა ფული რომ ჩადე. უნდა დააკონსერვო?

— რაში გაინტერესებს? — დაეჭვდა ნიკა.

— როგორ, ძმის ამბავი არ უნდა მაინტერესებდეს და არც უნდა ვიკითხო?! — იქით მიაწვა ირაკლი.

— შენ მიწის ამბავი გაინტერესებს თუ ჩემი ამბავი?.. — წარბი აუწია ნიკამ ძმას.

— კაი, ვთქვათ, მიწის ამბავი მაინტერესებს... — მიაჩერდა ირაკლი.

— შენც ვინმეს მოგზავნილი ხომ არა ხარ, ბიჭო?! რაღაც სხვა ხმაზე ლაპარაკობ! — მიახალა უცებ ნიკამ ძმას.

— რა მოგზავნილი?! უბრალოდ, რჩევა მინდა მოგცე, — არ დაიბნა ირაკლი.

— კაი, აბა, მომეცი! გისმენ, — თვალებში უყურებდა ძმას ნიკა.

ირაკლიმ თვალი აარიდა.

— რა ვიცი. რას აპირებ?

— ჯერ რომ არ ვიცი! რა გიპასუხო? — იქით შეეკითხა ნიკა.

— თუ არ იცი, მაშინ ჯობს, გაყიდო. რად გინდა, რომ ტყუილად ეგდოს?!

— ეგ არის შენი რჩევა?.. მყიდველიც გყავს?.. რამდენს იძლევიან?

— რაც შენ მიეცი, იმაზე ორჯერ მეტს, — გაიხსნა ბოლომდე ირაკლი.

— ლადოს კურიერი ხარ, ბიჭო?!.

— შენ ხილი ნახე, მებაღეს რას კითხულობ?! — არ გასცა პირდაპირი პასუხი ირაკლიმ.

— არა, არ ვყიდი. არც ხილი მაინტერესებს, არც მებაღე. თავისუფალი ხარ! — თქვა ნიკამ და წამოდგა.

— ერთი მაგდენიც რომ დაგიმატონ?.. — წამოხტა ირაკლი.

— არც ერთი და არც ათი. რას ჩამაცივდი?! მე თვითონ უნდა მოვუარო მაგ მიწას, არ ვაპირებ არც გაყიდვას და არც გაჩუქებას და შემეშვით, ბოლოს და ბოლოს, შენც და ეგ შენი ახვარი ბიძაშვილიც! რაღა მაინცდამაინც მაგ მიწას დაადგა თვალი?! შენ არ მეუბნებოდი, რასაც ხელს მოჰკიდებს, ფულად უნდა აქციოსო?!

— აი, მე მითქვამს და შენ თუ ასე გაფრინდები, მაგასაც ვნახავთ. ეტყობა, იმ უცხო ქვეყანაში შენც გაუცხოება დაგემართა, რომ აღარც ძმა იცი და აღარც ბიძაშვილი, — სცადა, ნამუსზე შეეგდო ნიკა.

— კაი, კაცო! — გაეცინა ნიკას. — მე ისევ ისა ვარ, რაც ვიყავი, მაგრამ აი, შენ კი, სულ სხვა ხარ...

ირაკლიმ აღარაფერი უპასუხა. კარისკენ წავიდა.

— დაგჭირდები მეც, — თქვა და კარი გაიხურა.

— რა საქმე ჰქონდა ისეთი, რომ ჩემთან არ ითქმებოდა? — შემოვიდა ელისო.

— აქ ხომ კიდევ, ყველამ ყველაფერი უნდა იცოდეს!.. — ხელები გაშალა ნიკამ.

— მაშ, შვილიშვილების ამბავი არ უნდა მაინტერესებდეს?! — ეწყინა ელისოს.

— ამწუთას, შვილთაშვილისა უფრო უნდა გაინტერესებდეს, რომ არ მისულა ჯერ სახლში, — უპასუხა ნიკამ. — გავიდოდი და მოვძებნიდი. მაგრამ სად ვეძებო?

ამ დროს, ტელეფონმაც დარეკა. ნიკამ ყურმილი აიღო. ნატო იყო. „ბავშვი კი მოვიდა, მაგრამ მამას აღარასოდეს ვნახავო, ამბობს და რა აწყენინე ასეთი?“ — კითხულობდა ნატო. რა უნდა ეპასუხა ნიკას? დღეს უკვე მერამდენედ, იძულებული იყო, გაჩუმებულიყო.

მეორე დღეს, სანამ ნიკა ოფისში მივიდოდა, თათიკომ დაურეკა მობილურზე. „შენთან მოსვლას ვაპირებ და არ შეიცხადო. რომ მნახავ, არც თათიკო დამიძახო — სინამდვილეში, ლელა მქვია, იცოდე“.

ნიკა ოფისში რომ მივიდა, ეკას მაგიდასთან ვიღაც კაცი დახვდა.

კაცი წამოდგა და ხელები ასწია. ფინანსური პოლიციის რევიზორი ვარ, ზურაბ დუნდუა, მაგრამ ცუდი არაფერი იფიქროთ, გვაინტერესებს, რა ფირმაა, რას საქმიანობთ, საბუთები წესრიგში გაქვთ თუ არა, მოკლედ — რა გიჭირთ, რა გილხინთ, აბა, თავიდანვე თუ არ შევამოწმეთ, დანაშაული რომ მოხდება, მერე შემოწმებას რა აზრი აქვსო?!..

— კი, ბატონო, შეამოწმეთ, — თავის მაგიდას მიუჯდა ნიკა. — ჯერ საქმე არ დამიძრავს და რევიზორი რევიზორზე მორბის...

— ეგ ნუ გაგიკვირდებათ — მშიერი ქვეყანაა, მოგეხსენებათ, კაპიტალიზმში „გადმოვხტით“. ჯუნგლების კანონი ამოქმედდა. ჯუნგლებში კი, ხომ გახსოვთ, როგორც ხდება: ვეფხვი რომ კამეჩს წააქცევს და გამოფატრავს, შეჭამს და გამოძღება, მერე მგელი გამოჩნდება, მერე — ტურა, მელა, მერე — ყვავები და ყორნები და ბოლოს, ალბათ, ხვლიკი და თაგვიც დაძვრება იმ ძვლებში... ზოგს დიდი ლუკმა ხვდება და ზოგსაც — პატარა... მოკლედ, ეგ იმაზეა დამოკიდებული, ვის როგორი კუჭი აქვს. ასე არაა? — მიაჩერდა ნიკას ზურაბ დუნდუა.

— არ ვიცი... ნებისმიერ ქვეყანაში ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა, — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— გამოვედით — ერთხელ, ორჯერ... სანამ ჩვენს მენტალიტეტს არ ეშველება, ტყუილია, სულ რომ ქუჩაში ვათენოთ და ვაღამოთ, არაფერი გვეშველება. მე სხვაზე ვარ დამოკიდებული, ის — სხვა სხვაზე და საითაც მიდის ეს ჯაჭვი, თქვენც მშვენივრად იცით. რა, საზღვარგარეთ სხვანაირადაა? ყველგან ერთი და იგივე ხდება. ზოგან — აშკარად, ზოგან — ფარულად... მაინცდამაინც ამერიკელებივით გვინდა ვიცხოვროთ, იქვე, გვერდზე ჩილე, პერუ და კოლუმბია რა დღეშია, ის არავის ახსოვს... არა ვარ მართალი?

— მოკლედ, წესრიგშია ჩვენი საბუთები? — შეეკითხა ნიკა, რაც დაახლოებით იმას ნიშნავდა — დროზე ახლა და აახვიეო... მაგრამ რევიზორი, როგორც ჩანს, წასვლას არ აპირებდა.

— ჯერჯერობით, კი... მომეწონა, რაც ვნახე. წინასწარ მინდა გითხრათ, რომ მე მთლიანად თქვენს მხარეზე ვარ.

„ნეტავ, მატყუებს თუ მართალს ამბობს?“ — გაიფიქრა ნიკამ.

მისაღების კარი გაიღო და ყავის ჭიქით ხელში, ეკა გამოვიდა. ნიკას დანახვა რატომღაც შეიცხადა.

— ოი, თქვენც მობრძანდით უკვე?! აი, ისევ რევიზორი გვყავს... ინებეთ, — ეკამ ჭიქა დაუდგა სტუმარს და ნიკას მიუბრუნდა. — თქვენც მოგიდულოთ?

— კარგს იზამ, — უპასუხა ნიკამ.

— კოლუმბიის უნივერსიტეტში როგორ მოხვდით? — ყავა მოსვა და წელში გასწორდა რევიზორი.

— როგორ? აი, როგორც თქვენ ბრძა-

ნეთ: ჯერ კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანმა, ვისთანაც სამთვიან სტაჟირებაზე ვიყავი გაგზავნილი აკადემიიდან, დაურეკა იტალიის ელჩს ამერიკაში, თვითონაც იტალიელი იყო და იმიტომ; მერე იტალიის ელჩმა ამერიკაში დაურეკა ამერიკის ელჩს რუსეთში, მერე ამერიკის ელჩმა რუსეთში, დაურეკა რუსეთის ელჩს ამერიკაში და მერე იმ ელჩმა დამრთო უფლება, შემეტანა საბუთები კოლუმბიის უნივერსიტეტში.

— ჰოდა, რატომ გიკვირთ მაშ, აქ რომ რევიზორები მოდიან და გამოწმებენ? ხელი ხელს ბანს და ორივე კი — პირსო, — ასეა ყველგან. ვერსად გაექცევი.

ამ დროს კარი გაიღო და ოფისში, თავისი ლამაზი სიელმით, ლელა-თათიკო შემობრძანდა. დიახ, ის გახლდათ სწორედ ის ქალბატონი, რომელიც ნიკას თვითმფრინავში შეხვდა. ყველაფერი ნათელი იყო ნიკასთვის, ერთადერთი რამის გარდა: შემთხვევითობა იყო, რომ მათი გზები ასე სწრაფად გადაიკვეთა, თუ შურისძიების ნაწილი, რომელსაც ლელა შეჰპირდა...

რევიზორი, ზურაბ დუნდუა, რომელიც კარის პირდაპირ იჯდა, ლელას დანახვაზე სკამიდან ისეთი სისწრაფით წამოხტა, რომ კინაღამ მაგიდა ააყირავა და ყავა არ გადაისხა. მერე ხელები გაშალა და ლელასკენ გაიქცა. ლელამ ცივად გაუწოდა მარცხენა. რევიზორი მოკრძალებით ემთხვია ხელზე და დადნა:

— ქალბა-ატონო ლელა, როგორ ბრძანდებით? რა მშვენი-ივრად გამოიყუ-ურებით.

— მოკლედ, სადაც არ უნდა მივიდე, ყველგან თქვენ უნდა დამხვდეთ?! — ცივად უპასუხა ლელამ და მიიხედ-მოიხედა. — ბატონი ნიკა მინდოდა, ბერიძე.

— მე გახლავართ, — თქვა ნიკამ და წამოდგა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ორივეს, რა თქმა უნდა, ეშმაკები უციმციმებდა თვალებში. ეს თათიკო არ იყო, ეს იყო ქალბატონი ლელა — ცივი, როგორც ყინულის ლოდი, შემოტმასნილდეკოლტიან შავ კაბასა და მაღალქუსლიან მოკასინებში.

— ეს მშვენიიერი ქალბატონი, ბატონო ნიკა, გახლავთ მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილი. ჩვეენი პირველი შეფის, — წარუდგინა ნიკას, რევიზორმა ზურაბ დუნდუამ ლელა.

— ა-ა, — თქვა ნიკამ, — ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან მობრძანდით.

— მაგრამ მე არავითარი სურვილი არა მაქვს, რევიზორების თანდასწრებით გელაპარაკოთ, — თითქოს მარცხენა მტევნის საჩვენებელი თითი გადაუწკაპუნა ლელამ დუნდუას.

— როგორ გეკადრებათ?! მე მოვრჩი, მე ამწუთას მი-ივდივარ... მი-ივბრბივარ, ათასი სხვა საქმე მაქვს... — სასწრაფოდ წამოავლო თავის შავ ჩანთას ხელი ზურაბმა და ნიკას მიუბრუნდა: — აბა, გი-იტოვებთ ამ მშვენიერ ქალბატონს და იმედი მაქვს, არ აწყე-ენინებთ...

ლელამ მტევანი გაუწოდა. დუნდუამ აკოცა და გაქრა.

— შენ რომ დაგინახა, ენა დაება, — თქვა ნიკამ, მაგრამ მეტის თქმა ვეღარ მოასწრო, რადგან მისაღების კარი გაიღო და ეკა გამოვიდა, ყავის ჭიქით ხელში.

— აა, გამარჯობათ! — მიესალმა ის ლელას და ნიკას მიუბრუნდა. — ბატონო ნიკა, თქვენი ყავა...

— ეკა, შეგიძლია, შენს მაგიდასთან დაბრძანდე და ეგ ყავა შენ თვითონ მიირთვა, — უთხრა ნიკამ და ლელას მიუბრუნდა: — აქეთ შემობრძანდით.

— არა, იცით... — ცივად თქვა ქალბატონმა ლელამ. — მე მინდა, რომ თქვენ თვითონ წამობრძანდეთ და ადგილზე დაათვალიეროთ ყველაფერი.

— ამწუთას? სად მივდივართ? — იკითხა

ნიკამ.

— აქვე, ანანურთან ახლოს... არა, თუ საქმე გაქვთ, ცოტას დაგელოდებით, — იმდენად ოფიციალური იყო ლელა-თათიკო, რომ ნიკა დაიბნა.

— თქვენ მართლაც, რაიმეს დაკვეთას აპირებთ თუ?..

— კი, რა თქმა უნდა, სამ-ოთხსართულიანი ვილა მინდა ავიშენო ჩემს ნაკვეთში. დაგიცადოთ თუ წამობრძანდებით?

— წავიდეთ, კი, ბატონო, — მხრები აიჩეჩა ნიკამ, რადგან ისევ ვერ მიხვდა, ტყუოდა თუ მართალს ამბობდა თათიკო. და ნიკამ ქალბატონ ლელას კარისკენ მიანიშნა.

— ბატონო ნიკა, დაბრუნდებით? — შეეკითხა ეკა.

— რა თქმა უნდა, — შეურაცხყოფად მიიღო ეკას ნათქვამი ქალბატონმა ლელამ და გავიდა. ნიკამ კი ისევ მხრები აიჩეჩა, ეკას დასანახავად და ლელას მიჰყვა.

„ვინა ვარ, სად მივდივარ?.. ან რა მინდა ახლა ანანურში?.. ან ვინ არის ეს მსუქანი, ელამი ქალბატონი, რომელიც იანუსივით, ორსახოვან ნიღაბს ატარებს?.. ან რა საერთო აქვს ამ ორ ქალს ერთმანეთთან? ისე იქცევა, თითქოს, არც ვიცნობდეთ ერთმანეთს“, — ფიქრობდა ნიკა, მცხეთის გზაზე მისრიალე „მერსედესის“ რბილ სავარძელში ჩაფლული. ლელა-თათიკო ისევ სერიოზული ქალბატონი იყო. მთელი გზა ფანჯარაში იყურებოდა და არ ლაპარაკობდა.

მძღოლს პოლიციელის ფორმა ეცვა. ჩაფიქრებული და ცოტა აგრესიულიც კი იყო, როგორც დღევანდელი ახალგაზრდობის უმეტესობა...

— მოვედით, — თქვა ლელამ, როცა მანქანა გაჩერდა.

მძღოლი გადახტა და კარი გაუღო.

ნაკვეთს, ოთხ-ხუთმეტრიანი, ნაცრისფრად შეღებილი აგურის გალავანი ერტყა.

— მე მანქანაში დაგელოდოთ? — იკითხა მძღოლმა, როცა რკინის ალაყაფის კარი გამოაღო.

— როგორც გინდათ! — უპასუხა ლელამ.

„მძღოლსაც „თქვენობით“ ელაპარაკება“, — გაიფიქრა ნიკამ.

— მაშინ დავრჩები, — თქვა მძღოლმა.

— აი, ეს არის ჩემი სივრცე, — უთხრა ლელამ და იქაურობას თვალი მოავლო. — სამი ათასი კვადრატული მეტრია. გვერდით, როგორც ხედავთ, არაგვი ჩამოუდის, დანარჩენი თქვენ იცით.

სივრცე საკმარისი იყო. ოდნავ დამრეცი.

— რა თანხაზეა ლაპარაკი? — იკითხა ნიკამ.

— თანხაზე მე ვიფიქრებ. თქვენ მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ ჩემი ვილა, აგარაკი, შენობა, ნაგებობა — რაც გნებავთ, დაარქვით, — ჩვენში დღემდე აშენებულ ყველა აგარაკს სჯობდეს. ხომ შეძლებთ?

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ეშმაკუნები ისევ ორივეს უციმციმებდა თვალებში, ოღონდ ახლა — ამოხტომას ლამობდა...

— ალბათ, კი, — უპასუხა ნიკამ.

— აი, მხოლოდ ის, — ხელი ჩრდილოეთისკენ გაიშვირა ქალბატონმა ლელამ, — მხოლოდ ის ველური წაბლის ხეივანი მინდა, დარჩეს უცვლელად.

— ეგ ადვილია, — უპასუხა ნიკამ.

— ჰოდა, ძალიან კარგი, — მოკლედ მოჭრა ქალბატონმა ლელამ. — ახლა კი, თქვენს პირად საკითხზე გადავიდეთ.

— რა საკითხზე? — გაუკვირდა ნიკას.

— რა და მინდა, იცოდეთ, რომ თქვენს ნაკვეთზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ შეიძინეთ, დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. ეჭვი მეპარება, რომ ჩამოგართმევენ.

— ჩამომართმევენ?! თქვენ საიდან იცით? — გაუკვირდა ნიკას.

— შემთხვევით გავიგე. მე ამ აგარაკის პროექტი უკვე შეკვეთილი მქონდა, რაღაც თანხის ნაწილი — გადახდილიც. მაგრამ არ მინდა, რომ მარტო იყოთ და ის კონტრაქტი გავაუქმე. ხომ მიხვდით?

— ჩემი მფარველი ანგელოზი ყოფილხართ... — თქვა ნიკამ.

— რატომაც არა?! ამ საღამოსთვის ნურაფერს დაგეგმავთ. ხვალ კი, ჩემი მდივანი ყველა საჭირო საბუთს მოგაწვდით.

— ბოდიში, მაგრამ რა საქმიანობას ეწევით? — დაინტერესდა ნიკა.

— ფიტნეს-კლუბი მაქვს ქალაქის ცენტრში. რაიმე მნიშვნელობა აქვს ამას თქვენთვის? — კითხვითვე უპასუხა ლელამ.

— გასაგებია, — თქვა ნიკამ და თავისთვის კი გაიფიქრა — იმ ფიტნეს-კლუბში, შენს ადგილას, ერთ-ორ კილოს დავიკლებდიო.

— ახლა კი — წავიდეთ! — თქვა ლელამ.

უკან დაბრუნდნენ და ქალბატონმა ლელამ ნიკა მის ოფისთან ჩამოსვა.

თათიკომ ზუსტად ცხრაზე დარეკა.

— ნიკა, ვერცხლისფერი „ჯიპ-ესკორტით“ ვიქნები. შუშები დაბურული აქვს, იცოდე. სამი „დუბლვე“, რვაას ოცი. ხომ შეგიძლია, ძველი უნივერმაღის წინ დამელოდო? ნახევარ საათში მანდ ვიქნები.

თათიკომ ძველი უნივერმაღის კარის წინ თავისი ჯიპი ზუსტად ნახევარ საათში დაა-

მუხრუჭა. ნიკა მოხერხებულად ჩახტა მანქანაში. თათიკომ თავი მისკენ მიაბრუნა და ორივე თვალი ჩაუხუჭა. ნიკამ ტუჩებში მსუბუქად აკოცა. „მპა“ — გაისმა მანქანაში.

თათიკომ მანქანა დაძრა. სანაპიროზე ჩაუხვია და აღმოსავლეთისკენ „დააწვა“.

— საზიზღრად მომენატრე, — უთხრა მან ნიკას. — შენ?

ნიკა დუმდა. არ იცოდა, რა ეთქვა.

— იცოდე, თუ ხმას არ ამოიღებ, პირდაპირ მტკვარში მივუშვებ! — თქვა თათიკომ.

— მე მხოლოდ სექსი მაკავშირებს შენთან... — თქვა მშვიდად ნიკამ.

— მართლა? გენიალურია! — ნამდვილად გაუხარდა თათიკოს. — მე მხოლოდ მაგის მეშინოდა...

მანქანა რიყის გვირაბში გაძვრა. გვირაბის თაღებს ჯერ კიდევ დაჰკრავდა ნაციონალური ელფერი. მიუხედავად კეხნისა, ტაძრების გარდა, რომლებიც ერთფეროვნებით გამოირჩევა, წმინდა ქართული თანამედროვე არქიტექტურა ქალაქში ნაკლებად იყო და ეს კარგად იცოდა ნიკამ. ისიც იცოდა, რომ ნამდვილი ქართული ოქროს ხანა ჯერაც არ დამდგარიყო და თავის დრო-უამს უცდიდა...

თათიკომ „ორთაჭალ-ჰესთან“ მარცხნივ აუხვია და აღმართს აუყვა. მერე მარჯვნივ გადაუხვია და მანქანამ, გზაზე გაჩენილი მიწაყრილების გამო, როგორც ცხენმა, პატარა ეზოში ისე შეაჭენა.

— ახლა მე შენ გაგაკვირვებ, — უთხრა თათიკომ. და ნიკა მართლაც გააკვირვა.

ეზოში პატარა, სუფთა აუზში ცოცხალი თევზები ლივლივებდნენ, კლდეში გამოჭრილ გალიებში ხოხბები ბუდობდნენ, ხოლო პატარა ბაღში კვიპაროსზე ნამდვილი ფარშავანგები ისხდნენ...

— ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი კუთვნილებაა, — უთხრა თათიკომ. — თუ კარგად მოიქცევი, ერთ გასაღებს შენც მოგცემ.

— და ვინ უვლის ამ სახლს? — იკითხა ნიკამ.

— მომვლელი, — უპასუხა თათიკომ.

— მერე სად არის? — იკითხა ნიკამ.

— სამალავში. წინასწარ ვაფრთხილებ ხოლმე, — უპასუხა თათიკომ.

— რაღა გრაფი მონტე-კრისტო და რაღა — შენ!.. — გაეცინა ნიკას.

გარშემო ყველაფერი ქართული იყო — უბრალო, სადა და ქართული. სახლის სახურავი, რიკულებიანი აივანი და მარანი, ქართული ტახტით, ტაბლითა და ჯორკოებით. მარანში გრილოდა. თათიკომ ანკესი და მისატყუებელი მისცა ნიკას.

— მიდი, დაიჭირე. თუ არ გითევზავია არასოდეს? — ჰკითხა მან ნიკას. ნიკამ იცოდა თევზაობა. ორ წუთში სამი თევზი ამოაგდო. თათიკომ კი ქვევრს მოხადა თავი.

— რქაწითელია, სამი წლის, — უთხრა მან ნიკას და ჭიქა მიაწოდა.

ტანინიანმა ქარვისფერმა ბრწყინვალე სითხემ ნიკას ძარღვებში ტკბილად დაუარა.

და ნიკა „პირველ პარტიაზე“ წავიდა. იქვე, ტახტზე მიაწვინა. თათიკო არ გასძალიანებია. ოდნავ გაუწკაპუნა ლოყებში და რაღაც გაიფაფხურა, რომ ვაჟს ნდომა გაზრდოდა. „ქალებში ყველაზე მეტი მაინც — „რძე და თაფლია“, — გაიფიქრა უკანასკნელი აკორდებისას ნიკამ და როგორც ზღვის თბილ და გიუმაჟ ტალღებს, თათიკოს მკვრივ, აბორგებულ სხეულს ისე მინებდა.

დილით ნიკამ შედარებით გვიან გაიღვიძა. საათს შეხედა — ისრები თერთმეტს გვარიანად გადასცდენოდა. სიმსუბუქე იგრძნო. თუმცა, მთლიანად დაწრეტილიც იყო. სიმსუბუქე ღვინოს დააბრალა. კარგმა ღვინომ იცისო, — გაიფიქრა. დაწრეტილობა კი, მოგეხსენებათ, რამაც იცის და ნიკა სააბაზანოში შევიდა. შხაპი გადაივლო, პირი გაიპარსა და გამოვიდა. სახლში სიწყნარე იყო.

მისდა გასაოცრად, სამზარეულოში თაზო დახვდა. ლუდის ბოთლი მოედგა და წრუპავდა.

— ნიკა, მითხარი, რა, დავაშავე რამე? — და თაზომ დაბრეცილი თვალებით შეხედა ნიკას.

„ეჰეე, — გაიფიქრა ნიკამ. — ეს მგონი, მთვრალია უკვე“.

— არა, ხომ უნდა ვიცოდე, არა, რა დავაშავე?! მე ცოლი იმიტომ მოვიყვანე, რომ შვილები მყოლოდა. რატომ მოჰყავთ ცოლი? ამიტომ არ მოჰყავთ? — დაუსვა შეკითხვა თაზომ ნიკას.

— ალბათ, მაგიტომ, — უპასუხა ნიკამ და თავისთვის ყავის მომზადებას შეუდგა.

— ჰოდა, რატომ არ აჩენს, მე მაგის დედა ვატირე! — თქვა თაზომ და მუშტი დასცხო მაგიდას.

— ეგ ცოლს უნდა ჰკითხო, — უპასუხა ნიკამ.

— ვეკითხები, ყოველდღე ვეკითხები, მაგრამ იცი, რას მპასუხობს?

— რას?

— შევრჩებით, რომ?! შევრჩებით, რომ?!. — სულ ამას გაიძახის.

— მერე, შენ რას ეუბნები? — საუბრის გასაგრძელებლად ჰკითხა ნიკამ.

— რატომ არ უნდა შევრჩეთ, ტო?! რატომ?! შვილი თუ გვეყოლება, უფრო არ შევრჩებით?!

შემოსასვლელი კარი გაიღო და დაიკეტა. ნიკამ გაიხედა. ანი შემოსულიყო. მაგრამ არ შეეხედებოდა: „პირგამეხებულ ვეფხვს“ ჰგავდა.

— ჩემი გადარეული შინაა? — ჰკითხა მან ნიკას.

ნიკამ თაზოსკენ გაიხედა და ანი მიხვდა, რომ თაზო სამზარეულოში იყო.

გამწარებული ანი სამზარეულოში შევარდა.

— ბიჭო, შენ ნორმალური ხარ?! — თავზე წამოადგა დოინჯშემოყრილი ანი ქმარს.

— შენ?! — წამოუხტა იმწამსვე თაზო.

— იცი, რა ქნა ამ დეგენერატმა, იცი, რა გამიკეთა?! ჩემი რედაქტორი უგინებია!

— რა-ა? — პირი დააღო ნიკამ.

— ჰო, შეხვედრია გოგიტას მთვრალი და უგინებია.

— არ იყო საგინებელი? არ იყო?! რომ არ მოვკალი, არ გიხარია?! — ახტა თაზო. — შეხედე, როგორ აცვია, ყველაფერი უჩანს ამ ჩემისას! შეიძლება, ასე სამსახურში სიარული?

— მერე, გოგიტა რა შუაშია?! — გაუკვირდა ნიკას.

— რა-ა? ასე ჩაცმულ ქალს სამსახურში გავაჩერებ?! ტელევიზიაა თუ „ბარდელი“, ველარ გავიგე... — ხელები გაშალა თაზომ.

— უსმენ?! უსმენ ამ დეგენერატს, რეებს ამბობს?! — წამოიძახა ანიმ.

ნიკამ დას ახედ-დახედა. ის მართლაც, მთლად გაშიშვლებულიყო. ნიკამ თავი მოიფხანა.

— დააგრძელე შენც ცოტა, მართლაც... ან ეგ ჭიპიც და ხორცებიც რომ გადმოგიყრია... გიხდება?! — ჰკითხა დას ძმამ.

— ესეც მე ვარ?! ვეჭვიანობ, ტო! — ხელები ცაში ასწია თაზომ.

— შენც ამის მხარეს იჭერ, ამ დეგენერატის?! — გამწარდა ანი. — ვისაც არ მოსწონს, ნუ შემომხედავს... და ბოლო-ბოლო... — მიუბრუნდა ქმარს ანი. — ერთხელაც ჭამ ბებიაშენისას?! აახვევ აქედან!..

— ახლავე ავახვევ, ტო! შენი დედაც ვატირე! არ გამიტრაკა თავისი სახლით?! — თაზო წამოხტა და გავარდა.

— არ მოგბეზრდათ ეს ამდენი ქაჯობანია?.. — ჰკითხა ნიკამ დას.

— ერთი მაგის... — აიქნია ანიმ ხელი და თავის ოთახში შეიკეტა.

ნიკა სამსახურში ახალი მისული იყო, როცა ვერიკომ დაურეკა და უთხრა: დედა, გცალია, არ გცალია — სასწრაფოდ შინ მოდიო! ნიკამ ჰკითხა — მამის ამბავი ხომ არ არისო? — არა, ყველანი ცოცხლები ვართ, რეზია დაჭერილი და უნდა მოხვიდეო, — უპასუხა ვერიკომ.

...ნიკა შინ შევიდა თუ არა, ვერიკომ მიაყარა.

— აქ, ჩვენი სადარბაზოს წინ გადაჰყრიან ერთმანეთს ეგ და თაზო... სამორიგეოში ჰყავთ. დღესვე თუ არ დავიხსენით, მერე ძნელი იქნება, — სასოწარკვეთილი იყო ვერიკო.

— ორივეა დაჭერილი? — ჰკითხა ნიკამ.

— არა, თაზო საავადმყოფოშია.

— დაჭრილია?! — შეშინდა ნიკა.

— არა, ნაბეგვია. მაგრად, — უპასუხა ვერიკომ.

— კაი, მაშინ, დამშვიდდი. გადავრჩენილვართ და ეგ არის, — დაამშვიდა დედა ნიკამ. — მომისმინე და დამიჯერე, კარგი?

— ჰო, — უთხრა ვერიკომ.

გოჩა მანველიძის

ახალი დეტექტიური რომანი

„თეთრი სიკვდილი“

შემდეგი ნომრიდან

— დაურეკავ ირაკლის და ეტყვი, რაც ხდება. უთხარი, რომ რეზი გამოაშვებინოს. მე არ მახსენო, ხომ გაიგე?

— როგორ, ირაკლის შენზე მეტი „ბლატები“ აქვს? — შეეკითხა ვერიკო.

— რასაც გეუბნები, ის გააკეთე. რა დროს ასეთი სულელური შეკითხვებია, დედა?! — ეწყინა ნიკას.

ნიკამ ზუსტად გათვალა. ლელა-თათიკოსთან უხერხულ ლაპარაკსაც აარიდა თავი და ირაკლისთან ურთიერთობასაც.

რეზი ერთ საათში გაუშვეს. ნიკამ რეზისთან მისვლა გადაწყვიტა. ანი კი მთელი დღე საავადმყოფოში იყო, ტიროდა და თავის „დეგენერატ ქმარს“ დაჰფოფინებდა. „ჩემი ბრალია, მე გაგამწარე“, — უბოდიშებდა ის ქმარს და ტუჩებში კოცნიდა. სულ არ ერიდებოდა იქ მყოფი სხვა ავადმყოფების... არ შევარჩენო! — იმუქრებოდა თაზო.

— რა უნდა, ტო, ჩემგან?!. მოვკლავ, ჩემს დედას გეფიცები! ერთხელაც რო მცემოს?! გამწარებული ვარ, გაგიჟებული, ჩამოვრბივარ ჩემთვის კიბეზე, გამოვედი სადარბაზოდან და ფეხი არ დამიდო?! გიჟი, ნუ, ნამდვილი „ცენტრი“!.. ორივე ფეხი მაქვს ამოვარდნილი. ვერც ერთს ვერ ვადგამ, ვერც მეორეს, ჩემი დედა, რა!.. ფული უნდა — მე უნდა მომადგეს, დალევა უნდა — მე უნდა მომადგეს, ქალი უნდა — მე უნდა მომადგეს და სადაც დამიჭერს, იქ მიბრახუნებს, ეე! დაბალი ღობე მნახა, არა?! თუ არ გამოვფატრო, ერთხელაც რომ თითი დამაკაროს!.. დედას ვფიცავარ... — ბობოქრობდა თაზო.

— შენ დაწყნარდი, მაგას მე მოვუვლი. თუ ეგ დღეიდან ჩემს სახლში ფეხს ამოადგამს, მაგასაც ვნახავ! — ამშვიდებდა ანი ქმარს.

— პატრულს რომ არ დაეჭირა?.. მახრჩობდა, ტო!.. ვხრიალებდი უკვე, ჩემს დედას გეფიცები. გარეკილი აქ, ტო, რა დონეზე!..

— კაი ერთი, გახრჩობდა კი არა... ნუ იცი ხოლმე შენც გადაჭარბება...

— წინადღეს მომადგა, დავალევინე. იმის წინადღეს მომადგა, დავალევინე და...

— ჰოდა, შენ გადაგირევია, გენაცვალე! ალბათ, „ბელაია გარიაჩკა“ დამართე, — დაადანაშაულა ქმარი ანიმ.

— ერთი გავიდე აქედან! რასაც დავმართებ, შენ თვითონ ნახავ!

— ხომ ხედავ, რომ გიჟია! შენც ადექი და მოერიდე, რა! მაგისთანები უნდა აქო და ერიდო! მაგრამ, შენც რომ გჭირდება „საბუტილნიკი“, გენაცვალე! არ მითხრა ახლა, არაო... მელას თავის მახრჩობელა უყვარდაო, — ზუსტად თქვენზეა ნათქვამი!.. — ანიმ აღარ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა მიჟეჟილი ქმარი.

პალატაში ქათქათა ნეილონისხალათიანი, საოცრად ლამაზი, რუსი მორიგე ექთანი შემოვიდა. თერმომეტრები ჩამოარიგა და გავიდა. ანი კი იცნო, მაგრამ მაინც ზემოდან გადახედა. ასე, საკუთარ სილამაზეში დარწმუნებულმა ლამაზმანებმა იციან.

— რა მაგარი ნაშაა, არა? — ცოლს შეხედა თაზომ. — დააკვირდი, რა გადასარევი ბიუსტი ჰქონდა, რამსიმაღლე?! მორიგეა ამაღამ, — თვალი ჩაუკრა თაზომ ანის. — ხომ ღირდა, მასეთი ნაშის გასაცნობად, ორივე ფეხის მომტვრევა... ზოია ჰქვია.

— ზოია? — ენა ჩაუვარდა ანის და გულშიც გაჰკენწლა. — შენ მართლა ორივე ფეხი გაქვს გადაბრუნებული?.. სულ ვერ ადგამ ფეხს?.. — ჰკითხა მან ქმარს. — დიდხანს უნდა ეგდო აქ?

— სანამ ზოიას არ გავუიმავ, — ცეცხლი წაუკიდა ცოლს თაზომ.

— მე ვიცი შენი! — თვალები გადაუბრიალა ანიმ. — დღესვე წაგათრევ სახლში. საკაცით „წაგიღებ“.

— როგორ გეკადრება?!. შენ ხომ არ გახდევინებ — მე ვიხდი, არა, ჩემი მკურნალობის ფულს! არ არსებობს!.. რომ მერე სული ამომხადო — სულ ჩემი მოსავლელი როგორ ხარო, რომ მიძახო, არა?! — ფეხები გაფშიკა თაზომ.

— თავს ნუ იმკვდარუნებ, არაფერი მოსავლელი შენ არა ხარ!.. „გაგაზოიავებ“ მე შენ!

ანიმ მთავარი ექიმი ნახა და ზოიას გადასარევი ბიუსტის გამო, ერთ საათში თაზო შინ, თავის ლოგინში გორაობდა. ზოიას მაღალი ბიუსტი, რა თქმა უნდა, ერთი-ორი დღე კიდევ ახსოვდა, მერე კი ერთბაშად დაავიწყდა...

ნიკა ოფისში კომპიუტერთან იჯდა და მუშაობდა. ბესოს გამოჩენას არაფრით არ ელოდა.

— ძაღლი მომიკლეს, ბიჭო!.. კავკასიური ნაგაზის ლეკვი მაჩუქეს იქაურებმა, ტო, და — მომიკლეს... არ ვიცი, როგორ მოვიქცე. დადიან, ბიჭო, ნიღბებით, ავტომატებით და არის ერთი ტრა-ტა-ტა-ტა. გუშინწინ სამნი იყვნენ. ვეკითხები — ვინა ხართ, რა გინდათ? არც ხმა გამცეს, არც არაფერი... გუშინ მივედი საღამოს და ჯიხური მთლად დაცხრილული დამხვდა და ეს ჩემი ლეკვი — მოკლული. დავმარხე, რა მექნა?!. — ჰყვებოდა ბესო. — ასე ჰქონდა ავტომატის ჯერი გადატარებული.

— გვაშინებენ? — იკითხა ჩაფიქრებულმა ნიკამ.

— თუ გინდა, ნუ შეგეშინდება. კურდღელივით ვზივარ მთელი ღამე. მე რა?! ალბათ შენ გემუქრებიან... — მიაშტერდა პასუხის მოლოდინში ბესო ნიკას. — ვინ იქნებიან, ტო? არავისზე გაქვს ეჭვი?

— ეჭვი კი მაქვს, მაგრამ... უნდა დავაზუსტო.

— დაცვა უნდა აიყვანო, ბიჭო!.. მე — რა? რომც მომკლან — რა?!. — მხრებს იჩეჩდა ბესო.

ნიკამ ნატოს ნახვა გადაწყვიტა.

— რა სისულელეა! — თქვა ნატომ. — მთელი საქართველო იყიდება და მაგ ნაკვეთზე ატყდა ამხელა ამბავი?! წარმოდგენა არა მაქვს. შესაძლოა, მართლაც, რაიმე იყოს... იცი, ვის უნდა დაელაპარაკო?

— აბა? — ჰკითხა ნიკამ.

— ვინც მაგაზე მუშაობენ. საბადოებზე. ტექნიკურ უნივერსიტეტში მიდი, კათედრაზე, იქნებ, რამე იცოდნენ. იქნებ, მართლაც, რა სიმდიდრის პატრონი ხარ?.. აბა, ცარიელი მიწის გამო, ეს ამხელა ამბავი არ ატყდებოდა... — დაასკვნა ნატომ.

— მართალი ხარ, — უთხრა ნიკამ. — უნდა გავარკვიო... თეონამ — რაო? როდემდე უნდა ვიყო გაბუტულიო? არ აპირებს ჩემს ნახვას? — მაინც ჰკითხა ნიკამ, თუმცა ეს ამბავი მეორე პლანზე გადასულიყო მისთვის, რადგან მუქარა, რომელიც უცნობებისაგან მოდიოდა, სახუმარო არ იყო.

— რა მოხდა თქვენ შორის? იქნებ, შენ მითხრა, თეონას ვერაფერი ვათქმევინე, — შეეკითხა ნატო.

— რა ვიცი, სისულელე... ქალთან ერთად მნახა, — მოკლედ მოჭრა ნიკამ.

— ვისთან? — მაგრად დაინტერესდა ნატო.

— დედა ტერეზასთან, ვისთან... მაგრები ხართ ეს ქალები!.. — ხელები გაშალა ნიკამ.

— ჰოდა, ღირსი ხარ, რომ არ გნახულობს... — ნიშნის მოგებით თქვა ნატომ. თუმცა, იმწამსვე შეეტყო, რომ ანერვიულდა. ვერაფრით მოუკიდა სიგარეტს, ხელები აუკანკალდა. ბოლოს და ბოლოს მოუკიდა. — ხომ აღარაფერია ჩვენ შორის, მაგრამ მაინც გხვდება ადამიანს გულზე... — ჩაილაპარაკა მან და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— განდეგილი ხომ არა ვარ, ბერად დავეყუდო! — თქვა ნიკამ მცირე პაუზის შემდეგ. — მეც მინდა გამოვტაცო ამ ცხოვრებას ჩემი პატარა ბედნიერება.

— ვეცდები, შეგარიგოთ... თუმცა, ვერაფერს დაგპირდები, — თქვა ნატომ. — შენი სისხლი აქვს...

— სისხლი, კოდი, გენი... — ჩაილაპარაკა ნიკამ. — რა მომარბენინებდა ნეტავ, ამ არეულ ქვეყანაში?!.

— სისხლი, კოდი და გენი — სამივე ერთად! — მიუგო ნატომ. — შენი ადგილი აქ არის, შენს მიწაზე! ცოტა მაღალფარდოვნად ჟღერს, მაგრამ ასეა... — დაამატა ნატომ.

— რა ვქნა, იარაღი ავიღო და ომი დავიწყო?! — ჰკითხა ნიკამ.

— არ ვიცი, არ ვიცი... — მართლაც, არ იცოდა ნატომ, რა უნდა ერჩია ნიკასთვის. საქმე ცუდად იყო...

„სადაც წვრილია — იქ გაწყდეს! — გაიფიქრა ნიკამ. „მესვრიან?.. მეც ვესვრი!“

ნიკამ იარაღის ტარების ნებართვა აიღო, ამერიკული კოლტი იყიდა და ყოველი შემთხვევისთვის, უჯრაში ჩააგდო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მინდა თავიდანვე შევაპარო მკითხველს ჩემი უტიფრად არაპატრიოტული ეჭვი იმის თაობაზე, რომ ქართველ კაცს (ქალსაც, ცხადია!) გაზვიადებული წარმოდგენა აქვს ე.წ. ქართული ეროვნული ფენომენის ზომა-წონაზე ცივილიზაციის განვითარების საქმეში. არასოდეს დამავიწყდება 1989 წლის გაზაფხულზე (ზუსტ თარიღს ვერ ვიხსენებ) პროფესორ გურამ რამიშვილთან შეხვედრა... საუბარს მოჰყვა და ხმადაბლა და მესაიდუმლის იერით მითხრა ცხონებულმა — ქართველები ელიტური ერი ვართო. ნათქვამი ეტაპობრივად გადავხარშე, მაგრამ დღემდე არა მაქვს მონელებული. ეტაპობრივად-მეთქი — იმიტომ ვამბობ, რომ ჯერ სიამაყის მიამიტი გრძნობა მეწვია, რომელიც ქვეცნობიერმა უმტკივნეულოდ გადაყლაპა, მერე დავფიქრდი — რას ამბობს ეს კაცი-მეთქი?! — მერე ცოტა შევწუხდი და ბოლოს გადავწყვიტე, უფრო ღრმად ჩავფიქრებოდი ცნობილი ქართველი მეცნიერისა და პატრიოტის ნათქვამს.

kidev erTxel Sumerul-qarTuli paralelebis Sesaxeb

ნუგზარ რუხაძე

ახლაც ვფიქრობ, სულ ვფიქრობ, მართლა ელიტური ხომ არა ვართ, როგორც ერი?.. ნეტავ, კიდევ თუა, ჩვენ გარდა, ელიტური ერი სადმე და თუ არის, იციან თუ არა მათ, რომ ელიტურნი არიან?.. გულწრფელად ვამბობ, როგორც რიგითი ქართველი, რომ არ ვიცი, ვართ თუ არა ვართ ქართველები ელიტურ ერთა გუნდში. არ ვიცი და მომკალით, თუ გინდათ! სამაგიეროდ, სულ სხვა რამ ვიცი და ვიცი ძალიან კარგად: ქართული კულტურა, ისეთი, როგორიც არის, ჩაბმულია სამკვდრო-სასიცოცხლო იდეოლოგიურ ომში და ამ ომს აგებს; აგებს და არავინაა პატრონი და გამკითხავი. რაც არ უნდა ელიტური იყო, აქ მაინც არაფერი გიშველის, გარდა ზუსტად გათვლილი, გეგმაზომიერი საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებისა.



იყო ერთი პერიოდი საქართველოს ისტორიაში — საბჭოთა პერიოდი (უახლეს ისტორიაზეა საუბარი!), როცა ქართველები მართლა ვსარგებლობდით სრულიად განსაკუთრებული ადგილით (ნეტავ, როგორ მივაღწიეთ?!) იმ ვიწრო საბჭოთა ერთა თანამეგობრობაში. მაშინ მაინცდამაინც არ გვაწუხებდა მტანჯველი ფიქრი წაგებულ იდეოლოგიურ ომებზე. დღეს ამ მარცხის საუკეთესო მაგალითებად გამოდგება მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ენაზე გამოცემული ლექსიკონები, ენციკლოპედიები, ცნობარები, ალმანახები, ატლასები, ბროშურები, ისტორიის სახელმძღვანელოები, რუსული მასმედია და ვინ იცის, კიდევ რა, რომელთა უმრავლესობაში, როგორც წესი, ყოველთვისაა მოხსენიებული ურარტუ და არმენია, ხოლო იბერია და საქართველო — არა! ეს მაგალითი მომივიდა აზრად, თორემ, სომხების ჯინი კი არ მჭირს! აქ დავა შეიძლება, რა თქმა უნდა. და დაობენ კიდეც, გამწარებული დაობენ. არა და

ქართველთა ელიტურობაზე თავპატიჟი კი დავიჭირე, მაგრამ გულის გულში მაინც მიღიტინებს ეს აზრი

არ იღებენ ხელს იმის მცდელობაზე, რომ მსოფლიო დააეჭვონ ქართული კულტურის, ქართული ენის, ქართული ეროვნული საწყისის ორიგინალურობასა და ისტორიულ განსაკუთრებულობაში... ქართველთა ელიტურობაზე თავპატიჟი კი დავიჭირე, მაგრამ გულის გულში მაინც მიღიტინებს ეს აზრი. ალბათ ასე ვართ ყველა. მაგრამ ერთი წამით წარმოიდგინეთ, როგორი გულდასაწყვეტია, როცა რეალურად (ანუ ხმამაღლა), მეცნიერულად და ფინანსურად არაფერს მნიშვნელოვანს არ ვაკეთებთ იმისთვის, რომ მეტოქისთვის, ცბიერი და გონიერი მოპაექრისთვის ასე ადვილად საკბეჩსარქენი არ ვიყოთ ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გლობალიზაციის შედეგად, ერთ მუშტად ქცეულ ამ დუნიაზე ჩვენი ღირსეული ადგილი რომ მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ.

ვერა! ვეღარ მოვიცდით და მოთმინებით ვეღარ მოვუსმენთ მათ, ვისაც მიზნად აქვს დასახული, არ იკმაროს საქართველოს ისტორიული შეჭირვება, რომელიც თანამედროვე ტერიტორიულ ტკივილებთანაა დაკავშირებული და სისხლი გაგვიშროს ქართულთან შედარებით საკუთარ ისტორიულობაზე მიზანდასახული უწყვეტი მსჯელობით — ზეპირად თუ წერილობით. მოცდა აღარ შეიძლება. ახლებურად დალაგებულ გლობალიზებულ სამყაროში მზის ქვეშ ადგილების გადანაწილება ხდება, თან — დიდ ტაციაობას აქვს ადგილი. ვინც იმარჯვებს, ის იქნება აღიარებული და პატივდებული. რა ვქნათ ქართველებმა ამ იდეოლოგიურ შერკინებათა ურთულეს პროცესში?.. რა და, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ ფულის

მიზანმიმართულად ხარჯვა იმისთვის, რომ ვეღარავინ მიჩქმალოს, დანარჩენი სამყაროს თვალში ჩვენი კუთვნილი და ღვთივბოძებული სიდიადე და სხვა არ აღზევდეს ჩვენს ღირსებათა ხარჯზე.

მინდა დავაზუსტო ჩემი განსჯის მიზანი, თუმც წინასწარ ვაღიარებ, რომ არა მაქვს არავითარი პრეტენზია ქვემოთ მოყვანილ აზრთა ჭეშმარიტებაზე, რომელიც მხოლოდ სხვათა ნააზრევის ციტირებაა ან მაქსიმალურად მიახლოებული ინტერპრეტაცია. ცნობილია, რომ თანამედროვე ცივილიზაცია მხოლოდ 14 მოქმედ ანბანს იცნობს — მაშინ, როდესაც მსოფლიოში რამდენიმე ათას ენაზე მეტყველებენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. ქართული ანბანი ერთ-ერთია მათ შორის. ამ უძველესი ანბანის წარმოშობის საკითხზე დღემდე არ წყდება მეცნიერული დავა. სამწუხაროდ, ენათმეცნიერთა ამ პაექრობის შედეგები ქართული ენისა და მისი დამწერლობის წარმომავლობის შესახებ, ქართველი ერის სასარგებლოდ არ მეტყველებს, რადგან აკნინებს მის ღრმა ისტორიულობასა და თვითმყოფადობას. განსაკუთრებულ სიბეჯითეს ამ საქმეში სომეხი და რუსი მეცნიერები იჩენენ. მსოფლიოში გავრცელებული ავტორიტეტული ცნობარები სავალალოდ მწირ ინფორმაციას იძლევა ორიგინალური ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ — მაშინ, როდესაც მაგალითად, სომხური ლინგვისტური კულტურა შესაშურადაა წარმოდგენილი იმავე საცნობარო ლიტერატურაში. რუსი მეცნიერები მოურიდებლად სარგებლობენ ამ ქართულ-სომხური კამათით და მეცნიერული ჭეშმარიტების წვდომის ნაცვლად, ქართულ-სომხურ ურთიერთობებს ამწვავებენ ქართულ და სომხურ ანბანთა ისტორიული პირველობის თაობაზე. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო აგებდა და აგებს იდეოლოგიურ ბრძოლას რუსებთან და სომხებთან ამ დარგში, რაც, ცხადია, დასანანია ნებისმიერი ქართველისთვის. ალბათ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძალის დარტყმას განიცდის ქართული ეროვნული ცნობიერება, როცა პირდაპირ ეჯახება რუსი ან სომეხი მეცნიერისა თუ მავანთა ახირებულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ქართული ანბანი არა ქართული, არამედ სომხური წარმომავლობისაა და რომ მისი ავტორები თავად ქართველები კი არა, სომეხი ლინგვისტები არიან.

საბედნიეროდ, დადგა დრო, როცა ქართულმა ენათმეცნიერებამ მოახერხა, დასაბუთებულად გაეცა პასუხი მათთვის, ვინც განზრახ ამახინჯებდა ქართული ენის სახელოვან ისტორიას. ცნობილმა ქართველმა მსახიობმა და ფილოლოგმა ზურაბ ქაფიანიძემ (ისტორიკოს თეიმურაზ მიბჩუანთან ერთად) წიგნად გამოსცა ფუნდამენტური გამოკვლევა ქართული და შუმერული ლინგვისტურ-ისტორიული პარალელების შესახებ, რომელშიც წარმოდგენილია 40 წლის მეცნიერული კვლევის შედეგები. წიგნი ამკვიდრებს აზრს იმის შესახებ, რომ ქართული და შუმერული დამწერლობა იდენტურია და ერთი ხალხის ისტორიულ საკუთრებას წარმოადგენს, რომლის წარმოშობის ფესვები ქრისტესშობამდე V ათასწლეულს შორდება.



ბატონი ზურაბ ქაფიანიძე 40 წელი დაუღალავად იკვლევდა, ადარებდა, იძიებდა და საბოლოოდ, ერთმანეთს ლოგიკურად დაუკავშირა ქართულ-შუმერული ყოფა-ცხოვრება

შუმერულ თიხის ფირფიტებზე გამოსახული ნიშნების ანალოგს წარმოადგენს, მაგალითად, რაჭაში დღესაც ხმარებაში არსებული ხის ფირფიტები...

ყოველივე ეს მხოლოდ მეცნიერული ჰიპოთეზაც რომ იყოს და შემდგომი კვლევისა და დაზუსტების საგანი, ჩვენს (ამ წერილის ავტორისა და მისი შემოქმედებითი ჯგუფის) საქმეს ხელს მაინც არ უშლის. ჩვენს პირდაპირ საქმედ და პატრიოტულ ვალად კი ის მიგვაჩნია, რომ შევქმნათ ისეთი კინოდოკუმენტური ნაწარმოები, რომელიც მსოფლიოს ამცნობს და დაარწმუნებს, რომ ქართველები და შუმერები — ერთი წარმომავლობის ხალხია და რომ მათი დამწერლობა — ერთი და იგივეა. თუ ასეთი ფილმი შეიქმნება, ქართველ პატრიოტთა რუდუნებითა და მეცადინეობით, ეჭვგარეშეა: ისტორიული ჭეშმარიტება ქართული ანბანის შესახებ ცნობილი გახდება ცივილიზებული სამყაროსთვის, რითიც საბოლოოდ დაესმება წერტილი ქართული ეროვნული ლინგვისტური კულტურის შესახებ სიმართლის დამახინჯების მცდელობას.

შუმერული ანბანი და ქართული ასომთავრული – აბსოლუტურად იდენტურებია, რაც ყველაზე ხელშესახები მტკიცებულებაა ამ ორი ცივილიზაციის ურთიერთკავშირისა

შუმერულ-ქართული ცივილიზაციის შესაძლო იდენტურობაზე თავის დროზე მიუთითებდნენ ცნობილი მეცნიერები: მიხაკო წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე; თანამედროვეთაგან: ანდრია აფაქიძე, გიორგი ციციშვილი, რამაზ პატარიძე, თეიმურაზ მიბჩუანი, რაჟდენ დუმბაძე და სხვანი. ხოლო ნიკო მარი წერდა: „დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად, მის გაუცნობლად, ვერც ერთი საკაცობრიო სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება“.

ბატონი ზურაბ ქაფიანიძე 40 წელი დაუღალავად იკვლევდა, ადარებდა, იძიებდა და საბოლოოდ, ერთმანეთს ლოგიკურად დაუკავშირა ქართულ-შუმერული ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, რელიგიური კულტები, იპოვა უამრავი პარალელი ამ ორ კულტურას შორის.

როგორც ცნობილია, შუმერული ცივილიზაცია მსოფლიოში პირველი ცივილიზაცია გახლავთ. დღემდე მიიჩნევდ-

ნენ, რომ პირველი ანბანური დამწერლობითი ნიშნები ფინიკიელებმა შექმნეს; ახალი აღმოჩენის შედეგად მტკიცდება, რომ ეს ასე არ არის. პირველი ანბანური დამწერლობა შექმნეს მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის პიონერებმა — შუმერებმა. ეს არის კოსმოსური ანბანი, რომელიც სამყაროსეულ საიდუმლოებებს ინახავს, ამიტომაც, შუმერი ქურუმები მას საიდუმლოდ ინახავდნენ, ვიდრე მათ სემიტები დაიპყრობდნენ. თუმცა, არც ამის შემდეგ ჩაუბარებიათ სემიტებისათვის ეს საიდუმლო ანბანი, რომელიც 35 ასო-ნიშნისგან შედგებოდა. სემიტები არ დაკმაყოფილდნენ შუმერების მიერ მანამდე შექმნილი და გავრცელებული ე.წ. ლურსმული ანბანით. როგორც ჩანს, სემიტებმა შეიტყვეს კიდეც ამ საიდუმლო ანბანის შესახებ და მისი ხელში ჩაგდება განიზრახეს. მაგრამ შუმერებმა სემიტებისთვის ამ საიდუმლო ანბანის საფუძველზე შექმნეს სხვა, უფრო მარტივი, ყოველგვარ ფილოსოფიურ შინაარსს მოკლებული, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობისათვის გამოსადეგი ანბანი, რომელსაც ფინიკიურ ანბანს ეძახიან და 22 ასო-ნიშნისაგან შედგება. მოგვიანებით, ამ ფინიკიურისაგან ხდება სხვა ძველი სადამწერლო ენებისათვის ანბანის შექმნა.

შუმერული ანბანი და ქართული ასომთავრული — აბსოლუტურად იდენტურებია, რაც ყველაზე ხელშესახები მტკიცებულებაა ამ ორი ცივილიზაციის ურთიერთკავშირისა. შუმერულმა ანბანმა, ამავე ქართულმა ასომთავრულმა შემოინახა ამბავი სამყაროს შექმნის, მისი შემდგომი განვითარების, ასტროლოგიის, მათემატიკის, რელიგიის შესახებ. თითოეული ასო-ნიშანი ატარებს ინფორმაციას, რომელიც ფასდაუდებელია, მეცნიერებაში ჯერ კიდევ ამოუხსნელი მოვლენების გასარკვევად.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული და შუმერული ცივილიზაცია პრაქტიკულად, ერთი და იგივეა, მაშინ ეს, ქართული ეთნოსის სრულ განსაკუთრებულობაზე მიგვანიშნებს. ბატონი ზურაბ ქაფიანიძე სწორედ ამ მსგავსებას ასაბუთებს თავის მრავალწლიან ნაშრომში. ჩვენი მიზანი ამ ნააზრევის ვიდეოფირზე გაცოცხლებაა, რათა ეს მსგავსება უფრო შთამბეჭდავი იყოს, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით. მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცულ შუმერულ თიხის ფირფიტებზე გამოსახული ნიშნების ანალოგს წარმოადგენს, მაგალითად, რაჭაში დღესაც ხმარებაში არსებული ხის ფირფიტები, რომლებიც ყოფა-ცხოვრებაში სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება. ნიშნები, რომლებიც გამოსახულია ძვ.წ.აღ-ით V, V ათასწლეულით დათარიღებულ ფირფიტებზე, გაუგებარი აღმოჩნდა მსოფლიოს შუმეროლოგებისთვის, რადგან მათ არაფერი იციან ქართული ასომთავრულის შესახებ. მათზე გამოსახული ნიშნები ხომ, სხვა არაფერია, თუ არა ასომთავრული. ამ ურთიერთკავშირზე მიუთითებს აგრეთვე, სვანურ-მეგრულ-ჭანური და შუმერული სიტყვების მსგავსება:

	შუმერული	სვანური
კაცი	მარე	მარე
ალი	მელამ	მელამ
მდაბიო	გურუშ	გურუშ
ვიღაც, მონა	იერე	იერე
დედა, დიდედა	დი	დი

მსგავსი ანალოგი უამრავია.

ჩვენი საინიციატივო ჯგუფი მიზნად ისახავს, ამ ნაშრომზე დაყრდნობით, ფართო აუდიტორიას წარუდგინოს ფილმი, რომელიც — არც მეტი, არც ნაკლები — სენსაცია იქნება მსოფლიო საზოგადოებისა და მეცნიერებისთვის, ხოლო შუმეროლოგებს ბევრი ამოცანის ამოხსნაში დაეხმარება. ეს იქნება სრულიად ახალი ასპექტი მათი მეცნიერული კვლევისთვის.

მომავალი დოკუმენტური ფილმი კიდევ ერთი მცდელობა იქნება იმისა, რომ ქართველ ერს მიეცეს საშუალება, საკუთარი წარსულისა და ისტორიის შესაფერისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ცივილიზაციათა ისტორიაში.

ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი ასე აყენებს საკითხს: პროექტის პრაქტიკულად განსახორციელებლად, საჭიროა შესაბამისი მატერიალური ძალისხმევა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს წინაშე დღეს უამრავი ამოცანა დგას, რასაც ასევე სჭირდება ფინანსური უზრუნველყოფა. ასეთ ვითარებაში, შეიძლება თუ არა, პრიორიტეტი მიენიჭოს ზემოთ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას? ალბათ, შეიძლება, რადგან ჩვენს ისტორიას დასაწერად ყოველთვის სხვას თუ ჩავუგდებთ ხელში, როგორც ერი გაცილებით მეტს წავაგებთ, ვიდრე ამ პროექტის წარმატებით განხორციელებას სჭირდება.

რა დასამალია, რომ ამ წერილით გვსურს, შევქმნათ პროექტის მხარდამჭერი მძლავრი საზოგადოებრივი აზრი, რაც თავისთავად სტიმულს მისცემს იმას, რომ პროექტის სასარგებლოდ კონკრეტული ნაბიჯები გადადგან მათ, ვისაც აქვთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ მისი განხორციელება.

გვჭირდება თუ არ გვჭირდება საქართველოს წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც უძველესთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ცივილიზებული ერისა?.. თუ გვჭირდება, უნდა მოვიქცეთ შესაბამისად. დიახ, გარჯის გარეშე ვერ მოხდება საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ქართული ენის ესოდენ საჭირო პოპულარიზაცია. ჩვენს იმიჯსა და ადგილს ისტორიაში თავად უნდა მივხედოთ. საოცარია ის, რომ ასეთი მეცენატი უკვე გამოჩნდა. ეს გახლავთ საქველმოქმედო ფონდი „ხობი“, რომელმაც სახელი გაითქვა, მსოფლიო მასშტაბით ქართული კულტურის დაუღალავი პროპაგანდით. ამაზე მეტყველებს წარმატებით ჩატარებული ფესტივალები, მაღალ დონეზე გამოცემული წიგნები, ვიდეო და აუდიოკასეტები, სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიება, რომელთა წყალობით, ის პირდაპირ უკვალავს გზას ქართულ სულიერ და მატერიალურ კულტურას მსოფლიოს ქვეყნების მოქალაქეთა გონებისა და გულისაკენ. რაც შეეხება თავად იდეას — ქართულ და შუმერულ ანბანთა იდენტურობის თაობაზე, — ვფიქრობ, ის საკმაოდ თამამადაა გამოთქმული და ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი სწორედ ამ აზრის სითამამითა და თუ შეიძლება ითქვას, სკანდალური შეფერილობით სარგებლობს. რატომაც არა?! ეს კეთილშობილი ინტრიგაა! თუ ძალიან უნდათ (მათ, ვისაც არ ეპიტნავება საქართველოს ქება-დიდება!), იმტვრიონ თავი და თუ შეუძლიათ, ამტკიცონ საწინააღმდეგო. ისე კი, ქართველთა უმრავლესობას, ვისაც ამ თემაზე ველაპარაკეთ, ზურაბ ქაფიანიძის წიგნი სულ არ ჰქონდა წაკითხული, ბევრს საერთოდ არ ჰქონდა გაგონილი არაფერი, შუმერთა და ქართველთა ნათესაობის შესახებ... რატომ ვამბობ ამას ასე მწარედ? იმიტომ, რომ საქართველოს მიმართ მხოლოდ გააზრებული და ქმედითი სიყვარულის მომხრე და პროპაგანდისტი ვარ. სადღეგრძელო არ კმარა!

■

შუმერული ანბანი და ქართული ასომთავრული — აბსოლუტურად იდენტურებია, რაც ყველაზე ხელშესახები მტკიცებულებაა ამ ორი ცივილიზაციის ურთიერთკავშირისა...

ცხინვალელი კახი კახიაშვილი — საბერძნეთის გმირი



ლამა თაბაგარი

საქართველოს ისტორიაში ცნება „მამლუქი“ კარგად არის ცნობილი და ალბათ ბევრისთვის საიდუმლო არ გახლავთ, რომ ჩვენი ქვეყნიდან მოტაცებულ ვაჟკაცებს დიდება უცხოელებისთვის მოჰქონდათ. ეს დრო კარგა ხანია, წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ ქართველებს „მამლუქობა“ მაინც არ ასცდენიათ. თან ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ თუ ადრე მათ სხვა ქვეყნის სამსახურში ყოფნას აიძულებდნენ, ამჟამად ამას საკუთარი ნებით სჩადიან. გამონაკლისი ამ მხრივ არც სპორტი გახლავთ და 2004 წლის ათენის ოლიმპიადას თუ გავიხსენებთ, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილმა ათლეტებმა სხვა სახელმწიფოების სახელით რამდენიმე ოქროს მედალი მოიპოვეს.

მართალია, კახი კახიაშვილი თავის მეოთხე ოლიმპიადაზე პირველ ადგილზე არ გასულა, მაგრამ საბერძნეთის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე აღიარებულმა ათლეტმა ამ ქვეყნის სახელით ოქროს მედალი მანამდე ჩატარებულ ორ ოლიმპიურ ასპარეზობაში მოიპოვა. არადა, სამშობლოში თავის დროზე მისთვის ჯეროვანი ყურადღება რომ მიექციათ, კახიაშვილი დიდებას არა ბერძნულ, არამედ ქართულ ძალოსანთა სკოლას მოუტანდა. მართალია, 2005 წელს აკაკიოს კაკიაშვილს ისევ ქართული პასპორტი მისცეს და კვლავ კახი კახიაშვილი გახდა, მაგრამ ეს ნაბიჯი დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგან მან სპორტული კარიერის საუკეთესო წლები უცხოეთში გაატარა.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი 1969 წლის 13 ივლისს, ცხინვალში, პედაგოგ თამაზ კახიაშვილისა და მედდა დალი ბერიშვილის ოჯახში დაიბადა. ამ მოვლენის აღსანიშნავად გაშლილ სუფრას ახალშობილის ბაბუა — გრიშა თამადობდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი გახლდათ. საგანგებო კოსტიუმში გამოწყობილმა, რომელსაც ომის დროს მიღებული არც ერთი მედალი არ აკლდა, ყანწი რომ შესვა, თან დასძინა: გმირი იქნება ჩემი ბიჭი, გმირიო. მამის თანაკლასელებმა გადაწყვიტეს, ახალშობილისთვის კახი დაერქმიათ, რასაც ქალბატონი დალი და ბაბუაც დაეთანხმნენ. ექვსი წლის კახიაშვილი სასწავლებლად ცხინვალის მე-6 სკოლაში შეიყვანეს, რომელიც ქალაქში ყველაზე პრესტიჟული გახლდათ. სასწავლებელში განსაკუთრებული პოპულარობით სპორტი სარგებლობდა, რომლითაც ყველა ბიჭი იყო გატაცებული და მათ შორის, კახიც. თავისუფალ დროს კახიაშვილი ჭადრაკს თამაშობდა და განსაკუთრებით ხატვა უყვარდა. მეოთხე კლასში რომ გადავიდა, მან დახატა სურათი — „მამალი ბუნებაში“, რომელმაც საერთო მოწონება დაიმსახურა. კახის ქმნილებამ წარმატებით გაიარა სასკოლო, საქალაქო და რაიონული კონკურსი. ამიტომ, ნიჭიერი ბიჭის გაგზავნა პოლონეთში გასამართ მოზარდ მხატვართა საერთაშორისო კონკურსზე გადაწყვიტეს. ყველას გასაოცრად, 10 წლის კახიმ იქ გამარჯვება მოიპოვა.

არავინ იცის, კახიაშვილი მეკარე გახდებოდა თუ მხატვარი, რომ არა ერთი შემთხვევა. საფეხბურთო მატჩის დროს, 12 წლის ბიჭს ცხინვალში ცნობილმა მძლეოსნობის სპეციალისტმა ვანო გრიქუროვმა დაადგა თვალი და სავარჯიშოდ დაპატიჟა დარბაზში, სადაც კრივის, ძალოსნობის და ჭიდაობის სექციები იყო გაერთიანებული. პატარაობისას კახიაშვილი ფიზიკური მონაცემებით არ გამოირჩეოდა და ხანდახან თანატოლებიც ჩაგრავდნენ. ამიტომ, გრიქუროვმა როდესაც უთხრა — კრივის დარბაზში მოხვალო, გაიფიქრა, რომ სპორტის ამ სახეობაზე სიარული თავდაცვის საუკეთესო საშუალება აღმოჩნდებოდა. მას გულში არც გაუვლია, რომ გრიქუროვმა ძალოსნობაში სავარჯიშოდ მიიწვია და თავდაპირველად ეგონა, რინგზე გასვლა მოუწევდა. დარბაზში შტანგა და მისთვის შესაბამისი ატრიბუტიკა რომ დაინახა, ეგონა — ჯერ ფიზიკურად მოვმძლავრდები და კრივზე შემდეგ გადავალო. საბოლოოდ, როცა გაირკვა, რომ პატარა კახის შტანგის აწევა მოუწევდა, იგი იმედგაცრუებული არ დარჩენილა, რაც ბუნებრივია, გრიქუროვის დამსახურებაა. მან თავიდანვე შეიყვარა მწვრთნელი და მის ყოველ დავალებას ზედმიწევნით ასრულებდა. ყველაზე დიდი წონა, რომელიც პირველ ვარჯიშზე კახიმ აკვრაში დასძლია — 22,5 კილოგრამი გახლდათ. ბატონი ვანო ნიჭიერ აღსაზრდელს დიდ ყურადღებას აქცევდა და ხშირად მას ინდივიდუალურადაც ავარჯიშებდა, რამაც შედეგი მალე გამოიღო.

თავად გრიქუროვის პიროვნება საინტერესო იმითაა, რომ მან სკოლა ისე დაამთავრა, ფიზკულტურის გაკვეთილზე არ უშვებდნენ. ამის მიზეზი მომავალი მწვრთნელის ფიზიკური სისუსტე გახლდათ. ის კი არა, ვანოს მშობლებს ეუბნებოდნენ — თქვენმა შვილმა შეიძლება, 20 წლამდეც ვერ იცოცხლოსო. მიუხედავად ასეთი ვერდიქტისა, ქრონიკული ასთმით დაავადებული გრიქუროვი 17 წლის ასაკში ძალოსნობაში ვარჯიშს შეუდგა და ყველა სკეპტიკოსის წინასწარმეტყველება გააქარწყლა. თუმცა, სპორტისთვის თავის დანებება ნაადრევად მოუხდა, რადგან მეგობრებთან ერთად სანადიროდ წასული, კლდიდან გადმოვარდა და თავისი თოფით გულმკერდის არეში მძიმედ დაიჭრა. 21 წლის ვანო სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და საავადმყოფოდან გამოსულმა, ხელი მწვრთნელობას მიჰყო.

მალე კახიაშვილმა წარმატებით იასპარეზა საქართველოს ჩემპიონატზე, ხოლო 16 წლისამ, მოზარდებში საბჭოთა კავშირის პირველობა მოიგო. გრიქუროვი რომ ძალოსნობაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია, ამას ერთი შემთხვევაც მოწმობს. თავის დროზე, ცხინვალში წყალდიდობა მოხდა, რომელმაც დარბაზი, სადაც კახიაშვილი ვარჯიშობდა, დაანგრია. მისი აღდგენა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, ხოლო სახსრების გამოყოფა არავის სურდა. დარბაზის გარემონტება გრიქუროვმა იტვირთა და გარდა იმისა, რომ მშენებლობაში შეგირდებთან ერთად მონაწილეობდა, დურგლის ფუნქციასაც ასრულებდა. მან საგანგებოდ ჩარხი იყიდა, რათა ფიცარნაგისთვის აუცილებელი ხის მასალა კარგად დამუშავებინა. 6-7 თვის განმავლობაში თავაუღებლად მუშაობდა და კინაღამ მხედველობაც დაკარგა, როდესაც ჩარხიდან ასხლეტილმა ხის ნაფოტმა სათვალე გაუტეხა და მინა თვალში მოხვდა. აღდგენილ დარბაზში პირველი ვარჯიში რომ გაიმართა, გრიქუროვმა ასეთი ფრაზა წარმოთქვა — ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება, თუ ეს დარბაზი თავის მისიას შეასრულებს და ერთ ოლიმპიურ ჩემპიონს გავზრდიო. მაშინ არავინ იცოდა, რომ კახიაშვილი თავის პირველ ოლიმპიურ ოქროს სწორედ ამ დარბაზში ვარჯიშისას მოიპოვებდა. სამწუხაროდ, დღესდღეობით ეს შენობა აღარ არსებობს — ქართულ-ოსურ კონფლიქტს შეეწირა.

1989 წელს კახიაშვილმა ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, რაც უკვე სერიოზული განაცხადი გახლდათ. ორი წლის შემდეგ, ის საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა, ხოლო 1992 წელს — 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში დსთ-ის ჩემპიონი გახდა. გამომდინარე იქიდან, რომ მაშინ საერ-

თაშორისო ასპარეზზე ქართველ სპორტსმენებს დამოუკიდებლად გამოსვლის საშუალება არ ეძლეოდათ, იმავე წელს კახიმ დსთ-ის გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში იასპარეზა და პირველი ადგილი დაიკავა. აკვრის ტექნიკა, რომელსაც ქართველი სპორტსმენი იყენებდა, საკმაოდ იშვიათი გახლდათ და მას თავის დროზე, სრულყოფილად ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ვიქტორ სოცი ფლობდა, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიოდა. ასპარეზობაზე კახიაშვილმა აკვრაში 225 კილოგრამი, რაც ანატოლი ხრაპატის რეკორდზე 10 კილოგრამით ნაკლებს წარმოადგენდა, ადვილად დასძლია და დარწმუნებული იყო, რომ რეკორდის მოხსნაც შეეძლო. თუმცა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვასილი ალექსეევმა ამის საშუალება არ მისცა, რადგან ნაკრების თავკაცს შედეგი სჭირდებოდა და არა — რეკორდი. სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე კახის პირველ რიგში ჰკითხეს — აპირებდა თუ არა იგი ხრაპატის რეკორდის მოხსნას, რაზეც ქართველმა უპასუხა, — დიახ, ამის გაკეთებას წელსვე ვაპირებო. ამის შემდეგ, მან კიდევ ოთხჯერ მოიგო კონტინენტის პირველობა და აქედან ორჯერ ეს საბერძნეთის სახელით გააკეთა.

სამაჩაბლოში ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირებამ, კახი აიძულა, ცხინვალი დაეტოვებინა, ხოლო მისი მშობლები ქალაქში დარჩნენ და მათთვის ზედმეტი არავის არაფერი უთქვამს. არადა, კახიაშვილების მამაპაპისეული სახლი, რომელიც სოფელში იდგა, ძალოსანის თქმით, ქართველებმა გადაწვეს და ოლიმპიური ჩემპიონის განცხადებით, ეს წმინდა წყლის კრიმინალურ ქმედებას წარმოადგენდა. 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე კახიმ კვლავ დსთ-ის გუნდში იასპარეზა და 90 კილოგრამში ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. ამრიგად, ცხინვალელი სპორტსმენი რაფაელ ჩიმიშკიანის შემდეგ, მეორე ჩვენი თანამემამულე აღმოჩნდა, რომელმაც ასეთი წარმატებას მიაღწია. სხვათა შორის, მან აკვრაში სწორედ ხრაპატის შედეგი გაიმეორა და ორჭიდში ოლიმპიური რეკორდი 10 კილოგრამით გააუმჯობესა. სწორედ ამ შედეგებმა განაპირობა, რომ იგი საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. ისიც სათქმელია, რომ ოლიმპიადაზე მისი წაყვანა არ სურდათ, რადგან რუსებს საკუთარი ფავორიტი, სერგეი სირცოვი ჰყავდათ და უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებდნენ. თუმცა ჩვენებურის უპირატესობა მეტოქესთან შედარებით იმდენად აშკარა იყო, რომ ნაკრებში პირველ ნომრად სწორედ ის გაამწესეს.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კახიაშვილს და გრიქუროვს, რომლებსაც საკუთარი საცხოვრებელი არ ჰქონდათ, მთავრობა ბინას შეჰპირდა და ორდერებიც მისცა. მაგრამ მწვრთნელის სახლი, რომელიც ნუცუბიძის პლატზე შენდებოდა, დღემდე დაუმთავრებელია და ბატონმა ვანომ ხუმრობითაც კი თქვა — ჩარჩოში ჩასმული ორდერი კედელზე მაქვს ჩამოკიდებულიო. რაც შეეხება კახიაშვილს, ბარსელონის ტრიუმფატორის ბინაში ლტოლვილები აღმოჩნდნენ შესახლებული და ბუნებრივია, ძალოსანს მათი იქიდან გამოდევნა არც უცდია. 1993 წელს ავსტრალიის მსოფლიო ჩემპიონატზე გრიქუროვი და კახიაშვილი ნასესხები ფულით გაემართნენ, ვინაიდან ქვეყანაში ომი მიმდინარეობდა და სპორტისთვის არავის ეცალა. შეჯიბრების მსვლელობისას, როდესაც კახი ატაცში გამოვიდა, ბარძაყის კუნთი გაუწყდა და როგორც მწვრთნელი, ასევე შეგირდი, მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რადგან აკვრაში ასეთ მდგომარეობაში ფიცარნაგზე გამოსვლა ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნებოდა. გრიქუროვი მოწყენილი იჯდა, როდესაც კახის ხმა მოესმა — სტეფანიჩ, ეს რა მოგვივიდა, ნასესხები ფულით ჩამოვედით და ჩემპიონატიც კი ვერ დაგვიმთავრებიაო. ამის შემდეგ, მან მწვრთნელს მორიდებით სთხოვა — რაღაც შედეგი რომ ვაჩვენო, იქნებ ასი კილოგრამი მაინც ავწიოო და მოთელა დაიწყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ კუნთი ძალიან აწუხებდა. თუმცა 130-კილოგრამიანი შტანგა მაინც ასწია და ცოტა ხანში 150-იც დასძლია. ეშხში შესულმა კახიაშვილმა მწვრთნელს ჰკითხა — რამდენი იქნება საჭირო, რომ მედალთან ახლოს მივიდეო? გრიქუროვმა უპასუხა — 200 კილოგრამზე ნაკლები, საკმარისი არ იქნებაო. კახიაშვილი წონას არ შეეპუა და ფაქტობრივად, ცალ ფეხზე მდგომმა, შტანგა მაინც ასწია. თუმცა ეტყობოდა, რომ ფეხი ძალიან სტკიოდა და ბატონმა ვანომ სთხოვა — დაამთავრეო. არ გასულა ორი წუთი, რომ ძალოსანმა მორიგი კითხვა დაუსვა აღმზრდელს — ვერცხლის მედალს რა წონის აწევა დასჭირდებაო? გრიქუროვმა მას გაკვირვებულმა შეხედა და უპასუხა — 215-იო. მწვრთნელის გასაოცრად, კახიაშვილმა ეს წონაც დაძლია. ერთ წუთში კი, კახი იმით დაინტერესდა, თუ რა წონის შტანგის აწევა დასჭირდებოდა, ჩემპიონი რომ გამხდარიყო. გრიქუროვმა უპასუხა, — 222 კილოგრამისო. კახიაშვილმა აღნიშნული წონაც დასძლია და ბულგარელ სპორტსმენს ერთი ცდა რომ არ ჰქონოდა დარჩენილი, ოქროს მედალსაც დაისაკუთრებდა. თუმცა ტრავმირებულმა, საბოლოო ჯამში ჩემპიონატზე ვერცხლი დაისაკუთრა, ხოლო აკვრაში ნაჩვენები შედეგისთვის წილად მცირე ოქრო ერგო.



1993-ში კახიაშვილი ქვეყნის ნომერ პირველ სპორტსმენად მეორედ აღიარეს, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შეღავათი გახლდათ სპორტსმენისთვის. საქმე ისაა, რომ ცხინვალიდან წამოსვლის შემდეგ, ოლიმპიური ჩემპიონი ახლობლის ბინაში ცხოვრობდა და სტიპენდიად დანიშნული 100 დოლარი სპორტსმენს მოსამზადებლად ნამდვილად არ ჰყოფნიდა. სხვათა შორის, გიორგი ასანიძე სწორედ მან შეიფარა თბილისში და იმ პერიოდში დამწყებ ძალოსანს კუთვნილი თანხიდან 30 დოლარს უხდიდა. კახის მეგობარი არც შემდგომში დავიწყნია. როდესაც უკვე სახელგანთქმული გახდა და ასანიძე პოლონეთში გრიქუროვთან სავარჯიშოდ ჩავიდა, კახიაშვილი თვეში 700 დოლარს უგზავნიდა, რათა გიორგის ეცხოვრა და ევარჯიშა. 1994 წელს კახიაშვილისთვის საქართველოში ყოფნა აუტანელი შეიქნა. ოლიმპიური ჩემპიონი გაყინულ დარბაზში ვარჯიშობდა, სადაც შტანგას აგურებზე დებდნენ, ხოლო წვრთნის შემდეგ სახლში რომ ბრუნდებოდა, არაერთხელ ყოფილა ტროლეიბუსზე ჩამოკიდებული. კახის ვიდეოკამერა ჰქონდა, რომლითაც საკუთარ ვარჯიშს იღებდა და ისიც კი მოჰპარეს. წარმოიდგინეთ, რომ ცნობილ სპორტსმენს ნორმალური ტანსაცმელიც კი არ ჰქონდა.

24 წლის სპორტსმენს კარიერის დამთავრება არ სურდა, მაგრამ სამშობლოში წინსვლის საშუალება მაინც არ ჰქონდა. მიუხედავად ასეთი ყოფისა, მან 1993 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ამავე ასპარეზობაში ვერცხლი მოიპოვა. გარდა ამისა, ევროპის სუპერთასის მფლობელი გახდა. რაც შეეხება მსოფლიოს სუპერთასს, კახიაშვილმა ამ ტურნირზე 1994 წელს მეორე ადგილი დაიკავა და ორი წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა. მის ცხოვრებაში გარდამტეხი, 1994 წელი აღმოჩნდა, როდესაც ბერძნებმა კახის, კარიერის გაგრძელება ელადაზე შესთავაზეს. ამის სანაცვლოდ მას საბერძნეთის მოქალაქეობა უნდა მიეღო. ცხადია, ასეთ დროს არჩევანის გაკეთება ძნელია, მაგრამ კახიაშვილს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და შეთავაზებას დათანხმდა.

იმ პერიოდში საქართველო გრიქუროვმაც დატოვა და 10 წლის განმავლობაში პოლონეთში მოღვაწეობდა, სადაც რამდენიმე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი აღზარდა. ბერძნებმა ჩვენებურს სავარჯიშოდ მშვენიერი პირობები შეუქმნეს და შედეგმაც არ დააყოვნა. უკვე 1995 წელს კახიაშვილმა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველად მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი, ამ შედეგის განმეორება მან კიდევ ორჯერ — 1998 და 1999 წლებში მოახერხა, ოღონდ — 100 კილოგრამში. 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე, საქართველოდან ემიგრირებულმა ძალოსანმა საბერძნეთის ნაკრებს ოქროს მედალი მოუტანა 99 კილოგრამში.



შეჯიბრების დასრულების შემდეგ მან ასეთი კომენტარი გააკეთა: „პირველი ოქროს მედალი საქართველოს სახელით მოვიპოვე, რომელიც 24 წლის ასაკში დავტოვე. ახლა კი წარმატებას საბერძნეთის სახელით მივაღწიე — ქვეყნის, რომელიც ჩემს მეორე სამშობლოდ იქცა და სადაც მშობლებთან ერთად ვცხოვრობ". მან იმავეს გაკეთება ოთხი წლის შემდეგ, სიდნეის ოლიმპიადაზეც მოახერხა, ოღონდ — 94 კილოგრამ წონით კატეგორიაში. შედეგად, ის ვიქტორ სანეევთან ერთად, მეორე ქართველია, რომელმაც ოლიმპიადებზე გამარჯვება სამჯერ იზეიმა. თუმცა მსოფლიო სპორტის ისტორიაში ორი ოქრო ბერძნების ანგარიშზე ჩაიწერა.

ავსტრალიიდან დაბრუნებულ კახიაშვილს „საბერძნეთის გმირის" წოდება მიანიჭეს, ასევე იგი ათენის საპატიო მოქალაქე გახდა. ამასთანავე, საბერძნეთის პრეზიდენტისა და პარლამენტისგან დამსახურებისთვის ორ-ორი ოქროს მედალი მიიღო. ორჯერ კახიაშვილი საბერძნეთის წლის სპორტსმენად აღიარეს. 2004 წლის ათენის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიისას, მან, როგორც საბერძნეთის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა სპორტსმენმა, ოლიმპიური ცეცხლის ანთების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა, რაც მხოლოდ რჩეულ სპორტსმენთა ხვედრია. საბერძნეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები ვალდებული არიან, საჯარო სამსახური გაიარონ და ხელფასის გარკვეულ ნაწილს ისინი ქვეყნის არმიაში იღებენ. აქვე გეტყვით, რომ კახიაშვილს საბერძნეთის საჰაერო ძალების კაპიტნის წოდება აქვს, ხოლო ჯარჯი ზვიადაური ანუ ილიას ილიადისი ფეხოსანთა ლეიტენანტია.

ათენში გამარჯვების შემთხვევაში, კახიაშვილი ყველა დროის საუკეთესო ძალოსანი გახდებოდა, მაგრამ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ხელი მოეცარა და საპრიზო ადგილიც ვერ დაიკავა. საკუთარი წარუმატებლობა მან ასე ახსნა: „ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დიდ იმედს ვამყარებდი. ურიგოდ მომზადებული არ გახლდით და ძალიან მსურდა, ოქროს მედალი ზედიზედ მეოთხედ მომეპოვებინა. სამწუხაროდ, მზადების პროცესში წვრილმანი პრობლემები წარმოიშვა, რომელთაც საბოლო ჯამში ჩემს წარუმატებლობას შეუწყო ხელი". მიუხედავად ამისა, იგი ბერძენ პიროს დიმასთან და თურქ ნაიმ სულეიმანოღლუსთან ერთად, იმ ძალოსანთა სამეულში შედის, რომლებსაც ოლიმპიადაზე ოქრო სამჯერ მოუპოვებიათ. ხაზგასასმელია, რომ დიმასი წარმოშობით ალბანელია, ხოლო სულეიმანოღლუ, ვიდრე თურქეთში წავიდოდა, ბულგარეთის ნაკრებში შალამანოვის გვარით გამოდიოდა. ათენის ოლიმპიადაზე ჩემპიონობა გიორგი ასანიძემ მოიგო, რომელსაც გრიქუროვი წვრთნიდა. ამ წარმატების შემდეგ, ბატონი ვანო საქართველოში დაბრუნდა და ამჟამად თბილისში მოღვაწეობს. მას ასეთი ნაბიჯის გადადგმა ათენში ჩასულმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შესთავაზა და მწვრთნელმა პირველ რიგში, საბინაო პრობლემის მოგვარება მოითხოვა, რაც საბოლოო ჯამში დადებითად გადაწყდა.

ამჟამად, ბატონი ვანო საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია. თუმცა მისი ცოლი და ოთხი შვილი პოლონეთში ცხოვრობს. სამშობლოში ჩამოვიდა კახიაშვილიც, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. მას გრიქუროვი არც ამ შემთხვევაში დავიწყებია და საჩუქრად თანამედროვე შტანგის ხუთი კომპლექტი ჩამოუტანა. კახიაშვილი ჯერჯერობთ ისევ საბერძნეთში ცხოვრობს და ვარჯიშს იქ განაგრძობს. სპორტსმენმა, რომელსაც სამჯერ ოლიმპიადის მოგების გარდა, მსოფლიო რეკორდი ორჭიდში, ორჯერ — ატაცში და სამჯერ — აკვრაში აქვს დამყარებული, საკუთარ მომავალზე შემდეგს ამბობს: „ჩემი მომავალი კარიერა მსოფლიო ჩემპიონატზეა დამოკიდებული, რომელიც ამა წლის ოქტომბერში გაიმართება. ამ ასპარეზობისთვის ჩვეულებისამებრ ვემზადები და თუ პირველობაზე ვერცხლის მედლის მოპოვება მაინც შევძელი, მაშინ 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლაზეც ვიფიქრებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალოსნობიდან საერთოდ წავალ, რადგან კარიერის განმავლობაში ყველა ტიტული მოვიგე. აქედან გამომდინარე, მეორეხარისხოვნად ყოფნა ნამდვილად არ მსურს". იმ შემთხვევაში, თუ კახიაშვილი პეკინში ფიცარნაგზე მაინც გამოვიდა, ძალოსანს გადაწყვეტილი არა აქვს, საქართველოს სახელით იასპარეზებს თუ საბერძნეთის, რაზეც მისი სიტყვები მოწმობს: „გამორიცხული არ არის, საქართველოს სახელით გამოვიდე. არ უნდა დავივიწყოთ, ჩემთვის ბერძნებს რამხელა პატივი აქვთ ნაცემი. ისინი, თავის დროზე, ზედ გადამყვნენ, რისი დაუფასებლობაც არ შეიძლება. ამიტომ, სხვანაირად ნუ ჩამითვლით, მაგრამ პეკინში ვისი სახელით გამოვალ, ჯერ არ გადამიწყვეტია." ■

კრაუჩი საყვარელს დაშორდა

უკვე ერთი თვეა, რაც ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის" ფორვარდმა, პიტერ კრაუჩმა 20 წლის აბიგაილ კლენსი თავისი ცხოვრებიდან გააძევა. ყოფილი ოფიციანტი, რომელიც მოდელობაზე



ოცნებობს (ცოტა ხნის წინ მან ჟურნალ GQ-სთვის მოწყობილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა), ამჟამად ახალ ბოიფრენდს ეძებს. როგორც ცნობილია, კრაუჩსა და კლენსს შორის უთანხმოების მიზეზი ის გახდა, რომ ეს უკანასკნელი კოკაინის მოხმარებაში ამხილეს. ამასთან, ნარკოტიკულ ნივთიერებას ის გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას მოიხმარდა, სადაც პიტერის გამოსვლას ადევნებდა თვალყურს. მუნდიალის მასპინძელ ქვეყანაში იგი ინგლისის ნაკრების წევრთა მეუღლეებთან ერთად იმყოფებოდა. ცოტა ხნის წინკი, აბიგაილმა განაცხადა, რომ ახალი მეგობარი მამაკაცის მოძებნას აპირებს. ლამაზმანმა ისიც გაამხილა, რომ კვლავ ინგლისის ნაკრების რომელიმე მოთამაშესთან სურს ურთიერთობა, რადგან მსოფლიო ჩემპიონატზე დასწრება ძალიან მოეწონა. ■

ლუკა ტონი — „ჰიტლერ კრაუჩის გაუმჯობესებული ასლი“

მინიდოსიე:

დაბადების თარიღი: 1977 წლის 26 მაისი

დაბადების ადგილი: პავულო ნელ ფრინიანო (იტალია)

ამპლუა: თავდამსხმელი

კარიერა: „მოდენა“ (1994-1996), „ემპოლი“ (1996-1997), „ფიორენცუოლა“ (1997-1998), „ლოდიჯანი“ (1998-1999), „ტრევიზო“ (1999-2000), „ვიჩენცა“ (2000-2001), „ბრეშია“ (2001-2003), „პალერმო“ (2003-2005), „ფიორენტინა“ (2005 წლიდან)

იტალიის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 24 მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი

მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (2006), „ოქროს ბუცის“ მფლობელი 2005-2006 წლების ევროსეზონის შედეგების მიხედვით.

სულ რაღაც ერთი წლის წინ ლუკა ტონი სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი და „ოქროს ბუცის“ მფლობელი გახდა. გარდა ამისა, მან იტალიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ისე კი, გასულ სეზონამდე ტონის, საფეხბურთო სამყაროს ძალიან მცირე ნაწილი თუ იცნობდა.

„მოდენა,“ „ემპოლი,“ „ტრევიზო,“ „ფიორენტინა“ — კარიერის დიდი ნაწილი 29 წლის თავდამსხმელმა გაატარა კლუბებში, რომლებიც რბილად რომ ვთქვათ, ბოლო წლებში ნამდვილად არაფრით გამოირჩეოდნენ. მაშ როგორ გაიბრწყინა ფორვარდმა? სხვათა შორის, ამ თემაზე ინტერნეტში სპეციალური გამოკითხვაც ჩაატარეს. პასუხები დაახლოებით ასეთი იყო: „ამ ბიჭს მიმდინარე სეზონში ძალიან გაუმართლა“, „ის ყოველთვის გენიოსი იყო, მაგრამ მხოლოდ ამჟამად მონახა თავისი შესაფერისი გუნდი“. ისე კი, არც ერთ პასუხს აბსოლუტური უმრავლესობა არ მოუპოვებია...



ტონის ასეთი გარდასახვა თვით მუნდიალის შემდეგაც ბევრისთვის გამოცანად რჩება. როგორც ცნობილია, მსოფლიო პირველობაზე მან უკრაინის ნაკრებთან დაპირისპირებისას დუბლი შეასრულა, მაგრამ სხვა არაფრით გამოუჩენია თავი. ვერც იმას ვიტყვით, რომ ტონი იტალიაში ნომერ პირველ ვარსკვლავად იქცა — მაგალითად, ისეთად, როგორებადაც თავის დროზე მოგვევლინნენ: დელ პიერო, ტოტი ან მალდინი.

ამბობენ, რომ რაც ლუკა ტონის არ გააჩნია, ეს — ქარიზმაა. იტალიაში მას სექსსიმბოლოდ ნამდვილად არ მიიჩნევენ: ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, ტონი „სამარცხვინო“ 25-ე ადგილზე აღმოჩნდა — ფაქტობრივად, ყველა თანაგუნდელის შემდეგ (ეს გამოკითხვა ინტერნეტგამოცემამ — Tuttogratis-მა ჩაატარა). როგორც იტალიელი ჟურნალისტი ლორენცო ძაკეტი ამბობს, მას „საშუალო დონის ლამაზ მამაკაცად“ მიიჩნევენ.

ლუკას მეგობარი გოგონა — მოდელი მარტა კაჩეტოა, რომელიც აღნიშნულის გამო სულაც არ ღელავს. „მე ის გავიცანი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც წარუმატებელი კაცი იყო“, — ამაყად ამბობს იგი.

ქარიზმისთვის ტონის მეტსახელიც არ ჰყოფნის, რომელიც სამუდამოდ მიაკერეს. მეტსახელი გასულ წლებში, „ფიორენტინის“ არაერთ ფეხბურთელს რქმევია: გაბრიელ ბატისტუტას — მეფე ლომი, კურტ ჰამრინს — Ucelino (პატარა ჩიტი)... ტონისთვის, რომელმაც ერთ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობით (31) თავის ორივე წინამორბედს გაუსწრო, ჯერჯერობით „რიგიანი“ არაფერი დაურქმევიათ, მას ხან „დიდ ჩიტს,“ ხანაც — „იასამნისფერ ჟირაფს“ ეძახიან. ბრიტანელმა ჟურნალისტებმა კი, ტონის, „ჰიტლერ კრაუჩის გაუმჯობესებული ასლი“ უწოდეს.

ასეა თუ ისე, ალბათ, ტონის მეტსახელს ამიერიდან გააუმჯობესებენ, თანაც — არა ფლორენციაში, არამედ სხვა რომელიმე ევროპულ ქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ სერია A-დან დაქვეითებული „ფიორენტინის“ ხელმძღვანელობა აცხადებს — ლუკას არ გავყიდითო, — გასული სეზონის ევროპის საუკეთესო ბომბარდირზე მაინც ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული. მთავარი კონკურენტები — „რეალი,“ „ინტერი,“ „რომა“ და „ნიუკასლი“ არიან. ასე რომ, თუ ლუკა ტონი ახალ, დიდ გუნდში გააგრძელებს ასპარეზობას, შესაძლოა, მომავალ სეზონში ამოიხსნას გამოცანაც — მართლა ვარსკვლავია ის თუ უბრალოდ, მუნდიალზე გაუმართლა?....

ჯერარდი რონალდუს აპრიტიპებს

სტივენ ჯერარდმა ავტობიოგრაფია გამოსცა. BBC იუწყება, რომ წიგნში ფეხბურთელი გასული მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალურ მატჩში კრიშტიანუ რონალდუს საქციელსაც ეხება, რომლის დროსაც უეინ რუნი მოედნიდან გააძევეს. ამ ეპიზოდს ჯერარდი „სამარცხვინოდ“ მოიხსენიებს. „სამწუხაროდ, ამ ლაქას რონალდუ ვეღარასოდეს მოიშორებს, — დასძენს სტივენი. — ის, რაც მან უეინის მიმართ მოიმოქმედა, ნამდვილად სამარცხვინოა. ხოლო, როდესაც მან სათადარიგოთა სკამზე თავის პარტნიორებს თვალი ჩაუკრა, ამის შემხედვარე ინგლისელმა ფეხბურთელებმა წონასწორობა დაკარგეს. მისი ასეთი საქციელი სხვას არაფერს ნიშნავდა თუ არა იმას — „მე ჩემი საქმე გავაკეთე“. მიკვირს, თანაგუნდელს ასე როგორ უნდა მოჰქცეოდა. თამაშის შემდეგ, ავტობუსში უეინმა მკითხა, თუ რას ვფიქრობდი იმ თვალის ჩაკვრაზე. მე ვუპასუხე: სიმართლე თუ გინდა, მე რომ ესპანეთში მეთამაშა და ჩემი პარტნიორები, ხაბი ალონსო ან ლუის გარსია ანალოგიურად მომქცეოდნენ, მათთან ურთიერთობას აღარასოდეს ვისურვებდი-მეთქი.

სტეფანე ქობულეთმა დაღალა და დასვენებას თურქეთში აპირებს



ზღვის, მთისა და კომფორტის მოყვარული სტეფანესთვის ნამდვილი დასვენება — ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე წამოწოლაა. უყვარს მშვიდი გარემო, ზღვა და როგორც თვითონ ამბობს — თავს ზღვაში თევზივით გრძნობს.

ეკა მინდაძე

— ამ ზაფხულს დასვენებას ვერ ვახერხებ, რადგან ბევრი საქმე მაქვს. მართალია, სულ მალე ბათუმში მივდივარ, სადაც აგვისტოს ბოლომდე დავრჩები, მაგრამ იქაც აქტიურად მომიწევს მუშაობა. ნამდვილ დასვენებას კი, სექტემბრისთვის ვგეგმავ — თურქეთში ვაპირებ წასვლას.

— შარშან სად ისვენებდი?

— ბათუმში.

— ბავშვობაში, უფრო ხშირად სად ისვენებდი ხოლმე?

— ზაფხულობით ბაბუას ყოველთვის სოხუმსა და გაგრაში დავყავდი. გული ძალიან მწყდება, რომ დღეს იქ ვეღარ მივდივარ. ბავშვობაში ასევე ხშირად ვისვენებდი ბორჯომში, მანგლისში.

— ოდესმე საკურორტო რომანი ხომ არ გქონია?

— კი, მაგრამ ეს იმდენად პირადულია, რომ ამაზე ლაპარაკი არ მსურს. რადგან ახალგაზრდები დასასვენებლად მშობლების გარეშე მიდიან, თავისუფლებას შეიგრძნობენ თუ არა, მაშინვე რომანს აჩაღებენ ხოლმე. ამიტომ ნებისმიერ კურორტზე მძაფრი სექსუალური ენერგეტიკა და რომანტიკული გარემო შეიგრძნობა.

— პირველად, როცა დასასვენებლად მშობლების გარეშე წახვედი, რამდენი წლის იყავი?

— 16 წლის ვიყავი, როცა ძმაკაცებთან ერთად ბორჯომში წავედი — 6-მა ბიჭმა ერთი დიდი სახლი ვიქირავეთ და ძალიან მაგარი დრო ვატარეთ. თუმცა, იქ უცხო ბიჭებთან კამათი და ჩხუბი არაერთხელ მოგვივიდა, მაგრამ ბოლოს, თითოეულ მათგანთან საერთო ენა გამოვნახეთ და დავშეგობრდით.

— სოფელი თუ გაქვს?

— სამწუხაროდ, არა. მე-7 თაობის თბილისელი ვარ. ყოველთვის იმაზე ვოცნებობდი, რომ სოფელი მქონოდა. ამიტომაც, ერთხელ ჩემმა ძმაკაცმა მანქანაში ჩამსვა და დასავლეთისკენ აიღო გეზი. გამგზავრების გადაწყვეტილება იმდენად მოულოდნელად მივიღეთ, რომ ოჯახის წევრები არც კი გაგვიფრთხილებია: მანქანაში ოთხი ბიჭი ვიჯექით და ოთხივეს ერთად 13 ლარის მეტი არ გვქონდა; ამიტომ ვისაც კი ვსტუმრობდით, ყველა ფულს გვჩუქნიდა იმისთვის, რომ ბენზინი გვყიდა.

— ლაშქრობაში თუ ყოფილხარ?

— როგორ არა, მაგრამ მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი.

— კომფორტს ადვილად ელევი?

— სიმართალე გითხრა, ჩემთვის კომფორტი ძალიან მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ლაშქრობაზე წასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს.

— საქართველოს რომელი კუთხის ნახვა გინდა ყველაზე მეტად?

— არასოდეს ვყოფილვარ რაჭაში, სვანეთსა და ხევსურეთში. მომავალში, იმედია, მათ ნახვასაც შევძლებ.

— სათევზაოდ ან სანადიროდ თუ ყოფილხარ?

— ვყოფილვარ, მაგრამ არც თევზი დამიჭერია და არც ჯიხვი მომიკლავს (*იცინის*).

— შენ და შენი მეგობრები პიკნიკებს ხშირად აწყობთ?

— პიკნიკები ბავშვობაში მიზიდავდა. დღეს კი, ასეთ გართობას თუ დასვენებას, უბრალოდ ქალაქგარეთ გასეირნება მირჩევნია.

— რომელი უფრო მოგწონს — ზღვა თუ მთა?

— ყველანაირ დასვენებას თავისებურ მუღამს ვუჭერ. ზღვაზეც მშვენივრად ვისვენებ და მთაშიც.

— დასვენების დროს, შენს სიახლოვეს მშვიდი გარემო უნდა იყოს თუ?

— რა თქმა უნდა, დასასვენებლად მშვიდი გარემო საუკეთესო ვარიანტია. ამიტომაც, ქობულეთში დიდხანს ვერ ვჩერდები, რადგანაც იქ კი არ ვისვენებ, არამედ ძალიან ვიღლები. ადრე, თინეიჯერობის ასაკში, ამ ქალაქში დასვენება ძალიან მიყვარდა — ხან რომელ ბარში ვიჯექი და ხან რომელში. დღესდღეობით კი, დასასვენებლად კვარიათსა და სარფში მივდივარ ხოლმე, რადგანაც იქ შედარებით წყნარი ატმოსფეროა.

— ყველაზე მეტად, სად და რა ვითარებაში ისვენებ?

— ძალიან მიყვარს ბუნების წიაღში წამოწოლა ან ისეთ ოთახში დასვენება, რომლის ფანჯრებიდან სუფთა ჰაერი შემოდის. გარდა ამისა, ძალიან მიყვარს წყალი, მასში თავს თევზივით ვგრძნობ. შემიძლია, მთელი დღე ზღვაში ვიყო ისე, რომ ნაპირზე არ ამოვიდე: მახსოვს, ერთ ზაფხულს, ზღვაზე 2 თვე დავყავი და იქიდან სრულიად თეთრი ჩამოვედი — გარუჯული მარტო სახე მქონდა.

— გამოდის, რომ გარუჯვა არ გიყვარს?

— როგორ არ მიყვარს, მაგრამ თვითონ ამ პროცესს ვერ ვიტან. სიმართლე გითხრა, „ზაგარს“ მხოლოდ მაშინ ვიღებ, როცა წყალში ყოფნა მბეზრდება. ეს კი, ხშირ შემთხვევაში საღამოს საათებში ხდება.

— აზარტული თუ ხარ და სპორტის რა სახეობა გიყვარს?

— აზარტული საერთოდ არ ვარ. ამიტომ ყველანაირ აზარტულ თამაშს თავს ვარიდებ. ისე, ძალიან მიყვარს ფეხბურთი და ფრენბურთი.

— დილაობით თუ ვარჯიშობ?

— არა.

— რატომ, ზარმაცი ხარ?

— ალბათ. არადა, ვარჯიში ჩემთვის მისწრებაა — ამ ბოლო დროს, გავსუქდი და ღიპიც დამედო. ძალიან მინდა, აუზზე ვიარო, მაგრამ სამწუხაროდ, საამისოდ დრო არ მრჩება.

— წელიწადის რომელი დრო გიყვარს ყველაზე მეტად?

— ზაფხული, თუმცა ზამთარი და თოვლიც მაგარია...

— დასასვენებლად წასულს ალბათ გცნობენ ხოლმე. ეს დისკომფორტს ხომ არ გიქმნის?

— როგორ არა! ხშირ შემთხვევაში, ამის გამო ვიძაბები კიდეც, ამიტომ ვცდილობ, ხალხმრავალ ადგილებში არ ვიაროო. ■

ნებისმიერ კურორტზე მძაფრი სექსუალური ენერგეტიკა და რომანტიკული გარემო შეიგრძნობა.

ოქროსფერი მეტალებით გაწყობილი საცურაო კოსტიუმები

„წელს მოდაში ბენდენის ტიპის კეპებია"

ნათია ქივიძე

რამდენიმე დღის წინ, ქობულეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბუნგალოში ახალგაზრდა დიზაინერის — ნანა მელქაძის ახალი კოლექციის ჩვენება გაიმართა, სადაც უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ქართველ სტუმრებთან ერთად, დიზაინერის შემოქმედებას უცხოელი ტურისტებიც ინტერესით ადევნებდნენ თვალს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენება ზღვის სანაპირო ზოლზე გაიმართა, კოლექციაში არც ერთი საცურაო კოსტიუმი არ იყო გამოტანილი.

— ჩვენების ქობულეთში მოწყობა აბსოლუტურად ლოგიკური იყო, რადგან ახლა თბილისში მკვდარი სეზონია და ხალხის ძირითადი მასა სწორედ ზღვისპირეთში ისვენებს. ვიფიქრეთ, რომ ეს საინტერესო იქნებოდა, როგორც ქართველებისთვის, ასევე უცხოელი ტურისტებისთვისაც და როგორც ნახეთ, არც შევმცდარვართ — უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

— რამდენი კოსტიუმი გქონდათ ჩვენებაზე გამოტანილი?

— სულ 80 კოსტიუმი გვქონდა, რომლის შესაქმნელადაც ორი თვე დამჭირდა. იმის გამო, რომ ახლა უკვე ზაფხულის ბოლო თვეა, შემდეგი სეზონისთვისაც ვიზრუნეთ და საზაფხულო კოსტიუმებს, საშემოდგომოც შევურიეთ. წარმოდგენილი იყო ყოველდღიური სტილის სამოსი — ორიგინალური ჯინსები, საღამოს კაბები და კოსტიუმები განსაკუთრებული შემთხვევისთვის. გარდა იმისა, რომ გამოყენებული გვაქვს ჭრელი ქსოვილები, ასევე გვაქვს თეთრსა და შავ ფერებში გადაწყვეტილი ტანსაცმელი. მოგეხსენებათ, ეს ორი ფერი წელს ძალზე მოდურია. ამასთანავე, კოსტიუმების უმეტესი ნაწილი ხელით არის გაკეთებული — ბევრი ნაქარგი აქვს და გაწყობილია ბისერებით, თვლებით, ფერადი ქვებით. ამავე მასალით გვაქვს დამზადებული ქამრები და აქსესუარები. ისევე, როგორც გასულ წელს, ბისერები წელსაც მოდურია. ჩემი კოლექციის სტილი სპორტულ-კლასიკურია, თუმცა, საღამოს კაბებში სპორტული შტრიხები გამოყენებული არ მაქვს. კოლექციის შექმნისას, განსაკუთრებული ყურადღება აქსესუარებზე გავამახვილე — მასიური მძივები, თვლებიანი ქამრები, რკინის დეტალები, რომელიც კოსტიუმს თანამედროვე იერს აძლევს. ჩემი ინიციალებით შექმნილმა შავ-თეთრმა კაბამ კი, ჩვენება დახურა.



წარმოდგენილი იყო ყოველდღიური სტილის სამოსი — ორიგინალური ჯინსები, საღამოს კაბები და კოსტიუმები განსაკუთრებული შემთხვევისთვის.

— რომელი სააგენტოს მოდელმა გოგონებმა მიიღეს ჩვენებაში მონაწილეობა?

— სულ 9 მოდელი გვყავდა, რომლებიც სამი სააგენტოდან — „ფავორიტი", „მაქსიმუმი" და „ვიაიპი" — ავარჩიეთ. სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი, მარია სარჩიმელია, შემოდგომაზე კონკურსში — „მის მსოფლიო ტურიზმი" მიიღებს მონაწილეობას... როგორც თავად ნახეთ, პოდიუმი აბსოლუტურად განსხვავებული და არაორდინარული იყო, ეს კი ჩვენი რეჟისორის, დაჩი დარჩიას დამსახურებაა. პოდიუმზე, რომელიც დაგრეხილი თოკებით იყო გაფორმებული და თივა ეყარა, გოგონების უმეტესობა ფეხშიშველი გამოდიოდა. ამით, ჩვენებას შოუს სახე მივეცით. მუსიკაც შესაბამისი გვქონდა, მათ შორის „ტანგოც" კი აღერდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩვენება ჩემს შემოქმედებაში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

— მართალია, შენს ჩვენებაში საცურაო კოსტიუმები გამოტანილი არ გქონდა, მაგრამ იქნებ მაინც გვითხრა, ამ სფეროში როგორი სტილია წელს მოდაში?

— სხვათა შორის, მოდის ტენდენციები საგრძნობლად შეიცვალა — თუ გასულ წელს ყველას ბიკინიანი საცურაო კოსტიუმი ეცვა, ახლა უფრო მოდური მთლიანი კოსტიუმებია. თუ მაინცდამაინც მუცელზე გინდათ გარუჯვა, მაშინ, ორნაწილიანი კოსტიუმიც შეგიძლიათ იყიდოთ, ოღონდ ქვედა ნაწილს აუცილებლად შორტის ფორმა უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ფერებს, უნდა შეარჩიოთ ისეთი ფერის საცურაო კოსტიუმი, რომელიც ნამზეურს უხდება. მაგალითად: სალათისფერი, ფირუზისფერი, ქათქათა თეთრი და ა.შ. ის აუცილებლად ოქროსფერი მეტალებით უნდა იყოს გაწყობილი. ასევე, უნდა გაიკეთოთ თოკზე აცმული შეღებილი თიხის სამკაული, რომელსაც ნიჟარის ან რაღაც სხვა ფორმა ექნება, რადგან ასეთი აქსესუარი ძალიან მოდურია.

— რაც შეეხება ჩანთებს, თავსაბურავებსა და შარფებს?..

— შარფების ნაცვლად, უკეთესი იქნება, თუ საცურაო კოსტიუმის ფერებში გადაწყვეტილ ღრმად შეჭრილ ბალახონებს ჩაიცვამთ. ჩანთები კი, რაც უფრო დიდი და მასიური იქნება, მით უკეთესი. სასურველია, ის ჯინსის ან ტილოს ქსოვილისგან იყოს შეკერილი და ნაქარგებითა და აპლიკაციებით გაწყობილი. რაც შეეხება თავსაბურავს, მოდაშია ბენდენის ტიპის კეპები, რომლებიც თვლებით, ბისერებით ან ქვებით იქნება გაწყობილი, თუმცა, სულ სადასაც თუ დაიხურავთ, არც ეს იქნება ურიგო.

■

სანდრო ახმეტელის ტრაგედია: 222 დღე საპყრობილეში

„მარცხდებოდი და მაინც მუდამ მწვერვალზე იდექი...“

სანდრო თურმე, ბავშვობიდანვე პირდაპირობით გამოირჩეოდა, სიტყვა მშვილდ-ისარივით ჰქონდა მომართული. ამ პირდაპირობის გამო, იგი გიმნაზიიდან გაურიცხავთ. მიზეზი, რუსი ეგზარქოსის სტუმრობა გახლდათ: სანდრომ თურმე, მის პატივსაცემად არ იმღერა, რადგან წინადღეს იმდენი მარილიანი წყალი სვა, რომ ხმა ჩაეხლიჩა. ურჩი მოსწავლე ადმინისტრაციამ თავიდან მოიშორა...

თამუნა კვინიკაძე

შემოქმედებითი გზის დასაწყისი

სანდრო ახმეტელი 1886 წლის 14 აპრილს დაბადებულა. ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „სიღნაღის მაზრის, სოფელ ანაგის თომა მოციქულის სამრევლო ეკლესიის დიაკვანს, ვასილ დავითის ძე ახმეტელაშვილს და მის მეუღლეს, მარიამ ივანეს ასულს შეეძინათ ვაჟი — ალექსანდრე“. 4 დღის შემდეგ, პატარა ალექსანდრე აღნიშნულ ეკლესიაში ქრისტიანული წესით მოუნათლავთ. 1891 წელს, ახმეტელაშვილების ოჯახი ანაგიდან თელავში გადასულა საცხოვრებლად. იმ დროს, მსახიობები თბილისიდან თელავში ხშირად ჩადიოდნენ. სანდრო თურმე ყოველთვის ესწრებოდა სპექტაკლებს. მალე მსახიობებსაც გაუშინაურდა. ერთხელ, სულ რაღაც ერთი რეპეტიციით მისთვის ტიმოთეს როლის შესრულებაც კი შეუთავაზებიათ სპექტაკლ „ხანუმაში“ და ის, ნატო გაბუნიასა და ვასო აბაშიძის გვერდით აღმოჩნდა.

ქორწინება – ჭაბუკური ვნება თუ ნამდვილი სიყვარული?

სიჭაბუკის ნანატრი დღეები ედგა სანდრო ახმეტელს — სულიერი და ფიზიკური ძალების აყვავების ჟამი. უკიდეგანო იყო მისი ოცნების სამყაროც. იგი 1905 წლის რევოლუციამ იმაში დაარწმუნა, რომ ქვეყანაში განახლების ჟამი უნდა დამდგარიყო. უსამართლობასთან მისი ახალგაზრდული შეუგუებლობა თანდათან ისე გაღრმავდა, რომ აჯანყებულებს ხელყუმბარების დამზადებაში ეხმარებოდა. მის გატაცებებს გარკვეულწილად ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ივანე როსტომაშვილი უწყობდა ხელს. ივანეს ქალიშვილები — ტასო და ბაბო მსახიობობაზე ოცნებობდნენ, თელავში შინაურ წარმოდგენებს მართავდნენ.

მორიგი სპექტაკლისთვის, მათ „პიეტრო დელა ვალე და მარიუჩა“ აირჩიეს. მარიუჩა ქართველი გოგონაა, რომელიც ბედმა სამშობლოდან ცხრა მთას იქით გადაისროლა... სანდრო რეპეტიციაზე მივიდა. მარიუჩას როლს ტასო ასრულებდა, პიეტროს კი, ერთი თელაველი სიმპათიური ჭაბუკი განასახიერებდა. სანდრომ სპექტაკლში ერთ-ერთ მონაწილე ვაუს დაუწყო ლაპარაკი, მალულად კი, ტასოს უმზერდა — დაჟინებით, გამომწვევად. შორიახლოს უტრიალებდა, მაგრამ გასაცნობად მიახლოებას ვერ ბედავდა. ვერც თავის გრძნობებში გარკვეულიყო — რით ხიბლავდა ტასო? ნამდვილი სიყვარული იყო ეს თუ მხოლოდ ჭაბუკური ვნების გამოვლენა?.. სანდროს მხოლოდ ერთი ფიქრი აწვალებდა: დღეს, სწორედ დღეს უნდა გაიცნოს ტასო!

„გაცნობისთანავე მე გატაცებით ვსაუბრობდი თეატრზე, ჩვენს ცნობილ მსახიობებზე. სასურველ საუბარში დრო სწრაფად გაიპარა. დაცილება მიჭირდა, მისი მგზნებარე თვალები კვლავ სასაუბროდ მიწვევდა... მე ის მომეწონა: მაღალი, მხარბეჭიანი, სახეგაბწყინებული, გაღიმებული სანდრო დროდადრო ხელს გადაისვამდა შავ, ხუჭუჭ თმაზე და ალერსიანად მიმზერდა“... — იგონებს ტასო როსტომაშვილი.

გაცნობის შემდეგ, ყოველდღე ერთად იყვნენ. ახმეტელმა ტასოს მარიუჩას როლის შესრულება აუკრძალა. ტასო როსტომაშვილი იხსენებს: *„იეჭვიანა იმ ყმაწვილზე, რომელსაც მე ვუყვარდი. მართალია, მას ჩემგან თანაგრძნობა არ ჰქონდა, როცა ნახა, რომ ძვირფასი საქმრო მყავდა, მაგრამ მაინც ხანდახან მოდიოდა. აი, ამაზე იეჭვიანა სანდრომ“.* ბაბომ ისე მოაწყო საქმე, რომ პიეტროს როლი სანდრომ შეასრულა.

სანდრო გახალისდა. სიყვარული გაღრმავდა. როსტომაშვილების ოჯახში ის უკვე სასიძოდ იყო მიჩნეული. დღე და ღამე მათთან უნდოდა ყოფნა. ტასო სასიყვარულო ლექსებს უძღვნიდა. ლექსს ხელს აწერდა: „ს. ტასოსია“ (ერთი პერიოდი, ეს მისი ფსევდონიმი იყო)... მალე დაქორწინდნენ. სანდრო მაშინ 19 წლის იყო. ცოტა ხნის შემდეგ კი, მის დღიურში ჩნდება ჩანაწერი: *„ჩემი ძვირფასი მეუღლე რვა თვის ფეხმძიმობამ საბოლოოდ გამოცვალა, გაქრა მისი სიცელქე, სიხალისე, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა... ეს ძალიან ცუდ გამოძახილს პოვებს ჩემს სულში“.* გიმნაზიელი ჭაბუკი დამორცხვებულია იმის გამო, რომ მალე შვილი შეეძინება: *„ფიქრი იმაზე, რომ გიმნაზიელი სამშობიაროში უნდა გამოვჩნდე, უხერხულობაში მაგდებს, ჩემი ტოლები რომ დამინახავენ“.* სიყვარულით აღტაცება, ჩვეულებრივი ოჯახური ცხოვრების წესრიგმა შეცვალა.

თეატრალური ბორგვა და ჭიდილი

დაიწყო სანატრელი სტუდენტობის წლები. პეტერბურგში მყოფ სანდროს, საქართველოზე ფიქრი არ ასვენებდა. ილია რომ მოკლეს, ისე განიცადა, ერთხანს ლამის გული აიყარა სამშობლოზე. სანდრო ოჯახზეც დარდობდა. *„ძვირფასო ტასიკო! გუშინ მივიღე შენი გამოგზავნილი 10 მანეთი. რამდენი ხანია, წერილს ველი... რას მივაწერო შენი საქციელი?“* მეუღლეს პეტერბურგიდან მალე დაბრუნებას ჰპირდება: *„აი, თვენახევარიღა დარჩა, 15 აპრილს პირველი გამოცდა მეწყება. გკოცნით ყველას“.*

„მე რომ უფლება მომცენ, ყველა ქართველს დროებით გავასახლებდი საქართველოდან. მერე მოვაბრუნდები თავ-თავიანთ მიწა-წყალზე. მერე გაიგებდნენ, რა არის ნამდვილი საქართველო, სხვანაირად შეიყვარებდნენ, ღალატს გულში არ გაივლებდნენ“, — ამბობდა პეტერბურგიდან ჩამოსვლის დღეს.

1910 წელს, სანდრომ სოფელ ქვემო მაჩხაანში დადგა „ლაღატი“. ამავე წლიდან, ახმეტელაშვილის ნაცვლად ახმეტელად იწერება. 1919 წელს, ქართულ საოპერო სტუდიაში დადგა დიმიტრი არაყიშვილის — „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 1920 წელს, ქართული დრამის თეატრში — სანდრო შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“. აქედან დაიწყო დიდი თეატრალური ბორგვა და ჭიდილი. „ბერდო ზმანიას“ ყოველი წარმოდგენის დროს, სანდრო თეატრში იყო, „თავზე ადგა“ მსახიობებს, ერთი დეტალის შეცვლის უფლებასაც კი არ აძლევდა მათ. ყოველი წარმოდგენა მაყურებლისთვის პირველია და თქვენც მისთვის ისე უნდა ითამაშოთ, როგორც პრემიერაო — ეუბნებოდა. დაღლა რა იყო, არ იცოდა. სპექტაკლის დამთავრება მხოლოდ იმიტომ უხაროდა, რომ მაყურებელთა ტალღაში გარეულიყო... მერე მთელი ღამე იგონებდა — ვინ როგორ დაუთმო გზა, ვინ რა ჩაილაპარაკა...

სპექტაკლი „ლამარა“ და სანდრო ახმეტელის მეორე ქორწინება

„რეპეტიციები იანვარში დავიწყე, მინდოდა, მოსკოვის ოლიმპიადისთვის მომესწრო. მთელი თეატრი ამყვა მუშაობაში. თითქოს გავხალისდი ამ საოცარ პოეტურ სამყაროში“, — ჰყვებოდა სანდრო ახმეტელი. მას ეს სამყარო იზიდავდა. ადამიანები ურთიერთობაში მიმნდობნი და სამყაროს გაგებაში ბრძენნი იყვნენ. მათ სიყვარულიც და მტრობაც ვაუკაცური იცოდნენ — სანდრომ ამ სამყაროში იდეალური სიყვარული იპოვა. *„იმ რომანტიკული ბუნების წიაღში ვეზიარე სიყვარულისთვის თავგანწირულ ადამიანთა უმაღლეს სიკეთეს, იგი ძახილი იყო სულის მწვერვალებისკენ და ჩემს იმჟამინდელ სულიერ განწყობილებასაც ენივთებოდა... ყველაფერი მავიწყდებოდა, როცა სცენაზე ვუსმენდი ლამარას ხმას, როცა ვგრძნობდი მისი ტანის რხევას, როცა მესმოდა მისი სიცილი...“* „ლამარა“ იღბლიანი სპექტაკლი არ აღმოჩნდა. მის ირგლივ დავიდარაბა ატყდა. საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო — ზოგს ცამდე აჰყავდა, ზოგი კი, მისთვის მწარე კრიტიკას არ იშურებდა. სანდროს, ლამარას როლის შემსრულებელი მსახიობის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. იგი მთელი არსებით უყვარდა. საოცრად მორჩილი და ნაზი ხდებოდა თამარ წულუკიძის გვერდით. სჯეროდა მისი. რაც არ უნდა ეთქვა, ყველაფერს სიმართლედ მიიჩნევდა...

იმავე წელს, სანდრო ახმეტელი ოფიციალურად გაეყარა მეუღლეს და თამარ წულუკიძეზე იქორწინა. ის როლებით მაინცდამაინც არ ანებივრებდა თამარს.

„ლამარას“ სპექტაკლებმა მთელი 5 წელი, მქუხარე ტაშის ცემასა და დამცინავ სტვენაში, აღფრთოვანებულ შეძახილებსა და მის ჩასაქოლად ნასროლი ქვების ხმაურში ჩაიარა. ამ სპექტაკლის გამო კოტე მარჯანიშვილთან სადროს შემოქმედებითი კონფლიქტი მოუხდა. ამას მოჰყვა ლადო გუდიაშვილის განაწყენება — მის მიერ დამზადებული დეკორაციების შეცვლის გამო. სპექტაკლი ორჯერ მოხსნეს რეპერტუარიდან. სანდროს ცხოვრება და ამ სპექტაკლის ბედი ბევრი რამით ჰგავდა ერთიმეორეს. თითქოს რაღაც ჯადოსნური წრე იყო შეკრული და ალბათ, ეს იყო მისი ბედისწერაც!

დაპატიმრების ორდერი №9299

ლავრენტი ბერია, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებში მომხდარ კონფლიქტს ოსტატურად იყენებდა. იგი გულმოდგინედ მუშაობდა მათ წინააღმდეგ, ერთმანეთს უპირისპირებდა მსახიობებს და ა.შ. „ახმეტელის საქმეში“ ერთი ანონიმური წერილი დევს, რომელსაც ვითომ მარჯანიშვილი უგზავნის ახმეტელს: *„რატომ არ მოიშორე აქამდე შენი... ცოლი — თ. წულუკიძე.“* (მოხსენიებულია უცენზუროდ). *საზღვარგარეთ, ისევ „ანზორი“ გინდა წაიღო, რას ჰგავს ეს სპექტაკლი!“* — და სხვა ამგვარი, დამცინავი და შეურაცხმყოფელი სიტყვებით თითქოსდა მიმართავს მარჯანიშვილი. ასე ცდილობდნენ მავანნი, დიდ ხელოვანთა შორის არსებული დაპირისპირების გაღრმავებას.

ბერიას ინიციატივით, გადაწყდა — თეატრის რეპერტუარიდან მოეხსნათ სპექტაკლი „ლამარა“. სანდრო არ დაემორჩილა და წარმოდგენა შეინარჩუნა. 1935 წელს კი, თვითონ ახმეტელი დაითხოვეს თეატრიდან, ამასთან, დააფიქსირეს: „პარტია კიდევ დახუჭავდა თვალს ახმეტელის უმსგავსობაზე, მაგრამ „ლამარას“ დაცვა არ ეპატიება“...

სანდრო ახმეტელი 1936 წლის 19 ნოემბერს, მოსკოვში დააპატიმრეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი, თბილისის ციხეში გადმოიყვანეს. საკანში, დიდი რეჟისორის წამება 222 დღე გაგრძელდა. საბედისწერო აღმოჩნდა მისი ჭიდილი ლავრენტი ბერიასთან.

„ანტისაბჭოთა სპექტაკლების დამდგმელი“, „თეატრში ებრძოდა კომუნისტებს, კომკავშირელებს“, ამბობდა: „მსახიობი არ უნდა იყოს კომუნისტი“, „ხელოვნება არის თავისუფლების პროდუქტი — მისი დაგეგმვა არ შეიძლება“ — ეს იმ ბრალდებათა არასრული ჩამონათვალია, რომელიც სანდრო ახმეტელს წაუყენეს. თითქმის ყოველი ქართული სიტყვა, ქართული გრძნობის ყოველი გამოვლენა ბრალდებათა ხარისხშია აყვანილი.

ახმეტელის საქმეს დაუკავშირეს ყველა, ვინც უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა თეატრიდან მისი დათხოვნის გამო.

1937 წელს, მისი მეუღლე, თამარ წულუკიძე დააპატიმრეს. მშობლების გარეშე დარჩენილი 5 წლის სანდროს აღზრდა მამიდამ — კატო ახმეტელმა ითავა. 1937 წლის 25 ივნისს საბრალდებო დასკვნა შედგა. თამარ წულუკიძეს განაჩენი გამოუტანეს — ქონების ჩამორთმევა და 10 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს.

გასრულდა სანდროს წამების დღეები. უკანასკნელ დღეს, 1937 წლის 28 ივნისს ახმეტელმა სიცოცხლის შენარჩუნება ითხოვა, მაგრამ მას განაჩენი გამოუტანეს — დახვრეტა... 29 ივნისს, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

წლეულს, 14 აპრილს, სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 120 წელი შესრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად, მის ერთადერთ შვილიშვილს — ქალბატონ **მანანა ახმეტელს** დავუკავშირდით.

— სანდრო ახმეტელის შვილიშვილობა ჩემთვის მძიმე ტვირთია და ამავე დროს — საამაყოც. ჩვენი საზოგადოება ხსოვნის კულტურის დეფიციტს განიცდის. ამიტომაც შთამომავლებს უხდებათ ხოლმე ღირსეულ წინაპრებზე ზრუნვა. ახლაც საგონებელში ვარ ჩავარდნილი: ანაგაში სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმი ავარიულ მდგომარეობაშია, არ ვიცი, ამ საქმეს როგორ ვუშველო. 120 წელი შესრულდა სანდრო ახმეტელის დაბადებიდან და ეს თარიღი არ უნდა აღინიშნოს? კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ გამოიტანა დადგენილება — მთაწმინდაზე, 1937 წელს რეპრესირებულთათვის (სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, ტიციან ტაბიძე, ივანე ჯავახიშვილი) სიმბოლური საფლავების გაკეთების შესახებ, მაგრამ როდის განხორციელდება ეს, არავინ იცის! მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა პაპაჩემს სიმბოლური საფლავი მაინც ექნება და ჩემს ოჯახს, მისი დაბადების დღის აღსანიშნავად, ყვავილების მიტანის საშუალება მიეცემა...

მანანა ახმეტელთან საუბრის შემდეგ, სანდრო ახმეტელისადმი, მისი ერთ-ერთი თაყვანისმცემლის მიერ მიწერილი წერილი გამახსენდა, რომელიც მან თეატრიდან დათხოვნის შემდეგ მიიღო — *„...მარცხდებოდი და მაინც, მუდამ მწვერვალზე იდექი. შენ არასოდეს კარგავდი სიმაღლის გრძნობას. ამისთვის გემდუროდნენ, ამისთვის გებრძოდნენ. ვერ იქნა და ვერ დაგაჩოქეს. ბევრს სადიდებლად ეყოფა შენი დამარცხებული სპექტაკლები, შენ კი, მუდამ მწვერვალებისკენ გეჭირა თვალი“...*

სცენა სპექტაკლიდან „ლამარა“

„...ხოლო უკუეთუ მოვკუდე ქრისტესთვის, უკვდავ ვიქმნე საუკუნოდ და მის თანა ვსუფევდე“...

მორენა მერკვილაძე

16 აგვისტოს, საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდა პირველმოწამე რაჟდენს იხსენიებს, რომლის წმინდა ნეშტი ნიქოზის საკათედრო ტაძარშია დაკრძალული. წმინდა რაჟდენი V საუკუნეში აწამეს — ქრისტიანული რჯულის მტკიცედ აღიარებისთვის...

რაჟდენი წარმოშობით სპარსელი დიდებული იყო. იგი ვახტანგ მეფის მეუღლეს, სპარსეთის მეფის — ჰორმიზდ მესამის ასულ ბალენდუხტს ჩამოჰყვა საქართველოში. რაჟდენს იმდენად მოეწონა ქართლის მკვიდრნი და მათი სარწმუნოება, რომ ქრისტიანული წესით მოინათლა და სამუდამოდ საქართველოში დარჩა.

იმ პერიოდში, ვახტანგ მეფე ეკლესიის გასაძლიერებლად იღვწოდა: მოუპოვა დამოუკიდებლობა, ჩამოაყალიბა საეკლესიო იერარქია და დააარსა ეპარქიები. ამასთანავე, ქართლის სამეფოდან განდევნა ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები და დახურა მაზდეანთა სამლოცველოები. როდესაც მცხეთიდან მოგვთა განდევნის შესახებ სპარსელთა მეფე პეროზმა შეიტყო, დიდძალი ლაშქარი შეკრიბა და საქართველოსკენ დაიძრა. ვახტანგ გორგასალმა სპარსელთა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ წინასწარ შეიტყო, ციხე-ქალაქები გაამაგრა, თვითონ კი თავისი ჯარით მცხეთაში დადგა.

ქართველთა და სპარსელთა შორის ბრძოლა ხუთი თვე გრძელდებოდა, ქართველები მამაცად უტევდნენ მტერს და დამარცხება მრავალგზის აგებინეს მას. ბრძოლის დროს, განსაკუთრებით ისახელა თავი რაჟდენმა, ახოვანმა და გამოცდილმა მებრძოლმა, რომელიც ვახტანგ მეფის ერთ-ერთი სარდალი იყო. ღვთის შეწევნით, მან მრავალჯერ უკუაგდო მტერი. გაქრისტიანებული სპარსელის ქართველთა ლაშქარში ბრძოლის შესახებ, სპარსელებმა თავიანთ მეფესაც ამცნეს — პეროზმა მისი ცოცხლად შეპყრობა ბრძანა.

ერთხელ, რაჟდენი ვიწრო ხევში მცირერიცხოვანი რაზმით მიდიოდა, სპარსელები თავს დაესხნენ მას და მისი შეპყრობა მოახერხეს. შებორკილი რაჟდენი სპარსელთა მეფეს მიჰგვარეს: „გიხაროდენ, მხნეო რაჟდენ, მშვიდობაი შენდა! სად ბრძანდებოდი ესოდენ ჟამთა? რაისთვის უარგიყვია მამაპაპისეული სჯული და შესდგომიხარ სჯულსა უცხოსა? განა, მზისა, ცეცხლისა და ციურ მნათობთა ბრწყინვალებას ჰურიათაგან ჯვარცმული კაცის თაყვანება სჯობიან?!“ — მიმართა პეროზმა რაჟდენს. მან მშვიდად და გაბედულად მიუგო, რომ ჭეშმარიტ ღმერთს აღიარებდა და ამის გამო, ცეცხლთაყვანისმცემლობა დაუტევა. სპარსელთა მეფის გული წყრომით აიქსო, მაგრამ თავი შეიკავა — იქნებ, დაყვავებით დავითანხმო ქრისტიანული რჯულის უარყოფაზეო და მიმართა: „ისმინე რაჟდენ და თავი დაანებე მაგ უხმარ სიტყვებს, დაემორჩილე ჩემს ბრძანებას, სამაგიეროდ, უდიდეს პატივს და დიდებას მოგანიჭებ. ჩემს უახლოეს ადამიანად გაქცევ და ჩემი დიდების თანაზიარს გაგხდი. ხოლო თუ არ შეისმენ მოგაკვდინებთ სიკვდილითა უმწარესითა, სატანჯველითა მრავალფერითა“. რაჟდენმა ღიმილით მიუგო: „რაი არს ნიჭნი და პატივნი შენნი, მეფეო, არა სარწმუნონი არიან და მსგავსად სიზმრისა განქარვებადნი და აჩრდილებ წარმავალნი. ხოლო სული უკვდავ არს და უკვდავადაც ჰგიეს, და უკუეთუ ვისმინო ბრძანებისა შენისა და ვერჩდე თქმულთა შენთა, არ მოვკუდეა მეცა ვითარცა ზოგად ყოველნი კაცნი და მერმე საუკუნოდ ვიტანჯებოდე ცეცხლსა შინა უშრეტსა და სიმდიდრე შენი აქავე დაუტევო, ხოლო უკუეთუ მოვკუდე ქრისტესთვის, უკვდავ ვიქმნე საუკუნოდ და მის თანა ვსუფევდე.“

განრისხებულმა პეროზმა ჯალათებს უხმო და მათ რაჟდენის სასტიკად გვემა უბრძანა. ურჯულოებმა მოწამე მიწაზე დასცეს და უმოწყალოდ სცემეს — სხეული და სახე დაუსისხლიანეს, კბილები ჩაულეწეს, შემდეგ, ციცაბო კლდეზე ათრიეს. ბოლოს, ბორკილები დაადეს და საპყრობილეში ჩააგდეს. დილეგში მყოფი მოწამე უფალს შესთხოვდა, რომ მიენიჭებინა მისთვის ძალა, რათა არ დაეგმო ჭეშმარიტება. სპარსელებმა საპყრობილეში ყოფნის დროსაც სცადეს რაჟდენის გადაბირება, მაგრამ ამაოდ.

როდესაც ვახტანგ მეფემ რაჟდენის წამების შესახებ შეიტყო, ძალიან დამწუხრდა. მან რამდენიმე დიდებული წარგზავნა სპარსელთა მეფესთან და შეუთვალა: ომსაც ახლავს კაცთმოყვარული ზნეობანი დიდსულოვნური გულმოწყალების გამოჩენისა, მცირე ხნით მაინც გაათავისუფლე რაჟდენი, რათა ახლობლებს გამოემშვიდობოს. პეროზმა მართლაც გამოიჩინა გულმოწყალება, რაჟდენს ფიცი ჩამოართვა, რომ უკანვე დაბრუნდებოდა და მცხეთაში გაუშვა.

მცხეთაში ჩასული რაჟდენი პირველად ვახტანგ მეფეს ეახლა. მეფემ სიყვარულით მიიღო, წამების შესახებ ყოველივე გამოჰკითხა, შემდეგ სიმტკიცე უსურვა და მადლობა შესწირა საქართველოსა და ქრისტიანობისთვის გარდახდენილი სიმძიმილისთვის. შემდეგ, რაჟდენმა ახლობლები და ოჯახის წევრები მოინახულა, ყველას გამოეთხოვა და უკანვე გაბრუნდა.

სპარსელთა მეფემ კიდევ ერთხელ სცადა რაჟდენის დაყოლიება — დაეტევებინა ქრისტიანული რჯული, სანაცვლოდ, დიდ პატივსა და დიდებას ჰპირდებოდა, მაგრამ მტკიცე იყო გაქრისტიანებული სპარსელის რწმენა და სურვილი ქრისტესთვის წამებისა — ვერავინ და ვერაფერი განმაშორებს ქრისტეს სიყვარულს, ვერც სიმდიდრე და ვერც სიგლახაკე, ვერც დევნა და საპყრობილე, მზად ვარ, ყოველივე დავითმინოო — განუცხადა პეროზს. მაშინ კვლავ სასტიკად გვემეს — მიწაზე ათრიეს, ძვალნი დაულეწეს, სხეული დაუფლითეს. მისი წამებით ჯალათებიც კი დაიქანცნენ, მაგრამ რაჟდენს ერთხელაც არ დაუგმინია. შემდეგ, პეროზის ბრძანებით, სოფელ წრომში მყოფ სპარსელთა მარზპანთან წაიყვანეს — თუკი შეისმენს და ქრისტეს დაგმობს, პატივით გამოისტუმრეთ, თუ არა, ისე აწამეთ, მისი სხეული დასამარხავადაც არ ვარგოდესო — შეუთვალა ქვეშევრდომს.

წრომში მყოფი მარზპანის წინაშე რაჟდენმა კიდევ ერთხელ მტკიცედ განაცხადა, რომ ვერაფერი აიძულებდა, დაეტოვებინა ცისა და ქვეყნის დამბადებელი ჭეშმარიტი ღმერთი, თან დასძინა: „აწი რომელიცა გენებოსთ, ყავთ იგი, რამეთუ მე მზად ვარ დათმენად ყოველთა ქრისტესთვის“. კიდევ ერთხელ სასტიკად აწამეს, მთელი სხეული დაუსახიჩრეს, მაგრამ ყველას გასაოცრად ფეხზე წამოდგა — უფალი შეეწეოდა მისი მტკიცე რწმენის და სიყვარულისთვის გვემულ მონას: „ვინაიდან ძელსა ზედა მოკლულისა მიმართ აქვს სასოებაი, რაითა ესეც ძელითა აღესრულოს“, — ასეთი განაჩენი გამოუტანეს ბოლოს და წრომის მაღლობზე ჯვარი აღმართეს. როდესაც წმინდანი დილეგიდან გამოიყვანეს და მაღლობზე აღმართული ჯვარი შენიშნა, მიხვდა, რომ ჯვარზე გაკვრა ელოდა და სახეზე ღიმილი მოეფინა. ჯვარზე გაკრულ მოწამეს ისრები დაუშინეს: „ხელთა შენთა, უფალო შევვედრებ სულსა ჩემსა“, — წარმოთქვა წმინდა რაჟდენმა და სული განუტევა. მისი სხეული ურჯულოებმა ჯვარზე დატოვეს. ღამით, წრომში მყოფი ქრისტიანები, რომელთა შორის მღვდელიც იყო, ფარულად მივიდნენ წამების ადგილზე. მღვდელმა მისი წმინდა ნეშტი ჯვრიდან გარდამოხსნა და მათ რაჟდენის ცხედარს ქრისტიანული წესისამებრ პატივი მიაგეს და მიწას მიაბარეს.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში მშვიდობა დამყარდა, მეფე ვახტანგ გორგასალმა წმინდა რაჟდენის ნეშტი წრომიდან ნიქოზში გადააბრძანა და მისი ძალისხმევით აგებულ ნიქოზის საკათედრო ტაძარში დაკრძალა, რომელიც წმინდა რაჟდენ პირველმოწამის სახელზე იქნა აგებული. მალევე იქნა მოწვეული საეკლესიო კრება, რომელზეც წმინდა რაჟდენის მოხსენიების დღედ 16 აგვისტო დაწესდა — დღე მისი წამებისა და მოწამის გვირგვინით შემოსვისა. ■

ჩაი — გაზიანი წყლის ნაცვლად

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ზაფხულის ცხელ დღეებში ბევრი ადამიანი იკლავს წყურვილს ყველანაირი სითხით, ჩაის გარდა — არადა, სულ ტყუილად. ზაფხულში ჩაი (განსაკუთრებით — მწვანე) არა მარტო წყურვილს მოგიკლავთ, არამედ გადახურებულ სხეულსაც გაგიგრილებთ. საქმე ის გახლავთ, რომ ის საუკეთესო თერმორეგულატორია. ეს კარგად იციან შუა აზიის მცხოვრებლებმა, რომლებიც ზაფხულის სიცხეში ჩაიხანაში სხედან და მწვანე ჩაის (მომცრო ფიალებით) ნელ-ნელა წრუპავენ.

საიდუმლო მარტივია: ადამიანის ორგანიზმის გაცხელებისას, ჩაი ოფლის გამოყოფას აძლიერებს, ოფლი კანის გახურებული ზედაპირიდან სწრაფად ორთქლდება და შთანთქავს გაცილებით მეტ სითბოს, ვიდრე მისი სმის დროს იღებს ორგანიზმი. ცხელი ჩაი სხეულის ტემპერატურას 1-2 გრადუსით ამცირებს, თუმცა — მხოლოდ 10-12 წუთით. ამიტომ ზაფხულის პაპანაქებაში, მისი სმა მცირე ულუფებით და ხანმოკლე შესვენებებითაა საჭირო.

სიცხეში ცხელი მწვანე ჩაის მიღება უფრო სასარგებლოა, ვიდრე გაზიანი წყლის: მასში შემავალი ნახშირორჟანგი არაკეთილისმყოფელ გავლენას ახდენს კუჭის ლორწოვანზე და შეიძლება, გასტრიტი გამოიწვიოს. შემთხვევითი როდია, რომ ექიმები ცხელ საამქროებში მუშებს გაზიანი წყლის ნაცვლად, ცხელი მწვანე ჩაის სმას ურჩევენ. ■

გული ინფარქტის გარეშე

მათთვის, ვინც მიოკარდიუმის ინფარქტი გადაიტანა (ასეთები კი, ჩვენში ათასობით არიან), მთავარ საშიშროებას ინფარქტის განმეორებით განვითარება წარმოადგენს. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ექიმები ინფარქტის შემდგომი მდგომარეობის სამკურნალოდ ე.წ. „ოქროს სტანდარტს“ იყენებენ. მასში შედის ანტიაგრეგანტული პრეპარატები (ძირითადად, ასპირინი), ბეტა-ადრენობლოკატორები (ანაპრილინი), აგფ-ინჰიბიტორები (კაპოტენი) და ჰიპოლიპიდემიური (სისხლში ლიპიდების ანუ ცხიმების მომანესრიგებელი) საშუალებები. ასეთი თერაპიის ეფექტურობის მიუხედავად, ინფარქტგადატანილთა სიკვდილიანობის პროცენტი საკმაოდ მაღალია. აღმოჩნდა, რომ მკურნალობის ოთხ ძირითად ელემენტს აკლია მეხუთე, რომელიც აწესრიგებს გულის კუნთის უჯრედთა მემბრანების ლიპიდთა შემადგენლობას, რაზეც დამოკიდებულია გულის მუშაობა. მიმდინარე წელს, რუსმა მეცნიერება ინფარქტის შემდგომი პერიოდის პროფილაქტიკური მკურნალობისთვის ახალი პრეპარატი გამოიყენეს, რომელიც საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა ინფარქტგადატანილთა სიცოცხლის გასახანგრძლივებლად და ეს პრეპარატი რეკომენდებულია ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოებისა და ამერიკის გულის ასოციაციის მიერ. ახალი პრეპარატი წარმოადგენს სპეციალურად განწმენდილ ომეგა-3 პოლიუჯერ მჟავებს. ინფარქტის მეორეული პროფილაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოკვლევის — GISS-Prevenzione-ს მიხედვით, სიკვდილიანობა ინფარქტის შემდგომ პერიოდში 20%-ით, ხოლო უეცარი კორონარული კატასტროფების ალბათობა — 45%-ით შემცირდა. გამოკვლევაში 11.324 ადამიანი მონაწილეობდა).



ადრე ფიქრობდნენ, რომ ინფარქტის შემდგომ პერიოდში პაციენტებისათვის სასარგებლოა E ვიტამინის მიღებაც, მაგრამ ბოლო მონაცემები, მის ეფექტურობას არ ადასტურებს. ■

— როგორ ავადდებიან ტუბერკულოზით?

ლუკ იანსენი – ტუბერკულოზის ექსპერტი, სამედიცინო მომსახურების საერთაშორისო კორპორაციის (MSCI) ვიცე-პრეზიდენტი:

— ტუბერკულოზს იწვევს ტუბერკულოზის მიკობაქტერია, რომელსაც აგრეთვე კოხის ჩხირს ან კოხის ბაცილას უწოდებენ. ეს დაავადება უმეტესწილად აირწვეთოვანი გზით ფილტვის ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებული პირისაგან ვრცელდება. ინფექციის მთავარი წყაროა ტუბერკულოზის მიკობაქტერიების შემცველი ავადმყოფის ნახველი, რომელიც უმცირესი წვეთების სახით გამოიყოფა ხველების, ცემინების ან საუბრის დროს და ჰაერთან ერთად შეიძლება მოხვდეს ჯანმრთელი ადამიანის ფილტვებში და გამოიწვიოს მისი დაავადება. ტუბერკულოზით დაავადების რისკი იზრდება ხალხმრავალ ადგილებში, გაუნიავებელ ოთახებში, თუ იქ იმყოფება ფილტვის ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებული პიროვნება.

ტუბერკულოზის ფილტვგარეშე ფორმების დროს მიკობაქტერიები ჰაერში არ გამოიყოფიან, შესაბამისად, სხვა პირის დაინფიცირება არ ხდება.

- ✔ ხველა, ღამის ოფლიანობა, სიცხე – აღნიშნული სიმპტომების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ფთიზიატრს!
- ✔ ტუბერკულოზის გამოკვლევა და მკურნალობა უფასოა!
- ✔ დიაგნოზის დასმა და სათანადო მკურნალობის დანიშვნა მხოლოდ ფთიზიატრს შეუძლია!
- ✔ დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ცხელ ხაზზე: **911926** (კონსულტაცია უფასოა)

მომავლის ადამიანი — ქოსა და უკბილო?

ასტროლოგები, წინასწარმეტყველნი და ფანტასტი მწერლები მომავლის ჭვრეტას ცდილობენ. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, მეცნიერებსაც აინტერესებთ, მაგრამ თავიანთ პროგნოზებში ისინი უმეტესწილად ფაქტებს ეყრდნობიან.

გერმანელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ისეთი დიდი პირი, როგორიც ახლა გვაქვს, მომავალში აღარ დაგვჭირდება: ადამიანების ძირითად საკვებად ტუბებში მოთავსებული „ფასტფუდი" იქცევა — ისეთი, როგორითაც კოსმონავტები იკვებებიან.

შემცირდება არა მარტო პირის ზომა, არამედ კბილებიც დაპატარავდება და მათი რიცხვი თანდათანობით, 26÷28-მდე შემცირდება. დღეს უკვე აშკარაა ყბის აღნაგობაში მომხდარი ცვლილებები. ყველა ქვეყნის სტომატოლოგები აღნიშნავენ, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში საკმაოდ მომრავ-

ლდნენ ადამიანები, რომელთაც კბილები ერთმანეთზე აქვთ გადამჯდარი ან სიბრძნის კბილი არ ამოსდით. ეს ყველაფერი ყბის ძვლის შემცირების შედეგია. ამ ცვლილებას მეცნიერები განიხილავენ, როგორც ახალი სახის საკვებთან შეგუების ევოლუციურ პროცესს: კბილები და დიდი ყბები სულაც აღარ სჭირდება კატლეტის ღეჭვას — ისინი მხოლოდ უმი ხორცის დასაღეჭად ესაჭიროებოდა ადამიანს.

ნაკლებად მომხიბლავია ფრანგი მეცნიერების პროგნოზი, რომლებიც ვარაუდობენ, რომ ადამიანები გამელოტდებიან. მეცნიერთა აზრით, თმა ატავისტური გადმონაშთია, რომელიც არაფერში გვარგია — ესთეტიკურის გარდა, მას არავითარი ფუნქცია არ გააჩნია. ის, რაც სიცოცხლის პროცესში არ გამოიყენება, თანდათანობით კვდება. გამოდის, რომ პარიკმახერის პროფესია მომავალში საჭირო აღარ იქნება. იმავე ფრანგებმა დაადგინეს, რომ ჩვენს წინაპრებთან შედარებით, თანამედროვე ადამიანს გაცილებით ცუდი ყნოსვა აქვს. სუნს განსაკუთრებით ცუდად აღიქვამენ მეგაპოლისებში მცხოვრებნი — მათი ქრომოსომული ნაკრებიც კი განსხვავდება სოფლის მცხოვრებთა ქრომოსომებისაგან. ■

ხილის ნიღბები სახის კანისთვის

სოფო ჭონიშვილი

ზაფხულის პერიოდში, უმჯობესია, თავი ავარიდოთ დეკორატიულ კოსმეტიკას და ბუნებრივი ნიღბების საშუალებით ვეცადოთ, გავილამაზოთ სახის კანი. „არასოდეს გაუშვათ ხელიდან შანსი, თქვენი კანი ხილისა და ბოსტნეულის ნიღბებით გაანებივროთ" — გვირჩევს კოსმეტოლოგი ირინე გიორგაძე და ხილისა და ბოსტნეულის ნიღბების მომზადების რამდენიმე რეცეპტს გვთავაზობს.

შავი ქლიავის ნიღაბი ყველა ტიპის კანისათვის:

● ქლიავის შემადგენლობაში კანისთვის სასარგებლო უამრავი ორგანული მჟავა და ვიტამინი —A,B,C შედის. ქლიავისგან შესაძლებელია, სხვადასხვა ტიპის კანისთვის სხვადასხვაგვარი ნიღაბი დაამზადოთ.

მშრალი კანისთვის:

● დაჭყლიტეთ რამდენიმე ცალი ქლიავი, გაწურეთ და კვერცხის გულთან ერთად კარგად ათქვიფეთ. მომზადებული მასა სახეზე დაიდეთ და 20 წუთი გაიჩერეთ, შემდეგ კი, თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ნორმალური ტიპის კანისთვის:

● დაჭყლიტეთ ქლიავი და ის ერთ კოვზ ხაჭოში აურიეთ. ეს ნარევი სახეზე დაიდეთ, 15 წუთი გაიჩერეთ და ოთახის ტემპერატურის წყლით ჩამოიბანეთ. ამის შემდეგ, შეგიძლიათ, მკვებავი კრემიც წაისვათ.

ცხიმიანი კანისთვის:

● ქლიავი აუცილებლად უნდა გათალოთ, დაჭყლიტოთ და კვერცხის ცილასთან ერთად ათქვიფოთ. მიღებული მასა სახეზე 20 წუთის განმავლობაში დაიდეთ და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

● ქლიავის ნიღაბი, შეგიძლიათ მკვებავის სახითაც გამოიყენოთ — ერთი ცალი ქლიავის ფაფას, ერთი კვერცხის გული და ერთი ჩაის კოვზი თაფლი შეურიეთ და ძილის წინ, გასუფთავებულ სახეზე რამდენიმე წუთის განმავლობაში გაიჩერეთ. შემდეგ კი, თბილი და ცივი წყლის მონაცვლეობით ჩამოიბანეთ.

მშრალი კანისთვის:

● ჟოლო არაჩვეულებრივი კოსმეტიკური საშუალებაა. მას აქვს უნარი, გაასუფთავოს და გამოკვებოს სახის კანი. ის განსაკუთრებით სასარგებლო და ეფექტურია მშრალი და პრეტენზიული კანისთვის. ჟოლო გახეხეთ და ხელის ნელი მოძრაობით სახის კანში შეიზილეთ. 25 წუთის შემდეგ კი ჩამოიბანეთ.

● თქვენი სახის კანისთვის განსაკუთრებით სასარგებლო პომიდვრის ნიღაბია, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: ერთ საშუალო ზომის პომიდორს მდუღარე წყალი გადაავლეთ, კანი გააცალეთ და ათქვიფეთ ისე, რომ ფაფისებრი მასა მიიღოთ. მასში ორი ჩაის კოვზი ხაჭო შეურიეთ და სახეზე წაისვით — 20-30 წუთი გაიჩერეთ, მერე ჩამოიბანეთ. შედეგი ნამდვილად გაგაოცებთ.

ცხიმიანი კანისათვის:

● კომშის ნიღაბი ცხიმიანი კანისთვის, სასარგებლოა ანტიმიკრობული მოქმედების წყალობით. ის განსაკუთრებით ეფექტურია ფერიმჭამელების მოსაცილებლად: კომში წვრილ სახეხზე გახეხეთ და მიღებულ მასას, ათქვეფილი კვერცხის ცილა დაუმატეთ. ნიღაბი სახეზე 20 წუთის განმავლობაში გაიჩერეთ, შემდეგ კი, სახე ცივი წყლით ჩამოიბანეთ.

● ხილის წვენის ყინული კანისთვის ძალიან სასარგებლოა, როცა დასალევად ნატურალურ წვენებს გამოხდით, ცოტ-ცოტა, საყინულე კუბურებში ჩაასხით და გაყინეთ. შემდეგ კი, ყოველდღე, სახე ამ კუბურებით გაიწმინდეთ. შედეგი ნამდვილად შესამჩნევი იქნება. ასე შესაძლებელია ნემისმიერი ხილის წვენი გაყინოთ... მათთვის კი, ვისაც ჭორფლიანობა აწუხებს, სახის გაწმენდას ანანასის წვენის ყინულის კუბურებით ვურჩევთ.

ნიღაბი მშრალი კანისთვის გამონაყარის დროს:

● თუ კანის სიმშრალე გაწუხებთ და მასზე გამონაყარი ხშირად გიჩნდებათ, ამ შემთხვევაში, ალოეს ნიღბით უნდა ისარგებლოთ. აიღეთ საშუალო ზომის ალოეს ფოთოლი, წვრილად დაჭერით და იმავე რაოდენობის თაფლი შეურიეთ. მიღებული ფაფა წინასწარ გასუფთავებულ სახეზე დაიდეთ, 20 წუთი გაიჩერეთ და შემთბარი მინერალური წყლით ჩამოიბანეთ. ეს გამონაყარს დაგავიწყებთ. ■

მაკარტნეიმის გაყრის პროცესს პრინცისა და პრინცესის ადვოკატები გაუძღვებიან

ამ ცოტა ხნის წინ, ჰიზერ მილს მაკარტნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაყრის პროცესზე მისის მაკარტნის ინტერესებს ადვოკატი ენტონი ჯულიუსი დაიცავს. ეს, ის ვექილი გახლავთ, ვინც 1996 წელს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პრინცისა და პრინცესის გაყრის გახმაურებულ პროცესზე დაიანას ინტერესებს იცავდა.

მანამდე, ვიდრე ჰიზერის ადვოკატის ვინაობას ოფიციალურად გამოაცხადებდნენ, უკვე ცნობილი იყო, რომ ამ პროცესზე სერ პოლ მაკარტნის ინტერესებს ვექილი ქალბატონი ფიონა შეკლეტონი წარმოადგენდა, რომელიც პრინცესა დაიანასთან გაყრის დროს, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის ადვოკატი გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ სერ პოლ მაკარტნი და ჰიზერ მილსი 2002 წელს დაქორწინდნენ; 2006 წლის გაზაფხულზე კი მათ გაყრის პროცესი წამოიწყეს. დღესდღეობით, ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე ცხოვრობს. მათი 2 წლის ქალიშვილი კი, მშობლების შეთანხმების საფუძველზე, მონაცვლეობით ცხოვრობს ხან ერთ მათგანთან, ხანაც — მეორესთან. ■

Playboy ნიკოლ კიდმანს იტჩევს

ჟურნალ Playboy-ს დამაარსებელმა ჰიუ ჰეფნერმა ავსტრალიური წარმოშობის კინოვარსკვლავს მამაკაცებისთვის განკუთვნილი გამოცემის ფურცლებზე მისი ფოტოების გამოქვეყნება შესთავაზა. ლამაზი ქალების მოყვარული ჰეფნერი დარწმუნებულია, რომ კიდმანი მომაჯადოებელი გარეგნობით გამოირჩევა და რომ ის დანახვისთანავე ატყვევებს მხილველთ. „ჩემს ფანტაზიებში ალბათ კიდევ დიდი ხნის მანძილზე ექნება ადგილი ნიკოლის ხატებას“, — ამბობს ჰეფნერი.

გაზეთი Life იტყობინება, რომ მსახიობი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გათხოვდა და, როგორც ამბობენ, უკვე ფეხმძიმედაც არის, ჯერ არ გამოხმაურებია ჰეფნერის ამ ფრიად მაცდუნებელ წინადადებას. ■

მასშტაბური ფინანსური შეთქმულება ჯექსონის წინააღმდეგ

ამ ორიოდე კვირის წინ, ლოს-ანჯელესში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მაიკლ ჯექსონის ზოგიერთ, ამჟამად უკვე ყოფილ ადვოკატს, პარტნიორსა და მრჩეველს მუსიკოსის გაკოტრება ჰქონდათ განზრახული. „დოკუმენტები, რომლების მიხედვითაც დასტურდება, რომ მაიკლ ჯექსონის ნდობით აღჭურვილი პირებს მისი გაკოტრების გეგმა ჰქონდათ შემუშავებული, მომღერალსა და მის წარმომადგენლებს გაეგზავნათ. „ეს შესაძლოა, გასართობი ინდუსტრიის არსებობის ისტორიაში, ყველაზე მასშტაბური ფინანსური შეთქმულება აღმოჩნდეს“, — აცხადებს მომღერლის ოფიციალური წარმომადგენელი ქალბატონი — რაიმონ ბეინი. მისი თქმით, ის რაც მოხდა, ჯექსონისათვის სულაც არ გახლდათ მოულოდნელი, რადგან „მას ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა იმ ადამიანებში, ვინც მისი სახელით მოქმედებდნენ“. მაიკლმა მითითება მისცა თავის ამჟამინდელ ადვოკატებს, რათა გამოიძიონ ეს თაღლითური სქემა და საქმე აღძრან მათ წინააღმდეგ, ვინც ამ აფერაშია გარეული. ქალბატონმა ბეინმა თავი შეიკავა შეთქმულების მონაწილეთა ვინაობის დასახელებისგან, თუმცა, ზემოთქმულს დასძინა, რომ დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ეს დოკუმენტები აშშ-ის გენერალურ პროკურატურას გადაეცეს შესასწავლად და შემდგომი გამოძიებისათვის. ■

ჰარი პოტერი ამპლუას იცვლის

ჰარი პოტერის როლის შემსრულებელმა 17 წლის დენიელ რედკლიფმა თეატრალურ ასპარეზზე გამოსვლა გადაწყვიტა და თეატრალური კარიერის დასაწყებად ფრიად შოკის მომგვრელი პერსონაჟი შეარჩია. რედკლიფი შეასრულებს მეჯინიბე ბიჭუნას როლს პიტერ შეფერის წინააღმდეგობრივი შინაარსის პიესაში — Equus (ლათ. „ცხენი“), რომელშიც ცხენებთან ყმაწვილის ეროტიკული ურთიერთობაა აღწერილი.

თეატრალური პროექტის პრესმდივნის, პიტერ ტომფსონის თქმით, Equus-ის პრემიერა 2007 წლის დასაწყისში, ლონდონის უესტ-ენდის თეატრში შედგება. რედკლიფი განასახიერებს ფსიქიკური პრობლემების მქონე ალან სტრენგის პერსონაჟს, რომელიც მკურნალობის კურსს იტარებს ფსიქიატრთან, მას შემდეგ, რაც რკინის ჩხირით 6 ცხენს თვალები დასთხარა. ეს როლი მსახიობისგან მოითხოვს სექსუალური დაკმაყოფილების გამოხატვას იმ მომენტში, როცა მისი პერსონაჟი სრულიად შიშველი მიაჭენებს ცხენს. რედკლიფისთვის, რომელსაც მთელი თავისი კარიერის მანძილზე მხოლოდ ჯადოქარი ბიჭუნას როლი აქვს ნათამაშები, ეს, ამპლუის საოცრად მკვეთრი ცვლილებაა.

ამჟამად რიჩარდ გრიფიტსთან, რომელიც საბავშვო-სათავგადასავლო ფილმში ჰარი პოტერის ბიძის როლს ასრულებდა, მიმდინარეობს მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ მან Equus-ში ფსიქიატრის პერსონაჟი განასახიეროს. თუკი გრიფიტსი შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდება, თეატრალური პრემიის — „ტონის“ მფლობელი მსახიობისთვის (რიჩარდ გრიფიტსმა პრემია დაიმსახურა პიესაში — „ისტორიული ბიჭუნები“ შესრულებული მთავარი როლისათვის) ეს ლონდონურ სცენაზე მართლაც რომ ტრიუმფული დაბრუნება იქნება.

პიტერ შეფერის პიესა თემატურად რელიგიას, ბერძნულ მითოსსა და ადამიანის სექსუალური ენერგიის გამოღვიძებას შეეხება. ფსიქიატრი, რომელიც მეჯინიბე ბიჭუნას საქციელის ახსნას ცდილობს, საქმის მსვლელობისას, საკუთარი დემონების პირისპირ აღმოჩნდება და მათ დასაძლევად იბრძვის.

ცოტა ხნის წინ უელსში, პიესასთან დაკავშირებით სკანდალი აგორდა: პონტიფრიდის თეატრალური ხელოვნების პედაგოგმა ჯონ რიჩარდმა ეს პიესა სასკოლო თეატრის სცენაზე დადგა, რის გამოც მას ბრალი დასდეს არასრულწლოვანთა სექსუალურ ცდუნებაში. ერთი დღით ადრე, ვიდრე პედაგოგი სამამართლოს წინაშე წარდგებოდა, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამ უსიამოვნო შემთხვევის შემდეგ, უელსის ნაციონალურმა ასამბლეამ სასკოლო თეატრებში პიესა Equus-ის დადგმა აკრძალა. ■

ჯენეტ ჯექსონი საკუთარი სხეულის დემონსტრირებას ახდენს

ახალი ალბომის გამოსვლის წინ, მომღერალმა ჯენეტ ჯექსონმა გადაწყვიტა, რომ კიდევ ერთხელ მოეხდინა საკუთარი სხეულის დემონსტრირება და ჟურნალ Vibe-ის ყდისთვის ნახევრად შიშველმა გადაიღო ფოტოები. 40 წლის ვარსკვლავი ამბობს, რომ ეროტიკულ ფოტოსესიებში მონაწილეობაზე მხოლოდ 80 წლის ასაკში იტყვის უარს. იმავე ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში კი ჯენეტი ხაზს უსვამს იმას, რომ ამჟამად საოცრად ბედნიერი რომანი აქვს მუსიკალურ პრიდიუსერთან ჯერმანი დიუპრისთან. „ჯერმანის რომ ვუყურებ, მასში ჩემს თავს ვხედავ, — ამბობს მომღერალი, — თითქოსდა სარკეში საკუთარ გამოსახულებას ვუცქერდე. ისეთი სულიერი სიახლოვე, როგორიც მასთან მაქვს, არასოდეს არავისთან მიგრძნია“.

ენისტონს სიყვარულში კვლავ არ უმართლებს

ბრედ პიტის ყოფილი ცოლი, კინოვარსკვლავი ჯენიფერ ენისტონი, რომელსაც ერთ წელზე მეტია, რაც რომანი აქვს მსახიობ ვინს ვონთან (ისინი პარტნიორები იყვნენ ფილმში — „გაყრა ამერიკულად“), კვლავ მარტოა... როგორც ამბობენ, ვინსი სულ უფრო და უფრო ცოტა დროს ატარებს ჯენიფერთან და თავს არიდებს ქორწინებაზე ლაპარაკს.

ენისტონის ერთ-ერთი მეგობრის თქმით, სერიალ „მეგობრების“ ვარსკვლავი შეყვარებულისგან უფრო მეტს ელოდა, მაგრამ ვონმა მოლოდინი არ გაუმართლა. ამჟამად ვინსი დროის უმეტეს ნაწილს სამხრეთ დაკოტაში ატარებს, სადაც მისი მონაწილეობით ფილმის გადაღება მიმდინარეობს, ენისტონი კი ლოს-ანჯელესში ცხოვრობს. ასე რომ, წყვილს ძალზე იშვიათად უწევს შეხვედრა.

უფლისწული ჰარი სამოქალაქო გართობაზე უარს არ ამბობს

შეგახსენებთ, რომ 21 წლის უფლისწული ჰარი, მამამისის და უფროსი ძმის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს რიგით მესამე ტახტის მემკვიდრეა. ამ გაზაფხულზე მან სანჰერსტის სამეფო აკადემია დაამთავრა და უმცროსი ლეიტენანტის წოდებაც მიანიჭეს. აკადემიის დამთავრებისთანავე ის სამეფო გვარდიის ჯავშანსატანკო ქვედანაყოფში (Blues and Royals) გაამწესეს; ამჟამად ჯავშანსატანკო ქვედანაყოფის ბაზა დორსეტის საგრაფოს ქალაქ ბოვინგტონშია განლაგებული.

გაზეთი „სქაი ნიუსი“ წერს, რომ თვითმხილველები სახტად დარჩნენ, როდესაც საკურორტო ქალაქ ბორნემუნის კაზინოში, „ბლექ-ჯეკისა“ და რულეტის ერთ-ერთ მოთამაშეში უფლისწული ჰარი შეიცნეს. მან მეგობრებთან ერთად სამორინეში დაახლოებით 2 საათი დაყო და თვითმხილველთა თქმით, თამაშისას მას ბედი სწყალობდა — გასართობი დაწესებულებიდან უფლისწული მოგებული თანხით გამოვიდა.

საერთოდ ცნობილია, ჰარი ზრუნავს საკუთარ დადებით იმიჯზე, — კერძოდ, ის არაერთგზის მონაწილეობდა აივ-ინფიცირებული აფრიკელი ბავშვების გადასარჩენად თუ საქველმოქმედო მიზნით მოწყობილ ღონისძიებებში, მაგრამ დროდადრო სკანდალშიც ეხვევა ხოლმე. მაგალითად, 2005 წლის იანვარში, მას ბოდიშის მოხდამ მოუწია იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთ სამასკარადო წვეულებაზე ნაცისტური ფორმითა და სვასტიკიანი სამკლავურით გამოცხადდა, რამაც აშკარად უარყოფითად იმოქმედა სამეფო ოჯახის რეპუტაციაზე.



ლოს-ანჯელესის ბოქაული „ფსევდონიმი“

რეიჩელ უაისი

...სახლში თითქმის ისევე ვცხოვრობდი, როგორც ვუდი ალენის ფილმების გმირები — ჩემ გარშემო მყოფ ადამიანებს ფსიქოლოგიური პრობლემები ტანჯავდათ. თანდათან ოჯახში გარკვეული ფსიქოლოგიური როლი დამეკისრა, — ამაყობს რეიჩელ უაისი, რომლის დედამ — ზიგმუნდ ფროიდის სკოლის მიმდევარმა ავსტრიელმა ფსიქოანალიტიკოსმა ინგლისში არცთუ ისე ურიგო კარიერა გაიკეთა. ლონდონის ძვირად ღირებულ ჰემპსტედის რაიონში მდებარე ლამაზ სახლში პაციენტთა ნაკადი არ მცირდებოდა. ისინი ედიტის კაბინეტში გულის მოსაოხებლად და განსატვირთავად მიდიოდნენ. რეიჩელის მამა — ჯორჯ უაიტი უნგრეთში დაიბადა. 40-იან წლებში ფაშიზმს გაექცა და ინგლისში ემიგრაციაში წავიდა. ჯორჯი სამედიცინო ტექნიკის ინჟინერ-გამომგონებელი გახდა და მის ადრეულ გამოგონებას — ხელოვნური სუნთქვის მობილურ რესპირატორულ სისტემას — „სასწრაფო დახმარების“ მანქანებში დღესაც წარმატებით იყენებენ. ცნობილი ანდაზა ამბობს: მეწაღე თავად წაღების გარეშე რჩებაო. რეიჩელის ოჯახსაც ასე დაემართა: ფსიქოლოგიის სფეროში ფრიად განსწავლულ ედიტს მისმა პროფესიულმა ცოდნამ ქმართან ნორმალური ურთიერთობა ვერ შეუნარჩუნა.

რეიჩელმა ბავშვობაშივე გამოძებნა ხერხი, რომლითაც მშობლებს ერთად ყოფნას აიძულებდა. გოგონა მეამბოხე, ველურ არ-

სებად გადაიქცა და მშობლებს სხვა აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ საკუთარი პრობლემები დაევიწყებინათ და ქალიშვილის ბედ-იღბალზე ეზრუნათ. მას შემდეგ, რაც კინალამ გარიცხეს კერძო სკოლიდან, მამამ რეიჩელი ფსიქოთერაპევტთან მიიყვანა. ექიმი გოგონას ქცევის წესებში საკმაოდ სწრაფად გაერკვა და ასეთი შინაარსის წერილიც კი გაუგზავნა: „გილოცავ, შენს ამოცანას თავს მშვენივრად ართმევ!“

დედამ საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და მეუღლის ჯინაზე, ქალიშვილი სამოდელო სააგენტოში მიიყვანა (მამა ამგვარ საქმიანობას უაზრობად და უხამსობად მიიჩნევდა). 14 წლის რეიჩელის ფოტოსურათები ტანსაცმლის უმსხვილეს კატალოგებში გამოჩნდა. გოგონა კინოში გადასაღებადაც მიიწვიეს. მას ფილმში — „მეფე დავითი“ თავად რიჩარდ გირის გმირის ქალიშვილის როლი შესთავაზეს. დედამ კონტრაქტს ხელი მოაწერა, რეიჩელი სტუდიას ეწვია, სადაც პარიკისა და კოსტიუმის მორგებაც მოასწრო, მაგრამ მამამ მეუღლეს მკაცრი ულტიმატუმი წაუყენა: ან კონტრაქტის გაუქმება, ან განქორწინება! ედიტი იძულებული გახდა, უკან დაეხია და კონტრაქტი ისე გაწყვიტა, რომ შვილის სურვილისა და გრძნობისათვის ანგარიში არ გაუწევია. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ჯორჯი ოჯახიდან მაინც წავიდა. მისი ახალი რჩეულიც ფსიქოანალიტიკოსი აღმოჩნდა...

მას შემდეგ, რაც „რთული ხასიათის მოზარდის“ როლში ფიასკო განიცადა, რეიჩელმა თავისუფლად ამოისუნთქა, „ზღვარგადასულ საქმიანობას“ (მამის შეფასებით) თავი დაანება და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. კემბრიჯში რეიჩელი სტუდენტებს შორის ულამაზეს გოგონად მიიჩნეოდა და ყველა ყმაწვილი მასთან პაემანზე ოცნებობდა. მეორე კურსზე იყო, როდესაც მიხვდა, რომ მსახიობობის გარეშე ძალზე უჭირდა და საკუთარი დასი ჩამოაყალიბა. 4 სტუდენტისგან შემდგარი დასი ედინბურგის პრესტიჟულ თეატრალურ ფესტივალზეც კი მიიწვიეს. რეიჩელ უაისის მიერ მისივე პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს ფესტივალის პრესტიჟული პრემია მიენიჭა. კემბრიჯში სწავლის დასრულების

რეიჩელ უაისი გულწრფელად აღიარებს, რომ მასთან ურთიერთობა მამაკაცებს მუდამ უჭირდათ

შემდგომ, გოგონას თეატრალურ სკოლაში უფასოდ სწავლა შესთავაზეს. რეიჩელმა ამ მიმზიდველ წინადადებაზე უარი თქვა, მას უკვე საკუთარი აგენტი ჰყავდა და ტელესერიალებსა და ლონდონის თეატრების დადგმებში სათამაშოდ იწვევდნენ. 1966 წელს ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმში — „მიმქრალი სილამაზე“ რეიჩელმა პირველი ეპიზოდური, მაგრამ შესამჩნევი ეკრანული სახე შექმნა. ჰოლივუდში კი მაშინ გაიცნეს, როდესაც სურათში — „ჯაჭვური რეაქცია“ — მირა სორვინო შეცვალა და კინუ რივზს ღირსეული პარტნიორობა გაუწია. ამას მოჰყვა როლები ფილმებში: „წითელი და შავი“ ევან მაკგრეგორთან ერთად, „მე შენ მიყვარხარ“, „თანამგზავრები“, მთავარი როლი იშტვან საბოს სურათში „მზის სხივის გემო“, სადაც პირველად ითამაშა რეიფ ფაინსთან ერთად „მტერი კარიბჭესთან“ ჯუდ ლოუსთან ერთად და სხვა.

ბლოკბასტერი „მუმია“. ბრენდან ფრეიზერთან ერთად. 1999 წ.

ფილმში — „ერთგული მებალე“ როლის მისაღებად, რომელმაც რეიჩელ უაისს 2006 წლის „ოსკარი“ მოუტანა, მსახიობმა აგლანგის ოკეანე ერთ ღლეში ორჯერ გადასერა...

რეიჩელმა წარმატებას მიაღწია, მაგრამ ნათლად გააცნობიერა, რომ სამუშაო იოტისოდენა სიამოვნებასაც არ ანიჭებდა. მისთვის თამაში მხოლოდ ყურადღების მიპყრობისა და პარტნიორებით მანიპულირების საშუალებას წარმოადგენდა და მეტს არაფერს. რეიჩელმა მტკიცედ გადაწყვიტა, გამხდარიყო ის, ვინც სინამდვილეში იყო. ამისათვის, დატვირთული სამუშაო გრაფიკისა და მოუცლელობის მიუხედავად, 5 წლის განმავლობაში, კვირაში სამჯერ, სისტემატურად დაიარებოდა ფსიქოანალიტიკოსის კაბინეტში. შედეგი მართლაც რომ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. შემთხვევითი როდია, რომ ამ მტანჯველი გზის ბოლოს, მის კარიერაში საოცარი აღმასვლა დაიწყო. ევროპამ და ამერიკამ მსახიობი ვარსკვლავად აღიარა. რეიჩელმა 30-იანი წლების კლასიკური ჰიტის — „მუმიის“ რიმეიქში ითამაშა. სურათის გაგრძელების — „მუმია ბრუნდება“ — გრანდიოზული წარმატების შემდგომ კი, უპრეტენზიო ბლოკბასტერში სწორედ იმიტომ ითამაშა, რომ სიამოვნება მიეღო და სხვა არაფერი.

ბოლოს და ბოლოს, რეიჩელში ჯანსაღმა ამბიციამ გაიღვიძა. როგორც იქნა, მტანჯველი კომპლექსის — დანაშაულის შეგრძნებისგან გათავისუფლდა. მას ხომ მუდამ თან სდევდა შიში, რომ მშობლების ოჯახი მისი მიზეზით დაინგრა. იტანჯებოდა იმიტომაც, რომ ეჩვენებოდა თითქოს ყველაფერი — მშვენიერი გარეგნობა, კემბრიჯის დიპლომი, კინოსა და თეატრში ნათამაშები როლები დაუმსახურებლად მიიღო. ხუთწლიანი ბრძოლის შემდეგ, რეიჩელმა ცხოვრებას გემო გაუგო და სიცოცხლით ტკბობა ისწავლა. მან უდიდესი სიამოვნებით მოაწყო ლონდონში მდებარე სახლი, ავეჯიც თავად შეარჩია, კედლები სურათებით დაამშვენა და ყვავილებიც კი დარგო. კარის მეზობლებს — ჯუდ ლოუსა და ევან მაკგრეგორს სტუმრად ეპატიჟებოდა, ცნობილ დიზაინერს ნარცისო როდრიგესს დაუმეგობრდა და მისი უსაყვარლესი კლიენტი და მუზა გახდა, ცნობილ კოსმეტიკურ ფირმა „რევლონთან“ კონტრაქტი გააფორმა და ამ უმსხვილესი ბრენდის სარეკლამო სახედ იქცა. ამ პერიოდში დედინაცვალმა რეიჩელს ერთი რჩევა მისცა: „ერთი მამაკაცისგან მეორესთან ნუ გაიქცევი. თითქოს ფილმიდან ფილმში გადადიოდე“. რეიჩელმა ეს სიტყვები ყურად იღო და სულ მალე იპოვა ის მამაკაცი, რომლისგან გაქცევაც აი, უკვე 6 წელია, არც უფიქრია. ფსიქოლოგის დიპლომი სულაც არ არის საჭირო იმისათვის, რომ მიხვდე: პირად ბედნიერებას მხოლოდ მაშინ პოვებ, როდესაც შიშს, კომპლექსებსა და ცრურწმენას მოიცილებ და საკუთარ თავს იპოვი!..

რეიჩელ უაისი გულწრფელად აღიარებს, რომ მასთან ურთიერთობა მამაკაცებს მუდამ უჭირდათ. „ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლის

ნდობის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები

☎ 822 006005
822 006 099
822-425-544
SMS 1474

ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია ტელეკომ-პარამეტებით

დროს, შეყვარებულებს უმიზეზოდ ვშორდებოდი. მოგვიანებით, თითქმის ყველა პარტნიორს — ვენსან პერესს, ალესანდრო ნიკოლოს კიანუ რივზსა და სხვებს ვეარშიყებოდი“. ერთ-ერთი ფილმის გადაღების დროს რეიჩელსა და ინგლისელი მაყურებლის კერპს, ნილ მორისს შორის მხურვალე რომანი გაჩაღდა. უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში გაზრდილი ნილი საკუთარი პერსონის გარშემო შექმნილი ალიაქოთით ტკბებოდა. ფოტოგრაფების წინაშე პოზირებასა და ინტერვიუების მიცემაზე ჭკუას კარგავდა და სწორედ იმისკენ მიისწრაფოდა, რაც რეიჩელს ესოდენ სძაგდა. რეიჩელი ხომ გადაღებების დასრულებისთანავე გაქრობას, გაუჩინარებას ლამობდა. „საკუთარი თავის შესახებ დასმულ ყველა შეკითხვაზე პასუხი ზეპირად ვიცი. ამ შეკითხვებს ფსიქოანალიტიკოსის კაბინეტში ხშირად ვპასუხობდი...“ — ამბობს მსახიობი. სექსისგან თავისუფალ დროს ნილი რეიჩელს უფასო ფსიქოთერაპევტად იყენებდა. როდესაც მორისს წარსულის ნაღვლიანი მოგონებები შემოაწვებოდა, რეიჩელს მისი მოსმენა, ნუგეშისცემა და დეპრესიის შემოტევასთან ბრძოლა ევალებოდა. ამაზე უარესი ის იყო, რომ ერთად სეირნობისას, ნილი თაყვანისმცემელ ქალბატონებს სიამოვნებით აძლევდა ნებას, რეიჩელის თვალწინ კისერზე ჩამოჰკიდებოდნენ და მისთვის სასიყვარულო ბარათები გადაეცათ.

რეიჩელი ნილ მორისს დაშორდა. სწორედ იმხანად ჰორიზონტზე ძველი მეგობარი, იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილი რეჟისორი სემ მენდესი გამოჩნდა. საერთო თეატრალური ინტერესები, საერთო წრე, თანაბარი დონის ინტელექტი — ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი იმას მოასწავებდა, რომ მათი რომანტიკული ურთიერთობა უსასრულოდ უნდა გაგრძელებულიყო. მაგრამ მათი კავშირი სწორედ ამ გარემოებებმა გაანადგურა. საკუთარ თავში ჩაკეტილ სემს აღიარებისა და ფილმისათვის — „ამერიკული სილამაზე“ — მიღებული „ოსკარის“ მიუხედავად, აუტსაიდერობა ხიბლავდა. ის საკუთარ თავს მუდამ იმ კითხვებს უსვამდა, რომელზე პასუხის გაცემა ძალზე რთული იყო. სემი რეიჩელში, უპირველეს ყოვლისა, მის ჭკუასა და პარტნიორულ თვისებებს აფასებდა და არა ქალურობასა და სილამაზეს. პრობლემაც სწორედ ეს გახლდათ. იმ დროს რეიჩელი მზად იყო, ჯავშანი ჩამოეხსნა და ცხოვრება ტყუილუბრალოდ არ გაერთულებინა. ისინი უბრალოდ ერთმანეთს დროსა და სივრცეში ასცდნენ. მოგვიანებით, ამერიკული ცხოვრების სტილმა და წარმატებამ სემ მენდესი სიცოცხლით სავსე, გულღია ადამიანად გადააქცია. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისი რჩეული — კეიტ უინსლეტი გასაოცარი სილამაზითა და ჯანსაღი სულით გამოირჩევა.

მშობიარობამდე 1 თვით ადრე. ნიუ-იორკი. 2006 წ.

რეიჩელმა კი, დარენ არონოფსკი იპოვა, რომელსაც მათი ურთიერთობის წლისთავზე, „ჭკვიანი ამერიკელი“ შეარქვა. დარენი ბედის იდეალური საჩუქარი აღმოჩნდა: მართლაც რომ ჭკვიანი, განათლებული (დარენს ჰარვარდის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული). სამყაროს ხატოვანი აღქმით გამორჩეული, საკმაოდ ცნობილი, მახვილგონიერი და ამასთან ერთად — თვითკმაყოფილებისა და კომპლექსებისაგან სრულიად თავისუფალი — ჭეშმარიტი მამაკაცი.

ფილმის — „ერთგული მებაღე“ რეჟისორთან ფერნანდო მერეილიშთან შესახვედრად ლონდონს მიმავალი რეიჩელი დარენმა თავად წაიყვანა აეროპორტში, უახლოესი რეისით გაამგზავრა და იმავე საღამოს აეროპორტში დახვდა. რეიჩელს ლონდონში მხოლოდ ერთი საათი ჰქონდა იმისათვის, რომ რეჟისორი დაერწმუნებინა — ტესის როლი სწორედ მისთვის მიეცა (ამ როლზე პრეტენდენტები ნიკოლ კიდმანი და ნაომი უოტსი იყვნენ) ფერნანდო მერეილიშის პასუხს რეიჩელი 5 თვე ელოდა. თავად დარენს კი 4 წლის განმავლობაში არწმუნებდა, რომ მისივე სასიყვარულო-ფანტასტიკური ფილმის — „წყარო“ სცენარი ხელახლა, სპეციალურად მისთვის გადაეწერა...

გადაღებები შარშან დასრულდა. სურათში კეიტ ბლანშეტის და ბრედ პიტის ნაცვლად, რეიჩელ უაისი და ჰიუ ჯეკმენი თამაშობენ. გადაღებების დასრულების შემდგომ რეიჩელმა თქვა, რომ საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიუხედავად, რომელიც მსგავსი ექსპერიმენტების (როდესაც ბოიფრენდი თავისი შეყვარებულის რეჟისორი ხდება) სავალალო შედეგით დასრულებას წინასწარმეტყველებს, მათი ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდა, რადგან არაფერია იმაზე მეტად სექსუალური სანახაობა, ვიდრე ის, როცა ქალი ხედავს, რომ მისი საყვარელი მამაკაცი საკუთარ საქმეს მოხდენილად აკეთებს!..



საქმროსთან, დარენ არონოფსკისთან ერთად – ამ საღამოს რეიჩელ უაისმა „ოსკარი“ მიიღო. 2006 წლის მარტი

რეიჩელი დარენთან ერთად ნიუ-იორკში, სოხოში ცხოვრობს. „ინტენსიური რიტმით, უზღვავი ეგზოტიკითა და მკვეთრად გამოხატული სექსუალურობით“ გამორჩეულ ქალაქს აღმერთებს და ირწმუნება, რომ ლოს-ანჯელესი ამ სექსუალურობას სრულიად მოკლებულია. იქ არავინ არავის ეარშიყება, რადგან ამისთვის არავის სცალია: „ისინი მუდამ მანქანებში სხედან, მუდამ აგენტებთან მიიჩქარიან“. რეიჩელი ფიქრობს, რომ ლოს-ანჯელესში არცთუ ისე დალხენილი ცხოვრებაა, რადგან ან „ოსკარის“ ლაურეატი (ნომინანტი მაინც), უნდა იყო, ან გაქნილი პროდიუსერი იმისათვის, რომ წვეულებაზე გასაუბრების ღირსად ჩაგთვალონ... იქ განსაკუთრებით ქალებს უჭირთ. შხამით გაჟღენთილ ამ ქალაქში წარმატებაზე მეტად, მკერდის ზომა და ტუჩების ფორმა ფასობს. ლოს-ანჯელესში ქალის წონის თითოეული ზედმეტი გრამი აღრიცხვაზეა აყვანილი და მათ ყველანაირად აიძულებენ, თავი მახინჯ არსებად იგრძნონ“.

შარშან ნიუ-იორკში, ტაიმს-სკვერზე დარენმა სატრფოს ხელი სთხოვა. ქორწილი მხოლოდ იმიტომ გადაიდო, რომ რეიჩელი ორსულად იყო. 31 მაისს მსახიობს ჯანმრთელი ბიჭი — ჰენრი ჩენსი შეეძინა. საპატარძლო კაბა უკვე მზადაა — ეს შედევრი ნარცისო როდრიგესმა შექმნა. საქორწინო ცერემონია, რაღა თქმა უნდა, ნიუ-იორკში ჩატარდება. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს: პრესტიჟულმა ოქროს ქანდაკებამ რეიჩელს უამრავი შეთავაზება მოუტანა — მსახიობმა 3 კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი. მშობიარობიდან რამდენიმე კვირის შემდეგ კი, ფილმის — „მოცვის ღამეები“ — გადასაღებ მოედანზე, მას ჰონკონგელი რეჟისორი ვონ კარ-ვაი ელოდა.

...რეიჩელს წარსულიდან ერთადერთი რამ — ელვის პრესლისადმი სიყვარული შემორჩა. როდესაც განსაკუთრებით უჭირს, საყვარელი მუსიკოსის სიმღერებს უსმენს და მის მამულში შეძენილ კულონს ეალერსება, რომელზეც ორი ასო — E და P-ა ამოტვიფრული. ზოგჯერ შესაძლოა, ავტომობილში ჩაჯდეს და რამდენიმე ასეული მილი დაფაროს, რათა ისევ მშობლიურ გეისლენდში აღმოჩნდეს...

■

ძვირფასი Natalia

კომპანიამ — DiMora Motorcar — ლუქსის კლასის მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული სერიული სედანი გამოუშვა: მისი ფასი 2 მლნ დოლარს აღწევს. მას საკმაოდ მეტყველი სახელიც შეურჩიეს — Natalia SLS 2 და სპეციალისტებმა ავტომრეწველობის ისტორიაში ყველაზე მდიდრულ და ტექნიკურად სრულყოფილ მანქანად აღიარეს.

მართლაც, „ნატალია“ ფაქტობრივად, „დატენილია“ ყოველგვარი ტექნიკური მოწყობილობით. ხელით აწყობილი ამ „ავტოლაინერის“ კაპოტქვეშ, V ტიპის 16-ცილინდრიანი, 14 ლ სამუშაო მოცულობისა და 1200 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავა — Volcano „სუნთქავს“. მანქანა სრულამძრავიანია, მის კონსტრუქციაში გამოყენებულია საავიაციო მრეწველობაში გავრცელებული მასალები და ტექნოლოგიები, რომლებმაც შემქმნელებს მასის შემცირების და შესაბამისად, საწვავის ეკონომიისა და დინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესების საშუალება მისცა. მაქსიმალური კომფორტულობის მისაღწევად, სპეციალურად ამ მოდელისთვის შეიმუშავეს ცვალებადი მახასიათებლების მქონე საკიდარი: ავტომწარმოებელთა თქმით, მისი წყალობით, შესაძლებელი გახდა რბილად მოძრაობისა და იმავდროულად, სპორტული მანქანისთვის ესოდენ საჭირო „სიმკვირცხლის“ შეხამება.

მაგრამ ტექნიკური სიახლეები მთავარი როდია. საინჟინრო აზროვნების გაცილებით შთამბეჭდავი უამრავი ნაყოფი დახვდება ავტომოყვარულს სალონში. მაგალითად, ე.წ. ბიომეტრიული სისტემა, რომელიც მანქანის „ქცევას“ მძღოლის ხასიათსა და გუნება-განწყობილებას უხამებს. „ნატალიას“ სალონში დამონტაჟებულია ხელსაწყოები, რომლებიც აფიქსირებს მძღოლის სხეულის ტემპერატურას, გულისცემისა და სუნთქვის რიტმს, წნევას, სისხლში ჟანგბადის შემცველობის დონეს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, მანქანა ცვლის სალონის განათების ინტენსივობასა და მუსიკის ხმის დონეს და „ელაპარაკება“ კიდეც მძღოლს(!) სულ კი, „ნატალია“ 60-ზე მეტი კომპიუტერული სისტემითაა აღჭურვილი. ისინი მანქანის მართვას, უსაფრთხოებას, კომფორტულობას, კავშირგაბმულობასა და სხვადასხვა გასართობი ოპციის მართვას უზრუნველყოფს. Natalia SLS 2-ის ტექნიკურ ბაზაში შედის: წინ მჯდომი მგზავრისთვის განკუთვნილი მბრუნავი საავარძელი, 115 და 230-ვოლტიანი შტეფსელები, მონიტორთან უსადენოდ დაკავშირებული მძლავრი პერსონალური კომპიუტერი, საჭიქეები, რომლებიც აცხელებს და აგრილებს სასმელებს და უამრავი სხვა, ფუფუნების საგანი.

საინტერესოა, რომ ამ სუპერმანქანას უკვე გამოუჩნდა ე.წ. კორპორაციული მყიდველი: ერთ-ერთმა საკურორტო ქსელმა მწარმოებელს ათი „ნატალია“ დაუკვეთა. მას განსაკუთრებულად საპატიო სტუმრების დასახვედრად გამოიყენებენ და აგრეთვე, შეძლებულ კლიენტებს მიაქირავებენ. ■

Hyundai Tiburon Coupe

იაპონურმა კომპანიამ ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში გამართულ საავტომობილო გამოფენაზე, განახლებული Tiburon Coupe წარმოადგინა. ეს მოდელი დღევანდელი თაობის მანქანას შეცვლის, რომლის პრემიერაც 2001 წლის სექტემბერში შედგა. ახალი ვერსია უფრო სპორტული იერითა და აგრესიული გარეგნობით გამოირჩევა. დიზაინერები, ძარას პრაქტიკულად ყველა ელემენტისა და ოპტიკის შესაცვლელად გაისარჯნენ.

ექსტერიერთან ერთად, ძრავებიც სრულყვეს. საბაზო კომპლექტაციაში მომხმარებელს 16-სარქვლიან, 2 ლ მოცულობის აგრეგატს შესთავაზებენ. მას 5-საფეხურიანი მექანიკურ ან 4-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი დაერთვება თან. უფრო მომთხოვნი მძღოლებისთვის V6 და 6-საფეხურიანი „მექანიკაა“ გათვალისწინებული. ■

_ მარი ᲧᲐᲨᲐᲠᲘᲫᲔ

ᲣᲘᲚᲯᲚᲝ ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲓᲝᲜᲓᲣᲐᲡ ᲚᲐᲛᲞᲖᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

„ᲐᲛ ᲯᲘᲚᲘ, ᲛᲐᲚᲔᲛᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲘᲒᲘᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲓᲐᲯᲘᲚᲘᲧᲕᲐᲚᲝᲗ...“

ყველა ადამიანს აქვს სიკვდილის შიში და ვიცით, რომ თითოეული ჩვენგანისთვის გარდაუვალია იმ ქვეყნად გადასახლება. მაგრამ არასოდეს ვფიქრობთ დასასრულზე მანამ, ვიდრე სიკვდილს თვალებში არ ჩავხედავთ. რაც უფრო ძლიერია ადამიანი, მით მეტად იბრძვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად და რაც უფრო ბედნიერია, მით მეტად ეშინია იმ დღის დადგომის. შესაძლებელი რომ იყოს, რამდენი დედა შეენაცვლებოდა სასიკვდილოდ განწირულ შვილს და დაუთმობდა საკუთარ სულსა და სხეულს... მაგრამ ღვთისგან დადგენილი კანონით, ყველა ადამიანმა საკუთარი ჯვარი უნდა ზიდოს. ადამიანები უძლურნი ვართ, გავუმკლავდეთ ბედისწერას და შევცვალოთ იგი. სწორედ ამიტომ, უამრავი ახალგაზრდა ადამიანი გვეცლება ხელიდან, ჩვენ კი ვერაფერს ვშველით. ვგლოვობთ, ვდარდობთ და გულდაწყვეტილები ვიხსენებთ ხოლმე მათ...

ხათუნა დონდუა ის ადამიანი იყო, რომლის გახსენებისას, არა მხოლოდ ახლობლები, არამედ უცხო ადამიანებიც (ვისაც მხოლოდ ტელეეკრანზე უნახავთ ეს მშვენიერი ქალბატონი), სინანულით გადააქნევენ ხოლმე თავს. 7 აგვისტოს მისი დაბადების დღე იყო. ის 44 წლის გახდებოდა.

ხათუნა საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ წამყვანი და გამომშვები რედაქტორი გახლდათ და პირველი თაობის „მზიურელიც“. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მიცემულ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში „მზიურის“ პერიოდს ასე იხსენებდა: „მზიური“ იყო ზღაპარი. დაახლოებით ისეთი, ბავშვები ფერად სიზმრებს რომ ნახულობენ ხოლმე და დილით ძნელად გამოდიან ამ მდგომარეობიდან. იმიტომ, რომ ეს მართლაც, საოცარი ხანა იყო. ახლა ჩემს შვილებს რომ ვუყვები ყველაფერს, თუ რა გამოვიარეთ, სად დავდიოდით, როგორი კონცერტები და აღიარება გვქონდა, მათთვის ეს წარმოუდგენელია, არ სჯერათ. სამწუხაროდ, მაშინ არ არსებობდა ამდენი ვიდეოკამერა და ეს ყველაფერი ვერ გადავიღეთ. გული მწყდება, რომ ახლა ყველაფერს ასე ზეპირად ვიხსენებთ ხოლმე“.

ᲫᲐᲚᲒᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲣᲙᲐ, *ხათუნას დედა:*

— ის ძალიან დამჯერი ბავშვი იყო. სკოლაში კარგად სწავლობდა. სულ გასტროლებზე სიარული უწევდა, რის გამოც, ბევრი გაკვეთილი უცდებოდა, მაგრამ სკოლაში საუკეთესო მოსწავლედ მიიჩნეოდა. მე არ ვაძლევდი მოდუნების საშუალებას. კონცერტს რომ მართავდნენ ხოლმე, რა თქმა უნდა, მეც თან მივყვებოდი და წიგნებიც მიმქონდა. უკვე ჩაცმულ და საკონცერტოდ გამოწყობილ ხათუნას კულისებში, კუთხეში მივყუჟავდი და ვამეცადინებდი. გასტროლებზეც სასკოლო სახელმძღვანელოებით დავდიოდით. ამის შედეგი იყო ის, რომ სკოლა მედალზე დაამთავრა და იმავე წელს, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზეც ჩაირიცხა. მეორე კურსის სტუდენტი კი, ოქტომბრის რაიონის დეპუტატად აირჩიეს...

ნაწყვეტი ხათუნას ინტერვიუდან: „მზიურმა“ თავისთავად, დამოუკიდებლები გაგვხადა და 14-15 წლის ასაკში, უკვე ყველასგან განსხვავებულები ვიყავით. თავიდან ჟურნალისტობაზე არ მიფიქრია, ძალიან მინდოდა ექიმობა, მაგრამ ბავშვობიდან ტელევიზიაში ვარ. მე-9 კლასიდან მიმყავდა პროგრამა „ახალგაზრდობა“. ეს იყო ერთსაათიანი, საკმაოდ პოპულარული გადაცემა. მამა, ენრიკო დონდუა, ტელევიზიაში ოპერატორად მუშაობდა და მისმა გენებმა მძლია. „მზიურიდან“ რომ წამოვედი, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიყავი. მე უკვე უფროსი თაობა ვიყავი, ხოლო იქ დარჩნენ ჩემი მეგობრები, რომლებიც ჩემზე ერთი წლით პატარები იყვნენ. იმ პერიოდში, შეიძლება ითქვას, რომ ღამეები არ მეძინა, როცა ვიცოდი, რომ კონცერტი ჰქონდათ... მოკლედ, ის ერთი წელი ჩემთვის იყო კოშმარი და ძალიან გამიჭირდა. ერთი წლის შემდეგ კი, ყველამ დაანება თავი. შემდეგ სცენა ეკრანმა შეცვალა...

ᲓᲝᲓᲝ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, *ხათუნას მეგობარი, ჟურნალისტი:*

— გარდა იმისა, რომ ხათუნა ნიჭიერი ჟურნალისტი იყო, არაჩვეულებრივი რედაქტორი და ორგანიზატორი გახლდათ. მთელი დღის განმავლობაში დაიღლებოდა, დაიქანცებოდა, სახლში მილიონჯერ დარეკავდა, ვამბობდი — ნეტავ, როგორ უნდა დაჯდეს ეთერში, ასე მოღვენთილი და ლიმონივით გამოწურული-მეთქი?.. მაგრამ უცებ გამოიცვლიდა ტანისამოსს, მოწესრიგდებოდა და როგორც კი სტუდიაში შუქი აინთებოდა, ანგელოზივით გამოჩნდებოდა ხოლმე. ეს იყო ხათუნა დონდუა, განუმეორებელი თავისი ეშხითა და შარმით... თბილისის სამოქალაქო ომის დროს, ტელევიზიით გამოცხადდა, რომ შენობა დანაღმული იყო. სასწრაფოდ უნდა დაეცალათ და მხოლოდ ერთი დიქტორი დარჩენილიყო. ხათუნა ივიკო სეხნიაშვილთან მივიდა და უთხრა: შენ წადი, ცხოვრება წინ გაქვს, აწი უნდა დაოჯახდე; მე უკვე 2 შვილი მყავს, მე დავრჩები შენობაშიო. ეს ნათქვამი არც პოზა იყო და არც პათოსი. მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის შეგვპარვია. აი, ასეთი იყო ხათუნა დონდუა.

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ:

— იშვიათად შემხვედრია ისეთი ვოკაცური სულის ადამიანი, როგორიც ხათუნა იყო. გარეგნულად ნაზი, სულ ფორმაში მყოფი და „გაპრანჭული“ ქალი, თითქოს შეუთავსებელია ვოკაცობასთან, მაგრამ წარმოიდგინეთ, ისე ყოფილა ავად 13 წლის განმავლობაში, რომ ახლობლების გარდა, არავინ იცოდა. საკმაოდ დიდხანს

„მზიური“ იყო ზღაპარი. დაახლოებით ისეთი, ბავშვები ფერად სიზმრებს რომ ნახულობენ ხოლმე

ვიმუშავეთ ერთად და არ მახსოვს, რამეზე ეწუწუნოს. არადა, ხომ არ არსებობს უპრობლემო ადამიანი?! უბრალოდ, ის ასეთი იყო. არავის ახვევდა თავს საკუთარ პრობლემებს. გარდა ამისა, თავისი ტაქტისა და მოზომილი ბუნების წყალობით, ყველას უყვარდა და არასოდეს ვარდებოდა კონფლიქტურ სიტუაციაში. მოგეხსენებათ, ტელევიზია სინთეზური ხელოვნებაა და საბოლოო პროდუქტს უამრავი ადამიანი ქმნის. მერწმუნეთ, ყველას ერთნაირად უხაროდა მასთან მუშაობა და ამას, თავისი გამორჩეული, ადამიანური ბუნებით ახერხებდა. გადამდები სიცილი იცოდა და ძალიან ხალისიანი



ბექა გიორგაძე



გვანცა გიორგაძე შვილთან ერთად

იყო. დერეფანში რომ გამოჩნდებოდა, თითქოს მზე შემოანათებდა ხოლმე. მადლიერების საოცარი გრძნობა ჰქონდა. არ მახსოვს, ვინმეზე ეჭორაოს. თუ რამეს იტყოდა, მხოლოდ იუმორით, ყოველგვარი ირონიის გარეშე. ძალიან მიჭირს მასზე წარსულ დროში ლაპარაკი. წარმოუდგენელია, რომ სადღაც არსებობს ადგილი, რომელსაც ხათუნას საფლავი ჰქვია. სამწუხაროდ, ხათუნასნაირი ადამიანები იშვიათად იბადებიან.

გვანცა გიორგაძე, *ხათუნას შვილი:*

— დედა სამსახურში წასვლამდე, პირველ რიგში, საპარიკმახეროში მიდიოდა. პარიკმახერებსა და ვარხნილობებს ხშირად იცვლიდა. მას სწორი თმა ჰქონდა და ღამე მუდმივად „ბიგუდებით“ ეძინა. ტელევიზიაში ვიზაჟისტი არ ჰყავდათ და მაკიაჟს ყოველთვის თვითონ იკეთებდა... დედას მდიდარი ფანტაზია ჰქონდა. შეეძლო, ერთი პიჯაკი ისე ჩაეცვა, რომ სხვადასხვაგვარად მოსჩვენებოდათ. უყვარდა შავი და წითელი ფერების კომბინაცია. ბევრი მეგობარი ჰყავდა. ვერ მოასწრო მათთან ურთიერთობით დატკბობა... 3 ივლისს ჩემი დაბადების დღეა და დედის უახლოესი მეგობრები — ქეთინო ფირცხალავა და მარინა მასხულია ყოველთვის მოდიან. როცა ისინი ლაპარაკობენ, მგონია, დედას ვუსმენ...

მარინა მასხულია:

— ჩვენ მთელი ბავშვობა ერთად გვაქვს გატარებული. „მზიურმა“ ძალიან დაგვაახლოვა. „მზიურის“ დიდი ტკივილია — ხათუნა დონდუა და ხათუნა საბაშვილი: ორივე ძალიან ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან და ჩვენი გულების ნაწილი წაიღო. ხათუნა ჩვენზე 3 წლით უფროსი იყო და სულ ისე გვექცეოდა, როგორც პატარებს. მას შესანიშნავი ოჯახი დარჩა, ლამაზი შვილები და მოსიყვარულე მეუღლე. ძალიან დაგვწყვიტა გული მისმა სიკვდილმა. როცა პირველად შევიტყვე უკურნებელი სენით მისი დაავადების შესახებ, ყურებს არ ვუჯერებდი და ბოლომდე მჯეროდა, რომ აუცილებლად მოერეოდა ავადმყოფობას და გამოჯანმრთელდებოდა. სამწუხაროდ, ბედისწერა ულმობელი აღმოჩნდა და მეგობარი ხელიდან გამოგვცალა. 37 წელი არც ისე ბევრია, რომ ცხოვრება დაამთავრო, მაგრამ არც ისე ცოტა, რომ საკუთარი კვალის დატოვება ვერ მოასწრო.

ქეთი ფირცხალავა:

— პროფესიით ექიმი ვარ, უროლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. ფაქტობრივად, მისი სიცოცხლის უკანასკნელი წამების მომსწრეც გავხდი. ყველანი შოკში ვიყავით. არასოდეს მინახავს ასეთი ოპტიმიზმი, წყურვილი სიცოცხლისა და იმედი გადარჩენისა. დაუშრეტელი ენერგიის მქონეს, ბოლოს ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა, მაგრამ სჯეროდა, რომ გამოჯანმრთელდებოდა, ფეხზე წამოდგებოდა და ცხოვრებას ჩვეულ რიტმში გააგრძელებდა. ცხოვრება კი მართლა უყვარდა. ის განუმეორებელი იყო. ჩემზე 3 წლით უფროსი გახლდათ და მართლა დედასავით მექცეოდა. იმდენად შევეჩვიე მის მეურვეობას, რომ ფოტოებშიც სულ მის გვერდით ვდგავარ... ქორწილში მისი მეჯვარე ვიყავი. ძალიან ლამაზი პატარძალი იყო. ხათუნა და ზაზა ულამაზესი წყვილი გახლდათ. გვანცა რომ დაიბადა, მე მომანათვლინა. ის კარგი დედა, მოსიყვარულე მეუღლე და საუკეთესო დიასახლისი იყო.

გვანცა გიორგაძე:

— დედას სიზმარში ისეთსავე ლამაზს ვხედავ, როგორიც ცხოვრებაში იყო. მეუბნება ხოლმე — ცოცხალი ვარ, რატომ ტირითო?.. მის სიახლოვეს მართლა ვგრძნობთ. საფლავზე მამა ხშირად ღამით მარტო დადის. სანამ დედა ჩვენგან წავიდოდა, მამა ცალკე ოთახში გადიოდა და ხმამაღლა ღრიალებდა. ახლა მასზე საუბარიც კი მისთვის იმდენად წმინდა რამაა, რომ ჩვენც კი ვერიდებით. ხათუნა ჩემი საკუთარი ტკივილია და მაცალეთო, — გვეუბნება...

ნაწყვეტი ხათუნას ინტერვიუდან:

„მე ვფიქრობ, ჩემი პირადი ცხოვრება კარგად აეწყო. ჩემი მეუღლე, ზაზა გიორგაძე ინჟინერია, გვყავს 2 შვილი — გვანცა და ბექა. ჩემი მეუღლე 19 წლის იყო, მე კი — 18-ის, როდესაც დავქორწინდით. მართლა ბედი იყო ყველაფერი. ზამთრის არდადეგებზე მე და ნინო დათუკიშვილი პირველად წავედით მარტო ბაკურიანში და იქ შემხვდა ზაზა. მე და ნინომ შემთხვევით გავიცანით დერეფანში. ხოლო როცა მისი ოთახიდან გიტარისა და სიმღერის ხმა გავიგონე და მითხრეს, რომ ზაზა მღეროდა, იქ დამთავრდა ყველაფერი: ვიზუალურადაც ხომ მომეწონა და გიტარამაც თავისი ქნა... ჩამოვედით ბაკურიანიდან და დავქორწინდით. ასე რომ, ზუსტად არის ნათქვამი — სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. გვანცა რომ შეგვეძინა, ზაზა მას „პროგრამა ახალგაზრდობას“ ეძახდა, რადგან გადაცემის წაყვანის დროს ფეხმძიმედ ვიყავი. ბავშვი რომ გაჩნდა, ამბობდნენ: აი, დაიბადა „პროგრამა“, დაიბადა „ახალგაზრდობაო“...

ᲫᲐᲚᲒᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲣᲘᲖᲐ:

— ვიდრე ხათუნა ჩვენგან წავიდოდა, დაახლოებით ერთი კვირით ადრე, მე და მისი მეგობარი ქეთინო ფირცხალავა მის საწოლთან ვლაპარაკობდით. ქეთინომ იკითხა — დღეს რა რიცხვიაო? ხათუნას უკვე ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ მაინც რამდენჯერმე წარმოთქვა — ოცი, ოცი... იმ დღეს, 20 რიცხვი არ იყო, მაგრამ მან უცნაურად აიკვიატა და მაინც 20-ს გაიძახოდა. როგორც ჩანს, მან თავისი გარდაცვალების თარიღი იწინასწარმეტყველა, რადგან სწორედ 20 ივლისს გარდაიცვალა.

ნაწყვეტი ხათუნას ინტერვიუდან: „ბებიამ იცოდა ხოლმე თქმა: იღბალი — კი, მაგრამ იმ იღბალს ცოტა შენც თუ არ წაეშველე, ბებია, მარტო იღბალი არაფერს იზამსო. მეც ასე მგონია“.

გაგრძელება 69-ე გვერდზე

მან თავისი გარდაცვალების თარიღი იწინასწარმეტყველა

„ზესტაფონო, ზესტაფონო, გშორდები...“

ეს სიმღერა ნიკა ქავთარაძისთვის დაიწერა

ნიკა ქავთარაძის ენაკვიმატობისა და ზესტაფონური ფესვების შესახებ დიდი ხანია, ყველამ შევიტყვეთ. მისი რეალიზება კი, როგორც ნიჭიერი ადამიანის, დედაქალაქში მოხდა. ის თავის წარმომავლობას ერთ წუთსაც არ ივიწყებს და ამის ხაზგასმას ნებისმიერ მის გადაცემაში ახდენდა.

— ნიკა, ზესტაფონში ხომ არ იმყოფები?

— არა, გუშინ *(ინტერვიუ ჩაწერილია 16 აგვისტოს. — ავტ.)* ვიყავი გავლით, გული მწყდება, რომ იქ ჩასვლას ხშირად ვერ ვახერხებ.

— ზესტაფონზე დაწერილი სიმღერები შემახსენე?

— „ზესტაფონო, ზესტაფონო, გშორდები“... კიდევ არის ერთი: „ზესტაფონში კვერცხი ვჭამე, ქუთაისში მერი ვნახე“... და რაღაც ასეთი ტექსტია.

— მგონი, პირველი სიმღერა შენზეა დაწერილი, არა?

— აბა, დავშორდი ზესტაფონს. პირდაპირ ჩემზეა დაწერილი. მაგრამ მთავარია, რომ შინაგანად არ დავშორებივარ ჩემს საყვარელ კუთხეს.

— ზესტაფონელები როგორი ტიპები არიან?

— მაგარი. ნიჭიერებიც. აქ საკუთარ თავს არ ვგულისხმობ. ბევრი ცნობილი ადამიანია ზესტაფონიდან. ისინი გახსნილები, კეთილები, სტუმართმოყვარეები



არიან.

— ყველა ზესტაფონელი ხუმრობს?

— რა თქმა უნდა. მაგრები არიან იმერლები, ისევე, როგორც დასავლეთში ყველა ადამიანი, მათ ენაკვიმატობა ახასიათებთ.

— რამდენი კილომეტრია ზესტაფონიდან თბილისამდე?

— 190-მდე.

— ამ გზას რითი ფარავ?

— მანქანით. აბა, კვიცით ხომ არ წავალ?!

— კომუნისტების დროს „ფეროში“ რა თანამდებობა გექნებოდა?

— მუშით დავიწყებდი და დირექტორი გავხდებოდი.

— თუ იცი, ზესტაფონშიც ცხელა?

— ძალიან.

— დედაქალაქი როგორია შენთვის?

— გასაქანია. აქ თვითრეალიზაციის კარგი საშუალება მომეცა, რომელიც უფრო დიდი საქმეებისკენ მიმავალი გზის დასაწყისია ჩემი და ჩემი მეგობრებისთვის. ■

ლელა წურწუმიამ მამულიჩას ბორკილები დაადო

ზაფხულია, ცხელა და ყველანი ზღვისპირა ქალაქებისკენ ილტვიან გეზს, მათ შორის — შოუბიზნესის წარმომადგენლები. მაგალითად, ლელა წურწუმიამ ბათუმში, ურეკსა და ზუგდიდში დიდი კონცერტები ჩაატარა, რითიც თავადაც კმაყოფილია და მისი პროდიუსერი — მამულიჩაც. განსაკუთრებულად გაუხარიათ და მოულხენიათ ზუგდიდელებს, რადგან სცენაზე მეგრელი ქალბატონი იდგა. როგორც მამულიჩა ამბობს, ყველგან კონცერტი ცოცხალი შესრულებით მიმდინარეობდა, ბენდისა და მოცეკვავეების თანხლებით.

— გასაგებია, რომ კონცერტები გაქვთ, მაგრამ დასვენებას სულ ვერ ახერხებთ?

— ამას თუ დასვენება ჰქვია, მაშინ — კი *(იცინის)*... 27 აგვისტომდე, ბათუმში, ბუნგალოში, კიდევ მინდა ჩავატარო კონცერტი, რადგან ამის მოთხოვნილება არსებობს. სექტემბერში კი, ერთი კვირით თურქეთში მივდივარ.

— მარტო?

— ვინ გამიშვებს მარტო?! ეგ ბედნიერება სად მაქვს?!

— რატომ? ბორკილები გაქვს დადებული?

— შენ წარმოიდგინე *(იცინის)*... ლელას მიერ... მერე კლიპის გადაღებაც გვინდა სიმღერაზე — „ენძელა“. ვაჟა დურგლიშვილის ძველი სიმღერაა, ადრე ბესო კალანდაძე მღეროდა, მაგრამ ჩვენ მისი ახლებური ვერსია გავაკეთეთ. ძალიან არ შეგვიცვლია. კლიპს ბასა ფოცხიშვილი გადაიღებს. ■

„ჩემი ცოლი მარგო არ მგოვებს“...

ჭრელი კითხვები

„ასჯერ ვზომავ და მერე ვჭრი!..“

— გიორგი, ამ ზაფხულის სიცხეში რას საქმიანობ?

— ჯერჯერობით თბილისში ვარ და „ცხელ ძაღლ 4“-ს ვიღებთ.

— გადაღებები რამდენ ხანს გასტანს?

— ალბაი, ოქტომბრის ბოლომდე.

— „აფეთქებული“ და გაბრაზებული ბილწსიტყვაობ?

— თუ ვინმე ძალიან გამომიყვანს წყობილებიდან, მაშინ.

— ესე იგი, ნერვები მაინც გლალატობს, ხომ?

— კი. ისე, უმეტეს შემთხვევაში, ჯერ ვზომავ და მერე ვჭრი ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ადამიანი ვარ და მეშლება.

— რადგან ანდაზის მიხედვით მოქმედებ, მოდი, ერთი ანდაზაც გვითხარი, რაც ახლა გაგახსენდება?

— Не всё золото, что блестит... საერთოდ, თუ ადამიანები ანდაზების სიბრძნეს გავითვალისწინებთ და ისე ვიცხოვრებთ, ბევრს მოვიგებთ.

— როგორია პირველი ემოცია, რომელსაც ლამაზი ქალის დანახვისას გამოხატავ?

— ვაჰ, ასეთი შეძახილი მახასიათებს, რასაც თან ახლავს უნებლიე ღიმილი...

— როგორ უნდა მოიქცეს მამაკაცი თუ მას ქალი სიყვარულში გამოუტყდება?

— თუ ქალი მამაკაცს სიყვარულში გამოუტყდა, ეს მისი სისუსტეა. მაგრამ მამაკაცმა მისი ამ სისუსტით არ უნდა ისარგებლოს. თუმცა ქართველი მამაკაცების უმეტესობა ქალის ამ ნაბიჯს სათავისოდ იყენებს.



— შენ რას იზამდი?

— მე მქონდა ერთხელ ასეთი შემთხვევა და არ გამოვიყენე. ვისურვებდი, რომ შემდეგშიც ასევე მოვქცეულიყავი თუკი მსგავსი შემთხვევა კვლავაც მექნება.

— რა არის ქალის მთავარი იარაღი?

— ის, რომ — ქალია!

— როგორი ცხოველია აქლემი?

— გამძლე და ზანტი.

— ახლა რომელი ქართული ფილმი გაგახსენდება?

— „ჯარისკაცის მამა“.

— უცნაურია, ვიფიქრე, „მიმინოს“ იტყოდი, რადგან აქლემი ვახსენეთ.

— რატომ? ჩვენ გამძლეობაც ვახსენეთ, არ იყო ჯარისკაცის მამა გამძლე?

— მაშინ, მაგ ფილმიდან რამე ფრაზა გაიხსენე?

— „კონდახ ნაზად, რას დვა...“

— რომელი ლექსიდან წაიკითხავ რაიმე სტრიქონს?

— ერთხელ დუტამ დაწერა ასეთი ლექსი: „იას ვარდი შეუყვარდა, აშოტილ ვერხვს მზე, ბალახს ჭიამაია და მე კი — შენ...“

— შენ არ წერ ლექსებს?

— მე ასეთი ნიჭი ღმერთმა არ მარგუნა. პოეზიის მუზები ჩემთან არ მოდიან და არც არასოდეს მოსულან.

— საქმეში მუშტი როდის უნდა ჩაერიოს?

— უკიდურეს შემთხვევაში.

— დარდს რით იკლავ?

— არ ვიკლავ, იგნორირებას ვუკეთებ.

— საყვარელი სადღეგრძელოც გვითხარი.

— ქალს გაუმარჯოს!

— სადღეგრძელო სკამზე ასულს თუ დაგილევია?

— ეგ მაშინ ხდება, როცა ადამიანს „გასაღები“ გაქვს დაკარგული. ასეთი რამ არ მახსოვს, სიფხიზლეში გამეკეთებინოს...

— ბოლოს, რას ეტყოდი მკითხველს?

— იმას, რაც ზემოთ ვუთხარი: ვიცხოვროთ ანდაზებით, ბევრ სარგებელს ვნახავთ!

ირაკლი ფირცხალაველას კონცერტს პრეზიდენტის ბებია-ბაბუა დაესწრო

გასულ კვირას, ბათუმს ირაკლი ფირცხალავაც ეწვია. მან 15-16 აგვისტოს დაპირებული კონცერტები გამართა. ერთ-ერთი — იახტ-კლუბის ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, ზღვის სანაპიროზე, მეორე — სტადიონზე. 15 აგვისტოს მის კონცერტს თურმე, პრეზიდენტის ბებია-ბაბუაც დასწრებია. ირაკლის თან მრავალრიცხოვანი ჯგუფი ჰყავს ჩამოყვანილი — სულ 26 კაცი. მათ შორის არიან მომღერლები „ფაბრიკა 2“-იდან, რომლებიც აჭარის სილამაზით მოხიბლულან. სცენაზე მყოფებსა და მაყურებლებსაც დიდი მხიარულება ჰქონდათ.

„სტერვები“ ისევ აქტიურობენ

„სტერვები“ თურქეთს ესტუმრნენ და ერთი კვირის განმავლობაში, კარგადაც გაერთნენ. სალომე გოგიაშვილი თურმე, უშედეგოდ ცდილობდა, ხატია სიჭინავასთვის ცურვა ესწავლებინა და ლამის ხელში ატატებული დაჰყავდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სასაცილოა, არა, ფოთში გაზრდილ ხატიას, თბილისელი სალომე რომ უტარებდა ცურვის გაკვეთილებს, მაგრამ ხანდახან ასეც ხდება.

დედაქალაქში დაბრუნებულებმა, ჟურნალისტების ჯგუფი მშენებარე „აკვაპარკის“ ტერიტორიაზე წაიყვანეს და დაათვალიერებინეს ის კომპლექსი, რომელიც სექტემბერში თბილისელებს თავბრუდამხვევ სიამოვნებას ჰპირდება: გასართობი ცენტრები, აუზები, დისკოთეკა... მათ ხომ იმ დაწესებულებაში პიარ მენეჯერობა ჩააბარეს

kviris astrologiuri prognozi

(17 – 23 agvisto)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ამ კვირას, თქვენ საშუალება მოგეცემათ, გამოიყენოთ თქვენი ნიჭი, ისარგებლოთ შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციით და თქვენს სასარგებლოდ შემოატრიალოთ ყველა საქმე. მოსალოდნელია, მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებაც. კარგი იქნება, თუ შაბათ-კვირას იმიჯის შეცვლაზე იზრუნებთ და ახალ ტანსაცმელს შეიძენთ.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

თქვენ ამ დღეებში ზედმეტად მგრძნობიარე ხართ და ყველაფერი გულთან ახლოს მიგაქვთ. კარგი იქნება, თუ საპასუხისმგებლო საქმეების მოგვარებაში ახლობლები დაგეხმარებიან. ჯობია, ეს კვირა პირადი საქმეების მოგვარებას დაუთმოთ და პროფესიონალური საქმიანობის მოსაწერიგებლად შედარებით ხელსაყრელ პერიოდს დაელოდოთ.

ᲢᲧᲣᲜᲘ 21.05-21.06

სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება, მთელი კვირის განმავლობაში, თქვენ გარშემო ყველაფერი ამოძრავდება — ადვილად შეხვალთ კონტაქტში, შეეგუებით ნებისმიერ ცვლილებას, ერთი ტიპის საქმიანობიდან მეორეზე ადვილად გადაერთვებით. სწორედ ამიტომ, წარმატებას მიაღწევთ იქ, სადაც სხვები მხოლოდ პრობლემებს შეიქმნიან.

ᲙᲘᲒᲝ 22.06-22.07

მოულოდნელად ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. მოგინდებათ აქტიური მოქმედება, ფულის დაგროვება და ხარჯვა, შინაური პრობლემების გადაჭრა. კარგი პერიოდია ბანკებთან და ფინანსურ დაწესებულებებთან ურთიერთობისთვის, ფულის დაბანდებისთვის. უქმე დღეები ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ამ კვირას, შესაძლებლობა მოგეცემათ, ობიექტურად აღიქვათ მიღებული ინფორმაცია, არ გააკეთოთ ნაჩქარევი დასკვნები. აუცილებლად მიხედეთ პირად ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში, მის მოსაწესრიგებლად დიდი ძალისხმევის დახარჯვა მოგიწევთ. შაბათ-კვირა საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

ამ დღეებში, შედარებით უფრო ენერგიული ხართ. ემოციური განწყობილება დაგეხმარებათ, მეტი ოპტიმიზმით შეხედოთ მომავალს. ამასთან, კონკურენტებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ, რადგან მათი ქმედება შეიძლება, სერიოზულ შემაფერხებელ ბარიერად იქცეს თქვენი კარიერისა და საქმიანობისთვის. თავი აარიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უქმე დღეები, ბუნების წიაღში გაატარეთ.

ᲡᲐᲡᲬᲠᲘ 24.09-23.10

თუ ამ კვირას ლიდერის როლის შესრულებას და საკუთარი ინტერესების დაცვას შეძლებთ, მაშინ თქვენი კონკურენტები თავის უუნარობას იგრძნობენ და თქვენი ყველაზე თამამი იდეების განხორციელებას შეძლებთ. თუმცა, სიმშვიდისა და სტაბილურობის იმედი ნურც პარტნიორულ და ნურც სასიყვარულო ურთიერთობებში ნუ გექნებათ.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

ამ პერიოდში, ადამიანებთან ურთიერთობა გაგიჭირდებათ. ამიტომ კარგი იქნება, თუ პარტნიორულ მოლაპარაკებებს შემდეგისთვის გადადებთ. კვირის ბოლოს, საკმაოდ მიმზიდველ წინადადებას შემოგთავაზებენ, მაგრამ სანამ რაიმეს გადაწყვეტთ, კარგად დაფიქრდით. უქმე დღეები ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

შეეცადეთ, ამ კვირას, თქვენი ძალაუფლებით ბოროტად არ ისარგებლოთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ საკუთარ სურვილებს და პარტნიორების შემოთავაზებებსაც. უმტკივნეულოდ მიიღეთ ახლობლების შენიშვნები და თუ საჭირო გახდა, რჩევისთვის მეგობრებს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიაშურეთ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲫᲐ 22.12-20.01

ამ დღეებში, თქვენს საეჭვო მეგობრებს ნიღბები ჩამოეხსნებათ. ამიტომ უარს იტყვით ძველ, უსარგებლო პროექტებზე და ცხოვრებას უფრო ნათელ ფერებში შეხედავთ. თუ გინდათ, რომ ამ პროცესმა უსიამოვნებების გარეშე ჩაიაროს, მაშინ კარგად გააანალიზეთ მიმდინარე მოვლენები და დასვენებაზე იფიქრეთ.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

ყოველდღიური ერთფეროვნება გაღიზიანებთ, ამიტომ ამ კვირას შეეცადეთ, ჭარბი ენერგია დახარჯოთ. დიდი ავტორიტეტით სარგებლობთ, ეს კი მოგეხმარებათ ახალი მეგობრების და პარტნიორების შეძენაში. ეს პერიოდი კარგია გართობისთვის, აზარტული თამაშებისა და რომანტიკული თავგადასავლებისთვის.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

ამ დღეებში, თქვენს ავტორიტეტსა და კარიერას არაფერი ემუქრება, ამიტომ შეგიძლიათ, უფრო თამამად იმსჯელოთ მნიშვნელოვან საციოცხლო საკითხებზე. ამასთან, თქვენი ინტუიციაც გამძაფრებულია და ადამიანების უკეთ გესმით. შაბათ-კვირა მეგობრებისა და საყვარელი ადამიანის გარემოცვაში გაატარეთ.



ფიდელ კასტრო

დიქტატურის დამამხობელი დიქტატორი



დასაწყისი იხ. „გზა“ №32

როგორ გვიყვარდა იგი

მან ყველა მოატყუა. არა მარტო კუბის ათმილიონიანი მოსახლეობა, არა მარტო თავისი უახლოესი მეგობრები, ვისთანაც რამდენიმე წლის განმავლობაში პარტიზანული ბრძოლის დროს, დიქტატურისგან კუბის გასათავისუფლებლად, უკანასკნელ ლუკმაპურს იყოფდა, არამედ მთელი დანარჩენი მსოფლიოც: აშშ-ის ლიბერალური ინტელექტუალები, 60-იანი წლების მემარცხენე ევროპა და ბოლოს, თანამემამულე ინტელიგენტები, რომლებიც კუბური რევოლუციის რომანტიზაციას ახდენდნენ და მასში ოქტომბრის რევოლუციის ანტიპოდს ხედავდნენ.

სწორედ ამით განსხვავდება ფიდელ კასტრო კარიკატურული აღმოსავლელი დესპოტებისგან და ლათინურამერიკელ კადილიოთაგან, რომელთა შესახებაც არც ერთ ზნეობრივად ჯანმრთელ ადამიანს არასოდეს არანაირი ილუზია არ ჰქონია. ფიდელ კასტროს მომხიბვლელობის მაგია — შავი თუ თეთრი — ძალზე ძლიერი იყო მისი ლიდერობის პირველ ათწლეულში. კასტროს მმართველობის პირველი წლები — დიდი იმედებისა და გამანადგურებელი იმედგაცრუების მონაცვლეობა გახლდათ. გავიხსენოთ მხოლოდ რამდენიმე. 1955 წელს, თითქმის ორწლიანი პატიმრობისა (სანტიაგოში აჯანყების მოწყობის წარუმატებელი მცდელობისთვის) და ამნისტიით გათავისუფლების შემდეგ, ფიდელ კასტრო შტატებში ახალი რევოლუციისთვის ფულის შესაგროვებლად ჩავიდა და შეაგროვა კიდეც. უკვე 1956 წელს ის ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირებიდან, მეგობრების ჯგუფთან ერთად, კუბისკენ მიემგზავრებოდა, იარაღითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული იახტით — „გრანმა“.

რა დიდად აფასებდნენ მას ამერიკელი ლიბერალები პარტიზანული ომის პერიოდში — 1956-დან 1959 წლამდე! როგორი რეკლამა გაუწია აშშ-ის პრესამ! ან თუნდაც, რად ღირს მეტიუს ადრე უკვე მოხსენიებული რეპორტაჟები „ნიუ-იორკ თაიმსში“, რომელთა როლის შესახებაც კასტროს ცხოვრებაში ვიღაცამ მახვილგონივრულად შენიშნა, როცა ის უკვე ეროვნულ ლიდერად და მსოფლიოში სახელგანთქმულ ადამიანად იქცა: „ფიდელ კასტროს თავისი სამადლობელი წერილი უნდა გამოექვეყნებინა ტრადიციულ შაბათის სვეტში — „როგორ ვიშოვე სამუშაო „ნიუ-იორკ თაიმსის“ წყალობით“. მის რეკლამირებას ემსახურებოდა აგრეთვე ძალზე ვრცელი ინტერვიუები ჟურნალებში: „ლუქ“, „თაიმ“, „ლაიფ“; ტელეკომპანია სი-ბი-ესის საგანგებო პროგრამა — „აჯანყებულთა ამბავი კუბის ჯუნგლებიდან“...

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტი ეიზენჰაუერი პირველი იყო, ვინც მისი შედეგები შეაფასა. 10 იანვარს წარმოთქმულ სიტყვაში მან იმედი გამოთქვა, რომ „იმ ქვეყნის მოსახლეობა, რომელიც ასე ახლოსაა შეერთებულ შტატებთან გეოგრაფიულადაც, ადამიანურადაც, ახლა მშვიდობას, სტაბილურობასა და პროგრესს მოიპოვებს“. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი ალენ დალესი ამშვიდებდა საერთაშორისო საქმეთა სენატის კომიტეტის წევრებს, რომლებიც შეშფოთებული იყვნენ ჭორებით ახალი რეჟიმის მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგეების თვითნებურად გასამართლების შესახებ: „რევოლუცია ანადგურებს თავის მტრებს, ეს კანონზომიერია“...

მაგრამ ფიდელ კასტრო უკვე მაშინ არ უფრთხილდებოდა არაფერს, გარდა საკუთარი სრული ძალაუფლებისა, არ ეჭიდებოდა მეგობრობას ძალზე ძლევამოსილ მეზობელთანაც კი და ყველაფერზე მაღლა საკუთარ დამოუკიდებლობას აყენებდა. გამარჯვების შემდეგ მიცემულ პირველსავე ინტერვიუში, რომელიც კუბური ჟურნალის — „ბოემია“ — იანვრის ნომერში გამოქვეყნდა, შეკითხვაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის შესახებ, მან უპასუხა: „კუბა ყოველთვის იქნება აშშ-ის მეგობარი“; დასვა წერტილი და დაუმატა: „მანამ, სანამ აშშ იქნება კუბის მეგობარი“.

ფიდელ კასტროს საშინლად აღიზიანებდა სულ უფრო გახშირებული პუბლიკაცია მოკირკიტე ამერიკულ პრესაში, ბატისტას ყოფილ მომხრეებთან განუკითხავი ანგარიშსწორების შესახებ. ერთხელ — ისევ მოვლენებით დატვირთულ 1959 წლის იანვარში — ჟურნალისტებმა, რომლებიც მრავალი დღის განმავლობაში უდარაჯებდნენ მას სასტუმრო „ჰავანა ლიბრას“ მოსაცდელში, სადაც მაშინ მისი სამუშაო კაბინეტი იყო (ფეშენებელური ლუქსი, რომელიც დღეღამეში 100 დოლარი — იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა ღირდა), ჰკითხეს — არ ეშინია, რომ შეერთებული შტატები მის საქმეში ჩარევასა და კუბაში „წესრიგის დამყარებას“ მოისურვებს? — მან უხეშად მიუგო: „ეს მათ 200 ათასი გრინგო *(ესპ. — უპატივცემულობის გამომხატველი მეტსახელი, რომელიც ესპანური ენის არმცოდნე უცხოელს, უპირატესად — ამერიკელს ნიშნავს. — რედ.)* დაუჯდებათ!..“ თუმცა მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ შორს იყო ინტერვენციის აზრისგან და ჰავანაში ახალი ელჩის აკრედიტებას აპირებდა. ამერიკის მთავრობა რევოლუციურ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა.

იმავე საღამოს ფიდელ კასტრომ ჰავანის ცენტრალურ პარკში მრავალრიცხოვანი მიტინგი მოაწყო. მან მხურვალე სიტყვა წარმოთქვა და იქ დამსწრეთ შესთავაზა კენჭისყრა საკითხზე — ვინ არის მომხრე, რომ ბატისტას დამქაშები სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დავხვრიტოთ? პასუხად ორწუთიანი ოვაცია გაისმა. ბატისტა, მისი სადისტი პოლიციელები და ასევე სადისტი ჯარისკაცები ყველას სძულდა. ამ გრძნობებზე თამაშით ნერგავდა ფიდელ კასტრო თავის „რევოლუციურ“ სამართალს, რომელიც, როგორც თვითონ განმარტავდა, კანონს კი არ ეფუძნებოდა, არამედ — „ზნეობრივ მრწამსს“.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება სულ უფრო დაძაბულად აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას, მაგრამ ლიბერალური საზოგადოებრივი აზრი კასტროს გაღმერთებას განაგრძობდა. აპრილში პრესის გამომცემელთა ასოციაციამ ფიდელ კასტრო აშშ-ში მიიწვია. ამერიკელ ორგანიზატორთა რჩევით, ვიზიტისთვის მან გაიპარსა და გამუდმებით იღიმებოდა, სასტიკი — „ბარბუდო-გერილიეროს“ იმიჯი კი, „ბარბუდო-ტრიუმფატორის“ იმიჯით შეცვალა. ამერიკაში მან თან ჩაიტანა 100 ყუთი რომი, საჩუქრად კუბის მეგობრებისთვის. მაგრამ ასეთი მიზნისთვის ეს რაოდენობაც კი არასაკმარისი აღმოჩნ-

და... ფიდელ კასტრო წარმატებით გამოვიდა სიტყვით გაეროში, დაიპყრო პრინსტონი და ჰარვარდი, ფეხით სეირნობდა ჰარლემში, სადაც ასევე აღტაცებით ხვდებოდნენ. მას რომ არ შეხვედროდა, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ქალაქგარეთ გაემგზავრა, გოლფის სათამაშოდ. სამაგიეროდ, ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი საათზე მეტხანს ესაუბრა კასტროს. ნიქსონმა მას დაზვერვის მიერ მიწოდებული მონაცემები უჩვენა, რომლის მიხედვითაც, ახალი ხელისუფლების რიგებში „ჩანერგილი“ იყო ბევრი კომუნისტი, რომელიც მოსკოვიდან იღებდა დირექტივებს. მაგრამ ფიდელ კასტროს მცირედი ინტერესიც კი არ გამოუმჟღავნებია ამ ინფორმაციისადმი. ნიქსონმა დაასკვნა, რომ 32 წლის კუბელი ლიდერი „ან გულუბრყვილოა და ვერ აფასებს კომუნისტური სენის საშიშროებას, ან ძალიან ეშმაკია და უკვე დიდი ხანია, თვითონაც მოწამლულია ამ სენით“. კასტროსთან შეხვედრის შემდეგ ნიქსონმა ეიზენჰაუერის ადმინისტრაციაში ანტიკასტროული ემიგრაციის სამხედრო დახმარების ლობირება დაიწყო.

„ყველაზე კუბელი“ ამერიკელი

ამერიკელი, ვინც კუბისა და ფიდელ კასტროს მიმართ განსაკუთრებულად თბილ დამოკიდებულებას იჩენდა, ცნობილი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი გახლდათ. მას უყვარდა „თავისუფლების კუნძული“, მთელი 20 წლის განმავლობაში — 1940-დან 1960 წლამდე — თვეობით ცხოვრობდა კუბაზე. თავიდან ის სასტუმრო „ამბოს მუნლოსში“ ჩერდებოდა, სადაც 50-იანი წლების დასაწყისში „მოხუცი და ზღვა“ დაწერა და სადაც მას შემდეგ ყველაფერი ისევეა შენარჩუნებული, თითქოს რემონტი არც ერთხელ არ გაკეთებულა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სულაც არ მომხდარა იმის გამო, რომ სასტუმრო ჰემინგუეის დროინდელ მდგომარეობაში შეენარჩუნებინათ — ეს უფრო მეტად, კასტროსეული რეჟიმის უყაირათობის ბრალი გახლდათ... დღეს ამ სასტუმროში ცხოვრებას არათუ მწერალი, არამედ მის მიერ შექმნილი მოთხრობის მთავარი გმირიც კი არ იკადრებდა, რომელიც სიღარიბის გამო, ყოფაში პრეტენზიულობით არ გამოირჩეოდა...

უკვე 50-იანი წლების შუახანებში ჰემინგუეიმ კუბაზე, ჰავანის სიახლოვეს, მეთევზეთა პატარა დასახლება კოჰიმარში სახლი შეიძინა. იქიდან გატკეპნა მან ორი საყვარელი მარშრუტი: ზღვის სანაპიროსკენ, რომელსაც საბოლოოდ, „პილარის“ სახელით ცნობილ იახტამდე მიჰყავდა და ბარისკენ — „ფლორიდა“, რომელიც ძველი ჰავანის შუაგულში მდებარეობდა. ამ ბარში ის ყოველთვის ერთსა და იმავე კოქტეილს უკვეთდა — „დაიკარის“, რომელიც ჰავანელი მეძავების საყვარელი სასმელი გახლდათ. თავისი ნობელის პრემია მან „კუბელ ხალხს“ გადასცა — ეს ჯერ კიდევ 1954 წელს მოხდა.

რევოლუციის დროს ჰემინგუეი შტატებში იმყოფებოდა, მაგრამ 1959 წლის იანვარშივე ჩავიდა კუნძულზე და მუხლმოდრეკილი ეამბორა აჯანყებულთა დროშას. კასტროსთან შეხვედრამ მთლიანად დაიპყრო მისი რომანტიკული და იდეალისტური სული: ის ხომ მუდამ „ნამდვილი რევოლუციის“ ძიებაში იყო! განა ამისთვის არ გაეშურა ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს?! მაგრამ იქ ვერ იპოვა ის, რასაც ეძებდა. სამაგიეროდ, „იპოვა“ თავისი საუკეთესო რომანი — „ვის უხმობს ზარი“, რომელიც სწორედ ამ მოვლენებს ასახავს. კასტრომ უამბო ჰემინგუეის, რომ სიერამაესტრას მთებში ის ხშირად კითხულობდა ამ რომანს, რომელიც მისთვის „პარტიზანული ომის სახელმძღვანელოს“ წარმოადგენდა. იმ ერთი წლის განმავლობაში, რომელიც ჰემინგუეიმ კუბაზე გაატარა, ისინი ხშირად არ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ რამდენჯერმე „პილარით“ ერთად გავიდნენ ზღვაში სათევზაოდ. შემდეგ კი, 1960 წელს ჰემინგუეი ამერიკაში დაბრუნდა სამედიცინო გამოკვლევისთვის, ხოლო 1961-ში, დაავადებით გატანჯულმა, თავი მოიკლა.

ნეტავ, თუ მოასწრო ჰემინგუეიმ იმის გაგება, რომ არც კუბაზე გაუმართლა იმედმა — ენახა „ნამდვილი რევოლუცია“?.. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მან მხოლოდ იმედი გამოთქვა, რომ ამერიკელები თავიანთი მოქმედებით არ უბიძგებდნენ კასტროს, კომუნისტებს „ჩახუტებოდა“...

როგორ უყვარდა ძალაუფლება

ნეტავ, რაიმე ადამიანური გრძნობა თუ ჰქონდა კასტროს ჰემინგუეისადმი?.. უფრო დასაჯერებელია, მას საერთოდ, არავინ და არაფერი არ უყვარდა, განუსაზღვრელი ძალაუფლების გარდა. მისკენ მიმავალ გზაზე ის დაუნდობლად ანადგურებდა ხალხს, მათ შორის — მისთვის უახლოეს ადამიანებსაც, ხშირად იცვლიდა პოლიტიკურ ორიენტირებს, პარტნიორებსა და მოკავშირეებს, მათ შორის — ყველაზე ძლევამოსილებსაც. ამას ის მუდამ ყოველგვარი ყოყმანის



ნეტავ, რაიმე ადამიანური გრძნობა თუ ჰქონდა კასტროს ჰემინგუეისადმი?..

გარეშე აკეთებდა, იმ მოთამაშესავით, რომელიც მუდამ მზადაა, „ვა-ბანკზე“ წავიდეს. ამიტომაც, მუდამ იმარჯვებდა... იმავე 1959 წლის ივლისში კასტრო პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა, იმ მუდმივი უთანხმოების გამო, რომელიც პრეზიდენტ ურუტიასთან ჰქონდა: ჯერ ერთი, ის ძალზე შეწუხებული იყო კომუნისტებთან ფიდელის დაახლოებით და მეორეც — დაჟინებით მოითხოვდა თავისუფალი არჩევნების ჩატარებას, რასაც კასტრო ყოველთვის თავს არიდებდა.

თავისი გადადგომის შესახებ ფიდელ კასტრომ ტელევიზიით გამოაცხადა და თან, მორიგი მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც პრეზიდენტიც გააკრიტიკა, თუმცა მისგან დიდად იყო დავალებული. სწორედ ურუტია გახლდათ მისი ადვოკატი პროცესზე, რომელიც 1953 წელს, მონკადოს შტურმს მოჰყვა. მაგრამ როგორც ჩანს, პრეზიდენტმა კარგად იცოდა, თუ როგორი მადლიერების გამოხატვა შეეძლო მის ყოფილ კლიენტს... ურუტიას ბოლომდე არ მოუსმენია კასტროს სატელევიზიო გამოსვლისთვის, ისე დაიწყო ტანსაცმლის გამოცვლა. უბრალო, მოკრძალებული, მოკლესახელოიანი პერანგი ჩაიცვა, რათა ცხელი ივლისის დღეს ზედმეტი ყურადღება არ მიეპყრო კოსტიუმითა და ჰალსტუხით, რომელსაც მუდამ იცვამდა; პრეზიდენტის სასახლიდან უკანა კარით გავიდა და ვენესუელის საელჩოსკენ გაემართა, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა...

1959 წლის ბოლოს, გამოჩნდა კიდევ ერთი გულუბრყვილო ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა, გულახდილად ელაპარაკა კასტროსთან. რევოლუციის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა — კომანდანტე უბერ მატოსმა მას წერილი მისწერა, სადაც ითხოვდა გადადგომას გარნიზონის სარდლის პოსტიდან, რომელიც პროვინცია კამაგუეიში იყო განლაგებული. მატოსიც შეშფოთებული იყო ხელისუფლებასა და არმიაში კომუნისტთა მომრავლებით, ცდილობდა, დაეცვა კასტრო მათთან კავშირისგან, რადგან მიაჩნდა, რომ ამ კავშირს შეეძლო, „დაემარხა რევოლუცია“. როგორც პატიოსანი სამხედრო პირი, ის სთხოვდა კასტროს, მიეცა მისთვის გადადგომის უფლება; შექმნილ სიტუაციაში, მას სამსახური აღარ შეეძლო, ხოლო პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა შეუძლებლად მიაჩნდა. კასტრო გააფთრებული იყო: მას შეპასუხება გაუბედეს, მისი სიმართლე ეჭვქვეშ დააყენეს!.. მან მატოსი ღალატსა და აჯანყების მომზადებაში დაადანაშაულა. რევოლუციის გმირმა არა მარტო გადადგომა, არამედ 32-წლიანი პატიმრობაც მიიღო. ციხიდან ის მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა.

დეკემბერში გამართული, მატოსის სასამართლოთი დამთავრდა რევოლუციის პირველი წელი. წინ იყო ათწლეულები, რომლებიც ფიდელ კასტრომ ძირითადად, თავისი პირადი ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენა. ის ვერც ამერიკის შეერთებული შტატების მრავალწლიანმა სანქციებმა შეარყია და ვერც ისეთმა ის-

ტორიულმა კატაკლიზმებმა, როგორიც იყო კუბის ეკონომიკის მრავალწლიანი დონორის — საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის დაშლა.

გულუბრყვილობა იქნებოდა, კასტროში „უკანასკნელი კომუნისტი“ დაგვენახა და გაგვკვირვებოდა, თუ როგორ გადარჩა იგი სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ. ის არც არასოდეს ყოფილა კომუნისტი — მხოლოდ ჟონგლიორობდა მარქსისტული ფრაზეოლოგიით. მისი ერთადერთი იდეა ყოველთვის, ძალაუფლების იდეა იყო. სწორედ ამ დემონურ იდეას ემსახურებოდა იგი მთელი ცხოვრება და მის საკურთხეველზე მიიტანა მთელი ქვეყანა. დესპოტური ძალუფლება კი, მხოლოდ იზოლაციის რეჟიმში შეიძლება განმტკიცდეს. ხოლო იზოლაციას მუდამ შეიძლება დაჰბრალდეს სიღატაკე, რომელიც სინამდვილეში, უნიათო ხელმძღვანელობითაა განპირობებული. იზოლაციით ყოველთვის შეიძლება, რეპრესიების გამართლებაც, თუ ხალხს აუხსნი, რომ ეს „გარეშე მტრისგან დაცვის საშუალებაა“.

ფიდელ კასტროს ძალა იმაშია, რომ მას არასდროს არავისი არ ეშინოდა და არავისთან უძებნია კომპრომისები. კარიბის კრიზისის დროს, მზად იყო, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეომა; ჩეხოსლოვაკიაში 1968 წლის კრიზისის დროს, წამითაც არ უყოყმანია, ისე განუცხადა მოსკოვს, რომ არ ეთანხმებოდა ჯარების შეყვანას; როცა 90-იანი წლების დასაწყისში, მიხაილ გორბაჩოვმა უარი უთხრა დახმარებაზე, მას ხვეწნა-მუდარა არ დაუწყია, თავი არ დაუმცირებია — უბრალოდ, სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „პერესტროიკა“ და მთელი საბჭოთა დახმარება, რომელიც, მისი თქმით, „უანგიანი ჯართის მიწოდებით ამოიწურებოდა, ოღონდ, ამ ჯართს ტრაქტორების სახით აწვდიდნენ“... ის მუდამ თავს ესხმოდა სხვას. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ბეისბოლში ყოველთვის თავდამსხმელად თამაშობდა და მისი ერთ-ერთი ფოტო, რომელზეც ბეისბოლის ჯოხითაა აღბეჭდილი, სრულად გამოხატავს მის პოლიტიკურ და ადამიანურ არსს.

და აი, მან ყველას აჯობა, ყველაზე მეტხანს იცოცხლა. ამერიკის შეერთებული შტატების იმ 8 პრეზიდენტზე მეტხანს იცოცხლა, ვინც გამოთქვამდა დაპირებას, რომ კასტროს რეჟიმი სწორედ მისი თეთრ სახლში ყოფნის პერიოდში დაემხობოდა... ფიდელ კასტრომ მეტხანს იცოცხლა, ვიდრე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნ-მა გენერალურმა მდივანმა. მან მეტხანს იცოცხლა, ვიდრე მაო ძედუნმა და ხო ში მინმა და აწ უკვე ისტორიად ქცეული XX საუკუნის დიად კომუნისტურ მოღვაწეთაგან „უკანასკნელ მოჰიკანად“ იქცა. მის ძალაუფლებას დასასრული არ უჩანს, უფრო სწორად — ეს-ესაა, გამოისახა ამ დასასრულის კონტურები, თუმცა ექიმები ირწმუნებიან, რომ ფიდელმა კარგად გადაიტანა მძიმე ოპერაცია და მალე კვლავ შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას...

ახალგაზრდა ფიდელ კასტროს ფოტოსურათების ყურებისას, შეიძლება, ვინმეს გაახსენდეს ნაპოლეონის სიტყვები, რომლებიც მას წმინდა ელენეს კუნძულზე ყოფნისას ჩაუწერია: „რამ მოახდინა რევოლუცია? პატივმოყვარეობამ. რამ დაამარცხა იგი? ასევე პატივმოყვარეობამ. ყველა ჩვენგანისთვის კი, რაოდენ მშვენიერი საბაბი იყო თავისუფლება ხალხის გასაბრიყვებლად!“

ფიდელ კასტრო კუბაში ცხოვრების ისეთ დონეს ინარჩუნებს, რომელიც სულ ცოტათი თუ აღემატება გაუსაძლისს. ამით უკმაყოფილო ხალხში აჯანყებამ რომ არ იფეთქოს, მისთვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი. ფიდელ კასტრო ყოველნაირად ცდილობს უცხოური კაპიტალის მიზიდვას და ამისთვის საზღვარგარეთ ვიზიტებისას, თავის ათწლეულობით უცვლელ სამხედრო უნიფორმას ცივილიზებულ კოსტიუმებზეც კი ცვლის. მაგრამ რაც შეეხება ადამიანთა უფლებებს — მიუხედავად ფიდელ კასტროს დაპირებებისა, ყველაფერი ძველებურად რჩება. მართალია, პოლიტიკური პატიმრების რაოდენობა სულ უფრო მცირდება, მაგრამ ამის მიზეზი სულაც არ არის დემოკრატიული გარდაქმნები.

კუბის ხელისუფლება დისიდენტებთან ბრძოლის ახალ მეთოდებს იყენებს. ახლა მათ ციხეებში აღარ სვამენ — რათა კუბის მეთაურს რეპუტაცია არ შეულახონ. ხელისუფლება ოპოზიციონერებს უბრალოდ, სამსახურს ართმევს ან სხვა სამუშაოზე გადაჰყავს და რეჟიმთან თანამშრომლობას აიძულებს. უარის შემთხვევაში, მათ ქვეყნიდან ასახლებენ. ოპოზიციის მხოლოდ ძალზე აქტიური წარმომადგენლები თუ ხვდებიან გისოსებს მიღმა. მაგალითად, კუბის ხელისუფლების მიერ შერისხული ორგანიზაციის — პოლიტიკური უფლებების დამცველთა ასოციაციის პრეზიდენტი და ადამიანის უფლებების დასაცავად მებრძოლთა ლიდერი, ლუის პიტა სანტოსი გაასამართლეს და 8 წელი მიუსაჯეს — ჰავანაში, რევოლუციის მოედანზე მოწყობილი მშვიდობიანი მანიფესტაციის ორგანიზებისთვის. მისი თანამოაზრეები ცდილობდნენ, დაეყოლიებინათ იგი, რომ ქვეყნიდან გაქცეულიყო, მაგრამ სანტოსმა — „ბავშვობიდან რევოლუციონერმა“, რომელსაც დიდი ხანია, კუბის სისტემასთან დაკავშირებით არავითარი ილუზია აღარ აქვს, მტკიცედ განაცხადა: „თუ ვინმემ უნდა დატოვოს კუბა, ეს კასტროა და არა — მე“...

■

უიღბლო ხათუნა დონდუას ლამაზი ცხოვრება

„ამ ჭიკი, ბაღდომ, ბავშვმ მოიგონეს, ბომ გარდავიცვალე...“

დასაწყისი იხ. გვ. 62

ქალბატონი ლუიზა:

— ჩემი ხათუნა უიღბლო ადამიანი იყო. არაფერში არ უმართლებდა. ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ ესა თუ ის გეგმა სწორედ უიღბლობის გამო იშლებოდა. როდესაც ფილმს — „მზიური“ იღებდნენ, ხათუნამ 2 სიმღერა შეასრულა. მოსკოვის ცენზურამ ორივე ეპიზოდი ამოიღო: ერთ-ერთში ის საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი მღეროდა და მიიჩნიეს, რომ საბჭოთა ბავშვი ძალზე სექსუალურად გამოიყურებოდა, ხოლო მეორე ეპიზოდში გოგა ფიფიას გმირს, რუსი ნაშის გამო, ბიჭები დასდევენ და ავიწროებენ; ამ სიტუაციიდან გოგას გმირს „მზიურელები“ იხსნიან; სწორედ აქ მღეროდა ხათუნა და ცენზურამ ეს ეპიზოდიც ამოიღო, რადგან რუსი ქალი არასასურველ როლშია გამოყვანილიო, — თქვეს... უიღბლობაა ეს, აბა, რა არის?! ხათუნას გარდაცვალების შემდეგ, ფილმის რეჟისორს, ზაალ კაკაბაძეს ვთხოვე — იქნებ, ეს ამოჭრილი ეპიზოდები ვიდეოკასეტაზე გადამიწეროთ-მეთქი, — მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ფირი საერთოდ აღარ არსებობდა...

გვანცა გიორგაძე:

— დედას ძალიან უყვარდა ქეიფი და მეგობრული შეკრებები. ბოლო მკურნალობის შემდეგ, როდესაც ის მოსკოვიდან დაბრუნდა და ამგვარ შეხვედრაზე წასვლაზე უარი თქვა, მივხვდი, რომ ნამდვილად ავად იყო... დედა უცებ მოტყდა და გაქრა. ბოლო წუთამდე, ჩვენ გვამხნევებდა, მაგრამ უკანასკნელ დღეებში მიხვდა, რომ ეს იყო დასასრული და დედამისს ეუბნებოდა ხოლმე: მე მალე წავალ, მეშველება, მაგრამ შე საწყალო, შენ რა გეშველებაო?!. ავადმყოფობის გამო, ფორმაში არ იყო და არავის ნახვა არ უნდოდა. მხოლოდ მე და ჩემს ძმას გვეძახდა. ვერ ლაპარაკობდა და როცა გვიყურებდა, ცრემლები სცვიოდა. ამით გამოხატავდა იმას, რომ ჩვენთან განშორებას განიცდიდა... ძნელი ყოფილა დედის სიკვდილთან შეგუება...

ნაწყვეტი ხათუნას ინტერვიუდან: „ერთხელ, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მოიგონეს, რომ გარდავიცვალე...“

■

ბრძნობისმიერი ადამიანი ხართ თუ ბონისმიერი?

1 საქმიანი საუბრის დროს, კოლეგა სრულიად მოულოდნელად, ლექციის სტრიქონების ციტირებას იწყებს:

ა) სერიოზულ საკითხზე მსჯელობისას ადამიანმა საკუთარ თავს ამგვარი ქმედების ნება არ უნდა მისცეს;

ბ) მსგავსი რამის გაკეთება თავად აზრადაც არ მოგივიდოდათ, მაგრამ ამ რიტორიკულ გამოსვლას საინტერესო ქმედებად აღიქვამთ;

გ) ვინ იცის — პოეტის ბრძნულმა გამონათქვამმა შესაძლოა, სწორი გადაწყვეტილება გამოვნინოთ.

2 თუკი უყურებთ ტელესერიალებს, უპირატესობას რომელ ჟანრს ანიჭებთ?

ა) დეტექტივს;

ბ) ეს ფილმის მხატვრულ ღირებულებაზეა დამოკიდებული;

გ) მელოდრამას.

3 სამსახურში შეიმა ისეთი განკარგულება გასცა, რომელიც თქვენი აზრით, სავალალო შედეგებს გამოიღებს:

ა) სიტყვის შეუბრუნებლად შეუდგებით განკარგულების შესრულებას, ბოლოს და ბოლოს, თუკი თქვენი პესიმისტური პროგნოზი გამართლდება, პასუხისმგებლობა თქვენ არ დაგეკისრებათ;

გ) ეცდებით, უფროსს შეაცვლევინოთ აზრი, მაგრამ თუკი ამას ვერ მოახერხებთ, ძალ-ღონეს არ დაიშურებთ, რომ ბრძანების შესრულებისას, მოსალოდნელი სავალალო შედეგები მინიმუმამდე დაიყვანოთ;

გ) უგუნური ბრძანების შესრულებას ნებისმიერი ხერხით შეეწინააღმდეგებით.

4 ჰოროსკოპის მიხედვით, ხვალინდელი დღე თქვენს ზოდიაქოს ნიშნს სერიოზულ უსიამოვნებას უქადის:

ა) ამას არანაირ მნიშვნელობას არ მიანიჭებთ, რადგან ასტროლოგების პროგნოზების არ გწამთ;

ბ) მიგაჩნიათ, რომ ამგვარი გაფრთხილება სულაც არ არის ზედმეტი, რადგან სიფრთხილის აუცილებელი ზომების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, ხიფათის თავიდან აცილება შეძლოთ;

გ) ეცდებით, ამ დღეს სახლიდან საერთოდ არ გახვიდეთ.

5 რა აზრი გიჩნდებათ, როცა მეუღლეებს შორის სხვაობა 20 წელს შეადგენს?

ა) გამორიცხული არ არის, რომ მას, ვინც ამ წყვილიდან უმცროსია, ანგარება ამოძრავებდეს. სხვაგვარად მისი საქციელის ახსნა სრულიად წარმოუდგენელია;

ბ) ძნელია, ამ ადამიანების ურთიერთობაზე რაიმე კონკრეტულის თქმა, თუკი ამ წყვილს ახლოს არ იცნობ;

გ) ჭეშმარიტ სიყვარულს ასაკი ხელს ვერ შეუშლის!

6 ვთქვათ ყმაწვილი ან გოგონა ჰუმანურ, მაგრამ მცირეანაზღაურებად პროფესიას ირჩევს:

ა) მან გონივრულად განჭვრიტა, რომ მომავალში ამ პროფესიისადმი დამოკიდებულება შეიცვლება და ანაზღაურება გაიზრდება;

ბ) სავარაუდოა, რომ ამ სფეროში მუშაობა მისი მონოდებაა;

გ) მისი ამგვარი არჩევანის წინაშე ქედი უნდა მოვიხაროთ, რადგან თანამედროვე ახალგაზრდების უმრავლესობისგან განსხვავებით, ეს ყმაწვილი (გოგონა) მერკანტილური არ აღმოჩნდა.

7. საგაზეთო პუბლიკაციის ავტორმა არცთუ ისე კომპეტენტურად გააშუქა ის საკითხი, რომელშიც თქვენ საკმაოდ კარგად ერკვევით და თავს ამ სფეროს სპეციალისტად მიიჩნევთ:

ა) ის რომ ამ სფეროში თქვენსავით კარგად ყოფილიყო ჩახედული, ასეთ უზუსტობას არ დაუშვებდა;

ბ) საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება მასაც აქვს, მაგრამ დაეთანხმებით მას თუ არა, უკვე თქვენი ნებაა;

გ) დაუშვებელია ჭეშმარიტების დამახინჯება, განსაკუთრებით საგაზეთო პუბლიკაციაში.

8. რაღაც მსხვილი შენაძენი გქონდათ დაგეგმილი, მაგრამ მაღაზიაში მისვლისას აღმოაჩინეთ, რომ ეს ნივთი გაძვირებულია და თქვენ მიერ მოგროვილი თანხა მის საყიდლად არ გყოფნთ:

ა) შინ დაბრუნდებით და მოთმინებით განაგრძობთ ფულის მოგროვებას;

ბ) ანალოგიურ ნივთს შეიძენთ, ოღონდ — შედარებით დაბალი ხარისხისას, რომელიც შესაბამისად, შედარებით იაფი ღირს;

გ) თავის დამშვიდებას შეეცდებით — მაგალითად, შეიძენთ ტორტს ან რაიმე მიმზიდველ სუვენირს.

9. მეგობარმა ისეთი წიგნი გაჩუქთ, რომელიც მართალია, იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ თქვენ ნაკლებად გაინტერესებთ:

ა) ამ წიგნს ბუკინისტთან წაიღებთ, რათა საჩუქრიდან რაიმე სარგებელი მაინც ნახოთ;

ბ) თაროზე შემოდებთ წიგნს იმის იმედით, რომ ის ოდესმე რამეში გამოგადგებათ;

გ) საჩუქრის მიღებისას ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი მეორე ადამიანის მიერ გამოვლენილ ყურადღებაა. თქვენი მეგობრობის ამ სიმბოლოს სათუთად გაუფრთხილდებით.

ტესტის შედეგები

როცა პასუხებში „ა" ვარიანტი ჭარბობს: ძალზე რაციონალური ადამიანი ბრძანდებით. ნებისმიერ პრობლემას პრაგმატულად უდგებით და ლოგიკურ და კეთილგონივრულ გადაწყვეტილებას იღებთ. თუმცა, ამგვარი მიდგომის მიუხედავად, შეცდომებისგან დაზღვეული არც თქვენ ბრძანდებით, რადგან შესაძლოა, თქვენი გადაწყვეტილებები ლოგიკურია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ადგილი აქვს მიკერძოებულ მიდგომასა და ცრურწმენას. ლოგიკურად აზროვნებისას, თქვენ აბსოლუტურად უგულებელყოფთ ემოციებს და არ ითვალისწინებთ იმას, რომ ზოგჯერ ემოციებსაც შეუძლია სიკეთის მოტანა.

როცა პასუხებში „ბ" ვარიანტი ჭარბობს: ეს მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ აფექტსა და ინტელექტის ჰარმონიული შერწყმის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენთ. თქვენთვის უცხო არ არის მძაფრი შეგრძნებები და ძლიერი გრძნობები, მაგრამ შეგიძლიათ მათი გაკონტროლება.

როცა პასუხებში „გ" ვარიანტი ჭარბობს: ეს მოჭარბებულ ემოციურობაზე მეტყველებს. ზოგიერთები თქვენს ემოციურობას გულისხმიერ საქციელად აღიქვამენ და ამის გამო გაფასებენ; სხვები კი ამას ეგზალტირებული ქმედების გამოვლინებად მიიჩნევენ და ალოგიკურობაში გდებენ ბრალს; შეიძლება ითქვას, რომ ერთნიც და მეორენიც თავისებურად მართლები არიან, ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ემოციურობამ საღი აზრის საწინააღმდეგო ნაბიჯი არ გადაგადგმევინოთ.

როცა თქვენს პასუხებში არც ერთი ტიპი არ ჭარბობს: ეს მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ არც ერთ კონკრეტულ კატეგორიას არ მიეკუთვნებით. ზოგ შემთხვევაში თქვენ ციქსისხლიანი ანალიტიკოსივით მოქმედებთ, ზოგჯერ კი ემოციებს აჰყვებით ხოლმე. იმას კი, რამდენად გამართლებულია ამა თუ იმ სიტუაციაში თქვენი ქმედება, მეგობრებისა და ახლობლების შეფასების მიხედვით ადვილად გაარკვევთ.



1. მინირ-ესტორანი
2. რესტორანი იტალიაში
3. შინაური ფრინველი
4. სამეცნიერო ცვლა
5. მწერალი ... იოსელიანი
6. განთავისუფლებული ყმა
7. შუამდინარეთი
8. თურყულინანი ვაზის ჯიში
9. ოვიდიუს ოაც წყვილი
10. ღმერთების მთა
11. დაცლილი ვაზნა
12. ტბა საქართველოში
13. წლის მტაცებელი ძუძუმწოვარი
14. ცურვის სტილი
15. ნეპლის ფულის ერთეული
16. რისამე მარაგი
17. კოვბოის ქამანდი
18. კურკოვანი ხილი
19. ო

ნაბახუსევი ფილანთროპის ქმედება პოლიციამ აღიარეთ

გერმანიის ქალაქ დარმშტადტში ფრიად უჩვეულო მოვლენას ჰქონდა ადგილი: ნაშუადღევს, ქალაქის პოლიციის განყოფილებაში ზარი გაისმა; მოქალაქემ სამართალდამცავთ აცნობა, რომ ბანკის მოპირდაპირე მხარეს მოკალათებული მამაკაცი სრულიად მშვიდი სახით ხან ჯიბეებიდან იღებდა ფულს და ხანაც ცელოფანის პარკებიდან და გამვლელ-გამომვლელს ურიგებდა.

მოქალაქის შეტყობინებას სამართალდამცავთა მხრიდან სწრაფი რეაგირება მოჰყვა: ისინი შემთხვევის ადგილზე გაემართნენ და თვალებს არ დაუჯერეს — ყველაფერი სწორედ ისე იყო, როგორც აცნობეს...

პოლიციელებმა სასწრაფოდ დააკავეს 63 წლის უთავბოლო მფლანგველი და ვიდრე ვითარებას ნათელი მოეფინებოდა, პოლიციის განყოფილებაშიც მიაბრძანეს. როგორც გაირკვა, გვარიანად შექეიფიანებული გერმანელი ბანკში შესულა, საკუთარი ანგარიშიდან ნაღდი ფულით 16.700 დოლარი გამოუტანია, ბანკის მოპირდაპირე მხარეს მოკალათებულა და გამვლელ-გამომვლელისთვის ფულის დარიგება დაუწყია. აღმოჩნდა, რომ შემთხვევის ადგილზე პოლიციელთა მისვლამდე, ნაბახუსევ ფილანთროპს 1.935 დოლარის დარიგება მოუსწრია. „ქველმოქმედების შემდგომი შემოტევის" თავიდან ასაცილებლად, სამართალდამცველებმა ნასვამ მოქალაქეს დროებით ჩამოართვეს თანხის დარჩენილი ნაწილი, შინ გაისტუმრეს და აღუთქვეს, რომ საკუთარ ფულს მხოლოდ მაშინ დაუბრუნებდნენ, როცა ის პოლიციის განყოფილებას სრულიად ფხიზელი მიაკითხავდა. ■

ძიღში გაჯეთებული სვირინგი

აშშ-ის შტატ აიოვაში მცხოვრები 20 წლის ჰილარი შნაიდერი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ საკუთარ ლოგინში გამოღვიძებულს, უჩვეულო სიურპრიზი ელოდა. როდესაც გოგონამ წვივზე დაიხედა და იქ ფაქიზად შესრულებული სვირინგი შენიშნა, კინაღამ გონება დაკარგა.

როგორც აღმოჩნდა, ჰილარის ბოიფრენდი ხანგრძლივი დროის მანძილზე ეხვეწებოდა სატრფოს, რომ სვირინგი გაეკეთებინა — მას ძალიან უნდოდა, რომ გოგონას იმავე ადგილას ჰქონოდა ტატუ, სადაც თავად მას ჰქონდა. როცა ჰილარიმ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა, ყმაწვილმა მზაკვრულ ხერხს მიმართა: ერთ საღამოს, როდესაც დაწოლის წინ გოგონამ საძილე ეფექტის მქონე ტკივილგამაყუჩებელი აბი მიიღო და მშვიდად დაიძინა, ყმაწვილმა თავისი დიდი ხნის ოცნების ასრულება გადაწყვიტა. ის ჯერ დარწმუნდა იმაში, რომ ჰილარის ღრმად ეძინა, შემდეგ კი სატრფოს წვივზე ისეთივე ვარსკვლავისგამოსახულებიანი ტატუ ამოუსვირინგა, როგორიც თავად ჰქონდა. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰილარიმ სათანადოდ ვერ შეაფასა ბოიფრენდის მოქმედება. ეს ოინი მას საკმაოდ ძვირად დაუჯდა: გოგონამ არა მარტო მიატოვა სატრფო, არამედ აწ უკვე ყოფილ შეყვარებულს პოლიციაშიც უჩივლა და სხეულის დაზიანებაში დასდო ბრალი. ■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ" ნიშნავს ციფრს, „დოკუ" — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

5	8	6	3	2	7	4	9	1
7	9	1	5	4	8	6	2	3
2	3	4	6	9	1	5	7	8
9	5	2	7	1	4	8	3	6
6	4	3	8	5	9	7	1	2
8	1	7	2	3	6	9	4	5
4	2	8	9	6	3	1	5	7
1	6	5	4	7	2	3	8	9
3	7	9	1	8	5	2	6	4

6	9	5	3	4	2	8	1	7
1	8	4	7	9	5	6	2	3
7	2	3	8	6	1	4	9	5
2	3	7	9	5	4	1	8	6
8	1	6	2	3	7	5	4	9
4	5	9	1	8	6	3	7	2
3	7	8	5	1	9	2	6	4
5	6	2	4	7	8	9	3	1
9	4	1	6	2	3	7	5	8

9	8	5	1	3	6	2	4	7
6	3	7	4	5	2	8	9	1
1	2	4	9	7	8	3	5	6
2	5	8	3	1	7	4	6	9
4	6	1	2	8	9	5	7	3
3	7	9	5	6	4	1	8	2
5	9	2	6	4	3	7	1	8
7	1	6	8	2	5	9	3	4
8	4	3	7	9	1	6	2	5

* მარტივი

3	5	2	4	1	8	7	9	6
8	4	6	7	6	2	4	1	3
7	9	1	3	7	5	8	5	2
9	1	8	1	2	3	6	3	7
6	4	5	9	5	4	2	8	9
2	7	3	8	6	7	1	4	5
1	7	9	5	2	4	2	3	4
4	8	5	9	3	7	6	6	1
6	3	2	1	8	8	4	5	9

** საშუალო

3				5				2
	7	1	3		2	8	4	
			8		1			
	2		4		3		8	
6		4				5		7
	8		5		6		2	
			1		7			
	3	5	2		4	9	7	
8				3				4

*** რთული

		4	2		7	3		
	5						1	
		2		1		9		
	7		6		5		2	
	8						7	
	1		4		9		8	
		5		3		8		
	9						6	
		1	9		6	4		

ფოტოკოლაჟები



პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

TB STARS

b 124/30

ლიმალელი — გურამიშვილი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი